საქართველო ... ბაჟაღლო და თ... ჩასმული ბადახში

ფასი 1,50 ლარი №21 (700) - 1 ივნისი



ვინ არის დაკავებული თბილისში ცნობილი ფილოლოგი დედამთილის შემოსვლით და რის გამო უწევს მანანა კოზაკოვას ბეწვის ხიდზე სიარული

გვ. 74

გვ. 14

როგორ შექმნა არჩილ სოლოღაშვილმა არაგენმოდიფიცირებული და ნოყიერი ქორეოგრაფიული პროდუქტი „რუსთავი 2-სათვის“ და რა მოჰყვა ამას

რა ორი უკიდურესობა ახასიათებს ნათია თადიაშვილს და როგორ მიაღებინა მას მომავალმა მეუღლემ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება

გვ. 70

გვ. 22

რა სერიოზული გამოწვევა მიიღო კოტე თოლორდავამ და რომელ ქართულ-ამერიკულ პროექტში გაუწევენ მას პარტნიორობას ჰოლივუდის მსახიობები

რას შეჰპირდა ეკა ბუაძეს ჟან პოლ გოტიე და როგორ გახდა ქართველი მოდელი პარიზში ცნობილი სამოდელო სახლების სახე

გვ. 2

გვ. 19

როგორ აბარებს ირაკლი შერმაზანაშვილი გამოცდებს „კლაბ 11-ის“ ისტორიებით და ვისთან აბებს ნინო შავგულიძე „ჯეირანს“

რა ექსპერიმენტებს არ ერიდება სალომე ქათამაძე და როგორ ჩამოსდიოდა მის გარდაცვლილ ბაბუას თვალებიდან ცრემლი

გვ. 68

გვ. 18

გაუკეთებენ თუ არა ცნობილი ოლიმპიური ვარსკვლავები მარიამ ქინქლაძის მიერ ამერიკაში გამოშვებულ ენერგეტიკულ სასმელს რეკლამას და ვისზე აპირებს ის ახლო მომავალში გათხოვებას

ახტალის ბუნებრივი ტალახი ჯანმრთელობის უებარი საშუალებაა!

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკა ბუაძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, პარიზში ცხოვრობს, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მოდელია. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ სამოდელო სახლებთან, როგორებიცაა: „ნინა რიჩი“, „დიორი“, „გი ლაროში“, „გოტიე“.**

# რას შეჰპირდა ეკა ბუაძეს ჟან პოლ გოტიე და როგორ გახდა ქართველი მოდელი პარიზში ცნობილი სამოდელო სახლების სახე

**– ბევრი ადამიანისთვის პარიზი ოცნების ქალაქია. შენთვისაც ასე იყო, სანამ იქ საცხოვრებლად გადახვიდოდი?**

**ეკა ბუაძე:** როცა პატარა ვიყავი, ასე 9-10 წლის და „ფეშენ-ტივიზე“ ვუყურებდი „ფეშენ-ვიქებს“, ვოცნებობდი: გამოვსულიყავი მოდელი, ჩემი სახე გამოჩენილიყო „ფეშენ-ტივიზე” და მონაწილეობა მიმეღო პარიზის მოდის კვირეულში. საბოლოოდ, ყველა ბავშვური ოცნება ამიხდა: მოდელიც გავხდი, პარიზის „ფეშენ-ვიქზეც“ გამოვედი, თან, არაერთხელ, „ფეშენ-ტივიზეც“ ვიყავი და პარიზშიც ვცხოვრობ. პარიზის მოდის კვირეულზე გამოვედი, როგორც „დიორის“, ასევე, „ნინა რიჩის“, „გი ლაროშის“, „გოტიეს“ ჩვენებებში. გოტიეს პირადად ვიცნობ, ძალიან კარგი ადამიანია. ის ჯერ კიდევ საბერძენთში გავიცანი. საფრანგეთის საელჩოში გაიმართა გოტიეს ტანსაცმლის პრეზენტაცია, რომელშიც ვმონაწილეობდი. შემდეგ, როდესაც მასთან ქასთინგზე მივედი, მიცნო და დიდი სიხარულით ამიყვანა სამუშაოდ. შემპირდა, რომ მომავალშიც გააგრძელებდა ჩემთან მუშაობას. ჩემი სამუშაოდან გამომდინარე, მოდელის ოცნება შეიძლება, იყოს ისეთ დიდ ბრენდებთან მუშაობა, როგორიც არის „ნინა რიჩი“, „დიორი“, „ივ სენ ლორანი“, „გოტიე“ და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ნელ-ნელა მოვიდა, რასაც საკმაოდ ბევრი შრომა, თავდადება სჭირდებოდა.



**იქაც ნულიდან დავიწყე, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გაქვს კარგი ბუქი, გარკვეული გამოცდილება, პარიზმა უნდა მიგიღოს**

**– რა იყო შენთვის, როგორც მოდელისთვის, წარმატების გზაზე ყველაზე დიდი სირთულე?**

– 10 წელია, მოდის სფეროში ვარ და ჩემთვის ყველაზე დიდი სირთულე იყო, უცხოეთში მშობლების გარეშე გამგზავრება და იქ მარტო დარჩენა. ეს საბერძნეთში ხდებოდა, სადაც ჩემი კარიერა დაიწყო. რა თქმა უნდა, უპატრონოდ არ ვყოფილვარ, ბებია სხვა ქალაქში ცხოვრობდა, ყურადღებას მაქცევდა, მაგრამ მე მაინც მარტო ვცხოვრობდი. თუმცა, გარდა იმისა, რომ მოწყენილი დეპრესიაში ვიყავი, პარალელურად, ვფიქრობდი: ამ ყველაფერს შეიძლება, კარგი რამ მოჰყვესმეთქი. ასე რომ, მოვითმინე და მოვიგე.

**– როგორია შეგრძნებები, როდესაც აცნობიერებ, რომ ბავშვობის ოცნებები რეალური ხდება?**

– უსაზღვრო ბედნიერებას ვგრძნობ, ვამაყობ საკუთარი თავით. თუმცა, ხანდახან მირჩევნია, ჩრდილში ვიყო, ჩემს წარმატებებზე ხმამაღლა არ ვისაუბრო. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ვმუშაობ, ვაკეთებ საყვარელ საქმეს და კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით. ყოველთვის ვამაყობ და მადლობას ვუხდი დედას. მისი დამსახურებაა, რომ მე ამ სფეროს გავყევი. მან გაგზავნა საბერძნეთის ერთ-ერთ სააგენტოში ჩემი ფოტოები და მერე მიმიწვიეს კიდეც.

**– საბერძნეთი შენთვის სამოდელო სფეროში ერთგვარი ტრამპლინი გახდა.**

– კი, ასე იყო. ზოგადად, მოდელს სჭირდება ძლიერი ბუქი, რომელიც თავიდან სწორედ საბერძნეთში გამიკეთეს. შემდეგ კი გამაგზავნეს პარიზში. რა თქმა უნდა, იქაც იყო პრობლემები – აღმოჩნდა, რომ ცხოვრების უფლება მქონდა, მაგრამ მუშაობის – არა. რამდენიმე თვე ველოდე, რომ მუშაობა დამეწყო. ასე რომ, იქაც ნულიდან დავიწყე, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გაქვს კარგი ბუქი და გარკვეული გამოცდილება, პარიზმა უნდა მიგიღოს. სხვათა შორის, ჩემი პირველივე ქასთინგი იყო „ნინა რიჩისთან“. მესამე დღეს კი დამირეკა ბუქერმა და მითხრა: „ნინა რიჩის“ ჩვენებაში მონაწილეობას მიიღებ, შენ აგირჩიესო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვისაც ვიცნობდი და არ ვიცნობდი, ყველას ვურეკავდი და ჩემს სიხარულს ვუზიარებდი. ძალიან დაბნეული წავედი „ნინა რიჩის” ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად, ვნერვიულობდი, ვკანკალებდი, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. და ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, პარიზის მოდის კვირეულზე. საბოლოოდ, ამ ჩვენების შემდეგ შემომთავაზეს, მათ „შოუ-რუმებში“ მიმეღო მონაწილეობა. ხანდახან „ნინა რიჩის“ სამოსი ჩემს ტანზეც იკერებოდა. ვამაყობდი: ეს სამოსი ჩემს ტანზეა შეკერილი-მეთქი. ასეთივე კონტრაქტი მქონდა „გი ლაროშთანაც“. ახლახან გამოჩნდა „ბალმენი“ და ყველაფერი სრულიად მოულოდნელად დაიწყო. „გი ლაროშისა“ და „ბალმენის“ შენობები ერთმანეთს უყურებს. როდესაც „გი ლაროშთან“ შევდიოდი, შემამჩნია „ბალმენის“ დიზაინერმა, გადმოვიდა გზაზე და მითხრა: გხედავ, როგორ შედიხარ ამ შენობაში, ვხვდები, რომ მოდელი ხარ და ძალიან მინდა, ჩვენთან ითანამშრომლოო. დიდი სიამოვნებით-მეთქი. კიდევ ხდება ერთი საინტერესო რამ: ჩემს სააგენტოს დაუკავშირდნენ „ივ სენ ლორანის“ სამოდელო სახლიდან. შევხვდი ედი სლიმანს „ივ სენ ლორანის“ კრეატიულ დირექტორს, მასაც მოვეწონე და შემომთავაზა, მათთან მუშაობა. ედი სლიმანი მანამდე „ივ სენ ლორანის“ ერთ-ერთ ჩვენებაზე გავიცანი, მაშინ მიწვეული სტუმრის ამპლუაში ვიყავი. ახლა, ეს ორი საკითხი განხილვის პროცესშია. ახლო მომავალში ყველაფერი გადაწყდება, ვისი მოდელი ვიქნები – „ბალმენის“ თუ „ივ სენ ლორანის“.

**– მახსოვს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წარმატებულად თანამშრომლობდი „დიორთან“.**

– კი და, „დიორთან“ მქონდა ისეთი კონტრაქტი, რომელსაც არ სჭირდებოდა გაგრძელება. ანუ, ეს კონტრაქტიც არ გახლდათ, უკვე ნდობაზე იყო ჩვენი ურთიერთობა დამყარებული – მათ იცოდნენ, რომ ყოველთვის მათ გვერდით ვიქნებოდი. როგორი ჩვენება ან შოუც არ უნდა გამართულიყო, არ მივატოვებდი და მათთან ვიმუშავებდი. ანუ, თავიდან დგება კონტრაქტები, მაგრამ მერე ურთიერთობიდან, მუშაობიდან გამომდინარე, უკვე ნდობის ფაქტორი იწევს წინ. ასე იყო ჩვენ შორისაც. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო სწორედ „დიორთან“ მუშაობა გახლდათ, რადგან იქ ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ. ზუსტად იციან, რა არის მოდელისთვის საჭირო. შოუს დაწყების წინ დიდ კომფორტს გიქმნიან, რადგან იციან, რომ თუ მოდელი სტრესში იქნება, ის შოუზე კარგად ვერ წარდგება. ასე რომ, ყველანაირად გიწყობენ ხელს, რომ ჩვენება ისე დამთავრდეს, როგორც ეს დიზაინერს აქვს ჩაფიქრებული. ასევე, რამდენჯერმე ვიმუშავე „ერიკ ბომპარდთან“, რომელიც საფრანგეთში ძალიან ცნობილი და წარმატებული დიზაინერია. მასთან ბოლო ჩვენება იანვარში, დიდ დარბაზში გვქონდა, დაახლოებით 40 ათასი ადამიანი ესწრებოდა. ეს იყო ფიგურულ სრიალში შეჯიბრების გახსნა და ჩვენ ყინულზე გამოვედით ქუსლიანი ფეხსაცმელებით. პატარა ხალიჩა კი იყო დაგებული, მაგრამ იყინებოდა და რამდენჯერმე მოვსრიალდით კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული ჩვენება იყო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

**– შენ, ასევე, აქტიურად მუშაობ, როგორც ფოტომოდელი.**

– კი, როგორც ჩვენებებში ვიღებ მონაწილეობას, ასევე ფოტომოდელადაც ვმუშაობ. ვთანამშრომლობდი სხვადასხვა ჟურნალთან. ერთ-ერთი იყო ძალიან ცნობილი – Votre Beaute. ერთი დღე კანში ვიყავით გადასაღებად – მეცვა „ლუი ვიტონის“, „ივ სენ ლორანის“ და სხვადასხვა ბრენდის სამოსი. გადაღებები სანაპიროზე მიმდინარეობდა, ძალიან კარგი გამოვიდა. მახსოვს, ერთხელ გადამიღეს ცნობილი ჟურნალისთვის – Vu. თემა იყო ასეთი: გოგონა დაიკარგა ჯუნგლებში და მას აქვს ძალიან ძვირფასი სამკაულები ღირებულებით: 50 ათასი, 20 ათასი. გოგონა მათ მთელ სხეულზე იკეთებს. თან, არის ბინძური, გაწეწილი თმით და ხელზე, ცხვირზე, ყველგან უკეთია „შანელის“, „დიორის“ სამკაულები, „როლექსის“ საათები. საბოლოოდ კი, ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ამ მაკიაჟით მომიწია სახლში წასვლა. მთელი ტანი მქონდა მოხატული, სახე – შავი და თმა გაწეწილი. ყველა მე მიყურებდა ქუჩაში. ასეთი რაღაცეები ხშირად ხდება. მახსოვს, ერთხელ გადაღება მქონდა და იქიდან სასწრაფოდ მომიწია ქასთინგზე წასვლა. ბიგუდებით ჩავედი მეტროში, ყველა მე მიყურებდა: რა ჭირსო. თუმცა, ხვდებიან, რომ მოდელი ვარ. ასეთი რამ სხვა გოგონებსაც ემართებათ, უბრალოდ, ღიმილს ვერ იკავებენ ხოლმე.





**– მეუღლე კიდევ ჩართულია შენს საქმეებში?**

– არა, დაიღალა ამით და ახლა მე ვაკეთებ ყველაფერს, ის თავისი საქმით არის დაკავებული. 7 წელია, ერთად ვართ და ვფიქრობ, ურთიერთობაში ყველაზე მთავარი ურთიერთგაგებაა. ზოგჯერ რაღაცეებზე გეშლება ნერვები, მაგრამ, რას იზამ: როგორც საქმეშია საჭირო გაგება, ასევე ქმარსაც უნდა გაუგო, რადგან, თურმე, მეუღლეობაც პროფესია ყოფილა. თან, საკმაოდ რთული. ის დღემდე ჩემთვის ყველაფერს აკეთებს. ერთადერთი, რაც ჯერ არ გაუკეთებია – ვარსკვლავი არ ჩამოუგდია ციდან. დანარჩენს ყველაფერს აკეთებს.

**ნათია უტიაშვილი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ არ მიიღო ერთა ლიგამ, რომელიც „ნატოს“ პრინციპით მოქმედებდა, საქართველო თავის რიგებში 1920 წლის დეკემბერში, რითაც საბჭოთა რუსეთს ოკუპაციისთვის მწვანე აუნთო ............ 6



რა დაუჯდებათ ყოველთვიურად მძღოლებს სავალდებულო ავტოდაზღვევა და გაუჩინა თუ არა სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებს შემოსავლის ახალი წყარო უმწეოთა და პენსიონერთა დაზღვევის ჩამორთმევის სამაგიეროდ ...................... 8

რატომ არ გააჩნია ირაკლი ალასანიას საკუთრებად არც უძრავი და არც მოძრავი ქონება და რატომ არის მისი ოჯახის კუთვნილი ქონების ერთადერთი მეპატრონე ნათია ფანჯიკიძე ............................................. 9

რა შემთხვევაში და რა ასაკიდან აქვს ბავშვს პოლიციისთვის მიმართვის უფლება მშობლების მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ............................................ 10

როგორ გახდა თბილისელი რაფაელ არუთუნიანი ცნობილი, მსოფლიო დონის მწვრთნელი ფიგურულ სრიალში ................................................ 12



როგორ მოხვდება ქართული ენა ცნობილ კომპიუტერულ სისტემებში და როგორ აქცევს თქვენს ბგერებს კომპიუტერი ტექსტად..........13

გაუკეთებენ თუ არა ცნობილი ოლიმპიური ვარსკვლავები მარიამ ქინქლაძის მიერ ამერიკაში გამოშვებულ ენერგეტიკულ სასმელს რეკლამას და ვისზე აპირებს ის ახლო მომავალში დაქორწინებას ........................................... 18

როგორ აბარებს ირაკლი შერმაზანაშვილი გამოცდებს „ქლაბ 11-ის” ისტორიებით და ვისთან აგებს ნინო შავგულიძე „ჯეირანს” ............... 19

ხდება თუ არა ცოლის მორჩილი ხასიათი მისი წარუმატებლობისა და უიღბლობის მიზეზი .............................. 20

რა სიხარული ეწვია თბილისში მცხოვრებ ბებიას და ვინ ეძებდა მას ბელორუსიიდან საქართველოში .......... 21



რა არის ორი ყველაზე დიდი მანკიერება, რომელშიც ადამიანი ვარდება და რომელი ცოდვით მძიმდებიან ხშირად ეკლესიაში ახალმისული ქრისტიანები ... 24

მსოფლიო ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავები ... 26

ფოტოხელოვნებით გატაცებული ტაილანდის მეფე – რამა მეცხრე ფხუმიპონ ადულიადეტი .. 27

ექიმის რჩევები ......................................... 29



რა ტანჯავს გიორგი დანელიას და რას ვერ აკეთებს ის თავის გემოზე..............30



როგორ მოქმედებს „კამელინი“ ადამიანის იმუნურ სისტემაზე და რა განაპირობებს მის ეფექტურობას სიმსივნისა და სხვა დაავადებების მკურნალობის დროს ............ 31

როგორ ზემოქმედებს ენერგეტიკულ დონეზე ცოლ-ქმარი ერთმანეთზე და როდის იწყება მათ შორის უმიზეზო ჩხუბი და გაუგებრობები................32

კოსმეტოლოგის რჩევები..........................34

როგორ მართავდა სტალინი ტვინის სიფილისით დაავადებული ლენინის სახელით რუსეთს.........35

ახდენს თუ არა გავლენას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პლანეტების განწყობა........................36

როგორ გახდა ამერიკაში მცხოვრები ბექა სიხარულიძე არაბული ციხის ზედამხედველი, დაუნდობელი მკვლელი და ჯალათი ............................................... 47

არის თუ არა თბილისის ზღვის ქვეშ უზარმაზარი სეიფი, სადაც 300 ტონა ოქროა შენახული .................................... 48

როგორ ცდილობდა 70 წლის ქალი მოკლული ქმრის ჩუმად დაკრძალვას და რა არ აპატია მან ქმარს ................ 49



ადვოკატი გირჩევთ...........50

ფლორის სამყაროში.....50

ვეტერინარის რჩევები...........51

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს......51

მკვლელი კექსი................55

ქურდული ცხოვრება.....64

რით განსხვავდება ამანათი, კომერციული ტვირთისგან და რა შემთხვევაში არ ჰყავს „საქართველოს ფოსტას” კონკურენტი ქართულ ბაზარზე ................................... 71



რატომ გაუგზავნა ერეკლე მეორემ იმპერატრიცა ეკატერინეს ასპინძის ომში დატყვევებული სამი ლეკი ...................... 72

რატომ არიან ხოხბები მეგრელები და რატომ ითვლება ინდურ მითოლოგიაში იაგუარი ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებად ............. 73

თბილისის დინამოელის თავაზიანი უარი და ბალახისმჭამელი ფეხბურთელი მატჩის დროს ................. 78



იყავით მხნედ!

მიიღეთ

ორამინ F

კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი

1 კაფსულა ერთხელ დღეში

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# ორი ნულიდან – სამ ნულამდე

## სამშობლოს „სამსახურში“

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაცემული პრემიების სიდიდის საზოგადოების ყურამდე მისვლის შემდეგ** და **იმის მერეც, რაც დანარჩენ მინისტრთა და ძლიერთა ამა სოფლისათა პრემიების ოდენობაც გახმაურდა**, პრემიების **ამღებებს საჯაროდაც მოუწიათ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება.**

**ნაწილმა აქეთ დაგვამუნთა, სახელმწიფო სექტორში პროფესიონალების შესანარჩუნებლად სამი ნული** (მათ ხელფასში) **აუცილებელია**, რადგან **ორი ნულით მათი დაკავება გაჭირდებაო** (პასუხისმგებლობა გვაქვს და ამას ჯეროვნად დაფასება სჭირდებაო).



სახელდობრ, **იუსტიციის მინისტრმა** ქ-ნმა წულუკიანმა **ბრძანა, რომ „თუ საჯარო მოხელეები არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო“** და სტრასბურგში საკუთარი 18 000-ლარიანი ხელფასიც გაიხსენა (ახლა თვეში 5 000-ად ვმუშაობ, თუმცა დასძინა, ამ ხელფასადაც მზად ვარ, ვემსახურო სამშობლოსო, – **აი, მესმის თავგანწირვა!).** მას მხარი დანარჩენმა მინისტრებმაც აუბეს (მეორე მხრივ, მათი ლოგიკაც გასაგებია: **თუ „ნაციონალი“ მინისტრები იღებდნენ, ამათ იქ, ზემოთ, უმადობას რა შეყრიდა?!).**

მაგალითად, **უმრავლესოელი ხალხის რჩეული** ქ-ნი **ხიდაშელი გაცილებით თვითკრიტიკული აღმოჩნდა** და **გამოგვიტყდა** (მომყავს ციტატა): **„ნაციონალური მოძრაობის“ რეკორდი არ მოგვიხსნია, თუმცა სამარცხვინოა ჩვენიც“.**

თუმცა იქვე შეგვახსენა (რაც ისედაც გვახსოვს), რომ **ეს „მანკიერი გადმონაშთია“** (ანუ სათავეს „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდიდან იღებს), **რომელიც ახლებმაც წარმატებით აიტაცეს და დედის რძესავით შეისისხლხორცეს**, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ერთი მხრივ, **უკვდავ ჭეშმარიტებას: „პატრიოტიტიზმი ნაძირალათა უკანასკნელი თავშესაფარია“,** ხოლო, **მეორე მხრივ, გამოხატავს ყოფით რეალობას: „ფულები არის ჩემი გამხარებელი“!**

# არასტანდარტულად დაახლოებულები

## „კოლექტივო, მხარი – მხარს“

მართალია, **ჩვენ უკვე დავადგინეთ დოკუმენტზე ხელმომწერის ვინაობა, თუმცა** ევროკავშირელმა პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ **ბაროზომ მხოლოდ იმით გვანუგეშა, რომ ამ ეტაპზე „საქართველოს** ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ, მაგრამ **მაქსიმალურ დაახლოებას ვთავაზობთო“.**

ზედაც, **დაგვაიმედა, რომ ეს ასოცირება არ არის სტანდარტული დოკუმენტი** (მაგრამ, **როგორც ოკუპანტები იტყოდნენ: „и то хлеб“)** და **საშუალებას მოგცემთ, სრულად ჩავწვდეთ ევროპულ ბაზარს, რომელიც ყველაზე დიდია მსოფლიოში** (ყველაზე დიდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, **იქ რომ ყველაზე მდიდარი მყიდველები ცხოვრობენ, ამას წყალი არ გაუვა**!).

იქვე შეგვახსენა, რომ **ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული** (მომყავს ციტატა): „ვინაიდან ეს, ასევე, გულისხმობს თქვენი ეკონომიკის მოდერნიზაციას, რომ **თქვენი კომპანიები უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ**“.

ჩვენი **ევროკავშირელი მეგობრები პირობას გვაძლევენ, რომ ასოცირების წყალობით, მხარდამხარ ვიდგებით**, ოღონდ, **პროგნოზებისგან თავს იკავებენ** (ვერც გაამტყუნებ, პროგნოზები უმადური საქმეა) და **გვამუნათებენ, კონკრეტულ თარიღებზე ნუ დავხურდავდებითო** (ჩვენ ამას არც ვაპირებთ, რამეთუ წრეგადასულად კეთილშობილები ვბრძანდებით).

ამის პარალელურად, **ჩვენი ხელისუფლება კიდევ ერთხელ იმეორებს ჩრდილოური ყურებისთვის,** რომ **საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული,** თუმცა **არც რუსეთია უქმად** და **26 მაისისთვის რუსულ ბაზარს ქართულ ხილ-ბოსტნეულსაც უხსნის**. ჩვენ **არ ვიცით** (უკრაინის მწარე მაგალითის გათვალისწინებით), **ვინ ვის გადასძალავს,** სამაგიეროდ, **ცნობილია, რომ,** როგორც წესი, **დიდთა ჭიდაობა პატარებს გვაზარალებს.**

# ორივენიცა!

## ანუ დარჩება თუ არა ხელის მოსაწერი ადგილი

ჯერჯერობით ისეთი ვითარებაა, ღვინო, ანუ **ასოცირების შეთანხმება, არსად იყო, ხელისუფლების წევრები ტიკებს ალბობდნენ** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **კალმებს აპრიალებდნენო**). თუმცა ისიცაა, რომ **გვირაბის ბოლოს სინათლეც გამოჩნდა:** სახელდობრ, **ქართული ოფიციოზი შეთანხმდა, რომ ასოცირების ხელშეკრულებას პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა დაამშვენებს** (თუმცა პრეზიდენტის მრჩეველი ვანო მაჭავარიანის ვერსიით, პრეზიდენტმა და სწორედ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი დოკუმენტს, მაგრამ მის ხმას ხმად მღაღადებლისად უწერია დარჩენა). ეს შეთანხმება კი იმიტომ აღმოჩნდა აუცილებელი, რომ **კანონში მთლად ნათლადაც არ არის განსაზღვრული, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი ამ რანგის საერთაშორისო დოკუმენტს**: პრეზიდენტმა თუ მაინც პრემიერმა.

მეორე მხრივ, **ეს ის ხელმოწერაა, რომელიც ისტორიას დარჩება** (იმისდა მიუხედავად, პრემიერი თუ პრეზიდენტი ჩაუქი აღმოჩნდება თუ ძაბუნი), ამიტომაც **ამტყდარი ვნებათაღელვა გასაგებია.**

გასაგები – **ადამიანური ვნებების გადმოსახედიდან,** თუმცა **გაუგებარი – სახელმწიფოებრივი მოტივებით** (რადგან, წესითა და რიგით, **მთავარია, ქვეყანას გამოადგე**, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ, ზემოთ, სხვაგვარად განსაჯეს).

ერთი სიტყვით, **მთავრობის წევრები გვიმტკიცებენ, რომ პრეზიდენტის ხელმოწერა არალეგიტიმური იქნება.** ამის პარალელურად კი, **ოკეანის გაღმიდან სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, თვით ნიუ-იორკის ფორდჰემის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი ლევან ბოძაშვილი გამოგვეხმაურა** და შემოგვთავაზა: „იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტი აშკარად ისტორიული მნიშვნელობისაა და განსაზღვრავს საქართველოს მომავალი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეუქცევადობას, მეტიც, ქმნის ამისთვის იურიდიულად სავალდებულო გარემოს, რომელიც შემზღუდავი იქნება ნებისმიერი მომავალი ხელისუფლებისათვის მისი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, **მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოაწეროს ორივემ – საქართველოს პრეზიდენტმაც და პრემიერ-მინისტრმაც.“**

**გამოსავალი** ქართული რეალობისთვის, მართლაც, **იდეალურია**; მეტიც, **თუ ხელის მოსაკიდებელი ადგილი დარჩა,** იქნებ **ჩვენ, უბრალო მოკვდავთ** (თუ არ მოვგაწერინებენ) **მოგვაკიდებინონ მაინც**?!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ჩაგრულები

## კარგად ცხოვრების გემო

ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, **კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალ წელს საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი 54 მილიონ 695 ათასი ლარი იქნება** (2014 წელთან შედარებით, **2 მილიონ 604 ათასი ლარით მეტი**). ეს **მატება** კი **იმისთვისაა აუცილებელი, რომ ხალხის რჩეულებს შრომითი ანაზღაურება გაეზარდოთ და ავტოპარკიც განუახლდეთ.**



მთავრობას ამ მონაცემის შემცირების უფლება არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ამომრჩეველს შეუძლია, მშვიდად იყოს, მათ რჩეულებს ახალი ავტოებიც ეყოლებათ** და **ფინანსურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებენ**, მთლად **როკფელერებივით ვერა**, მაგრამ **ამ გაჭირვებულ ყოფაში**, დამეთანხმებით, **2 მილიონ 600 ათასი ლარიც საქმეა.**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნოდარ **ებანოიძემ განგვიმარტა, რომ** მომავალი წლისათვის პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურების ზრდა იგეგმება, რამეთუ, მისი თქმით, **„ყველაზე დაბალი შრომითი ანაზღაურება, სამწუხაროდ, პარლამენტშია** („დაიწო ჯიგარი" – )". თუმცა ამ თანხიდან კონკრეტულად 368 ათას ლარს არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართავენ.

მეტიც, **საავტომობილო პარკის შეცვლა წელს ყოფილა დაგეგმილი**, მაგრამ, **ვინაიდან თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის რეაბილიტაციამ დაგეგმილზე მეტი სამუშაო მოითხოვა**, წელს **ავტოპარკინგის განახლებისთვის თანხები აღარ რჩებათ,** ამიტომაც **ვერ განაახლეს და კვლავ ძველი ავტოებით დასრიალებენ**. ბ-ნი ებანოიძე იმასაც დასძენს, რომ **„პარლამენტის საავტომობილო პარკი მეტად მძიმე მდგომარეობაშია"**.

თუ გავითვალისწინებთ, რომ **საქართველოს ავტოპარკის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს 3-5 წლის ასაკის ავტომანქანები** (ნახევარზე მეტი 20-ზე მეტი ასაკისაა) და მათი **აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო დაწესებულებებზე მოდის**, მე ვერ გეტყვით, **რას ნიშნავს სახელდობრ ბ-ნი ებანოიძისთვის „მძიმე მდგომარეობა",** თუმცა **იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, რომ იქ,** მაღლა, **საკანონმდებლო ორგანოში, იციან კარგად ცხოვრების გემო!**

# „შინ – მამაცი, გარეთ – მხდალი"

## დარღვეული გენდერული ბალანსი

**კარგა ხანია, ვიცით, რომ, სხვადასხვა კვლევით, ამ ჩვენს თითქოს ქალთა პატივისმცემელ საზოგადოებაში გამოკითხულთა მესამედი მიიჩნევს, რომ ქმარმა ან პარტნიორმა ქალი კიდეც უნდა სცემოს**, თუ ეს უკანასკნელი **არაჯეროვნად იქცევა**. არაჯეროვან ქცევაში კი ყველაფერი იგულისხმება: **საჭმლის დაწვით დაწყებული და შვილებისადმი უყურადღებობით დასრულებული.**



ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ამ ვერსიას გამოკითხული ქალებიც იზიარებდნენ.**

თუმცა აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად საქილიკოდაც არ გვქონია, რადგან, შსს-ს ინფორმაციით, **2013 წელს ამ ჩვენს ქვეყანაში 21 ქალი მოუკლავთ,** მათ შორის, **8 – ქმარს გამოუსალმებია სიცოცხლისთვის**. დამაიმედებლად არც 2014 წელი დაწყებულა: **ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის უკვე სამი შემთხვევაა აღნუსხული.**

მომხდარს **ომბუდსმენიც გამოეხმაურა** და **შს მინისტრს მოუწოდა, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საგანგებო სტრატეგია**, რომელიც ყველაფერთან ერთად მაქსიმალურად მოახდენს მსგავსი დანაშაულების პრევენციას.

ხოლო, თუ 2006 წელს **პარლამენტართა ქილიკს** (მე ვიტყოდი, ღრეჯას) **გავიხსენებთ**, როდესაც **უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართულ კანონს იღებდა**, **დამდგარი** (ქმრების მიერ ცოლების მკვლელობის შემთხვევების გახშირება) **სავსებით ლოგიკური და ადეკვატური შედეგია.**

ხოლო, **თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერჯერობით ცოლის მიერ ქმრის მკვლელობის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა**, რაც ნიშნავს, რომ **გენდერული ბალანსი, ამ კუთხითაც დარღვეულია**, აშკარაა: ან **სახელმწიფომ ამ დანაშაულის პრევენცია უნდა მოახერხოს, ან ქალებმა** ამ სფეროში **დარღვეული გენდერული ბალანსი საკუთარი ძალებით აღვადგინოთ.**

# დაგინების ფასი

## პარტია არის ჩემი დამპურებელი

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ, თავის დროზე, აი, მაშინ, **„ნაციონალური მოძრაობა" რომ ქუხდა და მისი შიშით ცაში არწივს ვერ გაენავარდა, მიწის ქვეშ კი ჭიანჭველა ვერ გატოკებულიყო**, სკოლები და, განსაკუთრებით, საბავშვო ბაღები, **კოორდინატორთა ერთგვარი სავანე იყო.**



**თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, მათი დიდი ნაწილი კვლავაც დამპურებელი პარტიის ერთგულია,** ხოლო, თუ „ალიას" ვერწმუნებით, **თბილისის ყოფილ მერ გიგი უგულავას ერთ-ერთ რესტორანში, შეკრების დროს** (უკაცრავად პასუხია და) **დაუგინია**, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დედაქალაქის მერობისთვის ბრძოლას „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ ნიკა მელიას მოაგებინებს.**



**ეს ამბავი დიღმის ტრასაზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში მომხდარა** („დახურესო"). არც ისაა გამორიცხული, **ამ ისტორიაში სიმართლის მარცვალიც ერიოს,** ვინაიდან **რესტორნებში სერობა ოდესღაც „ნაციონალური მოძრაობის" სავიზიტო ბარათი იყო**: მოფარებულში **თვით ჟურნალისტებსაც კი უმასპინძლდებოდნენ,** არათუ **საკუთარ სამწყსო-მაცოცხლებელ კოორდინატორებს**.

ჩვენ, რასაკვირველია, **თავს ვერ დავდებთ, მართლაც** (უკაცრავად პასუხია და) **დაიგინა თუ არა ამხელა ქალაქის** (და **მერე რა, რომ ყოფილმა მერმა),** თუმცა **დაგინების როლი ერთობ საინტერესოდ ჩაეწერებოდა ქართულ პოლიტცხოვრებაში**.

ჩაეწერებოდა იმის გათვალისწინებით, რომ, **რაკი ჩვენებური პოლიტიკოსები დაპირებების შესრულების მაინცდამაინც მაღალი მაჩვენებლით არ გამოირჩევიან**, თუ არჩევნებამდე **წინასაარჩევნო პროგრამებზე დავაგინებინებდით,** იმით **მაინც დავიმშვიდებდით გულს, რომ მეორე არჩევნების თავს „შეეწერებოდათ"?! –**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**იმ შორეულ წარსულზე აღარ შევჩერდები, თამარის ქალიშვილი, რუსუდანი რომ სთხოვდა ევროპას თანადგომას მუსლიმანური სამყაროს აგრესიისგან დასაცავად; არც იმას გავიხსენებ, რამდენი ამაო ელჩობა მოუწია სულხან-საბა ორბელიანს ევროპისგან მოწყალების მიღების მოლოდინში; არც ერეკლე მეორის მცდელობების ჩამონათვლით მოგაცდენთ ანალოგიური მიმართულებით. თუმცა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიას გავიხსენებთ იმის შესაფასებლად, თუ რა ძალისხმევა გაიღეს ჩვენმა მოკავშირეებმა საბჭოთა რუსეთის აგრესიისგან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და, ზოგადად, ამიერკავკასიის დასაცავად. თემა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის წინ და დღევანდელი უკრაინის ტრაგიკული ბედის გათვალისწინებით. რა შეცდომები დაუშვა საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, რამდენად ქმედითი იყო მათი დასავლელი მოკავშირეების მხარდაჭერა, შეიძლებოდა თუ არა საბჭოთა ოკუპაციის თავიდან აცილება და, შესაბამისად, რა გაკვეთილის გამოტანა შეგვიძლია თითქმის 100 წლის წინანდელი მოვლენებიდან? – თემას ისტორიკოს ვახტანგ გურულთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არ მიიღო ერთა ლიგამ, რომელიც „ნატოს“ პრინციპით მოქმედებდა, საქართველო თავის რიგებში 1920 წლის დეკემბერში, რითაც საბჭოთა რუსეთს ოკუპაციისთვის მწვანე აუნთო

**– ერთია ევროპის მოქმედება და მხარდაჭერა, მაგრამ, იყო თუ არა მზად მოსალოდნელი საფრთხისთვის, საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი ოკუპაციისთვის, თავად საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა?**

– საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს, რა თქმა უნდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ელოდა. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ხელისუფლებაში ისეთი უნიჭო ადამიანები იყვნენ, ეს საფრთხე ვერ შეემჩნიათ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის აპრილში დაიპყრო აზერბაიჯანი, ხოლო 1920 წლის ნოემბერში – სომხეთი, რაღა მიხვედრა უნდოდა, რომ რუსეთი ომს დაუწყებდა საქართველოს?! მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთის დახმარების ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ.

**– რა აძლევდათ ამ ოპტიმისტური მოლოდინის საფუძველს?**

– 1920 წლის გაზაფხულისთვის, როდესაც რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი იურისდიქცია აღადგინა, ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შესაჭრელად ემზადებოდა. ინგლისმა საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა, რომ დაიცავდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენს, ესე იგი, არ დაუშვებდა საბჭოთა რუსეთის შეჭრას სამხრეთ კავკასიაში. მიუხედავად ამ განცხადებისა, ინგლისს, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია, ანუ, დასავლეთის დახმარების იმედიც ფუჭი გამოდგა. რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის იმედად ყოფნა იმდროინდელ პოლიტიკოსებს დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოთ.



საერთაშორისო ურთიერთობაში არ არის მიღებული პირდაპირი განცხადებები – არ დაგიცავ და საკუთარ თავს თვითონ მიხედეო

**– არ ულირდა ამიერკავკასიის დაცვა დასავლეთს თუ რა მიიღო სამაგიეროდ რუსეთისგან პასიურობის გამო?**

– სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის პასიურობა შემთხვევითი არ იყო. 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა ინგლის-რუსეთის საიდუმლო მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა შემდეგი შეთანხმებით: ინგლისი რუსეთს სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლებას უტოვებდა. ეს იყო საიდუმლო დიპლომატია და ამის არცოდნის გამო იმდროინდელ ქართველ პოლიტიკოსებს პასუხს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ლოგიკურად საქმე ხომ აქეთ მიდიოდა?! ისინი კი, რატომღაც, ბოლომდე ევროპის იმედად იყვნენ. არადა, ევროპული დიპლომატიის მიერ ისეთი მინიშნებები კეთდებოდა, რითაც ქართველი პოლიტიკოსები უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ევროპა ჩვენი დამცველი არ იქნებოდა. საერთაშორისო ურთიერთობაში არ არის მიღებული პირდაპირი განცხადებები – არ დაგიცავ და საკუთარ თავს თვითონ მიხედეო.

**– იმის გათვალისწინებით, რომ დღესაც ევროპის იმედზე ვართ, საინტერესოა, მაშინ როგორ იქცეოდა ევროპა, რაც მიგახვედრებდა, რომ ჩვენს დაცვას არ აპირებდა?**

– მივყვეთ ქრონოლოგიურად: 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის დელეგაცია ჩამოვიდა. რადგან დამოუკიდებლობა გამოცხადებული არ იყო, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ამიერკავკასიის კომისარიატი წარმოადგენდა, მაგრამ დელეგაციამ შეხვედრა გამართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელსაც ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. ანტანტის დელეგაციაში დიპლომატების გარდა იმყოფებოდა ინგლისელი გენერალი, სამხედრო ექსპერტი შორი. ქართველებმა კარგად ვერ გაიგეს მათი ჩამოსვლის მიზეზი. გაირკვა, რომ, რადგან რუსის ჯარი გადიოდა კავკასიისდან, ანტანტას ეშინოდა, გერმანიის მოკავშირე თურქეთს არ დაეკავებინა სამხრეთ კავკასია და, იმის გასარკვევად იყვნენ ჩამოსული, დაედგინათ, შეეძლოთ თუ არა ქართველებსა და სომხებს თურქეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ნოე რამიშვილი ძალიან გაცხარდა და ანტანტის დელეგაციას განუცხადა, ჩვენ ომში არ ვიღებთ მონაწილეობას, ნეიტრალიტეტს ვაცხადებთ, მაგრამ, რომ მივიღოთ მონაწილეობა, ჯარით თუ დაგვეხმარებითო. ჯარით დახმარებაზე ქართველებმა უარი მიიღეს. მაშინ ნოე რამიშვილმა მეორე კითხვა, დასვა: იარღით თუ დაგვეხმარებითო? ამაზეც უარი უთხრეს. ბოლოს, ქართველებმა ფულით დახმარება ითხოვეს, რაზეც, ასევე, უარი მიიღეს. გაირკვა რომ ანტანტას თურქეთის წინააღმდეგ მეომარი საქართველოსთვის მხოლოდ სამხედრო სპეციალისტებით დახმარება შეეძლო. გაცხარებულმა ნოე რამიშვილმა განაცხადა: სამხედრო სპეციალისტი იმდენი გვყავს, იქით მოგახმართო. მაშინ ქართველმა პოლიტიკოსებმა ანტანტის დელეგაციას პირდაპირ დაუსვეს კითხვა: რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ევროპისგან; პასუხი ასეთი იყო: ევროპა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ვერ ცნობს და ის რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებაო.

**– დღეს საქმე უკეთ ყოფილა: ფულით მაინც გვეხმარებიან.**

– შემდეგი საგანგაშო სიგნალი გაისმა პარიზის კონფერენციაზე, რომელმაც 1919 წლის იანვარში დაიწყო მუშაობა. საქართველოს დელეგაციას საიდუმლოდ განუცხადეს, სამწუხაროდ, გადაწყდა, რომ რუსეთი უნდა აღდგეს ძველ საზღვრებში, რადგან ევროპამ ვერ მოახერხა სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ჯერჯერობით რუსეთის დანაწევრების გეგმა არ არსებობს და თქვენ რუსეთის საზღვრებში მოიაზრებითო. შემდეგი საგანგაშო სიგნალი 1920 წლის იანვარში მოვიდა, როდესაც ანტანტის უმაღლესმა საბჭომ დე-ფაქტო ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს მაშინვე განუცხადეს: დე-იურე ცნობა ევროპისგან არ იქნება, სანამ თქვენი ყოფილი მეტროპოლია – საბჭოთა რუსეთი არ გცნობთო. მართლაც ასე მოხდა: მხოლოდ მას შემდეგ ცნეს ერთმანეთის მიყოლებით ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებმა დე-იურე ჩვენი დამოუკიდებლობა, რაც საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. შემდეგი საგანგაშო სიგნალი 1920 წლის ზაფხულში გაისმა: ევროპაში მყოფ საქართველოს დელეგაციას უარი უთხრეს იარაღის შესყიდვაზე, რის გამოც, ფაქტობრივად, საქართველო, რუსეთთან ომის შემთხვევაში, სერიოზული რეზერვის გარეშე რჩებოდა. და, ბოლოს, 1920 წლის დეკემბერში, როდესაც ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხი წყდებოდა, ინგლისმა და საფრანგეთმა მხარი არ დაგვიჭირეს, იმიტომ რომ, ერთა ლიგის წესდება ითვალისწინებდა ერთა ლიგის წევრი ყველა ქვეყნის დაცვას სამხედრო ძალით. ამ დროისათვის კი ინგლისს უკვე თანხმობა მიცემული ჰქონდა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი მოქმედების შესახებ.

**– ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენი მოკავშირეების სქემა შეცვლილა: თუკი მაშინ გერმანია იყო ჩვენი ყველაზე აქტიური მოკავშირე, ინგლისი და საფრანგეთი კი გვბლოკავდა, დღეს ინგლისია უფრო აქტიური მოკავშირე, განსხვავებით გერმანიისა და საფრანგეთისგან. რატომ არ მოვუვედით მაშინ თვალში ინგლისს?**

– რატომ დაუჭერდა ინგლისი ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას მხარს, როდესაც საბჭოთა რუსეთისთვის თანხმობა ჰქონდა მიცემული საქართველოს ოკუპაციაზე?! გამოდის, რომ ინგლისი თვითონ უნდა გადაჩეხილიყო ომში საბჭოთა რუსეთთან, რასაც, ცხადია, არ გააკეთებდა. ინგლისზე იმიტომ ვაკეთებ აქცენტს, რომ მაშინდელი ევროპის პოლიტიკას ინგლისი განსაზღვრავდა, ხოლო ინგლის-საფრანგეთი ერთად ყველაფერს წყვეტდა ევროპულ პოლიტიკაში. ვისი დაცვაც უნდოდათ, მაგალითად, ბალტიის ქვეყნების, ისინი კიდეც მიიღეს ერთა ლიგაში. ამის მიუხედავადაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მაინც ჰქონდა იმედი, რომ ევროპა დაიცავდა.

**– დღეს გაზი და ნავთობია რუსეთისადმი ევროპის იძულებითი სიყვარულის მოტივი, მაშინდელი „გაზი“ რა იყო?**

– პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა უამრავი პრობლემის წინაშე დადგა. ევროპას სჭირდებოდა პური და სხვა აუცილებელი პირველადი მოხმარების პროდუქტი, ასევე, სამხედრო მრეწველობის აღორძინებისათვის ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთობი... ყოველივე ამის მიღება ევროპას მხოლოდ რუსეთისგან შეეძლო. სწორედ ამიტომ, ლოიდ ჯორჯმა წამოაყენა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის აღდგენის წინადადება. ევროპამ უზარმაზარი ნედლეული წაიღო რუსეთიდან, რუსეთში კი უამრავი ვალუტა შევიდა. ასე რომ, ევროპას თავისი პრობლემები ჰქონდა და, რუსეთმა, როგორც კი დაინახა, რომ ევროპა მასთან თანამშრომლობაზე მიდიოდა, მაშინვე თავისი პირობები წაუყენა. ერთ-ერთი პირობა იყო სამხრეთ კავკასია. ევროპას იმდენად დიდი მოგება რჩებოდა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით, რომ ამას სამხრეთ კავკასია ვერ გადაწონიდა. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ევროპა ასე ადვილად თმობს ღირებულებებს. ევროპას არ უნდოდა, უშუალო შეხება ჰქონოდა რუსეთთან, ამიტომ შუაში უნდა შექმნილიყო ბუფერული ზონა. აი, ამან გადაარჩინა ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და არა იმან, რომ ამ ქვეყნების პოლიტიკოსები ქართველებზე უფრო ჭკვიანები და გამოცდილები იყვნენ. ევროპას უნდა შეექმნა ბუფერული

# ახტალის ბუნებრივი ტალახი ჯანმრთელობის უებარი საშუალებაა

კურორტი „ახტალა“ მდებარეობს კახეთში, კერძოდ, ქალაქ გურჯაანში. მსოფლიოში ამ უნიკალური ფსევდოვულკანური წარმოშობის ტალახით მკურნალობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. „ახტალაში“ მათ სრულფასოვან სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ პროფესიონალი ექიმები, მათ შორის, სანატორიუმის დირექტორი გოგა უტიაშვილი და, იქვე გაშენებულ ულამაზეს ტყე-პარკში მათ გართობისა და დასვენების საშუალებასაც მისცემენ.

კურორტი „ახტალა“ სამკურნალო დანიშნულებისაა. აქ ავადმყოფებს ნორმალურ პირობებში უტარდებათ სრულფასოვანი მკურნალობა. სანატორიუმში არის საცხოვრებელი კორპუსი, სააბაზანო განყოფილება, სასადილო, თანამედროვე სამედიცინო საშუალებებით აღჭურვილი პოლიკლინიკური განყოფილება, ბიოლოგიური და კლინიკური ლაბორატორია და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი. დამსვენებლებს ემსახურება პროფესიონალი სამედიცინო პერსონალი.

ტალახი გამოიყენება აბაზანებისა და აპლიკაციის სახით. აბაზანებისთვის საჭიროა თხიერი ტალახი, რომელიც უშუალოდ ამოდის დედამიწის სიღრმიდან, ხოლო აპლიკაციისთვის გამოიყენება საბადოს ტერიტორიაზე დალექილი მკვრივი მასა, რომელიც ასევე გამოიყენება ვაგინალური და რექტალიური ტამპონის სახით. დანერგილია ელექტროტალახი (ელექტროფორეზი ტალახით); პარალელურად ტარდება სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები.

ტალახი წარმატებით გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:

რევმატიული ართრიტები და პოლიართრიტები; სპეციფიკური და არასპეციფიკური ართრიტები; მადეფორმირებელი ოსტეოართროზები; მარილოვანი წანაზარდები სასახსრე ზედაპირებზე; პოდაგრა ამოვარდნილობებისა და მოტეხილობების შემდგომ პერიოდში; ძვლის, სახსრების, კუნთების დაავადებების სპონდილოართრიტებისა და სპონდილოართროზების სამკუ-



რნალოდ; ასევე, იკურნება ბურსიტი, სინოვიტი, ტენდოვაგინიტი, სახსრების კონტრაქტურა, მიოზიტი.

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებისას, როგორიცაა რადიკულიტი, საჯდომი ნერვის ანთება, ფლექსიტები, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები, ბავშვთა ცერებრალური დაავადებებით გამოწვეული პარეზები, ბ.ც.დ-თი დაავადებული ბავშვები, რომელთაც ჩატარებული აქვთ მკურნალობა სხვადასხვა კლინიკაში, სწორედ ჩვენთან მკურნალობის შემდგომ ეძლევათ ასეთ ბავშვებს მოძრაობის მეტი შესაძლებლობა და იწყებენ პირველი ნაბიჯების გადადგმას.

ასევე, ტალახი, გამოიყენება შეხორცებითი დაავადებების სამკურნალოდ, მათ შორის, მუცლის ღრუში ჭრილობებისა და დამწვრობის შემდგომი კელოიდური ნაწიბურების სამკურნალოდ, მაობილიტირებელი ენდარტერიტების, გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, რაც ხშირად უშვილობის მიზეზია; ასევე, იკურნება დანამატებისა და საშვილოსნოს ქრონიკული ანთებები, განუვითარებლობა, ფუნქციის დაქვეითება, შეხორცებები მცირე მენჯის ღრუში, ფალოპის მილების გაუვალობა ან დაქვეითება. ხშირია, როდესაც მკურნალობის სრული კურსის გავლის შემდეგ, ასეთ პაციენტებს უბრუნდებათ შვილოსნობის უნარი.

ტალახი ფართოდ გამოიყენება მამაკაცთა სასქესო ორგანოების დაავადების, წინამდებარე ჯირკვლის ქრონიკული ანთება-პროსტატიტის, სათესლე ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითების, ფსორიაზის, ეგზემის, ნეიროდერმიტებისა და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ჩვენი დამსვენებლები ყოველთვის კმაყოფილები არიან მკურნალობით. აღენიშნებათ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, გამოჯანმრთელება, რისთვისაც ყველაზე კარგ რეკლამას თვითონვე გვიკეთებენ – მოდიან განმეორებით და მოჰყავთ თავიანთი ახლობლები.

***მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა 10-12 სამკურნალო პროცედურაა.***

**მისამართი: გურჯაანი, თამარ მეფის ქუჩა №9.**

**ს. ს. კურორტ „ახტალის“ ადმინისტრაცია.**

**ტელეფონები: 599-23-17-74, 599-49-34-96; 0 353 22-08-03.**

---

ზონა საბჭოთა რუსეთთან. ამ ბუფერულ ზონაში შევიდნენ: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და სხვა ქვეყნები. სამხრეთ კავკასიაში ევროპას ბუფერული ზონა არ სჭირდებოდა, რადგან სამხრეთ კავკასიიდან რუსეთი ევროპას ვერ ემუქრებოდა. აი, სწორედ ამ გეოპოლიტიკურმა ვითარებამ შეგვიწირა ჩვენ. ევროპამ სამ ნაწილად გაყოფილი პოლონეთი შეკრა ერთ სახელმწიფოდ და ის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია. სამხრეთ კავკასიაში კი ევროპა რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმს არ ამზადებდა. აქედან ევროპას თურქეთი იცავდა და ამიტომ რუსეთი რეალურ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. სამწუხაროდ, მცირე ზომის ქვეყნები გავლენას ვერ ახდენენ დიდ პოლიტიკაზე.

**– თუ რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნება გარდაუვალი იყო ევროპელებისა და რუსების შეთანხმების საფუძველზე, რა საჭირო იყო ომი და ამდენი მსხვერპლი?**

– ეს შეცდომები იმდროინდელი ხელისუფლების კისერზეა, რადგან, თუ მიგაჩნია, რომ განწირული ხარ, ომი არ უნდა დაიწყო; ხოლო, თუ დაიწყებ, მზად უნდა იყო ამისთვის. ჩვენ შეცდომა იყო ის, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება წავიდა ომზე და ომისთვის მზად არ იყო, თუმცა, ჩვენ ვიცით მაგალითები, როდესაც მცირე ზომის ქვეყნის თავგანწირულ ბრძოლას შეუცვლია მსოფლიო პოლიტიკა. მე არ შემიძლია იმის თქმა, საქართველოს რომ თავგანწირვით ებრძოლა, ევროპა თავს გამოიდებდა ჩვენს დასაცავად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ ომს იწყებ, მზად უნდა იყო და ტყუილად არ უნდა ჩახოცო ამდენი ხალხი. ჩვენ, შეიძლება, გვახასიათებს სხვის იმედად ყოფნა. არ ვიცი, იმ დროს არმიაში როგორი ფსიქოლოგიური განწყობა იყო, მაგრამ, მთლიანად ქვეყანა ომისთვის მზად არ ყოფილა. რუსეთი უზარმაზარ კამპანიას აწარმოებდა ჩვენ წინააღმდეგ, მთელ ევროპას უმტკიცებდა, მე ვცანი საქართველო და ახლა ის ამ ხელშეკრულებებს არღვევსო, საქართველოში კი ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მაშინ თბილისში არანაირი სააგენტო არ ფუნქციონირებდა და ევროპა მოსკოვიდან იღებდა ინფორმაციას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ლამის ყოველდღიურად აწვდიდა ცნობებს საქართველოს წინააღმდეგ და მთელი ევროპა მოწამლეს დეზინფორმაციით. როგორც ჩანს, საქართველოს წარმომადგენლობას ევროპაში ეძინა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს რუსეთი ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს ქართველები შეიჭრნენ სომხეთში და ჟლეტდნენ სომხებს. ეს ევროპამ დაიჯერა, არადა, რუსები უკვე კოჯორთან და ტაბახმელასთან იყვნენ. მართალია, ლოიდ ჯორჯმა და სხვებმა იცოდნენ, რაც ხდებოდა რეალურად, მაგრამ რუსეთმა სათავისოდ დაამუშავა ევროპის საზოგადოებრივი აზრი. ეს იმდროინდელი ჩვენი მთავრობის შეცდომა იყო. თითქოს ეშმაკის წრე შეიკრა: საქართველოს მთავრობა ევროპისგან დახმარებას ელის და, ამ დროს, ევროპას ეუბნება, ჩვენ რუსეთთან კარგად ვართ, ხელშეკრულება დავდეთო. ევროპამ ჩვენი მთავრობის მოუქნელი პოლიტიკის გამო ვერ გააცნობიერა, რომ საფრთხე გველოდა. მაგალითად, როდესაც საბჭოთა რუსეთმა სომხეთი დაიპყრო, საქართველოს პარლამენტში დადგა საკითხი – რა ვქნათ, ხომ არ დავეხმაროთ სომხეთსო. ეს წინადადება საბოლოოდ უარყვეს, მაგრამ, მთელი დღეები დავობდნენ, რა განცხადება უნდა გაეკეთებინათ. ვერ გაბედეს ეთქვათ, რომ ეს იყო დიდი ქვეყნის აგრესია საცოდავი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ. აბა, რა პოლიტიკაზეა ლაპარაკი ამის შემდეგ?! ევროპამ როგორ უნდა გაიგოს, რომ საფრთხე გელოდება, როდესაც მწვავე რეაქცია არ გაქვს?!

**– რამე თეორიული შანსი ჰქონდა ჩვენს არმიას ოკუპაციის თავიდან ასაცილებლად?**

– არმია რომ ძლიერი არ იყო, ამაში მთავრობას ვერ დავადანაშაულებთ, რადგან, სამ წელიწადში არმია ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეიქმნება. მაგრამ აქ იყო შემდეგი პრობლემა: რუსეთი მომდგარი იყო საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან, სერიოზულად არც კი დამუშავებულა სამხრეთის საზღვრების დაცვის გეგმა. არ არსებობდა თავდაცვის კონცეფცია. სამხედროები ერთმანეთს აბრალებდნენ მარცხს, მაგრამ ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ დაუშვა შეცდომა. რაც მთავარია, თბილისში არ იგრძნობოდა, რომ 100 კილომეტრის იქით დიდი საფრთხე იყო მომდგარი და ის ხვალ-ზეგ ომად გადაქცეოდა, რაც მთავრობის დიდი შეცდომა იყო. რთული სათქმელია, შეიცვლებოდა თუ არა ისტორიის ჩარხის მიმართულება, ჩვენ რომ კარგად ორგანიზებული არმია გვყოლოდა, თუმცა, არასდროს გვყოლია ჭარბი ძალები და მაშინ ყველა ბრძოლა უნდა წაგვეგო: დიდგორიც, ბასიანიც, შამქორიც. ერეკლემ ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა ძალზე მცირე ძალებით მოიგო. ასე რომ, ბრძოლა შეიძლებოდა, მაგრამ იმ დროს განწყობა არ იყო საბრძოლო. დოკუმენტებს რომ ეცნობი, ხედავ, რომ ყველა გასაქცევად ემზადებოდა. სამამულო ომის ხასიათი ვერ მიიღო ამ ბრძოლამ. იმდროინდელმა მთავრობამ სამი წლის განმავლობაში ისეთი საშინაო პოლიტიკა ვერ შეიმუშავა, რომ მოსახლეობას თავი გამოედო მისი დაცვისთვის. ასეთი საერთო-სახალხო ომი ვერ დაიწყო საქართველოში, თუმცა არმია ძალიან გმირულად იბრძოდა, იმიტომ რომ, ისინი იყვნენ თავიანთი საქმის პროფესიონალები, პირველ მსოფლიო ომგამოვლილი ოფიცრები, ხალხი, რომელსაც სიკვდილის შიში არ ჰქონდა. განსაკუთრებით, გიორგი მაზნიაშვილი, გენერალი კვინიტაძე, ილია ოდიშელიძე და უმცროსი ოფიცრობა. თუმცა ჯარი თავისი თვისობრივი შემადგენლობით არ იყო ამ ოფიცრობის შესაბამისი. მეორე მხრივ, რუსების არმია მაწანწალების ბრბო იყო, უბრალოდ, ბევრნი იყვნენ. ჩვენი მხრიდან გმირობაც იყო და პროფესიული უპირატესობაც. რუსის ჯარს ხომ ოფიცრები არ ჰყავდა?! შეიძლებოდა რამდენიმე ბრძოლის მოგება, მეთერთმეტე არმიის დამარცხება და უკუქცევა, თბილისის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაცვა, მაგრამ, თუ ევროპა არ დაგვეხმარებოდა, საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

**ნინო ხაჩიძე**

ავტომფლობელებს ტექდათვალიერების აღდგენის სიმწარე არ მოენელებინათ, როდესაც გაირკვა, რომ ავტოდაზღვევაც სავალდებულო გახდებოდა. ცივილიზებულ ადამიანს, ბუნებრივია, არაფერი უნდა ჰქონდეს არც დაზღვევის და არც ტექდათვალიერების საწინააღმდეგო (იმიტომ რომ ერთიც და მეორეც მოსალოდნელი რისკებისგან გიცავს და ამაზე ეფექტიანი საშუალება ჯერჯერობით განვითარებულ სამყაროს არ მოუგონია). მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ ერთიც და მეორეც დამატებითი ხარჯია ამ ჩვენი ისედაც ჯიბეშეთალხებული მოქალაქეებისთვის. ავტოდაზღვევის დეტალებზე ჯერჯერობით მუშა-ჯგუფი მუშაობს, რომელშიც, გარდა სამთავრობო შესაბამისი სტრუქტურისა და სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისა, სადაზღვევო ასოციაციაც იღებს მონაწილეობას. ვარაუდობენ, რომ საშემოდგომო სესიისთვის კანონპროექტი მზად იქნება. რას გულისხმობს სავალდებულო ავტოდაზღვევა, რა დაუჯდებათ ეს სიამოვნება ყოველთვიურად მძღოლებს და რა რისკებისგან დაიცავს ის საგზაო მოძრაობასა და ამ მოძრაობის მონაწილეებს? – ამ შეკითხვებზე პასუხის მიღებას სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილისგან შევეცდებით.

# რა დაუჯდებათ ყოველთვიურად მძღოლებს სავალდებულო ავტოდაზღვევა და გაუჩინა თუ არა სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებს შემოსავლის ახალი წყარო უმწეოთა და პენსიონერთა დაზღვევის ჩამორთმევის სამაგიეროდ

**– დაზღვევა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამაზე არავინ დაობს. რატომ გადაწყდა ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის ამოქმედება? უკვე მზად ვართ ცივილიზებული სტანდარტებით ცხოვრებისთვის?**

– ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის აუცილებლობას საქართველოს მთავრობაშიც და პარლამენტშიც სერიოზულად ეკიდებიან, იმიტომ რომ ეს არის დღევანდელი ცხოვრებისა და დღევანდელი არა მხოლოდ წარჩინებული, არამედ, ისე რა მსოფლიოს სტანდარტიც. მე ძალიან გამიჭირდება იმ არა უშავს ქვეყნების დასახელებაც კი, სადაც ეს ინსტრუმენტი, რომელიც იცავს დაზარალებულსაც, დამზარალებელსაც და მთავრობასაც, არ არის ამოქმედებული.

**– არა უშავს ქვეყნებში რომლებს გულისხმობთ: პოსტსაბჭოთა ქვეყნებს?**

– აფრიკულ ქვეყნებსაც, მათ შორის. მხოლოდ ტრაგიკულ ქვეყნებში, რომლებსაც სულ სხვა ამოცანები აქვთ, არ არის დამკვიდრებული ეს დაზღვევა. აქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ავტომობილი მოძრაობაში საფრთხეს წარმოადგენს, მთავარია ის, რომ ავტომობილი ამა თუ იმ სიხშირით მუდმივად ქმნის ზარალს, ანუ აზიანებს სხვა ადამიანებს, გამვლელებს, გარშემო არსებულ ნივთებსა და შენობებს და ეს ზარალი უნდა იყოს ანაზღაურებული. ეს იდეა ბოლო 50 წლის განმავლობაში ყველგანაა დამკვიდრებული და ძალიან ეფექტიანად ეხიდება როგორც სოციალურ დაცვას, ასე ზარალის უპრობლემოდ ანაზღაურებას.

**– ჩვენთან ავტომანქანების რა პროცენტია დაზღვეული?**

– დღეს ჩვენთან რეალურად მანქანების 5-პროცენტზე ნაკლებია დაზღვეული. ადამიანები, ძირითადად, აზღვევენ თვითონ მანქანას. ეს მომავალშიც არ იქნება სავალდებულო, იმიტომ რომ ადამიანის ნებაა, დააზღვიოს დაზიანებისგან თავისი მანქანა, მომავალში სავალდებულო სახით დაზღვეული იქნება ის ზარალი, რომელსაც ადამიანი სხვას მიაყენებს.



**მომავალში სავალდებულო არ იქნება ავტომანქანის დაზღვევა დაზიანებისგან, სავალდებულო სახით დაზღვეული იქნება ის ზარალი, რომელსაც ადამიანი სხვას მიაყენებს**

**– მესამე პირის დაზღვევაზეა ლაპარაკი?**

– დიახ. ჩვენთან ძირითადად ნებაყოფლობით დაზღვეული ჰყავთ თავიანთი ავტომანქანები და ეს ხშირად ბანკის მოთხოვნაა სესხის აღებისას და პლუს ამ მანქანათა 70 პროცენტს, აგრეთვე, აქვს მესამე პირის პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა. თუმცა ნებაყოფლობითი დაზღვევა სხვა პროდუქტია და ძალიან მნიშვნელოვნად განსხვავდება მსოფლიოში მიღებული, დასტანდარტებული სავალდებულო დაზღვევისგან. მაგალითად, ნებაყოფლობით სავალდებულო დაზღვევაში მნიშვნელობა აქვს ბრალეულობას. თუ თქვენ მანქანა მთვრალ მდგომარეობაში მართეთ და მიაყენეთ ზარალი მესამე პირს, სადაზღვევო კომპანია თავისუფლდება გადახდისგან, მაგრამ სავალდებულო დაზღვევისგან ეს არავის აინტერესებს. სწორედ ეს არის სავალდებულო დაზღვევის სპეციფიკა, რომელიც ყოველთვის იცავს დაზარალებულს.

**– დაზღვევის მნიშვნელობას არ ვაკნინებ, მაგრამ, თუ ვინმეს დაეჯახე, ზარალს ხომ მაინც ანაზღაურებ?**

– სავალდებულო დაზღვევა ქმნის იმ სისტემას, რომელიც ანაზღაურებს ზარალს მაშინაც კი, თუ მანქანა დაუზღვეველია ან ზარალი მიყენებულია დაუდგენელი მანქანით, რაც, აგრეთვე, ხდება. ანუ ის მართლაც იცავს ძალიან მაღალ დონეზე როგორც დაზარალებულს, ისე დამზარალებელს, იმიტომ რომ მძღოლი აღარ იქნება იმ სერიოზული წნეხის ქვეშ, რომელშიც მოექცეოდა ეს დაზღვევა რომ არ ჰქონოდა და ეხმარება მთავრობასაც. იმიტომ რომ დღეს მთავრობას ძალიან ხშირად პირდაპირ თუ ირიბად უწევს აი, ასეთი ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგების ანაზღაურება, იმიტომ რომ ვერ იხდის დამზარალებელი. მაგალითად, თუ ავტოავარიის შედეგად მოქალაქემ დაკარგა შრომის უნარი, სახელმწიფო მას უნიშნავს პენსიას. შესაბამისად, სავალდებულო დაზღვევა ძალიან მნიშვნელოვანი განტვირთვის მექანიზმია ყველასთვის.

**– მაგრამ დღესაც კი, როდესაც არ არის სავალდებულო დაზღვევა, ხომ მაინც უნაზღაურებენ ზარალს ერთმანეთს, დაზღვეულიც რომ არ იყოს?**

– ან უნაზღაურებენ, ან არა, ან იწელება ეს ყველაფერი. თქვენ ყველაზე მარტივი მაგალითი მოიტანეთ, როდესაც ორი მანქანა დაზიანდა, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობა დაზიანდა ან ისეთი დაზიანებები მიიღო ადამიანმა, რომ შრომის უნარი დაკარგა?! რაც მთავარია, სავალდებულო დაზღვევას ძალიან მარტივი სქემა აქვს: დაზარალებულს აქვს უფლება, პირადაპირ მიმართოს დამზარალებლის სადაზღვევო კომპანიას და სასამართლოსთვის მიმართვა საერთოდ არ სჭირდება. აი, ეს მართლაც ნერგავს იმ ურთიერთობას, როდესაც უცხოეთში ავარიის შემდეგ ცვლიან ერთმანეთის სადაზღვევო კომპანიების კოორდინატებს.

**– თუ სწორად გავიგე ამ სავალდებულო დაზღვევაში ავტომანქანის დაზღვევა არ იგულისხმება?**

– როგორ, არა. ავტომანქანის შეკეთებაც იგულისხმება, ჯანმრთელობის ხარჯიც, კომპენსაცია გარდაცვალების ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში და ამას გააკეთებს სადაზღვევო კომპანია.

**– ჩვენი ავტოპარკის ასაკი ძალიან ხანდაზმულია, ნახევარზე მეტი 20 წელს გადაცილებული ავტომანქანაა. 2014 წლიდან ტექდათვალიერება უნდა ამოქმედდეს, ანუ ავტომანქანები მეტნაკლებად გაიმართოს. სავალდებულო დაზღვევისთვის მზადდება ნიადაგი, რომ სადაზღვევოებს ზარალი არ მიადგეთ?**

– ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არ არის და არა მარტო მე, სადაზღვევო ინდუსტრიაც იქნება წინააღმდეგი, რომ დაუკავშირონ ერთმანეთს. ეს ორი სრულიად განსხვავებული ინსტრუმენტია, მაგრამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ერთგვარად იხეირებს იმით, თუ გამართული მანქანები იმოძრავებენ, იმიტომ რომ ავტოსაგზაო შემთხვევების რაღაც ნაწილი გაუმართავი მანქანების გამო ხდება, თუმცა ეს მიზეზი არ არის დომინანტი. ჩვენთან უფრო სხვა ფაქტორებია: სიჩქარის გადაჭარბება, მთვრალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა. ეს სტატისტიკა აქვს შსს-ს, ერთადერთი, რაც არ აქვს შსს-ს არის ის სტატისტიკა, თუ რა ზარალი წარმოიქმნება ამ დროს. ეს ინფორმაცია არსებობს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიებში. ახლა დგება მოდელი, რომელშიც განისაზღვრება ანაზღაურების ზომა, ლიმიტები. ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისგან განსხვავებით, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ლიმიტები ძალიან დიდია, მილიონობითაც კი. როგორ გგონიათ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დიდი ზარალი რამდენი შეიძლება იყოს?

**– არ ვიცი.**

– არ განვალებთ: 120 მილიონზე მეტი დაჯდა ერთი ცნობილი შემთხვევა გერმანიაში.

**– რა მოხდა ასეთი?**

– მანქანა შეეჯახა ბენზინგადამტან ცისტერნას, ცისტერნა გადავარდა ხიდიდან და აფეთქდა, ხიდი გაცხელდა და ჩამოინგრა. უამრავი მანქანა და ადამიანი დაშავდა, იყვნენ დაღუპულებიც.

**– და ეს ზარალი მთლიანად სადაზღვევო კომპანიამ აანაზღაურა?**

– რასაკვირველია.

**– არ გაკოტრდა?**

– არა. სადაზღვევო პროცესში არსებობს ინსტრუმენტები, რომლებიც ასეთი დროს ერთვება. ჩვენი რეალობა კი ჩვენ უნდა დავალაგოთ ჩვენი შესაძლებლობებიდან და რეალობიდან გამომდინარე: როგორი ლიმიტები უნდა იყოს მატერიალური ზარალის ანაზღაურებისთვის, როგორი – სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯისთვის, რა ყოველთვიურ სადაზღვევო პრემიას მოითხოვს ეს ლიმიტები, ანუ რამდენის გადახდა მოუწევს თვეში ავტომფლობელებს. ბუნებრივია, რაც მეტია ლიმიტი, მით მეტია პრემია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რა ოდენობის კომპენსაცია უნდა მიიღოს ოჯახმა ოჯახის წევრის ავტოავარიაში დაღუპვის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

**– მესმის, რომ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ეს მოდელი, მაგრამ, ალბათ, სქემა იქნება შემდეგნაირი: იარსებებს სავალდებულო მინიმალური პაკეტი, რომლის გაუმჯობესების საშუალებაც იქნება.**

– რასაკვირველია. მაგალითად, თუ მატერიალური ზარალის ანაზღაურების ლიმიტი იქნება 20 000, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ და, დაამტვრიეთ ძალიან ძვირად ღირებული, 50 000-ანი მანქანა, თქვენ და-

# რატომ არ გააჩნია ირაკლი ალასანიას საკუთრებად არც უძრავი და არც მოძრავი ქონება და რატომ არის მისი ოჯახის კუთვნილი ქონების ერთადერთი მეპატრონე ნათია ფანჯიკიძე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, თადარიგის პოლკოვნიკი ირაკლი ალასანია 1973 წელსაა დაბადებული ბათუმში. უმაღლესი განათლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო (1995 წელს დაამთავრა) და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. 1994-1996 წლებში კი საქართველოს უშიშროების აკადემიაშიც სწავლობდა. მისი სამუშაო გამოცდილება 1994 წელს საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში დაიწყო, საიდანაც 1998 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გადავიდა; 1998-დან 2001-მდე მუშაობდა საქართველოს საელჩოში აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში. 2001 წელს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი გახდა; 2002 წელს უშიშროების სამინისტროში დაბრუნდა და 2004 წლამდე უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილეც იყო – კურირებდა ანტიტერორისტულ ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებას. 2004 წელს თავდაცვის მინისტრისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედაც იმუშავა. 2004-2006 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იყო, ამის პარალელურად, 2005 წელს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი გახდა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. 2006 წელს 2008-მდე გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა. 2009 წელს პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ დააფუძნა და მისი თავმჯდომარეც გახდა. 2012 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთა რიგებში მოგვევლინა. არჩევნების შემდეგ კი პარლამენტიდან თავდაცვის მინისტრად გაამწესეს.

მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2001 წლით თარიღდება, როდესაც ის უშიშროების სამინისტროს აპარატში მუშაობდა. იმხანად ოჯახის წევრებად მიუთითებდა მეუღლეს – 1971 წელს დაბადებულ ნათია ფანჯიკიძეს და შვილებს: 1992 წელს დაბადებულ ნიკოლოზსა და 1996 წელს დაბადებულ ეკატერინეს. ოჯახის 40 000 დოლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა დოლიძის ქუჩაზე ცოლ-ქმრის ერთადერთი საკუთრება იყო (დეკლარაციაში მითითებულია, რომ აღნიშნული ბინა ნათია ფანჯიკიძეს შეუძინა მამამ, გურამ ფანჯიკიძემ). ასევე, ორივენი, დეკლარაციის შევსების მომენტში, ერთობლივად ფლობდნენ 1 700 აშშ დოლარს. მათი შემოსავლები დეკლარაციაში მითითებული არ არის.

შემდგომი დეკლარაცია ირაკლი ალასანიამ 2005 წელს შეავსო, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ და მიუთითა, რომ მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა: 1 242 ლარსა და 780 აშშ დოლარს, ხოლო ნათია ფანჯიკიძე, როგორც ნომერ პირველი ბავშვთა სახლის აღმზრდელი, ყოველთვიურად 31 ლარს იღებდა.



2007 წელს ირაკლი ალასანია დეკლარაციას ავსებს, როგორც საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. ოჯახის წევრთა შემადგენლობა და უძრავი ქონების ოდენობა უცვლელია. რაც შეეხება შემოსავლებს: 2006 წლის განმავლობაში ირაკლი ალასანიამ, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, აიღო 4 970 ლარი; როგორც საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა – 10 425 ლარი; როგორც გაეროში მუდმივმა წარმომადგენელმა – 12 605 შშ დოლარი; მისი ყოფითი ხარჯები (ბინის ქირა, დაზღვევა და სამსახურეობრივი მივლინებები) ბიუჯეტს 53 000 აშშ დოლარამდე დაუჯდა), ხოლო ნათია ფანჯიკიძის წლიური სააღმზრდელო ხელფასი კვლავაც 100 ლარი დარჩა. 2008 წელს ირაკლი ალასანია კვლავ საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია გაეროში: მისმა წლიურმა ხელფასმა 37 633 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ცხოვრებისა და სამივლინებო ხარჯებმა, საერთო ჯამში, 125 000 აშშ დოლარამდე. ნათია ფანჯიკიძე იმ წელს 80 000 აშშ დოლარად ღირებული მშენებარე უძრავი ქონების მესაკუთრე გამხდარა.

2012 წელს ირაკლი ალასანიამ დეკლარაცია შეავსო, როგორც პარლამენტის წევრმა. საკუთრებად კვლავაც ერთი ბინა მიუთითა, ოღონდ ახლა უკვე ამაღლების ქუჩაზე და ის, რომ დეკლარაციის შევსების დროს ნაღდ ფულად მას 11 000 ლარი, მის მეუღლეს კი 6 000 აშშ დოლარი ჰქონდა. ასევე, ნათია ფანჯიკიძეს 13 700 ლარად ავტოფარეხი შეუძენია 2 011 წელს დასაქმებული მხოლოდ ნათია ფანჯიკიძე ყოფილა: მას, როგორც ააიპ „კამარის“ დირექტორს 1 470 ლარი აუღია; როგორც ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ცენტრ „მენტალვიტას“ დირექტორს – 1 400 ლარი.

2013 წელს ირაკლი ალასანიამ დეკლარაცია თავდაცვის მინისტრის ამპლუაში შეავსო. ოჯახის უძრავი ქონება – საცხოვრებელი ბინა, ავტოფარეხი და 15 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართი ნათია ფანჯიკიძის საკუთრებაა. თუმცა დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ირაკლი ალასანიას ჰქონდა – 12 000 ლარი და 5 000 აშშ დოლარი. ნათია ფანჯიკიძე კვლავაც ძველ სამუშაო ადგილებზე იყო დასაქმებული და მან, როგორც „კამარის“ დირექტორმა 7 600 ლარი აიღო, როგორც „მენტალვიტას“ ფსიქოლოგმა – 3 447 ლარი. ხოლო ირაკლი ალასანიას, როგორც თავდაცვის მინისტრს, ორ თვეში – 9 811 ლარი მიუღია. 2012 წელს ირაკლი ალასანიასთვის სომეხ კოლეგას 5 000 აშშ დოლარად ღირებული სანადირო თოფიც უჩუქებია. რაკი 2014 წლის დეკლარაცია მინისტრს ჯერ არ შეუვსია, ბუნებრივია, იქ ვერ მოხვდა ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანიამ, პრემიის სახით, 2013 წლის განმავლობაში 80 000 ლარი აიღო.

**ნინო ხაჩიძე**

---

გეკისრებათ ამ სხვაობის დაფარვა.

**– ჯვარი მწერია მეც და იმ ვირტუალური მანქანის პატრონსაც.**

– ამაზე თქვენ შეგიძლიათ, იზრუნოთ წინასწარ და დამატებით იყიდოთ, უკვე თქვენი სურვილით მეტლიმიტიანი დაზღვევა. ეს იქნება შესაძლებელი, კანონი მოითხოვს მინიმალურ ლიმიტს.

**– ავტოპარკის ასაკის გათვალისწინებით, სავალდებულო დაზღვევის შემოტანა მოძრაობის განტვირთვის ერთგვარი საშუალებაც ხომ არ არის ძალიან ძველი ავტომანქანებისგან? თუ ფული არ გაქვს, მანქანითაც არ უნდა იარო? სავალდებულო დაზღვევა ხომ დამატებითი ხარჯია?**

– არ მგონია, თუ ჩვენ მოვახერხებთ, სისტემამ იმოქმედოს ისე, რომ ადამიანმა შეძლოს დაზღვევის საფასურის ყოველთვიურად გადახდა, არა წლიური, არამედ თვიური პოლისის, ეს არ იქნება დიდი ტვირთი. გააჩნია ლიმიტებს. ჩემი აზრით, მინიმალური თვიური ლიმიტი უნდა იყოს 12-15 ლარი. და არ მგონია, ვინმემ გააჩეროს მანქანა თვეში 12-15 ლარის გამო. ჩვენ ამ კანონში უამრავ დეტალს ვიხილავთ და, ალბათ, იქნება საშუალება, რომ, თუ ადამიანს ჰყავს მანქანა და არ დადის, გააკეთოს განაცხადი და არ გადაიხადოს დაზღვევის თანხა, რადგან მანქანა მხოლოდ მოძრაობისას ქმნის საფრთხეს. ადამიანს უნდა შეეძლოს მანქანის მოხსნა და დაზღვევიდან ან თავიდან დაზღვევა. ალბათ, იარსებებს მოკლევადიანი დაზღვევა, იმიტომ რომ არიან ადამიანები, რომლებსაც გაჩერებული ჰყავთ მანქანა, მხოლოდ ზაფხულობით ქოქავენ და მიდიან ზღვაზე. ასეთი ადამიანებისთვის შეიძლება, იყოს ხანმოკლე დაზღვევა.

**– მას შემდეგ, რაც სადაზღვევო კომპანიებს მოაკლდათ ისეთი გარანტირებული შემოსავალი, როგორიც იყო პენსიონრების, უმწეოებისა და სტუდენტების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევა, ერთგვარი კომპენსაცია ხომ არ არის მათთვის ავტომობილების სავალდებულო დაზღვევა?**

– სხვანაირად ვთქვათ: სადაზღვევო კომპანიებმა ააშენა ეს სისტემა, რომელსაც დაეფუძნა საყოველთაო დაზღვევა. დაწყებული საავადმყოფოებით და დამთავრებული გამჭვირვალე ბუღალტერიით.

**– საავადმყოფოები რომ არ ეშენებინათ, იქნებ თავადაც რა გაკოტრებულიყვნენ სადაზღვევოები.**

– გაკოტრდნენ არა საავადმყოფოების მშენებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მთავრობა ძალიან ცოტას უხდიდა, თუმცა რაც მოხდა მოხდა, მაგრამ ამასობაში, თქვენ თვითონ ბრძანეთ, რომ არაერთი სადაზღვევო კომპანია გამოეთიშა ბაზარს, კომპენსაცია ვისთვისაა, ვინც დარჩა?! მეტსაც გეტყვით, ძალიან ბევრი ისეთი კომპანია მიიღებს ამაში მონაწილეობას, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებში და ამის არც ტკივილი უგემიათ და არც სიკეთე.

**– მე ზოგადად ვთქვი სადაზღვევო ბიზნესზე. სახელმწიფოს არ უნდა, რომ ეს ბიზნესი მთლად ლუკმა-პურის გარეშე დატოვოს-მეთქი.**

– მაინც კომპანიებამდე უნდა დავიდეთ. ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესში 7 კომპანია იღებდა მონაწილეობას, სამი გასულია, ავტოდაზღვევაში კი მონაწილეობას მიიღებს ყველა კომპანია, რომელიც დღეს აქტიურია.

**– როგორ მოხდება დაზღვეული ავტომანქანების ამოცნობა და თანხის ამოღება?**

– დღეს პოლიციას აქვს რეგისტრირებული ავტომანქანების ბაზა, ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს დაზღვეული ავტომობილების ერთიანი ბაზა და დაუზღვეველი ავტომანქანის მფლობელს გაეგზავნება ჯარიმები. თუ დაუზღვეველი ივლით, დაგაჯარიმებენ. როდესაც ჯარიმას გიწერთ პატრული, ხომ ცდილობთ დროზე გადახდას? იგივე იქნება ავტოდაზღვევასთან დაკავშირებითაც.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები შედის, რომლებიც ოჯახში ძალადობის ნიშნით ჩადენილ გადაცდომებთან დაკავშირებულ ნორმებს აზუსტებს. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდის, სწავლების, საცხოვრებლით, საკვებით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით მოვალეობათა განზრახ შეუსრულებლობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ის გამხდარა, რომ ხშირად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ დახმარებას, მშობლები არამიზნობრივად იყენებენ და ბავშვებს არ ახმარენ. ზოგადად, რა უფლებები აქვთ ბავშვებს საქართველოს კანონმდებლობით და რატომ გახდა აქტუალური მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობის საკითხი, – თემაზე ვრცლად „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატი, ელენა ფილიევა გვესაუბრება.**

# რა შემთხვევაში და რა ასაკიდან აქვს ბავშვს პოლიციისთვის მიმართვის უფლება მშობლების მიერ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში

**– რატომ გახდა აუცილებელი მშობლებისთვის მშობლის მოვალეობის შესახსენებელი მუხლის არსებობა?**

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს 172-ე მუხლი 2013 წელს დაემატა და, ზოგადად, ითვალისწინებს მშობლის ან მშობელთან გათანაბრებული პირის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუკი არასრულწლოვანი, მაგალითად, არ დადის სკოლაში, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ფსიქოტროპული საშუალება, ატარებდა ან არამიზნობრივად გამოიყენა ცივი იარაღი თუ დარეკა ცრუ შეტყობინებისთვის 112-ზე, ანუ პატრულში. ასევე, მუხლი ითვალისწინებს სხვა შემთხვევებსაც, როდესაც არასრულწლოვანი ჩაიდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ამის გამო პასუხისგმებლობა ეკისრება მშობლებს ან მშობლებთან გათანაბრებულ პირებს, ეს შეიძლება, იყოს მეურვე ან მზრუნველი. რაც შეეხება ამ მუხლის შეფასებას, ჩემი აზრით, შეიძლება, მშობელი ხშირ შემთხვევაში დაზარალდეს ამ მუხლის გამო. როდესაც ბავშვი არ დადის სკოლაში, აშკარაა მშობლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა, მაგრამ, როდესაც ბავშვმა დაურეკა პატრულს ან გავიდა სახლიდან, ვიღაცამ მისცა ცივი იარაღი, რომლითაც მან სხვას მიაყენა ზიანი, სასამართლოს პრეროგატივაა, გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა მშობელს შესაძლებლობა, გაეკონტროლებინა ეს შემთხვევა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მშობლის დაჯარიმებას და მაქსიმალური ჯარიმა 2 500 ლარამდეა. ეს გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ აშკარად უნდა იკვეთებოდეს, რომ მშობელი თავს ჯიუტად არიდებს საკუთარ მოვალეობას.



**მას შემდეგ, რაც 7 წლის ბიჭუნა მივიდა პოლიციაში, დაწერა განცხადება, მამა სცემს დედაჩემს და დაეხმარეთ დედაჩემსო, კანონში შევიდა ცვლილება და ამ ზღვარმა 10 წლიდან 7 წლამდე დაიწია**

ჩვენ არ გვაქვს ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიციალური კანონი, მაგრამ უამრავ კანონშია გაბნეული ბავშვის უფლებები, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსში, რომელშიც წერია, რომ ბავშვს აქვს უფლება, გაიზარდოს ოჯახში, აქვს უფლება, მიიღოს განათლება და მშობლები ვალდებულნი არიან, დაიცვან ბავშვის ეს უფლებები. თუ მშობელი არ ასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ ლაპარაკია მისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევაზე სასამართლოს მიერ. ამის საფუძველია, მაგალითად, თუ მშობელი ეწევა ამორალურ ცხოვრებას, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანის საჩივარი, მეზობლის, ნაცნობის, ნათესავისა თუ უცხო, გარე პირის, შეიძლება, გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი.

**– ამორალური ცხოვრების წესის შემთხვევაში, ეს ადვილად დასანახია, მაგრამ ვინ უნდა დაადასტუროს ან საიდან უნდა გაიგოს, მოახმარა თუ არა მშობელმა შვილს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა?**

– სხვათა შორის, ცხოვრების ამორალური წესის შეფასებაც ძნელია. თუ, მაგალითად, სახლში, სადაც ბავშვი ცხოვრობს, ეწევიან პროსტიტუციას, იკრიბებიან ნაკროტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებლები, ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ამორალური ცხოვრების წესია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს რთულად დასამტკიცებელი ფაქტია. ზოგადად, ამორალური ცხოვრება უნდა ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ გამოიხატებოდეს პროსტიტუციაში ან ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებაში.

**– ბავშვის ფულს თუ თავისთვის იყენებს, ის როგორ უნდა გამოავლინო? მით უფრო, რომ ეს ფული არცთუ დიდი თანხაა?**

– ამ შემთხვევაში თვითონ ბავშვსაც აქვს ჩივილის უფლება, მაგრამ ბავშვებმა, როგორც წესი, არ იციან ამის შესახებ. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი ინსტიტუტი, რომელსაც მიმართავს ბავშვი. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ბავშვთა პოლიცია და სხვა სპეციალიზებული ორგანოები, სადაც ბავშვები მიდიან, წერენ განცხადებებს. მათ გაესაუბრებიან და ამის შემდგომ ამოწმებენ ოჯახებს, სადაც მოხდა ძალადობა თუ რაღაც ისეთი, რამაც ბავშვის უკმაყოფილება გამოიწვია. ისეთი პრაქტიკაც არსებობს, როდესაც ბავშვი აფრთხილებს მშობლებს, თუ ხმის ტონს აუწევ, პოლიციას მივმართავო.

**– ჩვენთან ვის შეუძლია მიმართოს მშობლებისგან დაზარალებულმა ბავშვმა, გარდა ჩვეულებრივ პოლიციისა?**

– ჩვენთან ასეთი სპეციალიზებული ორგანო არ არსებობს, მაგრამ ბავშვს ჩვეულებრივი წესით შეუძლია მისვლა პოლიციაში. შეზღუდულ ქმედუნარიანად ბავშვი 7 წლის ასაკიდან ითვლება, როდესაც მას აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი, 10 წლის ასაკის შემდეგ კი, უბრალოდ, აუცილებელია ზოგიერთ საკითხში ბავშვის ნების გათვალისწინება. თუმცა იყო პერიოდი, როდესაც 10 წლის ასაკი იყო მითითებული ჩვენს კანონმდებლობაში ბავშვის მიერ პრეტენზიის გამოსათქმელ ასაკად. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა ფაქტი, როდესაც 7 წლის ბიჭუნა მივიდა პოლიციაში, დაწერა განცხადება, უკვე იცოდა წერა, რადგან სკოლაში დადიოდა, რომ მამა სცემს დედაჩემს და გთხოვთ, დაეხმაროთ დედაჩემსო, კანონში შევიდა ცვლილება და ამ ზღვარმა 7 წლამდე დაიწია. სწორედ მაშინ ცნო ჩვენმა კანონმდებლობამ 7 წლის ბავშვი შეზღუდულად ქმედუნარიანად. იმიტომ რომ, იმ ბავშვის განცხადებას ვერ იღებდა პოლიცია, რადგან კანონში ბავშვის მიერ ნების გამოხატვის ასაკად 10 წელი იყო მითითებული. ამის შემდეგ ბავშვებს 7 წლის ასაკიდან მიეცათ თავიანთი ნების გამოხატვის უფლება.

**– ბავშვს კი აქვს უფლება ჩივილის, მაგრამ ვიღაცამ ეს უფლება ხომ უნდა განუმარტოს?**

– ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ, რომ ძალადობას არ დაექვემდებაროს. სკოლებში მათ ესაუბრებიან ამ თემაზე, მაგრამ ბავშვის უფლებების განმხორციელებელი ხშირად მისი მშობელი ან მშობლის უფლების მქონე პირია. ბავშვის დაკითხვისას გამოძიებისა თუ სასამართლოს მიერ პროცესს უნდა ესწრებოდეს მშობელი, მასწავლებელი ან ფსიქოლოგი. თუ საქმე ეხება ერთ-ერთი მშობლის მიმართ ბავშვის პრეტენზიას, ბავშვის გამოკითხვას უნდა დაესწროს მეორე მშობელი, ფსიქოლოგი ან მასწავლებელი.

**– ჩვენი კანონმდებლობით, რა უფლებები აქვთ ბავშვებს?**

– ბავშვს აქვს შემდეგი უფლებები: გაიზარდოს ოჯახში, იყოს საკმარისად უზრუნველყოფილი საკვებით, ტანსაცმლით, გამოხატოს თავისი აზრი, მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ორგანოდან, აირჩიოს რელიგია, არ დაექვემდებაროს ძალადობას, ანუ აქვს ყველა ის უფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. როგორც გითხარით, ჩვენთან არ არსებობს ერთი, კონკრეტული კანონი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა ბავშვის ყველა უფლება, მაგრამ ბავშვის ყველა უფლებაზე საუბრობს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ. სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები და მთავრობა რამდენიმე წელიწადში ერთხელ გაეროს შესაბამის კომიტეტს უგზავნიან ინფორმაციას ბავშვთა უფლებების განხილვის შესახებ. მორიგი ინფორმაცია უახლოეს მომავალში უნდა გაიგზავნოს. მათაც გამოაგზავნეს რეკომე-


გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

ნდაციები, თუ რა უნდა გამოსწორებულიყო ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

**– რა იყო გაეროს შესაბამისი კომიტეტის ბოლო რეკომენდაცია?**

– პრობლემა იყო ქუჩის ბავშვები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გაეროს წინა რეკომენდაციების უმეტესობა შესრულდა და გაეროს მხრიდან დადებითად შეფასდა ამ კუთხით სახელმწიფოს მცდელობები.

**– გავეცანი კვლევას ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ და საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, დაწყებული ფიზიკური ძალადობით და ფსიქოლოგიური ძალადობით დამთავრებული.**

– როგორც აღმოჩნდა, ჩვენთან არის ბავშვთა მიმართ ძალადობა, თუმცა 2006 წლამდე ითვლებოდა, რომ საქართველოში ასეთი პრობლემა არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის კანონი შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ, თურმე, ძალადობის ბევრი ფაქტია. ეს ეხება ბავშვებს, ქალებს და მამაკაცებსაც. რატომღაც მიჩნეულია, რომ ეს კანონი მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს იცავს, არადა, ის იცავს კაცებსაც, ანუ ოჯახის ნებისმიერ წევრს, რომელიც დაექვემდებარება ძალადობას ფიზიკურს, ეკონომიკურს, ფსიქოლოგიურს თუ სექსუალურს. თუმცა უმეტესად გავრცელებულია ძალადობა ქალებსა და ბავშვებზე და, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად სწორედ ისინი ზარალდებიან. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვები ძალადობდნენ მშობლებზე.

**– არასრულწლოვანი ბავშვები?**

– დიახ, თუმცა უფრო მეტი შემთხვევა ისეთი იყო, როდესაც შვილები თავინთ მოხუც მშობლებს ყრიდნენ სახლებიდან, საერთო სახლებიდან.

**– მართალია, ჩვენთან ბავშვების მიმართ ძალადობის მაჩვენებელი არ არის ანალოგიურ ევროპულ მაჩვენებელზე მაღალი, მაგრამ იქნებ ის, რაც იმ კულტურაში ითვლება ძალადობად, ჩვენს კულტურაში არ აღიქმება ძალადობად?**

– ზოგადად, ქართულ კულტურაში ტრადიციაა, რომ ოჯახში შვილებსა და მშობლებს შორის არის პატივისცემითი ურთიერთობა. ზოგიერთ ქვეყანაში ამის ნაკლები ტრადიციაა. იქ ბავშვი, მას შემდეგ, რაც სრულწლოვნებას მიაღწევს, მიდის სახლიდან და, შესაბამისად, ძალადობის უფრო მეტი ფაქტიცაა, იმიტომ რომ, ტრადიცია არ არსებობს და სხვანაირი ცხოვრების სტილია. ჩვენთან ბავშვები ოჯახში არათუ 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ რჩებიან, არამედ იმ ოჯახში მოჰყავთ ცოლი ან თხოვდებიან და მიჰყავთ ქმარი. პატრიარქალური ურთიერთობებია და პატივისცემა არსებობს, თუმცა არის ოჯახები, სადაც ძალადობა პრობლემაა.

**– უმეტესად, რა ტიპის ოჯახებშია გავრცელებული ბავშვთა მიმართ ძალადობა?**

– როდესაც მამები ან დედები, თუმცა დედები ნაკლებად, მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებას, იღებენ ალკოჰოლს. სწორედ მაშინ ხდება ძალადობა ბავშვების მიმართ, როდესაც მშობელი ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის ქვეშაა. ასევე, თუ მშობელი აზარტულ თამაშებშია ჩართული, წაგების შემთხვევაში, ჯავრს ოჯახის წევრებზე იყრის და ძალადობს.

**– შეიძლება, ითქვას, რომ ევროპულ ქვეყნებში ბავშვებს ძალადობისგან იცავს კანონი, ჩვენთან უფრო ტრადიცია?**

– ჩემი მონაცემებით, ასეა. ჩვენთან ოჯახებში ტრადიციულია მშობლების პატივისცემა, როდესაც სხვა კულტურის ადამიანებთან მქონია ურთიერთობა, მართალია, მშობლებისადმი პატივისცემა ყველგანაა, მაგრამ განსხვავებული ტრადიციები აქვთ.

ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვებმა უფრო იციან თავიანთი უფლებები, იციან, რომ მშობელს არ აქვს მათთან ხმამაღლა დალაპარაკების უფლება, ხელის დარტყმის უფლება; იმის უფლება, რომ მათი ნების საწინააღმდეგოდ გააკეთებინოს რამე. ანუ გარემოს ფაქტორიც მნიშვნელოვანია. ისინი იზრდებიან იმ აზრით, რომ არსებობს სპეციალური ორგანო, ბავშვთა პოლიცია, რომელიც კონკრეტულად მათ, ანუ ბავშვის უფლებებს იცავს. ჩვენთან უფრო ტრადიცია იცავს, თუმცა, ჩვენთან, მთავარია, ბავშვმა მიიტანოს ეს ამბავი შესაბამის ორგანოებთან და რეაგირება, ბუნებრივია, იქნება.

**– მე რომ ქუჩაში მითხრას უცნობმა ბავშვმა, რომ ძალადობის ან ცუდი მოპყრობის მსხვერპლია, შემიძლია, წავყვე პოლიციაში?**

– შეგიძლიათ.

**– თუ ყოფილა ჩვენთან შემთხვევა იმ 7 წლის ბიჭუნას გარდა, რომ ბავშვს მიემართოს პოლიციისთვის ოჯახში ძალადობის გამო?**

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 16 წლის გოგონამ უჩივლა მამას, რომელმაც სცემა. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი უკვე ნაკლებად შეზღუდულია თავის უფლებებში, უფრო კარგად იღებს გადაწყვეტილებას. ეს საქმე განიხილეს, მამა გამოიძახეს და შეარიგეს. მეორე შემთხვევა იყო, როდესაც 15 წლის გოგონამ განაცხადა პოლიციაში: დედა და მამა დიდი რადენობით იღებდნენ ალკოჰოლს და ბავშვს სცემდნენ. გოგონამ დალია წამლები, ცუდად გახდა, მივიდა მეზობელთან, რომელმაც გამოიძახა სასწრაფო დახმარება. მოწამვლის შემთხვევაში სასწრაფო ვალდებულია, გადასცეს პატრულს ეს ინფორმაცია, რომ გაირკვეს, რა იყო პრობლემა. გოგონამ უამბო მათ, რომ წამლები მშობლების მხრიდან ცუდი მოპყრობის გამო დალია. საბოლოოდ, ისინიც შეარიგეს. როგორც წესი, ასეთი საქმეები შერიგებით მთავრდება, რადგან მშობელმა ისევ უნდა გააგრძელოს თავისი მოვალეობის შესრულება და, ამდენად, საუკეთესო გამოსავალია.

**– ბავშვის განცხადების საფუძველზე მშობლისთვის ჩამოურთმევიათ მშობლის უფლება?**

– ასეთი შემთხვევები ხდება, თუმცა მე არ მსმენია დედობის უფლების ჩამორთმევის შესახებ, იმიტომ რომ, ჩვენთან დედები ძალიან იშვიათად ეწევიან ისეთ ცხოვრებას, რაც შეიძლება, მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველი გახდეს. თუმცა არც მამობის უფლების ჩამორთმევაა ხშირი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით.

**ნინო ხაჩიძე**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**


# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

***კითხვებს პასუხობს „ჰეალაინის" პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი დეა პაპასკირი.***



**კითხვა: ვარ 34 წლის. თმა შუბლის მიდამოში საკმაოდ შემითხელდა. ვფიქრობ, გამცვივდეს, რაც გასაცვენია და მერე გადავინერგავ-მეთქი. სწორად ვიქცევი თუ არა? მაინტერესებს თქვენი აზრი ამის შესახებ.**

**პასუხი:** თმის გადანერგვის ჩვენება არ არის მხოლოდ სრული გამელოტება. თმა ინერგება ნაწილობრივი გაცვენის დროსაც, როცა თმა შეთხელებულია და თქვენ ეს გაწუხებთ. დაელოდოთ თმის სრულ გაცვენას – არასწორი გადაწყვეტილებაა, რადგან, მომავალში ის, შეიძლება, საერთოდ აღარ გაგცვივდეთ და ამის მოლოდინში ახალგაზრდობის მრავალი წელი იცხოვროთ იმ კომპლექსით (სასურველი ვარცხნილობის არქონა), რომელიც ახლა გაწუხებთ.

გადანერგილი თმა არ ცვივა, ხოლო, თუ მომავალში გაგცვივდათ ახლა არსებული თმა, მაშინ, მოგიწევთ თმის კიდევ ერთხელ გადანერგვა და გექნებათ ეგრეთ წოდებული „მუდმივი" თმა, რომელიც აღარასოდეს არ გაგცვივდებათ.

და, კიდევ: თმის გაცვენიდან რაც უფრო მალე მოხდება თმის გადანერგვა, მით უკეთესია, რადგან, დროთა განმავლობაში გამელოტებულ თავის კანში ვითარდება ატრიფიული ცვლილებებიც, რაც, შეიძლება, უარყოფითად აისახოს თმის გადანერგვის შედეგზე.

**კითხვა: რა გარანტია არსებობს თქვენს კლინიკაში, რომ გადანერგილი თმა უეჭველად ამომივა?**

**პასუხი:** თუ სწორად მოხდება გადანერგვის ჩვენების განსაზღვრა; თუ თმის გადანერგვა შესრულდება მაღალპროფესიონალურად და პაციენტი შეასრულებს ექიმის ყველა რეკომენდაციას, გადანერგილი თმა აუცილებლად ამოდის, ჩვეულებრივად იზრდება და არ ცვივა.

ჩვენი გარანტი 15-წლიანი წარმატებული პრაქტიკა, მთელი კოლექტივის მაღალი პროფესიონალიზმი და ათასობით კმაყოფილი პაციენტია.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**ჩვენი რესპონდენტი არის ადამიანი, რომლის ცხოვრების 50 წელი ყინულს უკავშირდება. პირველად 7 წლის ასაკში დადგა საციგურაო მოედანზე და მას შემდეგ დღის უმეტეს ნაწილს სწორედ იქ ატარებს. მისი სახელი ცნობილია ოკეანის იქითაც და აქეთაც. უამრავი მოციგურავის წარმატებაში მიუძღვის წვლილი და ყველა სპორტსმენისთვის სასურველი მწვრთნელია. რაფაელ არუთუნიანმა 18 წლის ასაკში დაასრულა მოციგურავის სპორტული კარიერა და მას შემდეგ მწვრთნელის სტატუსით გაითქვა სახელი.**

# როგორ გახდა თბილისელი რაფაელ არუთუნიანი ცნობილი, მსოფლიო დონის მწვრთნელი ფიგურულ სრიალში

**– ყინულთან თქვენი ურთიერთობა სწორედ თბილისში დაიწყო. მართალია, წლების განმავლობაში სხვა ქვეყნებში მოგიწიათ ცხოვრება, მაგრამ აქაურობას მაინც არ ივიწყებთ და წელიწადში ერთხელ ჩამოდიხართ მეგობრებისა და ახლობლების მოსანახულებლად.**

– საქართველოში ყოველ წელს, მაისში ჩამოვდივარ. მხოლოდ ამ პერიოდში მაქვს დრო აქ ჩამოსასვლელად. თბილისიდან ჯერ ერევანში წავედი, მერე მოსკოვში ვიმუშავე 18 წელიწადი და უკვე 14 წელია, ამერიკაში ვმუშაობ. მე საქართველოდან არ წავსულვარ, უბრალოდ, სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ და ვმუშაობ. თქვენ აქ მუშაობთ, მე – იქ. თქვენ აქ გაქვთ სახლი, მე – აქაც და ამერიკაშიც, ასევე მოსკოვშიც. შეიძლება, ბევრი სახლი გქონდეს, მაგრამ სამშობლო ერთია. აქ დავიბადე და ჩემი სამშობლო საქართველოა.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის დღეს საქართველოში ყინულის სტანდარტული მოედანი?**

– ალბათ, არ არის ხალხი ამის გაკეთებით დაინტერესებული და იმიტომ. ფიგურულ სრიალს საქართველოში დიდი ისტორია აქვს. ვინმე რომ იყოს სათანადოდ დაინტერესებული, სტანდარტულ მოედანსაც აუცილებლად გააკეთებდა. ჩემთვის ეს ყველაფერი გაუგებარია, რადგან ფიგურული სრიალი საკმაოდ პოპულარული სპორტის სახეობაა მსოფლიოში.



**ამჟამად ამერიკის ჩემპიონს, ეშლი ვაგნერს ვავარჯიშებ და 15 წლის ადამ რიპონს, რომელიც ამერიკის ორგზის ჩემპიონია**

**– არაერთი მოციგურავე წასულა საქართველოდან და წარმატებისთვის უცხოეთში მიუღწევია.**

– კი, ასეა. ძალიან ბევრი წავიდა საქართველოდან უცხოეთში. ესენი არიან მწვრთნელები, მოციგურავეები თუ, ასე შემდეგ.

**– ერთ-ერთი მათგანია ბესო ცინცაძე, რომელიც წლების განმავლობაში, ასევე ამერიკაში მუშაობს მწვრთნელად. მხოლოდ მან ციგურების ზომა შეცვალა და ფიგურული სრიალიდან ჰოკეიში გადაინაცვლა. როგორც ვიცი, მისი მწვრთნელიც თქვენ იყავით და 1993 წელს თქვენ გაიყვანეთ ევროპის ჩემპიონატზე.**

– ბესო ძალიან ნიჭიერი სპონტსმენი იყო. რუსეთში მასთან ვმუშაობდი ორი წლის განმავლობაში. ევროპაზეც მე გავიყვანე. სამწუხაროდ, დიდხანს არ გვიმუშავია ერთად. მას საქართველოში მოუწია რაღაც პერიოდი დაბრუნება და ერთ წელიწადში დაანება კიდეც ფიგურულ სრიალს თავი.

**– როდის დაიწყეთ სრიალი?**

– 7 წლის ვიყავი, თბილისში ყინული რომ გაიხსნა. მაშინ ძალიან პოპულარული იყო ფიგურული სრიალი და ძლივს მიმიღეს. მამაჩემს ნაცნობების ჩარევა დასჭირდა, ჩემ მისაღებად. სხვათა შორის, ჩემთან ერთად კიდევ ბევრი ბავშვი მიიღეს ნაცნობების ჩარევით და იქიდან ბევრი კარგი მოციგურავე დადგა. კარგი პირობები არც გვქონდა იმისთვის, დიდი „ფიგურისტები“ გამოვსულიყავით – პატარა ყინულზე ვსრიალებდით. 18 წლის ვიყავი, სრიალს რომ თავი დავანებე და ერევანში წავედი მწვრთნელად, რადგან იმ პერიოდში გაიხსნა იქ ყინულის მოედანი. 4 წლის შემდეგ კი, უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მყავდა ახალგაზრდებში და მსოფლიო ჩემპიონატზე (ახალგაზრდებში) წავედით. ამის შემდეგ, უკვე რუსეთის ფედერაცია დაინტერესდა ჩემით და მოსკოვში გადავედი სამუშაოდ. ერთ-ერთ ცნობილ ყინულზე დავიწყე მუშაობა. იქაც მყავდა მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

**– ამერიკაში როგორ აღმოჩნდით, იქაც თავად მიგიწვიეს?**

– ამერიკელებმა ძალიან ცნობილ და ელიტურ ყინულზე მიმიწვიეს სამუშაოდ, სადაც წამყვანი მწვრთნელები მუშაობდნენ. 13 წელი ვიმუშავე და გასულ წელს წამოვედი. წამოვედი, თუმცა ჩემთან ძალიან კარგმა სპორტსმენებმა დაიწყეს მოსვლა. მთავარი ის კი არ არის, კარგი სპორტსმენი რომ მოდის შენთან სამუშაოდ, მთავარია, შეძლებ თუ არა მის „დამუშავებას.” მაო ასადა იაპონიაში მთავაზობდა სამუშაოდ გადასვლას, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ამერიკაშიც საკმაოდ კარგად ვიყავი. ისე გამოვიდა, რომ ამერიკაში საჭირო დროს აღმოვჩნდი და არაერთი ჩემპიონიც გავზარდე. მაგალითად, ჯეფრი ბატლი თავისი კარიერის შუა პერიოდში მოვიდა ჩემთან, რომელიც შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

**– ამ ეტაპზე ვის ავარჯიშებთ?**

– ამჟამად ამერიკის ჩემპიონს, ეშლი ვაგნერს ვავარჯიშებ და 15 წლის ადამ რიპონს, რომელიც ამერიკის ორგზის ჩემპიონია. ასევე, ბევრ სპორტსმენს ვეხმარები და ვმუშაობ მათთან. ამერიკაში შეიძლება, ავარჯიშო სპორტსმენი, მერე კი უცებ გითხრას მადლობა და წავიდეს. მაგრამ, როცა მას ყინულზე სრიალისას სპეციალისტები აფასებენ, ხედავენ და ხვდებიან, ვისი შრომაა მასში ჩადებული. მაგალითად, როცა დენის ტენი მეორე თუ მესამე ადგილზე გავიდა. გასულ წელს, ტარასოვმა დამირეკა და მომილოცა. რომ ვუთხარი, მე დენისთან უკვე წელიწადია, აღარ ვმუშაობმეთქი, მიპასუხა: ეს არ არის მნიშვნელოვანი, ჩვენ ვხედავთ, ეს ვინ გააკეთაო. პროფესიონალები ერთმანეთს კარგად ვიცნობთ.

**– ელენე გედევანიშვილზე რას გვეტყვით?**

– ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის აღება, ეს საქართველოსთვის სუპერმიღწევაა. მას ხალხი იცნობს, პატივს სცემენ, იციან, რომ საქართველოდანაა. ეს უკვე ძალიან კარგია. მაო ასადა, მაგალითად, მას ყოველთვის აკვირდებოდა, რადგან ელენეში კონკურენტს ხედავდა. ჩემი აზრით, ელენე გედევანიშვილის სახელით, შესაძლებელი იყო მეტი პრომოუშენის გაკეთება. მიმაჩნია, რომ ეს არასაკმარისად გაკეთდა. რა, საქართველოს ბევრი გედევანიშვილი ჰყავს? ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში კი არა, ამერიკაშიც ხდება.

**– სოჭის ოლიმპიადაზე თქვენი სპორტსმენის გამოსვლით კმაყოფილი ხართ?**

– ჩემი სპორტსმენი მე-6 ადგილზე გავიდა და მას ამჯერად უკეთესი პოზიციის დაკავება არ შეეძლო. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. თუმცა, როცა საუკეთესო ექვსეულში შედიხარ, ეს ცუდი ნამდვილად არ არის.

**– როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი წარმატების მთავარი საიდუმლო?**

– საქმის სიყვარული და ბევრი შრომა. 38 წელია, მწვრთნელად ვმუშაობ, ხოლო 12 წელი მოციგურავე ვიყავი. საერთო ჯამში, ჩემი ცხოვრება უკვე 50 წელია, ყინულს უკავშირდება. 5 ივლისს 57 წლის გავხდები.

**– თქვენი შვილები რას საქმიანობენ?**

– ჩემი ქალიშვილი 31 წლისაა. ის მოსკოვში, ზურაბ წერეთელთან მუშაობს მუზეუმში და საკმაოდ წარმატებულად. გამოფენებს უკეთებს. „ემგეუს” დამთავრებისთანავე, სამსახურში აიყვანეს. რაც შეეხება ვაჟს, მოსკოვში, კონსერვატორია დაამთავრა, შემდეგ კი ინდიანაში განაგრძო სწავლა. თვის ბოლოს ნიუიორკში, „კარმელ ჰოლში” აქვს გამოსვლა, ფორტეპიანოზე უკრავს.

**– ყინულთან არც ერთს არ აქვს კავშირი?**

– არა, მე თვითონ არ მოვინდომე ეს და არც ერთი არ შევიყვანე ფიგურულ სრიალზე.

**– რატომ?**

– როცა საკუთარ შვილებს ავარჯიშებ, გინდა არ გინდა, სხვებისგან განსხვავებით, პრიორიტეტით ისარგებლებენ. ეს კი ჩემს სამუშაოს ხელს შეუშლიდა. ამიტომ ჩავთვალე, რომ მათი ცხოვრება ყინულს არ უნდა დაკავშირებოდა. ძალიან დიდი ხანია, ფიგურული სრიალის სამყაროში ვარ და მსგავსი მაგალითი ბევრი მინახავს. ასე რომ, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე.

**– საქართველოდან როდის მიემგზავრებით?**

– მაისის ბოლოს მივდივარ და დავიწყებ ახალი სეზონისთვის მზადებას. სპორტსმენები უკვე ელოდებიან ჩემს დაბრუნებას. სანამ აქ ჩამოვიდოდი, ევროპაში ვიყავი, სემინარები მქონდა ორ ქვეყანაში, მერე კი აქ ჩამოვფრინდი.

**მარიკა ხიდურელი**

**კომპიუტერული ტექნოლოგიების ხანაში მაუსსა და კლავიატურას კომპიუტერთან ხმოვანი ურთიერთობა, ეგრეთ წოდებული ხმოვანი ბრძანებები ანაცვლებს. დღეს ეს მხოლოდ მაღალტექნოლოგიური ქვეყნების ფუფუნება აღარ არის. ქართველმა მეცნიერმა ირაკლი ქარდავამ, რომელიც რამდენიმე წელია, კომპიუტერულ ლინგვისტიკაზე მუშაობს, შექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც კომპიუტერთან წარმოთქმულ სიტყვებს ტექსტებად აქცევს. პროგრამის სატესტო ვარიანტი უკვე მზადაა. მისი სრულყოფის შემდეგ, კომპიუტერი გაიგებს ნებისმიერი ქართულად მოსაუბრე ადამიანის ხმას და ქართული ენის კომპიუტერული ვარიანტი მოხვდება „გუგლსა" და სხვა ცნობილ კომპიუტერულ სისტემებში. ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიის დეტალებზე, მის ავტორს, სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტს, ირაკლი ქარდავას გავესაუბრეთ.**

# როგორ მოხვდება ქართული ენა ცნობილ კომპიუტერულ სისტემებში და როგორ აქცევს თქვენს ბგერებს კომპიუტერი ტექსტად

**ირაკლი ქარდავა**: რამდენიმე წელია, რაც კომპიუტერულ ლინგვისტიკაზე ვმუშაობ. კონკრეტულად ამ პროგრამაზე მუშაობა კი, დაახლოებით, ოთხი თვის წინ დავიწყე. ამას წინ უძღოდა საკმაოდ საინტერესო შრომა პროგრამული ენების მიმართულებით. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მოგვეხდინა ქართული ენის კომპიუტერული დამუშავება ზუსტად ისე, როგორც სხვა ენებია რეალიზებული კომპიუტერულ სისტემებში. ამ მიმართულებით, პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა ჯგუფი. მათაც საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ, მაგრამ ჩვენი მიდგომა განსხვავდებოდა იმით, რომ ჩვენი მიზანი გახლდათ, მიგველო სიტყვის უცვლელი ნაწილით ამ სიტყვის რაც კი არსებობს ყველა შესაძლო სწორი სიტყვა-ფორმა ხელით აკრეფის გარეშე. უბრალოდ, ჩვენ მივაწვდით კომპიუტერს სიტყვის უცვლელ ნაწილს, პროგრამამ კი უნდა დააბრუნოს ყველა სწორი სიტყვა-ფორმა. როდესაც საუბარია ბუნებრივი ენების კომპიუტერულ მოდელზე, ეს დაკავშირებულია მონაცემთა ბაზებთან, სადაც სიტყვის ყველა ფორმა შეჰყავთ ხელით. ავიღოთ სიტყვა „წერა". ქართულ ენაში ამ სიტყვას, თუ არ ვცდები, შვიდასამდე სიტყვა-ფორმა აქვს. თუ წერას ავიღებთ სიტყვაში „ბედისწერა", მივიღებთ უფრო მეტ ფორმას, რადგან აქ არსებით სახელ „წერას" დაემატება ბრუნვის ნიშნები, თანდებულები და ასე შემდეგ. წარმოიდგინეთ, ამდენი სიტყვის ბაზაში ხელით შეყვანა, სადაც შესაძლოა, შეცდომაც გაგვეპაროს და ყველა სწორ ფორმას ვერ მივაგნოთ. ლინგვისტი ქალბატონის, დამანა მელიქიშვილის მიერ შექმნილი, ქართული ზმნის სისტემის მეშვეობით, ჩვენ შევძელით, შეგვექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია, სიტყვის უცვლელი ნაწილით მის გარშემო აგებული ყველა სწორი სიტყვა-ფორმის მოძიება კლავიატურაზე შეხების გარეშე. ეს იყო პროგრამის პირველი ეტაპი, რომელსაც შემდგომ მოჰყვა მორფოლოგიური სინთეზის შექმნა. ამ ორი კვლევის შემდეგ, ჩვენ გავაკეთეთ მოხსენებები პარიზსა და სინგაპურში, ამ გამოცდილებამ მოგვცა საშუალება, დაგვეწყო მუშაობა კომპიუტერულ პროგრამაზე, რომელიც დაკავშირებულია ტექსტის ამოცნობასთან. ეს პროგრამა ძალიან პოპულარულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ყველაფერი უკვე იქით მიდის, რომ მაუსი და კლავიატურა კომპიუტერულ პროგრამებთან ხმოვანმა ურთიერთობამ ჩაანაცვლოს.

– **თქვენი პროგრამა მოიცავს ეგრეთ წოდებულ ხმოვან ბრძანებებს, უფრო დაწვრილებით მოგვიყევით ამ პროგრამის შესახებ.**

– ეს პროგრამა უკვე მუშაობს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, ქართველებსაც გვაქვს ანალოგიური პროგრამა, რომელიც შევქმენი სამეცნიერო ხელმძღვანელების მითითებებით. ესენი არიან ბატონი ჯემალ ანთიძე და ქალბატონი ნანა გულუა. პროგრამა უკვე ჩაწერილია ჩემს კომპიუტერში – მე ვესაუბრები კომპიუტერს, მას ესმის ჩემი საუბარი, ჩემი ხმის აკუსტიკა და იმ სიტყვებს, რასაც წარმოვთქვამ, აქცევს ტექსტად. ბგერებს, რომელთაც ჩვენ წარმოვთქვამთ, ანუ ფონემებს, ხმის დაუშლელ ნაწილებს აქვთ შესაბამისი გრაფემა. ჩვენ წარმოვადგინეთ პროგრამულად ბგერის ციფრული სახე. ეს არის ელექტრონული რხევები. შევისწავლეთ თითოეული ბგერის მახასიათებელი, თუ რა ციფრული ჩანაწერი შეიძლება არსებობდეს მისი შესაბამისი ჩვენი მიდგომით. ამ პრინციპით, გავაძლიერეთ კვლევის არსი და შედეგად მივიღეთ, რომ ჩვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს თუ წინადადებებს კომპიუტერი აღიქვამს ელექტრონული რხევებით. ეს კი გვაძლევს გრაფემების ერთობლიობას, რასაც ვუწოდებთ სიტყვას ან წინადადებას და წარმოითქმება კონკრეტულ მომენტში. იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ენის გრამატიკა საკმაოდ რთულია და ძალიან ბევრი სიტყვა-ფორმა აქვს, შედეგის მისაღებად ძალიან გამოგვადგება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა, სწორი სიტყვა-ფორმების შესახებ.

– **კომპიუტერს რა ინტონაციით ან რა ფორმით უნდა „ვუთხრათ" სასურველი სიტყვა თუ ტექსტი, რომ სასურველი „პასუხი" მივიღოთ?**



**ჩემი პროგრამით მოიხსნება აქცენტის პრობლემა. ერთი და იგივე სიტყვა, თბილისელი წარმოთქვამს მას თუ გურული, ერთნაირად „წაიკითხება" კომპიუტერის მიერ**

– კომპიუტერს უნდა ესაუბროთ იმ ტონით, ინტონაციით, როგორც საუბრობთ ჩვეულებრივ, ბუნებრივ ენაზე. თუ დავიძახეთ, ან დამარცვლით წარმოვთქვით ესა თუ ის სიტყვა, ეს პროგრამის მაღალ დონეს არ ასახავს და ამით ვერავის გავაკვირვებთ. თუ კომპიუტერთან „საუბრის" ცალკე მანერის გამომუშავება დაგვჭირდა, ეს უკვე გაართულებს საკითხს. კომპიუტერს ჩვეულებრივ ეტყვით: „გამარჯობა", ის ბგერის დასრულებისთანავე, დაწერს ამ სიტყვას. ეს პროგრამა ჩვენს ხმას აქცევს ტექსტად ისე, რომ არ ეხებით კლავიატურას. მსოფლიოში არსებულ ამ სისტემებს აქვს ერთი პრობლემა – ესაა აქცენტის თემა. ამერიკელის საუბრის აკუსტიკური მოდელი ინგლისელის საუბრის აკუსტიკური მოდელისგან განსხვავებულია, ასეა ჩვენთანაც – თბილისური აქცენტით ნათქვამი სიტყვა, გურული ან მეგრელის მიერ იგივე სიტყვის წარმოთქმისას, სხვა აქცენტით ჟღერს, სიტყვაში ასოები კი ერთი და იგივეა. ჩემი მიდგომით მოიხსნება აქცენტის პრობლემა და ერთიდაიგივე სიტყვა, თბილისელი წარმოთქვამს მას თუ გურული, ერთნაირად აღიქმება კომპიუტერის მიერ.

– **როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ქართული ინოვაციის შესახებ, „გუგლისა" და სხვა ცნობილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპანიებია უკვე საქმის კურსში.**

– „გუგლი" არის სისტემა, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ხმოვანი ბრძანებები და ამ ტიპის ტექნოლოგიები. იქ მუდმივად ვითარდება ეს მიმართულება. მე ჯერ არ მქონია კომუნიკაცია „გუგლის" ადმინისტრაციის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან, თუმცა „გუგლთან" ინტეგრირება არაა რთული. „გუგლი" არ არის დახურული სისტემა, პირიქით, გახსნილია ინოვაციებისთვის. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ადამიანთან, რომლის მიდგომითაც მოხდა „გუგლ ვოისის" ჩამოყალიბება. მისთვის უკვე კარგად არის ცნობილი ჩემი პროგრამის შესახებ, რომლის სრულყოფის შემდეგაც, „გუგლის" სისტემაში ჩართული იქნება ქართული ენაც იმ ენების ჩამონათვალში, რომელსაც ის იყენებს. ეს პროგრამა იქნება ქართული ტექნოლოგიური ინოვაციების აღიარება მსოფლიო დონეზე. მომავალში ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა ხმოვანი ბრძანებებისთვის. სისტემის სრულყოფილი ჩამოყალიბების შემდეგ, შევქმნი პროგრამას, რომლის მიხედვითაც კომპიუტერი უპასუხებს თქვენს შეკითხვას: რომელი საათია? რა დღეა? და ასე შემდეგ. ახალი პროგრამა ძალიან ეფექტური და მოსახერხებელი იქნება უნარშეზღუდული ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც მხედველობის პრობლემები აქვთ. გახმოვანების საშუალება – უთხრან კომპიუტერს ამა თუ იმ საიტზე შესვლა და წაკითხვა, მათ ბევრად გაუადვილებთ ცხოვრებას. პროგრამა „წაუკითხავთ" მათ სასურველ საიტს.

– **ერთი აკუსტიკური მოდელი მოიცავს მილიონობით სიტყვას, რაც ქართულ ლექსიკონში არსებობს?**

– ერთი აკუსტიკური მოდელი არ მოიცავს ყველა სიტყვას, მაგრამ მოიცავს ყველა იმ სიტყვას, რაც ორასი ხმის ჩანაწერში შევა. სიტყვების სწორი სიტყვა-ფორმების მიღება მოხდება ზემოთ მოყვანილი ჩვენი კვლევის მეშვეობით. ის სიტყვები, რაც არ მოხვდება 200 ადამიანის ჩანაწერში, არ გვჭირდება გახმვონებული სახით. ისინი მოხვდება სიტყვების ბაზაში, რომლის შექმნაც მოხდება იმ კორპუსებით, სადაც 4-5 მილიონი ქართული სიტყვაა შესული. მოხდება ბაზების განახლება იმ სიტყვებით, რაც ლექსიკონში დროდადრო ჩნდება. ეს არის ტექნიკური საკითხი. რაც მთავარია, არსებობს პროგრამა, რომელსაც აქვს პოტენციალი ხმა აქციოს ტექსტად. ჩვენ ვმუშაობთ ამ ვარიანტის შებრუნებულ ამოცანაზე, რომელთა გაერთიანებითაც შეგვეძლება, მივიღოთ დიალოგი კომპიუტერთან, რაც გახდება კარგი საფუძველი ვიფიქროთ ხელოვნურ ინტელექტზე, რობოტიზებულ სისტემებზე... საქართველოში ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალ დონეზე ვართ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, დავიწყოთ ფიქრი ოჯახისთვის დამხმარე რობოტების შექმნაზე. ხმოვანი ბრძანებით ის თქვენი სურვილისამებრ, გააღებს ფანჯარას,

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

**არჩილ სოლოღაშვილისთვის წარმატება ლანგრით არავის მოურთმევია. მისი კარიერის ყოველი საფეხურის ავლა დიდი შრომისა და საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად ხდებოდა. ჩვენს ინტერვიუში ყველასათვის საყვარელი მსახიობი და ტელეწამყვანი თავისი კარიერის სწორედ ამ საფეხურებზე გვესაუბრება.**

# როგორ შექმნა არჩილ სოლოღაშვილმა არაგენმოდიფიცირებული და ნოყიერი ქორეოგრაფიული პროდუქტი „რუსთავი 2-სათვის" და რა მოჰყვა ამას

**არჩილ სოლოღაშვილი:** ცეკვაზე 5 წლის ასაკში შემიყვანეს, დიდხანს ვცეკვავდი. ყოველთვის მინდოდა, გავმხდარიყავი მოცეკვავე და მსახიობი. ცეკვის შემდეგ მომიწია თეატრალურ სკოლა-სტუდია „ბერიკებში" მისვლა, სადაც მართლა ზღაპრულ სამყაროში აღმოვჩნდი. პირველი გასტროლიც სწორედ „ბერიკებიდან" იყო, 16 წლის ასაკში, მოსკოვში. ასევე, იყო „კლასცენტრი," სადაც ჩვენი თაობის ბავშვები იყვნენ და, ურთიერთობები, თავისი პირველი გაპრანჭვა-გამოპრანჭვებით, თან – რუსი გოგოები... ეს იყო თინეიჯერობის პირველი ნაბიჯები, როდესაც თავს იმკვიდრებ საზოგადოებაში კიდევ უფრო სხვა სტატუსით.

**– ამის შემდეგ თეატრალურში ჩაბარება გაგიჭირდათ?**

– სულ მეგონა, რომ ჩაბარება „ჩაწყობით" ხდებოდა. რაც გესმის, იმის გჯერა. ჩემი თავიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ ეს ასე არ ყოფილა. წლების შემდეგ ყველაფერს ფარდა ეხდება და, დღეს ზუსტად ვიცი, რომ ჩემს ჯგუფში სწავლობდნენ ნიჭით ჩაბარებული ბავშვები.



ეს იყო ძალიან დიდი შოკი, მე დღემდე არ მჯერა, რომ ეს პრობლემა მაქვს

ვიყავი მესამე კურსზე, როდესაც პირველად რეჟისორმა ოთარ ეგაძემ მიმიწვია „თეატრალურ სარდაფში". ეს იყო სპექტაკლი „ინსტინქტი". ამან კიდევ უფრო სხვა ფერი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში, რადგან, „სარდაფში" ჩემი პირველი პარტნიორები იყვნენ დუტა სხირტლაძე, ბაიკო დვალიშვილი და ნანკა კალატოზიშვილი.

**– შემდეგი საფეხური იყო მუსიკისა და დრამის თეატრი.**

– აქ პირველი როლი დოიმ შემომთავაზა სპექტაკლ „მარლენ დიტრიხში". დიტრიხის ფსიქოთერაპევტი ვითამაშე. პერსონაჟი იყო 26 წლის და უყვარდა 84 წლის მარლენ დიტრიხი. ვერ ვიტყვი, რომ ეს ადვილი როლი იყო.

**– ისე თუ მომხდარა, რომ, რამე შეცდომის ან გაუთვალისწინებელი სიტუაციის გამო, სცენაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენილხართ?**

– როდესაც 7-8 წლიდან გამოდიხარ სცენაზე, გასწავლიან, რომ, თუ ილეთის დროს ფეხი გეშლება უნდა გამოასწორო, ისე, რომ გაჩერების უფლება არ გაქვს, ანუ, ისე უნდა „ილავირო" და მოიქცე, რომ ეს შენ გარდა ვერავინ შეამჩნიოს. ეს ძალიან გამომადგა შემდეგ თეატრში. მე თავს ვერ ვაძლევ უფლებას, რომ რამე შემეშალოს და, თუ შემეშალა, ვცდილობ, ისე გამოვიძვრინო თავი, რომ ვერავინ მიხვდეს, გარდა რეჟისორისა და პარტნიორებისა. ხშირად ეს ამართლებს, თუმცა, არ მახსენდება შეცდომა, სიტყვის გადაბრუნება ან ტექტის დავიწყება, რასაც ვერ ვიტყვი პირდაპირ ეთერზე – ეს კიდევ სხვა რაღაცაა, პირდაპირ ეთერს კიდევ სხვა სეგმენტი უყურებს. თითქოს ეს ყველაფერი გვერდიდან ძალიან ადვილად ჩანს: რა მოხდა, ამდენი წამყვანია ერთად ერთ გადაცემაში და, ვითომ არაფერი, ისინი ჩვეულებრივად საუბრობენ. ამის უკან კი ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. ამაზე მუშაობს პროდიუსერების მთელი არმია, რომ გადაცემა დაგეგმონ ისე, რომ, „ვითომ არაფერი" და, შენ, რომელიც სახლში ზიხარ და ტელევიზორს უყურებ, ის წამყვანიც შენს თავთან უნდა გააიგივო, იმიტომ რომ, პრობლემა, რომელზეც ის გესაუბრება, შენამდე თუ არ მოვიდა, გადართავ და ნახავ იმ სერიალს, რომელშიც შენს თავს აიგივებ. მახსენდება ერთი დღე, როცა საკმაოდ პრობლემურ თემაზე იყო საუბარი, კერძოდ, ნაადრევ ქორწინებაზე და, ერთმა სიტყვამ მთელი წინადადება შემიცვალა – სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა და სულ სხვა რაღაც გამოვიდა.

**– ის ფრაზა გახსოვთ, რომელმაც ასე განერვიულათ?**

– საუბარი იყო ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახებზე. იმაზე, რომ ადამიანები ოჯახს სიყვარულით, სურვილით და ერთმანეთის მიმართ ლტოლვით ქმნიდნენ. მე სიტყვა „სიყვარული" ამომივარდა და, გამოვიდა, რომ მხოლოდ ლტოლვის გამო იქმნებოდა ოჯახები, რაც, მიმაჩნია, რომ მაყურებლისთვის ძალიან დიდი შეურაცხყოფაა, ამას არავინ იმსახურებს. მე, როცა მაქვს საშუალება, ყოველთვის ვიხდი ბოდიშს, არასდროს არ მეზარება, არ მაქვს ამის კომპლექსი. რამდენიმე ასეთი შემთხვევა იყო კიდევ. პირდაპირ ეთერში არავინაა დაზღვეული. შენს ყოველ წინადადებაზე აგებ პასუხს, რადგან, შენ გიყურებს ძალიან ბევრი ადამიანი – „შუადღე" ძალიან რეიტინგულია. შენ არც იმის უფლება გაქვს, რომ გადაცემას რეიტინგი დააკლდეს შენ გამო და, არც იმის, რომ იმედები გაუცრუო ამდენ ადამიანს, რომლებიც შენზე მუშაობენ. ყოველდღე „ეთერში ვართ!" – ამ ფრაზიდან მოყოლებული, მე ვიწყებ თამაშს, რომ, ვითომ არ ვნერვიულობ, ვითომ სახლში ვზივარ და მყავს სტუმარი. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია – სტუმარი თავს ყოველთვის შინაურად უნდა გრძნობდეს, საუბარში რომ აგყვეს და გაიხსნას. ამ დროს კი, სიტყვაზე, ექიმი, იმიტომაა მოწვეული, რომ შენ ხალხის სახელით დაუსვა მას კითხვები.

**– ექიმი ახსენეთ და, ერთ-ერთ გადაცემას გავიხსენებ, სადაც ეპილეფსიაზე იყო საუბარი. მაშინ თქვენ საკუთარ მაგალითზე ესაუბრეთ გადაცემაში სტუმრად მოსულ ექიმს.**

– ეს იყო ძალიან დიდი შოკი, მე დღემდე არ მჯერა, რომ ეს პრობლემა მაქვს. დღემდე ვეწინააღმდეგები ჩემს თავს. ეს პრობლემა განკურნებადია, ექვემდებარება მკურნალობას, ამიტომ, მარტივად ვუყურებ. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, მერე ცხოვრების წესი შევიცვალე: არ ვათენებ ღამეებს, არ ვსვამ, ვცდილობ, ნერვები არ მოვიშალო, იმიტომ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ჩემს დიაგნოზთან. მე კიდევ გამიმართლა, ისეთი ფორმა რომ მაქვს, რომელიც განკურნებადია, არაგენეტიკური და ხალხში არ იწვევს შოკს. ეს არის გადაღლილობით შეძენილი იმიტომ, რომ მე ძალიან პატარა ასაკში ავიღე დიდი პასუხისმგებლობა.

ძალიან ბევრ ექიმთან ვიყავი, სანამ მივხვდებოდი, საერთოდ რა მჭირდა; ძალიან დიდი ფული აკეთეს ჩემზე. კაპიკებს ვითვლიდი და ისე დავდიოდი ექიმთან, არადა, თურმე, მისი პაციენტი არ ვიყავი. ეს ჩემთვის მტკივნეულია. მე ამით ოჯახს ვაკლებდი. ხან რა ეგონათ და ხანაც – რა. ეს ის პერიოდია, როდესაც სულ არ გჭირდება ეს პრობლემა და, არც ის გინდა, რომ ანერვიულო ახლობლები და ოჯახის წევრები. ხანდახან, შეტევის დროს, აღიარებაც კი არ მინოდა, რომ არ ენერვიულათ. შესაბამისად, მარტო დავდიოდი ხან ვისთან, ხანაც – ვისთან. გამიმართლა, რომ დამიდგინდა და სახელი დაერქვა ამ პრობლემას, რომელსაც ვაგვარებ.

**– ტელევიზიაში როგორ მოხვდით?**

– ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი. ტელევიზიიდან პირველი შემოთავაზება მივიღე, „იმედის ტალღა 4" ერქვა გადაცემას, სადაც მე და ჩემმა მეწყვილემ, თიკა ფაცაციამ, გავიმარჯვეთ. ამას მოჰყვა „რუსთავი 2". იყო ასეთი პროექტი – „ბრავო," სადაც ქორეოგრაფად მიმიწვიეს. ჩემთვის ეს ძალიან დიდი გამოცდა იყო, კვირაში ექვსი-შვიდი ცეკვის დადგმა მიწევდა. ეს იყო ჩვეულებრივი საცხობი, სადაც შენ არ გქონდა არც იმის უფლება, რომ დაბალი ხარისხის ნედლეულით გესარგებლა და, არც იმის უფლება, რომ მიღებული პროდუქტი მერე ცუდად გაგეყიდა. ეს უნდა ყოფილიყო არა გენმოდიფიცირებული საკვები, არამედ, ნატურალური და ნოყიერი. ეს გამოცდა, მიმაჩნია, რომ წარმატებით ჩავაბარე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღესაც „რუსთავი 2-ში" ვმუშაობ. მომავალში „ბრავოს" არაერთი პროექტი მოჰყვა და, შესაბამისად, ტელევიზიამ საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა ჩემს ცხოვრებაში.

**– თქვენს გენეტიკას რომ გადახედოთ, ვინმე გყავდათ თქვენსავით სცენის მოყვარული?**

– გენეტიკაში ამდაგვარი არავინ მახსენდება. შემიძლია, ვთქვა მხოლოდ ის, რომ ოთხივე მხრიდან თავადიშვილი ვარ ***(იცინის).*** ეს საკითხი, თითქოს, ჩემი ძმისთვის უფროა მნიშვნელოვანი, მასში უფრო ყივის თავადიშვილური სისხლი. ჩემი ძმა არის ლევან დავიდოვ-სოლოღაშვილი, მე მხოლოდ სოლოღაშვილითაც ვკმაყოფილდები ***(იცინის).*** 21-ე საუკუნეში, პირადად მე, გლეხზე მეტს ვშრომობ და ამაში სათაკილო არაფერია. ჩემთან არაფერი არ მოსულა შრომის გარეშე, ყველაფერი შრომამ მომიტანა. მე ეს მირჩევნია, ვიდრე ლანგარზე მორთმეული.

**ეკა სალაღაია**

მაია ფირცხალავას და დავით აბზიანიძეს

ვულოცავთ ქალიშვილის – **ნატალის** შეძენას. ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ პატარა ქალბატონს მშობლებთან და და-ძმასთან – ანისთან და ნიკასთან ერთად.

ჟურნალი „თბილისელები"


საუკეთესო საზაფხულო
შემოთავაზება ბეკოსგან!
შეიძინეთ ბეკოს კონდიციონერები თვეში 28 ლარიდან
ექსკლუზიური 3 წლიანი გარანტიით და მიიღეთ საჩუქრად
წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
3 წლიანი გარანტია
26
აქტიური ნახშირის ფილტრი
ანტიბაქტერიული ფილტრი
ელექტროენერგიის ეკონომია
ფასი 28 ლარიდან.
უპროცენტო განვადება
პროდუქციის რაოდენობა შეზღუდულია
საჩუქრები: მიკროტალღური ღუმელი,
უთო, მტვერსასრუტი და სხვა.
www. facebook.com/BekoGeorgia
www.beko.com.ge
Tel : 2-15-50-50
BEKO
SMART GENERATION

**უკრაინის კონკურს „ახალ ხმაში" ქართველმა მომღერალმა მეგი გოგიტიძემ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. ის უკრაინელი ხალხის ესემესლიდერიც კი გახდა. ახლა მეგი ფინალისთვის ემზადება და ის, რომ ორსულობის მეცხრე თვეშია, ხელს კი არ უშლის, პირიქით, გამარჯვებისთვის სტიმულს აძლევს. რატომ ეშინია მისი სცენაზე დგომა ანი ლორაკს, რაზე ესაუბრება მას კულისებში თამარ გვერდწითელი და რა ძალას აძლევს მას ქართული გენი, სიმღერის დროს, ამაზე თავად მეგი გვესაუბრება.**

# რატომ ეშინიათ თამარ გვერდწითელსა და ანი ლორაკს უკრაინულ „ვოისში" ნახევარფინალისტი მეგი გოგიტიძის სცენაზე გამოსვლის

**მეგი გოგიტიძე**: ჩემდა გასახარად, წარმატებით გავიარე უკრაინული „ვოისის" ბრმა ქასთინგი, რინგი, ნოკაუტი და პირველ პირდაპირ ეთერში ხალხის ესემესლიდერიც გავხდი. ახლა ნახევარფინალში გადავედი და ამისთვის ვემზადები. ანი ლორაკის გუნდში დავრჩით მე და ერთი ბიჭი. ახლა დიდი კონკურენცია გველის წინ და ბოლო ორი ტურისთვის მიდის ბრძოლა.

**– როგორც ვიცი, ორსულობის მეცხრე თვეში ხარ. სიმართლე გითხრა, როდესაც შენ დგები სცენაზე, სიმღერას იწყებ და მაღალ ბგერებს იღებ, დარბაზიც და ჟიურის წევრებიც შიშის თვალებით გიყურებენ.**

– ***(იცინის).*** ეს მეც შევამჩნიე. ანი ლორაკი მეუბნება, რას აპირებ, სცენაზე უნდა იმშობიაროო ***(იცინის).*** წამყვანმაც კი მკითხა, მეგი არ გეშინიაო, გამეცინა და ვუპასუხე: არა-მეთქი. ჟიურის წევრები გაოგნებულები არიან ჩემი მდგომარეობით. თუმცა, მე ეს არ მზღუდავს, არც ხელს მიშლის, პირიქით, უფრო მომართული ვარ. თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინელი ხალხის რჩეული გავხდი. მათ, მე, ქართველს გამომიგზავნეს ყველაზე მეტი ესემესი თავიანთი ქვეყნის „ახალი ხმის" კონკურსზე და ეს ჩემთვის გამარჯვებაზე მეტია. სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი, გამიხარდა და გაკვირვებული დავრჩი. მოკლედ, ექსტრემალურ სიტუაციაში ვარ, არ ვიცი, როდის რა მოხდება, როდის დამეწყება მშობიარობა, მანამდე კი სცენაზე ვიდგები და კონკურსს გავაგრძელებ.

**– მეგი, მახსოვს, ბრმა ქასთინგი რომ გაიარე, ამბობდი, არც კი ვიცი, რა პრიზებია დაწესებული გამარჯვებულისთვის, მე აქ გამარჯვებისთვის კი არა, ჩემი ძალების გაოსაცდელად ვარ მოსული, მინდა, ხალხმა გამიცნოსო. ახლა ნახევარფინალში ხარ და რას ფიქრობ?**

– შოუში რომ მიდიხარ, რასაკვირველია, მოგებაზეც ფიქრობ. თუმცა, ჩემი მთავარი პრინციპი მოგება მართლა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალშიც გადავედი. მინდა, ჩემი შესაძლებლობები მივიტანო ხალხამდე და ვნახოთ, რა მოხდება. ამ მდგომარეობაში, ორსული, აქამდე რომ მოვედი, ესეც დიდი საქმეა. ახლა კი, როცა დიდი რისკია მშობიარობა სცენაზე დამეწყოს, მაინც არ დავტოვებ კონკურსს. ფინალი 8 ივნისს უწევს და ამ დღეს მიწევს მშობიარობაც. მეუბნებიან, აბა, შენ იცი, გაიმარჯვე და პრიზით ხელში გავარდი სცენიდან პირდაპირ სამშობიაროში. იქ კი მეორე პრიზიც დაამატე ბავშვის სახითო ***(იცინის).*** უნდა ნახოთ, როგორ მივლიან და მეფერებიან კონკურსანტებიც და ჟიურის წევრებიც. ყველა დადებითადაა განწყობილი ჩემს მიმართ და ამაში დიდი წვლილი ჩემს მდგომარეობას მიუძღვის. სასწაული იცით, რა არის? სანამ სცენაზე გავალ, მუცელში ბავშვი ხვანცალებს, ფეხებს მირტყამს, მაგრამ, როგორც კი სცენაზე გავდივარ და ვიწყებ სიმღერას, ჩერდება, ისუსება და მაძლევს იმის საშუალებასა და ძალას, ისეთი ბგერა და ნოტი ამოვუშვა, რასაც აქამდე ვერ შევძლებდი. დედობრივი ინსტინქტით ვგრძნობ, რომ ამხელა მუცლით დგომა ჟიურის წინაშე და კონკურენტებთან სიმღერა, რისკი კი არა, სასწაულია.

**– თამარ გვერდწითელი უკრაინული „ვოისის" ჟიურიშია. ის რას გეუბნება?**

– განსაკუთრებულად თბილია ჩემ მიმართ. ორი ქართველი ვართ ამ პროექტში და ერთმანეთით ვამაყობთ. ძალიან თბილი, საყვარელი და



ანი ლორაკი მეუბნება, რას აპირებ, სცენაზე უნდა იმშობიაროო

უბრალო ადამიანია. რომ დამინახავს, მეხუტება, მეკითხება ბავშვის მდგომარეობას, მეუბნება, შენ ღირსი ხარ ფინალში იდგე სცენაზე, სასწაული გოგო ხარო. მისი მხარდაჭერა ძალიან დიდ რამეს ნიშნავს ჩემთვის.

**– ანი ლორაკი საკმაოდ ბევრს მუშაობს შენთან. განიცდის, გეხმარება, შენთან ერთად იზიარებს ტურიდან ტურში გადასვლის სიხარულს. ხომ არ აპირებ, მომავალში, მწვრთნელი დაინათესაო და ბავშვი მოანათვლინო?**

– ძალიან კარგი ადამიანია ანი ლორაკი, თბილი და ყურადღებიანი. თუმცა, მის დანათესავებაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ ***(იცინის).*** ჯერ იმდენი ხნის მეგობრობა არ გვაკავშირებს, რომ დავნათესავდეთ.

**– ამბობ, ჩემი მიზანია, ხალხმა გამიცნოს და გამარჯვებაზე არც კი ვფიქრობო. უკვე მიზანი მიღწეულია, რადგან არაერთი შემოთავაზება გაქვს და თუ არ ვცდები, ხალხი ქუჩაში გაჩერებს და გეფერება.**

– ასეა, არაერთი შემოთავაზება მაქვს კონცერტებზე, მაგრამ ამ მდგომარეობაში ვერ ვახერხებ სხვა რამეს. თან, კონკურსისთვის მზადებას დიდი დრო მიაქვს. მე ამ პროექტში გამარჯვება გამოცდილებას შემმატებს. უკრაინელი ხალხის სიყვარული კი, ვფიქრობ, მართლაც მოვიპოვე უკვე.

**– წარმომიდგენია, ქმარი როგორ გგულშემატკივრობს, როცა ამხელა მუცლით სცენაზე დგახარ და მღერი.**

– სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს არ უყვარს, როცა მის ფოტოს ვდებ საიტზე. არც ჩემს საგულშემატკივრო „კამანდაში" ჩნდება და არც დარბაზში ჯდება. კულისებში დგას და უნდა ნახოთ, როგორ ნერვიულობს. ამას წინათ, ბავშვის რაღაცეების ყიდვა გვინდოდა და ქუჩაში იმდენმა ადამიანმა გამაჩერა, მომეფერა, სურათი გადაიღო ჩემთან და მესაუბრა, გადაირია ჩემი ქმარი, აღარ გამოგყვები არსადო ***(იცინის).*** ასე რომ, ცნობადი ნამდვილად გავხდი უკრაინაში, ეს „ვოისის" დამსახურებაა. დათუნას, ჩემს ქმარს ვეუბნებოდი, ალბათ, იმიტომ გამოხატავენ ამხელა სითბოს და სიყვარულს ჩემს მიმართ, ორსულად რომ ვარ, ჰოდა, გადავწყვიტე, ამას რომ გავაჩენ, ეგრევე მეორე, მესამე, მეოთხე შვილი მივაყოლომეთქი ***(იცინის).*** ვერ ვუგებ იმ ქალებს, ვინც ამბობს, ჯერ კარიერას მივხედავ და მერე გავაჩენ შვილს, ორსულობა ხელს შემიშლისო. თუ მოინდომე, ორივეს კარგად გაართმევ თავს. პირიქით, ორმაგი სტიმული გიჩნდება და შენი პატარა, მუცლიდან გაძლევს უდიდეს ძალას. სულაც არ მრცხვენია იმის თქმის, რომ ოცი კილო მაქვს მომატებული. მაინც ვდგავარ სცენაზე, ვიბრძვი, შვილსაც გავაჩენ, გავზრდი და კარიერასაც მივხედავ. ეს, რასაკვირველია, რთულია, მაგრამ არა – შეუძლებელი. დედობაზე დიდი კარიერა კი, დამიჯერეთ, არ არსებობს.

**– საქართველოდან უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს შენს გამოსვლებს უკრაინულ „ვოისში". ალბათ, სოციალურ ქსელში ბევრ საგულშემატკივრო შეტყობინებასაც იღებ, არა?**

– დიახ, ასეა და ძალიან მიხარია. ათასობით წერილი მხვდება საიტზე და ეს დიდი მხარდაჭერაა ჩემთვის. ჩემი და დათუნას ოჯახები ძალიან მგულშემატკივრობენ, ნერვიულობენ და განიცდიან. ჩემი ქმრის ბებია, ნაზიკო ბებო, ჩემს ყველა გამოსვლაზე თურმე ცუდად ხდება, ისე ნერვიულობს. მეუბნება, შენ რომ სცენაზე გხედავ, ასი წლის სიცოცხლე მემატებაო ***(იცინის).*** მინდა გითხრათ, ქართული გენეტიკა ძალიან მშველის. ეს არის ყველაზე დიდი სიმართლისა და ემოციების წყარო, რომელიც სხვა კონკურსანტებისგან გამომარჩევს და მაძლევს ძალას. ჩვენ, ქართველებს სულ სხვა ნიჭიერება გაგვაჩნია, რასაც სხვა ქვეყანაშიც ამჩნევენ და აღიარებენ. დამიჯერეთ, ის ქართული გენი, რაც ჩვენში დევს, იმდენად ძლიერია, ყველა სირთულეს გაუმკლავდება. დაანახვებს სხვებს, რომ მიუხედავად სირთულეებისა, შეგვიძლია, ვიყოთ თავდაჯერებული და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, გავხდეთ წარმატებული.

**– მეგი, მინდა, გისურვო გამარჯვება! იცოდე, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი გგულშემატკივრობს და ძალიან გაგვახარებ, თუ უკრაინული „ახალი ხმის" გამარჯვებული, შენ – ქართველი, უნიჭიერესი, მიზანდასახული და მამაცი გოგო გახდები.**

– დიდი მადლობა თბილი სიტყვებისთვის. მეც ძალიან მიყვარხართ და თუ გავიმარჯვე, ამ გამარჯვებას თქვენ, ჩემს ქართველებს მოგიძღვნით. თუმცა, წინ, ჯერ საფინალო ციებ-ცხელება მელის ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# ინტიმური საუბრები

### მგონი, მშობლებს არ ვუყვარვარ

ძალიან ბევრი ვიფიქრე, მომეწერა თუ არა თქვენთვის წერილი და ბოლოს მაინც გადავწყვიტე, რადგან, ძალიან გულნატკენი ვარ ჩემს მშობლებზე. ძალიანაც კარგი იქნება, თუ წაიკითხავენ და მიხვდებიან, რომ მათზე ვწერ.

ვარ 13 წლის. მყავს ერთი წლით უფროსი და, რომელიც გამხდარი და ლამაზი გოგოა, მე კი მსუქანი ვარ და, მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი სახე მაქვს, მაინც უშნოდ ვითვლები. ისე, მთლად ისეთი სქელიც არ ვარ, რომ ვერ დავდიოდე და თვალები არ მიჩანდეს, მაგრამ, ამ ოხერი სიმსუქნის გამო, არავინ არაფრად მაგდებს, შეიძლება ითქვას, ჩემი მშობლებიც კი. იმას კი არ ვამბობ, რომ ვძულვარ, მაგრამ, ჩემი და აშკარად უფრო უყვართ. მისით ამაყობენ, მიუხედავად იმისა, რომ მე უფრო ნიჭიერი ვარ და უფრო კარგადაც ვსწავლობ. სადმე სტუმრად რომ მიდიან, ჩემს დას წინასწარ აფრთხილებენ, უნდა წაგიყვანოთო, ჩემი წაყვანა კი დიდად არ სიამოვნებთ. გარდა ამისა, რადგან მე მსუქანი ვარ, საჭმელსაც იმისთვის ყიდულობენ განსაკუთრებულსა და გამორჩეულს, რომ აღარაფერი ვთქვა, ტანსაცმელზე: მაკოსთვის ყველაფერს ძვირიანს ყიდულობენ, ბუტიკებში, ან ინტერნეტიდან იწერენ, ჩემთვის კი ლამის მეორადიდან მოიტანონ რაღაც მოფლაშული ძონძები. ერთხელ დედამ ისიც კი მითხრა, რატომ უნდა გადავყარო ფული ძვირიან ტანსაცმელში, მაინც არ მოგიხდებაო. გახდი და შენთვისაც გამოვიწერთ ტანსაცმელსო. ისე მეწყინა, მთელი ღამე ვტიროდი. მეც ძალიან მინდა გახდომა, მაგრამ, ვერ ვხდები და რა ვქნა, თავი მოვიკლა?! ისეთი ნაწყენი ვარ ყველაზე, მაგათი არაფერი აღარ მინდა, არც ის ჩამოფასებული ძონძები და არც დაყვედრებული საჭმელი. იმ დღეს მამაჩემმა მარწყვი მოიტანა. ბებიამ გარეცხა და ჯამით მაგიდაზე დადგა. მე მაგიდასთან ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი. მარწყვი რომ დავინახე, ერთი ცალი ავიღე და უცებ დედაჩემის ხმა გავიგონე – მთლიანად მაგას არ დაუდგათ, თორემ, სულ შეჭამს და ბავშვს არაფერს დაუტოვებსო (ბავშვი – ეს ჩემი უფროსი დაა). ყველაფერთან ერთად, დედამ ღორიც გამომიყვანა. წასასვლელი არ მაქვს, თორემ ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი ამათთან. ერთი რამე მაინტერესებს: ინვალიდი რომ ვყოფილიყავი, სადმე „პრიუტში" ჩამაბარებდნენ თუ საერთოდ გადამაგდებდნენ?!

**მანანიკო, 13 წლის.**



### საქმრომ მდიდარ ქალში გამცვალა

მე და გიგი სამი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენს სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა ინსტიტუტში. დიპლომები რომ ავიღეთ, ქორწილის დღეც დავნიშნეთ – გადავწყვიტეთ, ოქტომბერში დაგვეწერა ჯვარი და ხელიც მოგვეწერა. ნიშნობა კი დიპლომების აღებიდან ორ კვირაში გვქონდა. მოკლედ, ოფიციალური საცოლე და საქმრო გავხდით. მოხდა სასწაული და ორივემ ძალიან მალე ვიშოვეთ სამსახურები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დაწესებულებაში. ძალიან დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ისე ხშირად ვეღარ ვიყავით ერთად, მაგრამ, ტელეფონით დღეში რამდენჯერმე ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. მერე გიგიმ მივლინებაში დაიწყო სიარული და უფრო იშვიათად გვიწევდა შეხვედრები, რაც ძალიან არ მომწონდა და მანერვიულებდა, რადგან, ამ ყველაფერთან ერთად, ვგრძნობდი, რომ შეიცვალა ჩემ მიმართ. შეხვედრისას აღარ იყო ხოლმე ძველებურად მხიარული და რომანტიკული; აღარც ყვავილები მოჰქონდა და, რაც მთავარია, ყოველთვის გაურბოდა ქორწილზე ლაპარაკს და, თუ რამეს იტყოდა, მხოლოდ ზოგად ფრაზებს. მე კი მინდოდა, სულ ამ თემაზე გვესაუბრა, დაგვეწყო გეგმები, შეგვედგინა დასაპატიჟებელი სტუმრების სია, მაგრამ გიგის ეს აშკარად აღარ აინტერესებდა, უფრო სწორად, აღიზიანებდა. ერთ დღეს კი ისე მოიქცა, პირდაპირ ვკითხე, გამაგებინე, რა ხდება-მეთქი. არაფერიც არ ხდება, უბრალოდ, ძალიან დავიღალე და, თან, სამსახურში გვაქვს რაღაც პრობლემებიო. მერე კი მითხრა, რომ ორი კვირით გზავნიდნენ მივლინებაში. მეორე დღეს გიგის საერთოდ არ დაურეკავს და არც ჩემს ზარზე უპასუხია, გვიან საღამოს კი დამირეკა დედამისმა და მითხრა (შევეცდები, სიტყვასიტყვით გადმოგცეთ მისი ნათქვამი): გვანცა, დედიკო, მე ახლა ძალიან მძიმე საუბარი მომიწევს შენთან და, ძალიან გთხოვ, ბოლომდე მომისმინე, და რაც მთავარია, უნდა გაგვიგო. ხომ იცი, ჩემი გიგი როგორი მგრძნობიარე ბიჭია, ამიტომ თვითონ ვერ დაგირეკა და, ნერვიულობა რომ ავიცილო თავიდან, მე გადავწყვიტე, დაგელაპარაკებოდი.

– გისმენთ-მეთქი, ვუთხარი და დავიძაბე, რადგან, მივხვდი, რომ რაღაც საშინელება უნდა გამეგონა.

– მოკლედ, ჩემო საყვარელო, შენ ჭკვიანი გოგო ხარ და უნდა გაუგო ჩემს შვილს. საქმე ისაა, რომ გიგი ერთ ძალიან კარგ გოგოზე ქორწინდება შაბათს, სწორედ ასეთ რძალზე ვოცნებობდი, ნამდვილად ჩვენი ოჯახის შესაფერისი ვარიანტია. ძალიან ვწუხვარ, ასე რომ იჩქარა ჩემმა ბიჭმა შენთან დაკავშირებით, მაგრამ, რას ვიზამთ, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. ამიტომ, ჯობია, ცივილიზებულად მოიქცე და ალიაქოთი არ ატეხო. და, რაც მთავარია, თუ ძალიან არ შეწუხდები, ჩემი სამკაულიც უკლებლივ დამიბრუნე უკან – იმდენი სად მაქვს, რომ აქეთ-იქით ვარიგოო. ამ სიტყვების მერე ყურმილი დავუკიდე, მაშინვე ჩავყარე მისი მოცემული ბეჭდები და საყურეები ცელოფანში, ჩავიცვი და გიგის სამსახურში მივიჭერი. ოთახში რომ შევედი, ვიღაც ქალთან ერთად იდგა ფანჯარასთან, რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. რომ დამინახა, შეცბა და დაიბნა. მე მაგიდაზე დავუყარე სამკაული და ვუთხარი: დედაშენმა დამირეკა და მითხრა, რომ ეს ბეჭდები შენი ახალი საცოლისთვის სჭირდება. ძალიან გთხოვ, აქვე, ჩემი თანდასწრებით გადაითვალე, ხომ არაფერი აკლია, რომ მერე რამე არ დამაბრალოთ-მეთქი. რა თქმა უნდა, არ დაუთვლია, იდგა ხესავით და გაშტერებული მიყურებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ „მათი ოჯახის შესაფერისი" რძალი თითქმის ათი წლით იყო გიგიზე უფროსი, ორი შვილი ჰყავდა სხვადასხვა ქმრისგან და, თან, ძალიან მდიდარი ყოფილა.

ასე ჩაიშალა ჩემი გათხოვება. მართალია, საშინლად განვიცადე, მაგრამ ბებიაჩემი მეუბნება, ეტყობა, ასე იყო საჭირო. ალბათ, მართალია ბებია.

**გვანცა, 22 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორ მოხვდება ქართული ენა ცნობილ კომპიუტერულ სისტემებში და როგორ აქცევს თქვენს ბგერებს კომპიუტერი ტექსტად

(მე-13 გვერდიდან)

დახურავს კარს. ასევე, შეიძლება, ხელოვნური ინტელექტის ჩამოყალიბების შედეგად, პროგრამას ვკითხოთ, როგორი ამინდია, რომელიმე ეკონომიკურ თემაზე გაგვიკეთოს პროგნოზი. გარემოს აღქმის მოდულის ჩართვის შემდეგ, ვკითხოთ, სწორად გვაქვს ტანსაცმლის ფერი შეხამებული თუ არა და ასე შემდეგ.

**– ეს ალბათ, ძალიან შორეული პერსპექტივაა. როდის დაინერგება ახალი პროგრამა პრაქტიკაში?**

– ხელოვნური ინტელექტის თემა არ არის შორეული პერსპექტივა. ყველაფერი იმისთვის ვაკეთებთ, რომ აქამდე მივიდეთ. არსებობს ვაკუუმი, რომელიც უნდა შევავსოთ. თუმცა, ამ გამოგონებაში სახელმწიფოს დიდი თანადგომაა საჭირო. რაც შეეხება ჩემს პროგრამას, მისი დანერგვა პრაქტიკაში დამოკიდებულია იმ ადამიანთა რაოდენობაზე, ვინც იმუშავებს ამ პროგრამის სრულყოფაზე. ჯერჯერობით შემუშავებულია სადემონსტრაციო ვარიანტი – პროგრამას ესმის მხოლოდ ჩემი ხმა, რადგან ამ ეტაპზე ჩემი ხმის აკუსტიკური მოდელია შექმნილი. პროგრამის სრულყოფისთვის საჭიროა ორასი ადამიანის, ქალის, ბავშვის, მოხუცი ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ხმის ათ-ათწუთიანი ჩანაწერი. ეს ხმები და ტექსტი დახარისხდება პროგრამულად, მიებმება მას, რის შედეგადაც მივიღებთ აკუსტიკურ მოდელს. როდესაც მოვახდენთ ხმების კონსოლიდაციას და მივიღებთ უნივერსალურ ხმას, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პროგრამა სრულყოფილია. კომპიუტერი გაიგებს ნებისმიერი ქართულად მოსაუბრე ადამიანის ხმას. მისი გამოყენება შესაძლებელი გახდება ყველა სისტემისთვის, მათ შორის „აიფონებისთვის." ვფიქრობ, განსხვავებული იქნება ამ პროგრამაზე წვდომა კერძო პირებისა და კომპანიებისთვის. ეს პროგრამა მათ გაუიოლებთ სამუშაო რეჟიმს. ძალიან მინდა, პროგრამის სრულყოფაში ჩავრთოთ წარჩინებული სტუდენტები. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რადგან საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი სტუდენტის სურვილი, ჰქონდეს გარემო, რაც მას პროფესიული განვითარების საშუალებას მისცემს.

**თამუნა ნიჟარაძე**

# გაუკეთებენ თუ არა ცნობილი ოლიმპიური ვარსკვლავები მარიამ ქინქლაძის მიერ ამერიკაში გამოშვებულ ენერგეტიკულ სასმელს რეკლამას და ვისზე აპირებს ის ახლო მომავალში დაქორწინებას

*მარიამ ქინქლაძეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ამერიკაში მისი წარმატებული კარიერა 10 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო. თუმცა, მხოლოდ 15 წლის იყო, როცა ამერიკაში პირველად წავიდა სასწავლებლად და მიხვდა, ამ ქვეყანაში უნდა დარჩენილიყო: „15 წლის ვიყავი, როცა გაცვლითი პროგრამით ჩავედი ტეხასის შტატში, სადაც საშუალო სკოლა დავამთავრე. შემდეგ ჩავაბარე ნიუ-იორკის პატარა კოლეჯში, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის. ის რომ დავამთავრე, მერე უკვე სწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში განვაგრძე. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციების მიმდევარი ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა, ქართველები, ამერიკა იმდენად საოცარი ქვეყანაა, შესაძლებლობებით სავსე, რომ გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი. აქ მესწავლა და საკუთარი თავის რეალიზება მომეხდინა... მე ძალიან მიყვარს სპორტი, ასევე, ქველმოქმედებაც – ვიყავი მოხალისე წითელ ჯვარში, „იუნისეფში“, „გაეროში“. უხელფასოდ ვმუშაობდი ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციაში. შევიტანე კოლუმბიის უნივერსიტეტში საბუთები, დამიბარეს ინტერვიუზე და აღნიშნეს, რომ ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა. საინტერესო ქვეყნიდან მოვდიოდი და საინტერესო ცხოვრება მქონდა გავლილი. კოლუმბიის უნივერსიტეტში ბევრი რამ ვისწავლე და დიდი გამოცდილებაც მივიღე. შევისწავლე პოლიტიკური მეცნიერება, ავიღე: ეკონომიკის, ადამიანთა უფლებების დაცვის, ბიზნესის კლასები. კიდევ ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ჰარვარდში, ან კოლუმბიის უნივერსიტეტში უკვე დიპლომატიის განხრით“... მარიამ ქინქლაძის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობა ქველმოქმედებაა. მან დაახლოებით 3 წლის წინ საკუთარი საქველმოქმედო ორგანიზაცია Honor Vitae დაარსა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ქართველი და ეთიოპიელი, მზრუნველობამოკლებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მათ განათლებასა და უფლებების დაცვაზე. მათ დასახმარებლად მარიამმა მეგობრებთან ერთად შარშან ნიუ-იორკში უკვე ჩაატარა საქველმოქმედო ივენთი. შემოსული თანხებით კი ქართველ ბავშვებს დაეხმარნენ. მეორე ივენთი სულ მალე ისევ ნიუ-იორკში გაიმართება, რომლის შესახებ თავად მარიამი გვესაუბრება. თუმცა, მანამდე მინდა, აღვნიშნო, რომ 13 მაისს მარიამი პატარა, უსაყვარლესი ბიჭის დედა გახდა. მე კიდევ ერთხელ ვულოცავ მარიამს ლუკასის დაბადებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ!*



**სასმელი უკვე იყიდება ნიუ-იორკში და ძალიან მალე მას ფართო მასშტაბით გავიტანთ ამერიკის, ევროპისა და სამხრეთ აფრიკის ბაზრებზე**

**მარიამ ქინქლაძე:** ზაფხულში ორი გრანდიოზული ივენთის ჩატარებას ვგეგმავთ. მზადება უკვე დაწყებულია, სავარაუდოდ, ივლისში ჩავატარებთ ნიუ-იორკში, აგვისტოში – ჰემპტონში, ხოლო სექტემბერში – ვაშინგტონში. ივენთის მისია ასეთია – Energize for a good cause, ანუ, როგორც ყოველთვის, ახლაც, ივენთის მიზანი ქველმოქმედებაა. შემოსული თანხით დავეხმარებით მზრუნველობამოკლებულ და კონფლიქტურ ზონაში მოხვედრილ ბავშვებს როგორც საქართველოში, ასევე ეთიოპიაში. რაც შეეხება სტუმრებს, ყველა იქნება, ვინც ჩვენი გულშემატკივარი და დონორია. ასევე, ის ცნობილი სახეები, რომლებიც აქტიურად არიან ქველმოქმედებაში ჩართული. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ვინ მიიღებს ამ ივენთში მონაწილეობას. რაც შეეხება ქართველებს, თუ მათ აქვთ სურვილი, ჩაერთონ ქველმოქმედებაში, ეს ძალიან გაგვიხარდება.

**– გასულ ზამთარში შენ მიერ ორგანიზებული ივენთი – Charity Meets Fashion, საკმაოდ წარმატებული იყო. რაც მთავარია, მასში ქართველები მონაწილეობდნენ და იქ მიღებული თანხით საქართველოში „ჩვენი სახლის“ ბავშვებს დაეხმარეთ.**

– Charity Meets Fashion ივენთი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, წარმატებით განხორციელდა. შემოსული თანხით კი, მოგვეცა საშუალება, დავხმარებოდით საქართველოში მზრუნვებამოკლებულ ბავშვებს, მოხუცებს – რაც ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა. რაც მთავარია, ამ ივენთის შემდეგ დიდი გამოცდილება მივიღე და დარწმუნებული ვარ, შემდეგი ივენთები უფრო წარმატებული იქნება.

**– მინდა, გკითხო შენი ენერგეტიკული სასმლის შესახებ, რომელსაც მთელ მსოფლიოში ანალოგი არ აქვს და რომლის სარეკლამო კამპანია ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე“ უნდა მომხდარიყო. მახსოვს, მიყვებოდი, რომ ამ ენერგეტიკული სასმლის წარმოების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ ქველმოქმედებააო. რა ეტაპზეა ის, უკვე იყიდება? სასმლის სარეკლმაო კამპანიაში თუ მიიღებენ ცნობილი სახეები მონაწილეობას?**

– რაც შეეხება ჩემს ენერგეტიკულ სასმელ Guarna energy-ს, მისი პრეზენტაცია იყო „ფეშენ-ვიქზე“. ეს პირველი ენერგეტიკული სასმელია, რომელიც დამზადებულია 100 პროცენტით ქოქოსის წყალზე და როგორც აღნიშნეთ, მთელ მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. პრეზენტაციამ საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა. „ფეშენ-ვიქზე“ მოპატიჟებული ყველა სტუმარი მისი დეგუსტაციის შემდეგ აღფრთოვანებული დარჩა. ჩვენი სასმლის შესახებ ნიუ-იორკის მედიაც ალაპარაკდა. დაიბეჭდა უამრავი სტატია, მათ შორის ერთ-ერთი – ცნობილ ჟურნალ In Touch-ში. სასმელი უკვე იყიდება ნიუ-იორკში და ძალიან მალე მას ფართო მასშტაბით გავიტანთ ამერიკის, ევროპისა და სამხრეთ აფრიკის ბაზრებზე. რაც შეეხება ენერგეტიკული სასმლის სარეკლამო სახეს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ვინ გაუწევს რეკლამირებას. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს ორ ყველაზე ცნობილ ოლიმპიურ ვარსკვლავთან. ეს როგორც კი გადაწყდება, მაშინვე თქვენ გაცნობებთ ექსკლუზიურად. ჩემი სასმლის წარმოების მიზანი ისევ და ისევ ქველმოქმედებაა. ამიტომაც, გაყიდული სასმლით შემოსული თანხის დიდი პროცენტი სწორედ ქველმოქმედებას მოხმარდება. ჩვენი სასმლის მომხმარებლები არა მხოლოდ აირჩევენ „Healthy Life style“-ს, აგრეთვე, ჩართული იქნებიან ქველმოქმედებაში და დაეხმარებიან მათ, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ.

**– საქართველოში შენი საქველმოქმედო კომპანია Honor vitae-ის ფილიალი აქტიურ საქმიანობას ეწევა ქველმოქმედების კუთხით. ამჟამად, მას რა გეგმები აქვს?**

– საქართველოში Honor vitae-ის ფილიალი ყოველ თვე საკმაოდ ბევრ პროექტს ახორციელებს. ჩვენ ვეხმარებით არა მხოლოდ ბავშვებს, ასევე მრავალსულიან ოჯახებს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც სჭირდება ჩვენი გვერდში დგომა. სააღდგომოდ Honor vitae-მ ავტომუსში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს მოულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული – პასკით, კვერცხებითა და სხვა საკვები პროდუქტებით. ასევე, ახალი ფეხსაცმელები გადაეცათ თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ვაგონებში მცხოვრებ უსახლკაროებს გადასცეს საოჯახო მოხმარების სხვადასხვა საგანი: ლეიბები, ქვაბები, ჩაიდანი, წყლისა და სარეცხისთვის აუცილებელი ჭურჭელი, პირსახოცები, უთო და ასე შემდეგ. Honor vitae Branch in Georgia საქართველოში სისტემატურად ახორციელებს ასეთი ტიპის პროექტებს.



**– შენი საქმიანობიდან გამომდინარე, გიწევს მოგზაურობა, საქმიან შეხვედრებზე სიარული. ამ მხრივ რა სიახლეებია?**

– თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველთვის ვახერხებ ვესტუმრო ჩემს საყვარელ ადგილებს და მეგობრებთან ერთად გავატარო დრო. ზაფხულს ძირითადად ჰემპტონში ვატარებ, რომელიც ნიუ-იორკიდან 2 საათის სავალზეა. ძალიან მიყვარს იქ ყოფნა. ასევე, მიწევს, მივიდე უამრავ ივენთზე, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებებზე, „ფეშენ-ვიქებზე“. რაც შეეხება მოგზაურობას, ჩემი გადატვირთული გრაფიკის გამო, ხშირად ვერ ვახერხებ. თუმცა, სულ ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ვიმოგზაურო. ბოლოს ჩემი საქმის, ბიზნესის გამო, გაიანაში მომიწია მოგზაურობა. შევხვდი პრეზიდენტს. ჩვენმა შეხვედრამ წარმატებულად ჩაიარა. ჩვენ შორის შედგა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ გავაკეთოთ ქოქოსის დისტრიბუცია. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი სასმელი სწორედ ქოქოსისგან მზადდება. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემი საყვარელი ქვეყანა საბერძნეთია და ამ ქვეყნის სიყვარულის დიდი მიზეზიც მაქვს – ჩემი ქმარი და ჩემი შვილის მამა საბერძნეთიდან არის.

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

ნინო შავგულიძისა და ირაკლი შერმაზანაშვილის ტელედუეტს კარგად იცნობენ „TV 11-ის" მაყურებლები. უფრო მეტიც, გულშემატკივრობენ და უყვართ. ჩემს შთაბეჭდილებას თუ ენდობით, ისინი საკმაოდ გვანან თავის ტელედუეტის პერსონაჟებს. ირაკლი სიტყვაძუნწი და კონკრეტულია, ნინო კი გაცილებით ლაღი და ირაკლის საპირისპირო. თუ როდის დაიწყო მათი მეგობრობა, რაზე ჩხუბობენ და როგორია მათი პირადი ცხოვრება ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

# როგორ აბარებს ირაკლი შერმაზანაშვილი გამოცდებს „ქლაბ 11-ის" ისტორიებით და ვისთან აგებს ნინო შავგულიძე „ჯეირანს"

**– „TV 11-მა" დაგამეგობრათ თუ მანამდეც იცნობდით ერთმანეთს?**

**ნინო**: მე და ირაკლი „TV 11-მა" დაგვამეგობრა, მანამდე ერთმანეთს არ ვიცნობდით. როდესაც ეს არხი გაიხსნა და წამოვიდა იდეა, ყოფილიყო გოგო, რომელიც იმღერებდა საკუთარ თავზე, მოიყვანეს ირაკლი შერმაზანაშვილი, რომ მუსიკა დაეწერა ამ სიმღერებისთვის. მართლაც, რამდენიმე ნომერი ჩავწერეთ და აღმოჩნდა, რომ მე კარგად ვერ ვუკრავდი გიტარაზე. ჩაწერის დროს, ნერვიულობაც რომ ემატებოდა, გიტარაზე დაკვრა და პლუს სიმღერა – ამდენი დატვირთვით ვერ ვიმუშავე. დღემდე ვნერვიულობ სანამ სკეტჩი დაიწყება და აუდიტორიის წინაშე გავალთ, მაგრამ მაშინ – განსაკუთრებით ვნერვიულობდი. მერე, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, მიხვდნენ, რომ ეს ბიჭი სასცენოა. სცენისთვისაა დაბადებული, თავისი ხუჭუჭებით და თავისი ამბებით. გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა დუეტი. ირაკლი არ მღერის, აკომპანირებას მიწევს, მაგრამ მაინც დუეტური სახე აქვს ჩვენს ნომრებს. თვითონაც მონაწილე ხდება ამ სიმღერის, ყველა სიმღერაზე მოფიქრებული გვაქვს სიუჟეტი ირაკლისთან – ჩემი და ირაკლის ურთიერთობის.

**– მორჩილი ბიჭის იმიჯი აქვს ამ სკეტჩებში. სინამდვილეში როგორია?**

– სინამდვილეში მობეზრდა ჩემი სიმღერები, სულ უკმაყოფილოა და უნდა, რომ თავისი როკი დაუკრას.

**ირაკლი**: როკი არა – როკენროლი!

**– ირაკლი „TV 11-ში" როგორ აღმოჩნდი?**

– ქართული სიმღერები გადააკეთეს სიმებიანი კვარტეტისთვის და ამ სიმღერების არანჟირება მე გავაკეთე. ამის შემდეგ დასჭირდათ პიროვნება, ვინც გიტარაზე დაუკრავდა, ჰოდა, ბარემ იქ ვიყავი და შორს აღარ მოძებნეს.

**– ეს იგი, საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდი. როდესმე წარმოიდგენდი, რომ სცენაზე აღმოჩნდებოდი ასეთ ლამაზ გოგოსთან ერთად?**

– სცენაზე სულ ვიდექი, მაგრამ იუმორისტულ შოუში რომ აღმოვჩნდებოდი, ვერ წარმოვიდგენდი.

**ნინო**: ირაკლი დირიჟორი გვყავს. ამიტომ, სცენაზე ხშირად უწევს გამოსვლა. კონცერტებსაც ატარებს და არის ერთ ამბავში.

**– ფრაკითაც დადის?**

**ირაკლი**: ფრაკით არა, ორკესტრის დირიჟორი არ ვარ, აკადემიური გუნდის დირიჟორობას ვსწავლობ, ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი ვარ.

**– კონსერვატორიაში ჩაბარებით ბავშვობის ოცნება აიხდინე?**

– არა პირიქით ***(იცინის).***

**ნინო**: პირიქით როგორ, სადაც გძულდა, იქ მიხვედი? ***(იცინის).***

**ირაკლი**: თავიდან ფორტეპიანოზე ვუკრავდი, მერე შემზიზღდა.

**– რატომ?**

– მუსიკალური სკოლის გამო, სულ მეჩხუბებოდნენ. ვალდორფის სკოლა დავამთავრე და ამ სკოლაში ეწყობოდა ხოლმე საღამოები. სწორედ მაშინ, მე თვითონ მომინდა სხვა ინსტრუმენტების სწავლა და ჩემით ვისწავლე. ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მუსიკას გავყოლოდი და დირიჟორობა ავირჩიე, საორკესტრო – არა, საგუნდო. მერე გავაგრძელებ საორკესტროზე.

**ნონო**: ირაკლი უკრავს აბსოლუტურად ყველა ინსტრუმენტზე, რაც კი შეიძლება რომ არსებობდეს. ძალიან ნიჭიერი ბიჭი გვყავს.

**– ირაკლი, მართლა ნერვებს გიშლის ნინო, თუ მხოლოდ სცენარის მიხედვით?**

**ირაკლი**: ნინო, რეალურ ცხოვრებაში არ მიშლის ნერვებს.

**ნინო**: ნუ იტყუები! სულ ნერვებს ვუშლი და სულ ნერვებს მიშლის თვითონაც ***(იცინის).*** სულ ვჩხუბობთ, უფრო სწორად ვკამათობთ.

**– რაზე კამათობთ?**

– რომელიმე მელოდიას მოგვაწოდებენ და დაგვიწერენ. სხვათა შორის, დათო გოგიჩაიშვილის დამსახურებაა, რომ თითქმის ყველა მელოდია გამართული, კარგად მოსასმენი და ასათვისებელია. ის გვეხმარება მელოდიის დაწერაშიც სხვადასხვა სიმღერაზე. ახლა, ორ დღეში რასაც ჩავწერთ, ირაკლის დაწერილი იქნება. საერთოდ, გუნდური მუშაობა მიმდინარეობს ამ პროექტზე. ამ პროცესში, ირაკლი ცდილობს,კლასიკურად დაუკრას. ვეუბნები, არ არის ეს საჭირო. პრიმიტიული მუსიკა უნდა ამ სიმღერას, რომ ადვილად მივიდეს მსმენელამდე.

**ირაკლი**: კლასიკა არა, – როკენროლი.

**ნინო**: ჰო, მე კლასიკას ვეძახი ***(იცინის).*** რაღაცეებს ცდილობს ხოლმე: ჯლინკი-რიკირი, ჯლინკი-რიკირი... ამაზე არის ერთი ამბავი, გაწევ-გამოწევა.



**ნინო: „ჩემზე წერდნენ, ისე ამ გოგოს კი აქვს ცხვირი ნიკოფსიიდან-დარუბანდამდეო"**

**– საბოლოო ჯამში, ვინ იმარჯვებს?**

– საბოლოო ჯამში, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ავაგდებთ მონეტას „არიოლი" თუ „რეშკას", ან „ჯეირანს" ვითამაშებთ და ვინც გაიმარჯვებს, მოგებულიც ისაა ამ დავაშიც.

**– მე, კი რატომღაც მეგონა, ნინო იმარჯვებდა ხოლმე?**

**ირაკლი**: არა, თამაშებში მე ვარ მაგარი.

**ნინო**: შესაბამისად, ძირითადად, ირაკლი იგებს.

**– პირად ცხოვრებაზე რას მიამბობთ?**

**ირაკლი**: მე მყავს ცოლი და 4 თვის შვილი, რომელიც 25 დეკემბერს, – შობას დაიბადა.

**ნინო**: ირაკლი თავისთავზე არ ილაპარაკებს ბევრს და ამიტომ, მე ვიტყვი. ცხოვრობს მარტო, მეუღლესთან ერთად. ერთად ზრდიან ბავშვს. ხანდახან თუ დავურეკავთ, გვეტყვის, რომ ბავშვს ასეირნებს და არ სცალია სარეპეტიციოდ. სახლში ეჩქარება საღამოობით, რადგან ბავშვი უნდა აბანაოს და ასე შემდეგ. ძალიან კარგი მეოჯახე ბიჭია. რაც მთავარია, ერთგულია და უყვარს თავისი ოჯახი.

**– ნინო, ირაკლის პირადული რომ ჩამომირაკრაკე, შენთან რა ხდება?**

– ჩემი ყველა თანაკურსელი გოგო გათხოვდა და „დაჟე" ერთი ბიჭიც... მე რა ჯანდაბა მჭირს, არ ვიცი ***(იცინის).*** არაფერიც არ ხდება, ვცხოვრობ ასე...

**– და ელოდები უფლისწულს?**

– არა, უფლისწულს არ ველოდები... არც კამაზის მძღოლს... მარტო ვარ. ამ ეტაპზე ასე ვარ.

**– ირაკლი, როგორ აფასებს მეუღლე შენს ტელეიმიჯს?**

**ირაკლი**: მოსწონს ძალიან.

**ნინო**: ირაკლის მეუღლე – თეკლა, ჩვენი დიდი ქომაგია როგორც ამას ვატყობ სოციალური ქსელიდან.

**– სოციალური ქსელი ვახსენეთ და დავინტერესდები, რას გწერენ მაყურებლები, როგორ გაფასებენ?**

– ერთ დღესაც ჩვენი ერთი სიმღერა, კერძოდ: „პამ-პა-რამ-პამ-პამ" ჰქონდა გაზიარებული რომელიღაცა გვერდს და ირაკლიმ მომწერა: ერთი, ამათი კომენტარები წაიკითხეო. იყო ათასობით კომენტარი: წავიკითხე, ჩავყევი, ყველა დადებით შეფასებას წერდა. ბოლოსკენ ერთი-ორი გამოერია არადადებითიც ***(იცინის).***

**– რაო, რას წერდნენ?**

– ჩემზე წერდნენ: ისე, ამ გოგოს კი აქვს ცხვირი ნიკოფსიიდან დარუბანდამდეო ***(იცინის).*** ძალიან ბევრი ვიცინეთ.

**ირაკლი**: მე, კომენტარებში ბუჩქს მეძახიან.

**ნინო**: ამ ყველაფერზე ვიხალისეთ და არა გვქონია არანაირი ბრაზი.

**– სახალისო და მხიარული სიმღერები გაქვთ.**

– პირველი სიმღერა, გათხოვება რომ უნდა ჩემს პერსონაჟს; მერე, რომ გათხოვდა უკვე და არის „პამ-პა-რამ-პამ-პამ". შემდეგ, გათხოვილია და კვლავ კაცებს შორის არჩევანს აკეთებს. ახლა უნდა ჩავწეროთ სიმღერა ირაკლიზე, რაც კიდევ არანაკლებ სახალისო იქნება.

**– ჩაწერებზე რა ხდება სტუდიაში?**

– ჩაწერა ფანტასტიკური პროცესია. ორ კვირაში ერთხელ გვაქვს ჩაწერები – ყოველ მეორე ორშაბათს. ისეთი სიცილი და ამბავია, ისეთი კმაყოფილია ხალხი, რომ ორი კვირით ადრე თუ არ ჩაეწერე დასასწრებად, შანსი არ გაქვს, მოხვდე.

**– არც მიკვირს, ისეთი პოპულარულები ხართ. ირაკლი, კონსერვატორიის ლექტორებმა რომ ნახეს შენი ტელეშემოქმედება, როგორ შეგაფასეს?**

**ირაკლი**: სხვათა შორის, გამომადგა გამოცდაზე დიდი კომისია როცა იჯდა. გამოცდაზე ასეა: დაუკრავ, იდირიჟორებ, ხმებში იმღერებ და ბოლოს 15 წუთი უნდა ილაპარაკო კონკრეტულ კომპოზიციასა და კომპოზიტორზე. არ ვიყავი კარგად მომზადებული. თურმე, ერთ ლექტორს თვალი მოუკრავს ჩემთვის ეკრანზე და მისი პირველივე კითხვიდან აგორდა თემა. მთელი 15 წუთი გავიყვანეთ ამაში და გამოცდიდან გამოვედი ბედნიერი.

**ნინო**: იცნეს და გამოცდის მაგივრად ჩაატარა „ქლაბ 11-ის" ისტორიები.

**ირაკლი**: კიდევ ავტოსტოპზეც გამომადგა. ადრე, არ დავდიოდი, რადგან თუ ცოლთან ერთად არ ვიყავი, არ მიჩერებდნენ, ახლა – მიჩერებენ.

**ნინო**: ახლა, ცნობენ. შენ ის არა ხარ, ის ბუჩქიო – ეკითხებიან ***(იცინის).***

**– ძალიან კარგი დუეტი გაქვთ. ახალ პროქტზე ხომ არ ფიქრობთ?**

**ირაკლი**: გვაქვს რაღაც იდეები, რომლებსაც ნელ-ნელა შემოგთავაზებთ.

**ეკა სალაღაია**

# ხდება თუ არა ცოლის მორჩილი ხასიათი მისი წარუმატებლობისა და უიღბლობის მიზეზი



**სტერეოტიპი, რომ ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყოს, დღესაც ძალიან აქტუალურია და მამაკაცების უმრავლესობა სიამოვნებით იყოლიებდა ასეთ მეუღლეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ქალის მორჩილება კაცისთვის სერიოზული კომფორტია. თუმცა, არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, ან შეიძლება, მოგეჩვენოთ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ნებაყოფლობითი მორჩილების შემთხვევაშიც კი, ქალს სერიოზული დისკომფორტი ექმნება. რაც, რაღაც პერიოდის შემდეგ მას ხასიათს მთლიანად უცვლის, რა თქმა უნდა, უარესობისკენ. უგროვდება აგრესია, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად პოულობს გამოსავალს და საკმაო პრობლემებს უქმნის როგორც მას, ასევე მისი ოჯახის წევრებსაც.**

**ლილიანა** *(31 წლის)*: ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ერთმანეთის პატივისცემა საერთოდ არ იყო მიღებული. დედაჩემი მამაჩემს არაფრად აგდებდა. ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა, გაოგნებული ვიყავი, როგორ ითმენდა ამ ყველაფერს მამაჩემი. ასევე, ხშირად იმეორებდა, სახლიც და ოჯახიც ჩემს კისერზეა, მე რომ არ ვიყო, ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა. რა გეშველებათ, თქვე უბედურებო, მამათქვენი ხომ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს, იმის უნარიც არა აქვს, თქვენზე ელემენტარულად იზრუნოსო. მოკლედ, ხან ვბრაზობდი მამამაჩემზე, ხან მეცოდებოდა. დედაჩემი დილიდან იწყებდა მამასთან ჩხუბს და ყველა მისი ნაკლის ჩამოთვლას. საკმარისი იყო, რაღაც ისე ვერ გაეკეთებინა, რომ მასშტაბური სკანდალი გამოწერილი ჰქონდა. ჯერ მიკვირდა, რატომ ცხოვრობს ასეთ ქალთან-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, მართლა ძალიან დამოკიდებული იყო დედაჩემზე. მხოლოდ ერთი-ორჯერ გასცა პასუხი და მგონი, ისიც ინანა. როცა გავიზარდე, გავიგე, რომ მამაჩემს მთელი ცხოვრება ჰყავდა სხვა ქალი. ეს სიჩუმე მისი ტაქტიკა იყო. მომგებიანი და მისთვის სასარგებლო.

**– იმიტომაც გადაწყვიტეთ, რომ თქვენ მორჩილი ცოლი უნდა ყოფილიყავით?**

– გადავწყვიტე – ასე არ ყოფილა. უბრალოდ, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჩემი ოჯახი სკანდალების გარეშე იქნებოდა – მშვიდი და ბედნიერი. სურვილი მქონდა, ქმრის პრიორიტეტულობა მეღიარებინა. მისი ძლიერი მხრის მფარველობის ქვეშ ვყოფილიყავი უპრეტენზიოდ შეფარებული. არ ვარ იმ ტიპის ქალი, პირველობა რომ უნდათ. მგონი, არც ისე ბევრია ისეთი ქალი, პირველობა რომ უნდოდეს. არიან, თუმცა, შეიძლება, ეს სურვილი მოგვიანებით უჩნდებათ, კაცის უნიათობით გამწარებულებს. სამწუხაროდ, სწორედ ეს რეალობა გვაქვს და არ გვინდა, დავინახოთ.

**– დედათქვენი რატომ არ ეყრებოდა ასეთ უვარგის ქმარს?**

– სიმართლე გითხრათ, ზუსტი პასუხი არ მაქვს. ვფიქრობ, არ უნდოდა, განქორწინებულის სტატუსი ჰქონოდა. თორემ, ნამდვილად არაფერში სჭირდებოდა. კარგი შემოსავალიც ჰქონდა და არც სუსტი ქალი იყო. გულახდილად რომ გითხრათ, მერჩივნა, გაცილებოდნენ ერთმანეთს, იმდენად მძიმე საყურებელი იყო მათი ურთიერთობა. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ასეთი ოჯახი მე არასოდეს მექნებოდა. ანუ, იმაში, თუ როგორ აეწყო ჩემი ცხოვრება მომავალში, ლომის წილი ჩემი მშობლების ურთიერთობას მიუძღვის.

**– შეიძლებოდა, სხვაგვარად ყოფილიყო ყველაფერი?**

– იცით, ახლა დარწმუნებით რამის თქმა ძნელია, თუმცა ვფიქრობ, რომ – კი. საკმაოდ

> **მამაკაცი უნდა იყოს ოჯახში უფროსი-მეთქი, ვამბობდი და დამცინოდნენ – მგეთი ლოგიკით ცუდად დაამთავრებო**

ადრე გავთხოვდი. მინდოდა, მალე დამეღწია თავი იმ ჯოჯოხეთისთვის, რომელიც ოჯახში მქონდა. მაგრამ, ეს ძალიან ცუდი გამოსავალი იყო, რადგან არ ვიყავი მზად ცოლქმრული ურთიერთობისთვის. არ მქონდა არც ნაფიქრი და არც გააზრებული, როგორი უნდა ყოფილიყო ის. ჩემი მშობლების მსგავსი რომ არ მინდოდა, მხოლოდ ამაში ვიყავი დარწმუნებული. ამიტომაც, ეს ჩემი შეცდომა იყო, როცა პრიორიტეტი მორჩილებას მივანიჭე. დედაჩემი კი მარიგებდა, ქმარი მაგრად უნდა გეჭიროს ხელში და გასაქანი არ მისცე, თუ თავი აიშვა, მერე ყველაფერს გაკადრებსო. მაგრამ, მე არ ვეთანხმებოდი და სულ ვჩხუბობდით ამაზე. მამაკაცი უნდა იყოს ოჯახში უფროსი-მეთქი, ვამბობდი და დამცინოდა. მაგ ლოგიკით, ძალიან ცუდად დაამთავრებო. გადავწყვიტე, დედაჩემი სულ უფრო იშვიათად მენახა. პირველი წელი ყველაფერი კარგად იყო... პრინციპში, მეორეც... მაქსიმალურად ვცდილობდი, ქმართან კონფლიქტი არ მქონოდა. ყველაფერზე ვეთანხმებოდი და ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც მას უნდოდა. მართლა ძალიან მორჩილი ცოლი ვიყავი. საკუთარი თავი დავივიწყე და მისით ვცხოვრობდი. არ მიჭირდა, იმიტომ, რომ მიმაჩნდა, სწორად ვიქცეოდი. მაგრამ, ნელ-ნელა ჩემი ქმარი შეიცვალა... რაც მეტს ვუკეთებდი, უფრო მეტად უკმაყოფილო იყო. სახლში ერთპიროვნულ ლიდერად იქცა და ამით ტკბებოდა. არასდროს ვეკამათებოდი, არ ვაწყვეტინებდი ლაპარაკს, არ ვახვევდი თავზე ჩემს აზრს... ეს მისთვის სრული კომფორტი გახლდათ. მეგობრებში ტრაბახობდა, ჩემზე მორჩილი ცოლი არავის ჰყავსო. მე, ყველას, ჩემს მეგობრებს ვგულისხმობ, ვეუბნებოდი იმას, რომ ქალმა ქმარზე ხმა არ უნდა აიმაღლოს, არ უნდა გალანძღოს და არ უნდა დაამციროს-მეთქი.

**– თქვენი მეგობრებიც არ გეთანხმებოდნენ?**

– არა, რა თქმა უნდა. ელიმებოდათ. კაცს არც უნდა ენდო და არც მორჩილება ანახვოო. მერე დაუსჯელობის სინდრომი უჩნდებათ და ყველაფერზე მიდიანო. თუმცა, მე მიხაროდა ასეთი ურთიერთობა რომ მქონდა ქმართან. თავიდან ანგელოზს მეძახდა და მეფერებოდა. იდეალური ხარო – ეს ძალიან დიდი სტიმული იყო... მერე კი... ჩემმა ქმარმა აიშვა... საკმარისი იყო, უმნიშვნელოდ დაგვიანებულიყო მისი განკარგულების შესრულება, სკანდალს ტეხდა. ანგელოზს აღარ მეძახდა და სულ ბუზღუნებდა: ქალს ორი-სამი თავი სადილი როგორ არ უნდა ჰქონდეს სახლშიო. სამსახურიდან მოსვლას აგვიანებდა და მიზეზს არც მეუბნებოდა – ამის ღირსად არ მიმიჩნევდა. ჩემში პიროვნებას ველარ ხედავდა, მით უმეტეს, ანგარიშგასაწევ პიროვნებას. დარწმუნებული იყო, არასოდეს, არაფერზე გავუწევდი წინააღმდეგობას.

**– ანუ, თქვენ გიჭირდათ მორჩილება. ეს არ იყო ბუნებრივი თქვენი მხრიდან, ხომ ასეა?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება, ვინმეს ჰგონია, მორჩილება, მით უმეტეს, მორჩილი ცოლობა, ადვილია. ღმერთმა იცის, რის ფასად მიჯდებოდა ზოგჯერ გაჩუმება.

**– რატომ იწვალებდით თავს?**

– იმიტომ რომ, მშვიდი, ბედნიერი ცხოვრება მინდოდა. ახლა ეს ყველაფერი პარადოქსულად ჟღერს. თუმცა, შეიძლება, არსებობენ ისეთი კაცებიც, რომელთაც ცოლის მორჩილება თავში არ უვარდებათ და მერე დიქტატორობის სურვილი არ უჩნდებათ. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი არ გამოდგა ასეთი... უკვე მიჭირდა, მის მბრძანებლურ ტონთან შეგუება. ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტდა. იმასაც კი, რა უნდა ჩამეცვა და როგორი ვარცხნილობა მქონოდა.

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# რა სიხარული ეწვია თბილისში მცხოვრებ ბებიას და ვინ ეძებდა მას ბელორუსიიდან საქართველოში

***72 წლის რიმა ნიკოლოზის ასული კრუკი ეძებდა 65 წლის დინა რომუალდის ასულ ლაშუკევიჩს (ქალიშვილობის გვარი) და ქეთინოს (ასაკი და გვარი უცნობია).***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ბიძაშვილს (დედის ძმის შვილს, 65 წლის დინა რომუალდის ასულ ლაშუკევიჩს (ქალიშვილობის გვარი) და მის შვილს – ქეთინოს (ასაკი და გვარი უცნობია). სამწუხაროდ, არც ბიძა მყავს ცოცხალი და არც დედა, თუმცა, ნათესავების მოძებნა ძალიან მინდა. მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, მაქვს მათი ფოტოები. იმედია, მათ პოვნაში დამეხმარებით. თავად მე, ბელორუსიაში, ქალაქ მინსკში ვცხოვრობ და თქვენი იმედიღა დამრჩა.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია ჩვენმა მკითხველმა ამა წლის №13 (31.03.14) ნომრიდან იცის. რიმა ნიკოლოზის ასული კრუკის იმედის გამართლება შევძელით – მის ნათესავებს მივაგენით, დანარჩენს კი მკითხველი სტატიიდან თავად შეიტყობს.

***ინტერვიუ რიმა კრუკთან***

**– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ საქართველოში მცხოვრები ნათესავები იპოვეთ?**

– ენით აუწერელი სიხარული და ბედნიერება განვიცადე, როდესაც გავიგე, რომ თქვენ ისინი მაპოვნინეთ. თქვენი და თქვენი ჟურნალის დიდი მადლობელი ვარ ამ სიხარულისთვის. სიმართლე გითხრათ, არც მე და არც ჩემ ირგვლივ მყოფთ არ გვეგონა, რომ ასეთ მოკლე დროში ნათესავებს ერთმანეთს გვაპოვნინებდით და დაგვაკავშირებდით. როგორც უკვე გითხარით, არც დედა მყავს ცოცხალი და აღარც ბიძა, ამიტომ, საქართველოში მცხოვრები დინასა და ქეთინოს პოვნას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რომ არა თქვენი ყურადღება დაკარგულთა ისტორიების მიმართ, ჩემი ისტორიაც აქამდე უპასუხოდ დარჩებოდა. ვინც კი მინსკში ეს ამბავი გაიგო, ყველა გაოცებულია იმით, რომ ამდენი წლის შემდეგ ასე „იოლად“ ვიპოვე ნათესავები. მთელი ჩემი ოჯახის სახელით დიდ მადლობას გიხდით ამისათვის. ამჟამად ჩვენ შორის კავშირი აღდგენილია, მეც და ისინიც ბედნიერები ვართ.

**– აპირებთ თუ არა შეხვედრას ერთმანეთთან?**

– ამის დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ, არ ვიცი, როგორ გამოგვივა, რადგან, ტერიტორიულად ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან. ყოველი შემთხვევისთვის, ერთმანეთთან სატელეფონო კავშირი სულ გვექნება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ჩვენ რომც ვერ მოვახერხოთ შეხვედრა, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ექნებათ ამის შანსი.



***ინტერვიუს 30 წლის ანგელინა რომანაშვილთან (დინას შვილიშვილი და ქეთინოს შვილი):***

**– პირველი ჩემს სტატიას სწორედ შენ გამოეხმაურე, ესე იგი, პირველმა შენ წაიკითხე ეს ისტორია. მოგვიყევი, მერე რა მოხდა ოჯახში?**

– სრულიად შემთხვევით წავიკითხე ის ნომერი, რომელშიც ბელორუსიაში მცხოვრები ჩვენი ნათესავები ჩემს ბებიასა და დედას ეძებდნენ. იმწამსვე მოვუყევი დინას და დედას – ბებო, მგონი, შენ გეძებენ-მეთქი. ბებიას ისე გაუხარდა, კინაღამ გადაირია. ყველას გადაგვედო მისი ემოცია. ბებია მინსკში 19 წლის ასაკის შემდეგ აღარ ყოფილა და არც თავისი ნათესავები აღარ უნახავს. ბუნებრივია, ძალიან გაუხარდა, რომ მას ეძებდნენ. რა თქმა უნდა, ამ ამბის გაგონების შემდეგ ბებიამ გაიხსენა ყველაფერი. თავისი ახალგაზრდობა და ძალიან კარგ გუნებაზე დადგა. დედასაც უხაროდა, რომ ამდენი წლის შემდეგ, ბელორუსიაში მცხოვრებ ნათესავებს ახსოვთ ჩვენი ოჯახი და ჩვენი პოვნა უნდათ. ბებია ისეთი გახარებული იყო, რომ ჟურნალის იმ ნომერს ხელიდან არ უშვებდა და ყველას უყვებოდა ამ ამბავს. მინდა, თქვენს ყველა ერთგულ მკითხველს ვუსურვო ასეთი სიხარული, რაც ახლა ჩვენს ოჯახში ტრიალებს. მე დაბადებული არ ვიყავი მაშინ, როდესაც მათ დაკარგეს ერთმანეთი, მაგრამ ბელორუსიაში დინას ნათესავები რომ ჰყავდა, ამის შესახებ არაერთხელ მსმენია. ყოველთვის მაინტერესებდა ის ხალხი. ამჟამად მომეცა საშუალება, რომ მეც გავეცნო მათ და, ასე ვთქვათ, ახალი ნათესაობა შევიძინო.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

მეგობრის დაბადების დღეზე არ გამიშვა და არც ამაზე მითქვამს რამე. უამრავი წყენა „ჩავყლაპე“... თუმცა ვხვდებოდი, თუ ერთხელ ველარ გავუძლებდი და ამოვხეთქავდი, მერე ისევ მორჩილი ცოლის „ტყავში“ დაბრუნება, შეუძლებელი იქნებოდა. ერთ საღამოს, ზუსტად ორი წლის წინ ხდება ეს ამბავი – ჩემი ქმარი ცოტა დაძაბული და ჩაფიქრებ-

## მეგობრებში ტრაბახობდა, ჩემზე მორჩილი ცოლი არავის ჰყავსო. არ ვეკამათებოდი, საკუთარ აზრს თავზე არ ვახვევდი... რით დამიფასა...

ული მომეჩვენა. ადამიანი რაღაც ძალიან სერიოზული საუბრისთვის რომ ემზადება, ისეთი. უცებ გადაწყვიტა და მეუბნება: ცოტა ხანი ცალ-ცალკე უნდა ვიცხოვროთ. მგონი, ჩვენ ერთმანეთისგან დავიღალეთ, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად დავიღალე. შენ ჭკვიანი ქალი ხარ და ხმის ამოუღებლად დამთანხმდები ამაზეო. მეგონა, მეხი ჩამოვარდა და თავზე დამეცა. გამიკვირდა, რომ ძლიერი გრუხუნის ხმა ვერ გავიგონე. რამდენიმე წუთი დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ამ ამბავში მესამე იყო გარეული... ენა ძლივს მოვიბრუნე და ვკითხე: რითია ის ჩემზე უკეთესი. მე ხომ იდეალური და მორჩილი ცოლი ვიყავი-მეთქი. სწორედ მაგან დამღალა. ჩემთვის ძალიან უინტერესო გახდიო. მეც არ ვიცი, როგორ მოვიქნიე ხელი და საშინელი სილა გავაწანი. აი, რით დამიფასა მორჩილება. ვიბრძოდი იმისთვის, ჩემი აზრი და სურვილები ჩამეკლა, რომ ქმრისთვის მესიამოვნებინა და უცებ ეს ყველაფერი ბუმერანგად შემომიბრუნდა უკან. მე ვყოფილვარ „მკვდარი სული“, უინტერესო, უფერული არსება, რომელიც არსებობს თუ არა, ესეც კი გაუგებარია... იმიტომ რომ, საკუთარი აზრი არ გამაჩნია და ჩემთან შეუძლებელია რაიმეზე ლაპარაკი, კამათი... ძალლივით შევციცინებ ქმარს თვალებში და ყველაფერს ვპატიობ... რაც ამ წლების განმავლობაში ბოლმა და აგრესია დამიგროვდა, ყველაფრის პატიება შემიძლია. ისეთი „ჩავუტარე“, გაშტერებული მიყურებდა. ცოცხალი ემოციები სჭირდებოდა და მიიღო. გავაოგნე. სულ სხვა ქალი დაინახა.

**– მოეწონა?**

– კი. მითხრა, სულ ამას ველოდი შენგან ამ წლების განმავლობაშიო... და აღარსად წასულა. ორივე შევთანხმდით, რომ ერთმანეთს კიდევ ერთ შანსს მივცემდით. ახლა აღარ ვთამაშობ მორჩილი ცოლის როლს. ყველაფერი ყირამალა დავაყენე და უკვე იმას ვაკეთებ, რაც მართლა მინდა. კამათი, ჩხუბი, ხმამაღალი ლაპარაკი გაგვიხშირდა. მაგრამ, ეს პრობლემა არ არის. დედაჩემი, რაღაც დოზით, მართალი ყოფილა. არ სჭირდებათ კაცებს მორჩილი ცოლები – ეს რეალობაა!

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმარი ძალიან უცნაურად იქცევა. ერთად ვცხოვრობთ, თუმცა ჯერ ურთიერთობა არ გაგვიოფიციალურებია. სახლში როცა ვარ, ცოლს მეძახის, მაგრამ მეგობრებში ასე არ მომმართავს. თითქოს მისი „გერლფრენდი“ ვიყო და მეტი არაფერი. რას ნიშნავს ეს, ჩვენს ურთიერთობას სერიოზულად არ აღიქვამს?!**

**გამოხმაურება**: თქვენ ფიქრობთ, რომ სიტყვები ასეთი მნიშვნელოვანია? იქნებ ცდებით? შეიძლება, თქვენს რჩეულს, უბრალოდ, არ მოსწონს სიტყვა „ცოლი“ და ამით თქვენს ურთიერთობას არ აკნინებს, არ აუბრალოებს. მოკლედ, სანამ გაბრაზდებით, კარგად ჩაუღრმავდით მიზეზებს. შეეცადეთ, გაუგოთ მას და ვფიქრობ, პრობლემა მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როხაქიძე**

**სულ ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გაჩნდა, ვიდეოინფორმაცია, რომელიც იუწყებოდა, რომ კოტე თოლორდავა სასტიკად აწამეს like-ების გამო... მტერს არ ვუსურვებ, ისეთი ნაცემ-ნაბეგვი იყო ამ ვიდეოში ცნობილი ქართველი მსახიობი. უფრო სწორად, მისი ცემა-ტყეპისა და მეტიც, წამების ამსახველი კადრები იყო დაფიქსირებული (ისე, როგორც კინოში).**

**ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მივხვდი, რაღაც ხარისხიან რეჟისორულ და სარეიტინგო ბაზარზე კარგად გათვლილ ინტრიგასთან გვქონდა საქმე, მაინც ვერ მოვითმინე, რომ მხოლოდ ჩემი დასკვნების ამარა დავრჩენილიყავი და ყველაფერი პირადად კოტე თოლორდავასთან არ გადამემოწმებინა.**

# რა სერიოზული გამოწვევა მიიღო კოტე თოლორდავამ და რომელ ქართულ-ამერიკულ კონტრაქტში გაუწევენ მას პარტნიორობას ჰოლივუდის მსახიობები

**– კოტე, გამაგებინე, რა იყო ეს და რატომ გაწამეს ასე დამაჯერებლად, მაღალპროფესიონალურად და თითქმის რეალურად?**

– მეკუთვნოდა ***(იცინის).*** „ვირუსულ ვიდეოს" ეძახიან ამას, რეალურად კი ერთ-ერთი სარეკლამო სვლაა, ხრიკია, რომ ქართველი მაყურებელიც დაინტერესდეს იმით, რითაც უკვე დაინტერესებულია ამერიკელი მაყურებლების საკმაოდ დიდი ნაწილი. ამას, შეიძლება, ვუწოდოთ პროვოკაცია, შეიძლება – ხალხის მიზიდვის საუკეთესო საშუალება. როდესაც ასეთი ვიდეოსსაათების განმავლობაში ადის მილიონ და მეტ ნახვაზე, ეს უკვე იმის მაუწყებელია, რომ ჩანაფიქრი ამართლებს და, შესაბამისად, მოლოდინიც უკვე ძალიან დიდია. ქართულ სივრცეში ამგვარი ქმედება, მგონი პირველი იყო.

**– სწორედ ამიტომ დავინტერესდით ყველანი. ამ ვიდეოს ასეთი წარწერა აქვს: LANDMINE GOES CLICK–ის გადამღები ჯგუფი. ისინიც ამერიკელები არიან?**

– ეს ადამიანები, რომლებთანაც ახლა მე მიწევს თანამშრომლობა და რომლებიც ასე გამეტებით მაწამებენ, ნოვატორები არიან ქართულ ბაზარზე და მათი ნოვაციური ნაბიჯები მხოლოდ ამ ფილმით არ დაწყებულა. ვფიქრობ, არავინ შემედავება იმაში, რომ სტუდია „სარკე" დაფუძნების დღიდან ქმნის რადიკალურად განსხვავებულ პროდუქციას, რომელიც არა მარტო წარმატებით იყიდება, არამედ, საპრიზო ადგილებსაც იკავებს უცხოურ კინობაზარზე. LANDMINE GOES CLICK იქნება ფილმის სახელწოდება, რომელიც ქართულ-ამერიკული პროდუქტია. „ნაღმი მოდის მოქმედებაში" – ასე ითარგმნება ქართულად. ეს არის მხატვრული ფილმი. ჩემთვის აბსოლუტურად ტაბუდადებული ჟანრი იყო, საერთოდ არ ვიყავი მისი მაყურებელი – ვგულისხმობ ფსიქოლოგიურ, საშინელებათა ჟანრს, ტრილერს.



ჩვენ გვაქვს გაცნობისა და დაახლოების ყოველდღიური საათები

**– ასეთი იქნება ეს ფილმი?**

–კი, ოღონდ, ეს არ გულისხმობს ზომბებს, სისხლების გასხმებს და ამგვარ რამეებს, არამედ, უფრო უცაბედ ემოციაზე იქნება დამყარებული. როგორც მაყურებელს, მე, ზოგადად, არანაირი „საშინელებები" არასდროს არ მხიბლავდა, მაგრამ, როგორც მსახიობს, მიმაჩნია, რომ ამგვარ ფილმში მონაწილეობა ჩემთვის აბსოლუტური გამოწვევაა. დამაინტერესა იმიტომ, რომ  ეს აბსოლუტურად განსხვავებული ჟანრი ჩემთვის იქნება საინტერესო. ჩემი აზრით, მაყურებლისთვისაც საინტერესო იქნება კოტე თოლორდავა სრულიად განსხვავებულ ამპლუაში როგორ გაართმევს თავს ამ ყველაფერს. იმის მიღმა, რომ ამ ფილმში ჰოლივუდის ვარკვლავებთან მომიწევს პარტნიორობა, მე გადავეკვეთე ძალიან საინტერესო რეჟისორს. ვგულისხმობ ლევან ბახიას და მის ძალიან საინტერესო შემოქმედებით ჯგუფს.

**– როგორ დაგამტკიცეს ამ როლზე?**

– პირველი მეილი მომივიდა ამერიკული მხრიდან, რომელმაც მიმიწვია ქასთინგზე. გავიარე საკმაოდ სერიოზული ქასთინგი. გარდა ქართველებისა, ამ როლისთვის იბრძოდნენ რუსები და უკრაინელები.

**– დარწმუნებული იყავით წარმატებაში?**

– არანაირად, თუმცა, სურვილი ძალიან დიდი იყო. როდესაც ამიხსნეს, თუ რა და როგორი იქნებოდა, ვინ ჩამოვიდოდნენ და ვის გვერდით მომიწევდა მუშაობა ემოციებმა ამიტანა, თუმცა, ყველაფერს გადააჭარბა ჩემი და ამ ფილმის რეჟისორის პირველმა შეხვედრამ. ეს არის ადამიანი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, თვითონ რა უნდა და, გარდა ამისა, ფანტასტიკურად ურთიერთობს მსახიობებთან. მე ძალიან კომფორტულად ვიგრძენი თავი და მივხვდი, რომ ჩვენი თანამშრომლობა ორივეს წარმატებას მოგვიტანს.

**– რა ჰქვია პერსონაჟს, რომელიც თქვენ უნდა განასახიეროთ?**

– ილია. ჩემი მეუღლის როლს შეასრულებს ნანა კიკნაძე. დღესდღეობით ნანა საკმაოდ წარმატებული მსახიობია მოსკოვში და, პარალელურად, ასეთივე წარმატებული ჟურნალისტური კარიერა აქვს. ჩემი ქალიშვილის როლს კი შეასრულებს ლიკა ბეზარიშვილი, არაჩვეულებრივი გოგონაა. უკვე პატარ-პატარა „ოჯახური" გასვლები გვაქვს: ჩავედით გურიაში, მოვინახულეთ „ჩვენი სახლი", მოვსინჯეთ რამდენიმე სცენა.

**– ამერიკული მხრიდან რომელი მსახიობები ითანამშრომლებენ თქვენთან?**

– ამერიკიდან ჩემი პარტნიორი იქნება მიჩელ მუსო. ეს გახლავთ ჰოლივუდის ახალგაზრდა ვარსკვლავი. ის ჰანა მონტანას სერიალში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს; ასევე, ტიმოტი ფელტონი, „ჰარი პოტერში" დრაკო მალფოის ვინც ასახიერებს, ძალიან საინტერესო პროცესები გველის წინ.

**– კაცმა რომელმაც ითამაშა, „ბაბულიკა", შემდეგ ილია მართალი განასახიერა, ახლა...**

– ახლაც ისევ ილია, ოღონდ, ძალიან არამართალი და აბსოლუტურად განსხვავებული ამპლუაა. სიუჟეტს მარტივად გეტყვით: ტურისტები აღმოჩნდებიან უცხო გარემოში, ცივილიზაციისგან მოშორებულ ადგილას. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდება „მინაზე", აქ უკვე შემოდის ჩემი პერსონაჟი და იწყება აბსოლუტურად განსხვავებული ნაციონალური წარმოშობის ადამიანებს შორის ურთიერთობა.

**– ეს ურთიერთობა იმავე ჟანრში მიმდინარეობს, რა ჟანრშიც like-ებისთვის გაწამეს?**

– აი, მაგას ჯერ არ გეტყვით ***(იცინის).*** მაისის ბოლოს მეწყება გადაღებები. გაბურძგნილი დავდივარ, რადგან, ხელშეკრულებაში მიწერია, რომ ჩემს თმასა და წვერს ხელი არ უნდა ვახლო გადაღებების დასრულებამდე. ესეც თავის როლს თამაშობს ჩემს გარეგნობაში. იერი ვიცვალე. გრიმში რომ მომსინჯეს, აბსოლუტურად სხვა კოტე ვარ, უფრო სწორად – ილია, არაფრით არ ჰგავს კოტეს. ფილმში ჩემს გმირს ჰყავს ძაღლი, ჩვენ გვაქვს გაცნობისა და დაახლოების ყოველდღიური საათები. უკვე დავმეგობრდით და ვურთიერთობთ. ეს ნაკლებად პროგნოზირებადი ძაღლების ჯიშია, როტვეილერზე მაქვს საუბარი. ეს ის ძაღლია, რომელსაც ძაღლებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი ყბა აქვს. თუ ერთი ჩაგკბიჩა, ეგრევე ძვლებში გამტვრევს. ამ ძაღლთან ისეთი ურთიერთობა უნდა დავამყარო, რომ ვეტყვი – „ფას," უნდა ეცეს და, „ფუს" რომ ვეტყვი, სულ რომ კისერზე ჰქონდეს კბილი დადებული, ეგრევე უნდა გაუშვას. რეალურად, რისკებთანაც გვაქვს საქმე, მაგრამ, ყველაფერი ათასჯერ გაზომილ-გათვლილია. კარგი ჯგუფია, მიხარია, რომ ამ ადამიანებს გადავეკვეთე და, თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ლევან ბახიას ბრმად ვენდობი.

**– იმიტომაც გიხილეთ ასე მშვენივრად ნაცემ-ნაბეგვი.**

– *(იცინის)* მოხიბლული ვარ თავიდან ბოლომდე.

**– უშუალოდ „წამების" კადრებზე მინდა ვისაუბროთ. ალბათ, ძალიან დიდხანს დაგჭირდათ გრიმზე მუშაობა.**

– სისხლი ცოტა გრიმის იყო, ცოტა – ნატურალური, ანუ, მეც დავღვარე. აბა, რომ გირტყამენ, როგორ გგონიათ, სისხლის გარეშე?!

**– ბევრი დუბლის ჩაწერა დაგჭირდათ?**

– რამდენი დარტყმაც არის, იმდენი დუბლია.

**– ესე იგი, დაახლოებით 4 წუთის განმავლობაში რამდენჯერ მოგხვდათ?**

– არ დაგიმალავთ და, კარგად მომხვდა ***(იცინის).*** მართლა კარგად მომხვდა, ნატურალისტურად.

**– რა ხდება ამ მნიშვნელოვანი პროექტის მიღმა, კოტე თოლორდავას ცხოვრებაში?**

– ბევრი საინტერესო რამ ხდება კოტე თოლორდავას ცხოვრებაში. ვემზადები რამდენიმე თეატრალური პრემიერისთვის; პარალელურად, მიდის ჩემი და ჩემი მეუღლის საავტორო გადაცემა – „განოს და კოტეს შოუ." ამას გარდა, მიშა მშვილდაძე იღებს მხატვრულ ფილმს – „ტაქსი", სადაც მე და კაბუ ვთამაშობთ. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი გრაფიკი მაქვს, ეს ყველაფერი ძალიან მომწონს. ვნერვიულობ, რომ რომელიმეს ხარისხმა არ იკლოს, როდესაც ასეთ ბევრ საქმეს ვარ შეჭიდებული.

**– ამდენი პროექტიდან ერთი რომ მოგაკლდა, გამოდის, სიმღერის ხარისხი დაგიწუნეს?**

– ძალიან მთხოვეს, რომ მაგ პროექტში მიმეღო მონაწილეობა. როგორ შეიძლებოდა, ამბიცია მქონოდა, როცა არასდროს მიმღერია?! როდესაც დამიძახეს ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად, ეგ ვუთხარი სწორედ – მე სიმღერა არ შემიძლია-მეთქი. რეალურად, ნოეს უნდოდა, რომ მაგ პროექტში მიმეღო მონაწილეობა.

**– კოტეს „ბაბულიკა" ისეთი რეიტინგული ბიჭი იყო, ნამდვილად მოუხდებოდა სცენასაც.**

– ჰოდა, თავისი გასაკეთებელი, სანამ იქ იყო ბაბულიკა, ალბათ, გააკეთა კიდეც, ბაბულიკამ კი არა, კოტემ. მე იქ არ მიბაბულიკია, ცხოვრებაში ხომ, აბსოლურუტად არ ვარ ბაბულიკა. ღმერთმა მომცეს საშუალება, რომ უამრავი, მრავალფეროვანი იმიჯი შევქმნა. რაც უფრო ბევრი და ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანის განსახიერების საშუალება მომეცემა, ამას რა სჯობია, ესე იგი, ძალიან დიდი დიაპაზონის შესაძლებლობები მქონია.

**ეკა სალაღაია**

**„ჯიდიესზე“ კიდევ ერთი ახალი გადაცემა „ბინა №18“ დაიწყო, სადაც კოტიკოსთან და ფაქოსთან მისულ სტუმრებს, ბევრი სიურპრიზი ელოდებათ. რაც მთავარია, გადაცემას მუსიკალურად და არა მხოლოდ მუსიკალურად, აფორმებს ენერგიული, ხალისიანი და ძალიან ლამაზი დიჯეი – ნინი გოგიჩაიშვილი:**

# ვისთან ერთად ცხოვრობს „ბინა №18-ში“ ნინი გოგიჩაიშვილი და როგორ აპირებს ის ფაქოს და კოტიკო თოლორაიას მონოპოლიის დანგრევას

– ტელევიზია ყოველთვის მომწონდა. ვფიქრობდი, რომ შემეძლო, მომესინჯა ჩემი ძალები. დასაწყისისთვის, ეს გადაცემა ძალიან კარგია. რაც მთავარია, იმდენად კომფორტულ გარემოში მიწევს მუშაობა, ჩვენთან დაძაბულობა, ჩხუბი არ ხდება. ძალიან ბედნიერი ვარ და რაც მთავარია, ყველა მიწყობს ხელს, ჩემი მაქსიმუმი გავაკეთო. რამდენიმე ხნის წინ დამიკავშირდნენ „ჯიდიესიდან“, გამესაუბრნენ, ამიხსნეს როგორი ფორმატის იქნებოდა. შემდეგ ჩაწერეს პილოტი. პარალელურად, ქასთინგიც ტარდებოდა, დაახლოებით 100 გოგონამდე ნახეს. ყველა ლამაზი და კარგი იყო. საბოლოოდ, ჩემზე გააკეთეს არჩევანი და ძალიან ბედნიერი ვარ. პირველივე გადაცემას ხალხის მხრიდან კარგი ემოციები მოჰყვა, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, ეს არის ახალი, განსხვავებული გადაცემა. ისეთი რაღაცეები ხდება, რაც სხვაგან არ ხდება. სტუმარი უბრალოდ კი არ მოდის და ყვება თავის ისტორიას, მან საერთოდ, არ იცის რა ელის. ბევრ სიურპრიზს ვუმზადებთ და ყველა ემოცია ნამდვილია. შესაბამისად, მაყურებელი გადაცემის ყურებისას კარგად გაერთობა და სიამოვნებას მიიღებს.

**– ვისთან ერთად მოგიწევდა გადაცემაზე მუშაობა, ამასაც ექნებოდა შენთვის დიდი მნიშვნელობა?**

– დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიჭებთან ერთად ძალიან კომფორტულად ვარ, მეგობრები გავხდით. ორივე ძალიან კარგი და მონდომებული ადამიანია. ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ, კარგად აკეთებენ, მეც მაქსიმალურ კომფორტს მიქმნიან – ხელის გულზე მატარებენ. მოკლედ, კარგად ვეწყობით ერთმანეთს, ჯერჯერობით შეხმატკბილებულები, საათივით აწყობილები ვართ.

**– რა სიურპრიზებს უმზადებთ სტუმრებს?**

– რეალურად, ამ გადაცემას რაც კარგი და საინტერესო აქვს და რაც ასევე, რთული ნაწილია ბიჭებისთვის, ეს არის ის, რომ არ გვაქვს დაწერილი ხუმრობები. დაახლოებითი გეგმა კი არსებობს, მაგრამ იქ ყველაფერი ცოცხლად ხდება. თუ ვიღაცას რაღაც ხუმრობა მოუვა თავში, შეუძლია, თავისუფლად გააკეთოს, რადგან ეს არის ჩვენი ბინა და ისინი ჩვენი სტუმრები არიან. თუ გინდა, წამოწექი, ვაშლი ან ყავა მიირთვი. სამწუხაროდ, ყავა არ გვაქვს ხოლმე, რადგან ფაქოს მოვალეობაში შედის და ავიწყდება ბინაში ყავის ამოტანა. ანრი ჯოხაძესაც რომ სთხოვეს, ემღერა, არ იცოდა, რა ელოდებოდა – სარბენ ბილიკზე რომ უნდა ერბინა, თან წყალს ასხამდნენ, ხან ფქვილი შეაყარეს. ბოლოს ლანგრით მოუტანეს ცოცხალი, უზარმაზარი გველი. თავიდან შოკში ჩავარდა, სარბენი ბილიკიდან გადმოვარდა, მაგრამ მერე ფოტოებიც გადაიღო გველთან ერთად. მე ბიჭების, სტუმრებისა და მაყურებლის განწყობაზე ვზრუნავ და მუსიკალურად ვაფორმებ გადაცემას, რომ უფრო აქტიურად და კარგად ვიყოთ. სამზარეულოში ჯერჯერობით არ ვტრიალებ, რადგან ფაქოს აქვს ოკუპირებული ეს კუთხე. მერე ვნახოთ, რა იქნება – მხოლოდ მუსიკალურად არ გავაფორმებ გადაცემას. ამ ბინაში სამივე ვართ და ამიტომ, სულ ჩუმად არ ვიქნები. შემდეგ გადაცემებში ჩემი როლი გაიზრდება. ჯერ ბიჭებს ვაცდი: სანამ დროა, გაერთონ. მონოპოლია კი აქვთ, მაგრამ ქალი რის ქალია, თავის სიტყვას თუ არ იტყვის!

**– აქამდე გიცდია დიჯეობა?**

– მთავარი პუნქტი ის იყო, რომ დიჯეი უნდა გავმხდარიყავი. იქ არ ვდგავარ უბრალოდ, მართლა დიჯეი ვარ. არადა ჩემს მეგობრებსაც არ სჯერათ: კარგი, რა დიჯეი?! არადა, ნამდვილად მე ვარ, თან კარგი მასწავლებელი მყავდა – ზუხა. ახლა დამრჩა, ვისწავლო ორი ტრეკის გამიქსვა, გადაყვანები – ძალიან მაღალ დონეზე, რომ ავიყვანო. რემბომ რომ უყურა ჩემს პირველ გადაცემას, მაინც პროფესიონალია, კრიტიკული თვალით შეხედა და მითხრა: რაღაც გადასვლა ვერ გააკეთეო. მასტერკლასები უნდა ჩამიტაროს და თანდათან, უფრო კარგი დიჯეი გავხდები. ეს რომ ვისწავლე, ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ, თან ყველაფერი ახალი მიხარია. რაც მეტს ვისწავლი, უკეთესია.



**ანრი ჯოხაძესაც რომ სთხოვეს, ემღერა, მან არ იცოდა, რა ელოდებოდა – სარბენ ბილიკზე რომ უნდა ერბინა, თან წყალს ასხამდნენ, ხან ფქვილი შეაყარეს**

**– ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობ. ალბათ, გიფიქრია მარტო ცხოვრებაზე. როგორ წარმოგიდგენია შენი ბინა? ალბათ, იქაც ძალიან ბევრი მხიარულება, ჟრიამული იქნება?**

– მიფიქრია ამაზე, სახლი ცალკე, რეალურად, ძალიან დიდი კომფორტია. მაგრამ, ამჟამად ვსწავლობ, ვვარჯიშობ, ახლა მუშაობაც დაემატა და რეალურად, ვერაფერს ვასწრებ. ბებია და ბაბუა მაქსიმალურად მიწყობენ ხელს: გამზადებული საკვები, ტანსაცმელი, ყველაფერს მახვედრებენ. ჩემს სახლში იმდენი კომფორტი და ჟრიამულია, არ ვიცი, ეს რა ფასად უნდა გავყიდო. მარტო ცხოვრების გამოცდილება მაქვს, როდესაც გერმანიაში ვსწავლობდი და არ არის ადვილი, იმდენ სირთულესთან გიწევს შეჯახება. თუმცა, დიდი სკოლაა და მე ეს უკვე გავიარე. სამომავლოდ, მაგისტრატურის უცხოეთში გავლას ვგეგმავ, ამიტომ ამ ყველაფრისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვარ. მაგრამ, სანამ იმის კომფორტი მაქვს, რომ ყველამ ერთად, შეხმატკბილებულად ვიცხოვროთ, ამას არაფერში გავცვლი.

**– პირველივე გადაცემაში კოტიკომ განაცხადა, რომ არც გათხოვილი ხარ და არც შეყვარებული გყავს.**

– ჯერჯერობით არავინ მიყვარს. სიმპათიის დონეზე პატარ-პატარა რაღაცეები არის. არიან ისეთებიც, ვისაც მოვწონვარ და მეც მათდამი დადებითად ვარ განწყობილი. ჯერ სერიოზულზე არ ვფიქრობ, რადგან სხვა გეგმები მაქვს. მაგრამ, სიყვარული ისეთი რამ არის, არ მოვა და არ დაგეკითხება... თუ ასე მოხდება, ბედნიერი ვიქნები, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**– როგორია ბიჭებისადმი შენი მოთხოვნები?**

– არ მიყვარს ძალიან აზიატი მამაკაცები და არც ზედმეტად ევროპულები. ბალანსი, გემრიელი მიქსი უფრო მომწონს. პირველ ადგილას იუმორის გრძნობას ვაყენებ. მამაკაცს შეუძლია, იუმორით ერთ წამში დაგაინტერესოს და თავი შეგაყვაროს. მე ნებისმიერ ადამიანთან შემიძლია საერთო ენა ვიპოვო, მაგრამ მეორე მომენტია: თავად თუ ვიგრძნობ კომფორტულად მასთან თავს, თორემ მას ეს შეიძლება, არც აგრძნობინო. ყველა გოგო მაინც მამას ადარებს ბიჭს, მამაჩემი კი, ცოცხალი ენციკლოპედიაა. ისეთი რაღაცეები ახსოვს, გაგიჟებული ვარ. ასეთი მამა რომ გყავს, ცოტა მოთხოვნებიც სხვანაირი გაქვს. ანუ, დასაწყისისთვის, აუცილებელია იუმორის გრძნობა, რადგან იუმორი ადამიანს ყველა პრობლემის გადალახვაში ეხმარება. მეორე – ეს არის ინტელექტი. რა თქმა უნდა, გარეგნობასაც ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ ეს მაინც პირველი ეფექტია. მერე სხვა დანარჩენი ინაცვლებს წინ, გარეგნობა კი იკარგება

**– ბოლო დროს ბიჭების დიდი ნაწილი აქტიურად ვარჯიშობს, ცდილობენ დაკუნთული სხეული ჰქონდეთ. ასეთი ბიჭები მოგწონს?**

– ბიჭები ბოდიბილდერის ტანზე ან ზედმეტად ბატიბუტები, ძალიან არ მომწონს. ჩემთვის ეს არანაირად არ არის სექსუალური. თუმცა, მომწონს ის, რომ ბიჭები ყურადღებას აქცევენ გარეგნობას, ნაკლებად სვამენ ალკოჰოლურ სასმელს. ჩემი ასაკის ბიჭს არ უნდა ჰქონდეს ღიპი – სირცხვილია. ნორმის ფარგლებში ეს კუნთებიც მოსაწონია, თავის მოვლა, ჰიგიენის დაცვა. მაგრამ, ზედმეტად რომ აქცევენ საკუთარ თავს ყურადღებას, ჩემზე ბევრჯერ იხედებიან სარკეში, თმის ყველა ღერი გადალაგებული აქვთ, ასეთი ბიჭები ჩემთვის მიუღებელია. გოგო იმის გოგოა, რომ გაიპრანჭოს და ბიჭი 450 ანარეკლში რომ იხედება, ეს კატასტროფაა. ასეთი ბიჭები არ გამომეხმაურონ, კიდევ ბატიბუტები, საყურიანი, ცოტა წანაზებული ბიჭები, ტრენდია და ახლა უნდა ვიარო ამ ბუტილკა შარვლითო... მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, მე ასეთ ადამიანთან არ წარმომიდგენია ჩემი მომავალი. ძალიან მომწონს, როდესაც ბიჭი საკუთარ თავში დარწმუნებული, თავდაჯერებულია: დიახ, მე მოვედი და შენ ვინ ხარ – ასეთები. კიდევ ეჭვიანი ბიჭები არ მომწონს, ამაზე საშინელება არაფერია. ასეთი ადამიანის გამო, თავს ნამდვილად ვერ გავიწირავ.

**ნათია უტიაშვილი**

**უფალმა მთელ კაცობრიობას ორი მთავარი მცნება მისცა: პირველი – გიყვარდეთ უფალი მთელი გულით, სულით და გონებით და, მეორე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია – გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამ ორ მცნებაზე დგას ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების საფუძველი. ერთია, რომ უფალმა დაგვიდო ცნებები, მაგრამ, მეორეა, როგორ აღვასრულოთ ისინი. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# რა არის ორი ყველაზე დიდი მანკიერება, რომელშიც ადამიანი ვარდება და რომელი ცოდვით მძიმდებიან ხშირად ეკლესიაში ახალმისული ქრისტიანები

– ამ ორი ცნების აღსრულება, ცხოვრებისეული და სარწმუნოებრივი სიტუაციიდან გამომდინარე, ადამიანისგან გარკვეულწილად მოითხოვს საკუთარი თავის უარყოფას და მსხვერპლის გაღებას, რომელიც თავისთავად არის ღვაწლი. ღვაწლი კი მოითხოვს მტკიცე, ცოცხალ სარწმუნოებას, რის გარეშეც ადამიანის, მით უმეტეს, ქრისტიანის ცხოვრება ვერ წარიმართება. ანუ, ეს ორი მცნება ადამიანს ამზადებს უფალთან ურთიერთობისთვის. რაც მთავარია, ადამიანმა უნდა ისწავლოს მცნებების აღსრულება, ეს კი მხოლოდ და მხოლოდ უფალთან ურთიერთობით, მისი სიყვარულით, ასევე, მოყვასის სიყვარულით არის შესაძლებელი. ამას კი ადამიანი ეკლესიაში სწავლობს, რადგან, მისი ქრისტიანული, ზნეობრივი ცხოვრება შეუძლებელი გახდება, თუ ის არ იქნება დედაეკლესიის, უფლის წიაღში და მის საიდუმლოებებში არ მიიღებს მონაწილეობას. სამწუხაროდ, დღეს და, არა მხოლოდ დღეს, არამედ, უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც მკვიდრდება მოდერნისტული შეხედულება, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფალთან განშორებას.

**– თუმცა დღეს ქრისტიანი თვითონ კი არ ერგება ეკლესიურ სწავლებას და მცნებებს, რათა ცხონდეს, გადარჩეს, იყოს ზნეობრივი და რელიგიური, არამედ, პირიქით, საკუთარ ცხოვრებაზე არგებს ეკლესიას, იყენებს იმ პრივილეგიებსა და შეღავათებს, რაც დაუშვებელია.**



**ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოცვის ნიჭი ყველას ერთნაირად არ მიემადლება**

– ბევრმა შეიძლება, საკუთარ თავში ისიც დაუშვას: მე ისედაც ვცხონდები, არც ეკლესია და უფალი, არც მარხვა და ლოცვა არ მჭირდება ამისთვისო, ანუ, ყველაფერ იმაზე, რაც მას ცხოვრებაში წინ წასწევს, რაც განავითარებს მის სულიერ ცხოვრებას, საკუთარი ნებით ამბობს უარს. ეკლესია – ეს არის საღმრთო გამოცხადება, რომელიც მორწმუნეს ასწავლის ცხონების გზას. მას ქრისტიანი აჰყავს იმ მდგომარეობამდე, იმ სიმაღლემდე, რა მდგომარეობამდეც, არც ერთ რელიგიას, არც ერთ კულტურას არ აუყვანია. ამიტომ, თუ ადამიანი აპირებს გახდეს ქრისტიანი, ან, უკვე არის ქრისტიანი, მაგრამ, ქრისტიანულ ცხოვრებაში არ არის წარმატებული, მან გულისყურით უნდა მოისმინოს სახარება, წმიდა გარდამოცემა.

**– ბევრი დადის ეკლესიაში, ლოცულობს, ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მის მცნებებს იცავს და ასრულებს, მაგრამ, შორს არის მოყვასის სიყვარულისგან, რაც მათ ყველა ქცევაში იგრძნობა.**

– ეს პრობლემა არა მხოლოდ არამორწმუნე, არამედ, მორწმუნეებს შორისაც არსებობს. როგორც უკვე აღვნიშნე, უფალი ადამიანს აძლევს პირველ მცნებას – „გიყვარდეს უფალი" და, თავადვე ამახვილებს ყურადღებას მეორე მცნებაზე: ცნება მეორე, მსგავსი ამისა, ანუ, მსგავსი პირველი მცნებისა, რომელიც ავალდებულებს მას, რომ, არა მარტო უფალი უყვარდეს, არამედ, მოყვასიც, რადგან, მხოლოდ უფლის სიყვარული არაფერს ნიშნავს. უფალს ისედაც ყველაფერი აქვს, საკუთარ თავში ისედაც ყველაფერს მოიცავს; მას არც სიხარული სჭირდება, არც დიდება, არც გალობა, ის ყველაფერს საკუთარ თავში იტევს – ნეტარებასაც, სიხარულსაც, სითბოსაც. რა შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს, მისმა ბაგეებმა წარმოთქვას, რომ უფალს ეს ყველაფერი არ ჰქონდეს?! ამიტომ, ის იმდენად მოწყალეა, რომ ამ ყველაფერს ჩვენთვის აწესებს: ჯერ გიყვარდე მე და შემდეგ – მოყვასი, რადგან, უფლის სიყვარულის გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს სხვა ადამიანის შეყვარებას, იმიტომ, რომ სიყვარულში ორიენტირი, ჩვენთვის სწორი სიყვარულის მომცემი – უფალია. ამიტომ, თუ უფალი გვიყვარს, სწორად ვუდგებით ამ საკითხს, მაშინ, ადამიანებიც გვიყვარს. ეს ორი მცნება არ გამორიცხავს ღვთისა და ადამიანის სიყვარულს, იმიტომ, რომ, თუ გიყვარს უფალი, მაშინ გიყვარს ადამიანებიც და პირიქით, თუ გულწრფელად გიყვარს შენი მოყვასი, მაშინ ღმერთიც გიყვარს. თუ ან ერთი არ გიყვარს, ან მეორე, ესე იგი, არც ერთი არ გიყვარს. შეიძლება, ვინმემ თქვას, მე კი მიყვარს უფალი, მაგრამ, არ მიყვარს ის მოყვასი, რომელიც მე მჩაგრავს, მდევნის, შეურაცხყოფა მომაყენა; მე კი ვაპატიე, მაგრამ, ვერ შევიყვარებ. თუ გიყვარს, მაშინ, აპატიებ ადამიანს; თუ არ აპატიებ, ესე იგი, არ გიყვარს და მის მიმართ გულში დაგრჩა რაღაც ცუდი. პატიება ნიშნავს იმას, რომ აპატიე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ, საქმითაც და გულითაც; როცა შეგიძლია, არა მხოლოდ გადაეხვიო, მოეფერო და სიცოცხლეც დათმო მისთვის, თუკი საჭირო გახდება – ეს არის სიყვარული და თავგანწირვა, რომელსაც მეორე მცნება მოითხოვს. უფალი გვასწავლის: თუ თქვენ აპატიებთ, უფალიც გაპატიებთ; თუ იქნებით მოწყალენი, ღმერთი თქვენ შეგიწყალებთ; თუ დათმობთ, უფალიც დაივიწყებს თქვენს მრავალ ცოდვას, სულიერ სიმახინჯეს. უფალმა კარგად იცის, როგორი მიმართულება უნდა მისცეს ჩვენს ცხოვრებას ისევ და ისევ ჩვენს გადასარჩენად. ჩვენ, შეიძლება, მოგვეწონოს ეს ან არ მოგვეწონოს, მაგრამ, უფალი მართალია, იმიტომ, რომ მას ჩვენი ცხონება და გადარჩენა შეუძლია.

**– რა არის ყველაზე დიდი ვნება, რომელიც ადამიანს ხელს უშლის ცხონებაში?**

– ესენია: პატივმოყვარეობა და ამპარტავნება. ადამიანი ჯერ ცდილობს, საკუთარი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს, ანუ, ცდილობს, ყველაფერში საკუთარი თავი წარმოაჩინოს, გახდეს სხვებისთვის მიბაძვის ობიექტი. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ, კარგიც იყოს, რადგან, ადამიანი შეიძლება იყოს მორწმუნე, მეცნიერი, წარმოჩინდეს, როგორც ინტელექტუალი, მაგრამ, ძნელია, ამ ყველაფერთან სწორი მიდგომა გამოიჩინოს და ბოლომდე აკონტროლოს თავისი სულიერი ძალები. დედამიწაზე არ არსებობს ადამიანი, რომელიც მეტ-ნაკლებად არ არის ამ ცოდვაში ჩავარდნილი. ჩვენ, მოძღვრები, აღსარებას როცა ვიბარებთ, მოდიან ჩვენთან მორწმუნეები და ხშირად იმეორებენ, რომ სცოდავენ ამპარტავნებით, მაგრამ, ძალიან ცოტაა ისეთი, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობს, ცდილობს, გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან და შეებრძოლოს საკუთარ თავში ამპარტავნებას – ამ სულიერ დაავადებას, გამოსწორდეს და გახდეს თავმდაბალი. ქრისტიანი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს, აკეთებდეს და ამტკიცებდეს საქმით, რომ მისი ყველა წარმატება და მდგომარეობა უფლის დამსახურებაა, რათა არ ჩავარდეს ამპარტავნებაში. ასეთი რამ ხშირად ემართებათ იმათ, ვინც ეკლესიაში ახალი მოსულები არიან და უფლის საიდუმლოებებში იღებენ მონაწილეობას, მაგრამ, გავა გარკვეული დრო და შემდეგ ისინი იწყებენ სხვების განსწავლას, არადა, ჯერ თავად არ შეუსწავლიათ უფლის გზები ბოლომდე, არ გადაუტანიათ ის სულიერი ბრძოლები, რომლებიც ყველა ქრისტიანმა უნდა გადაიტანოს. სულიერი ბრძოლების გარეშე არ მოხდება ქრისტიანის სულიერი წარმატება, ფერისცვალება. თუმცა, მის მონადინებაზე, ძალაზე, სურვილზეა დამოკიდებული, როგორ გადალახავს ის ბრძოლებს და როგორ გამოვა ამ მდგომარეობიდან. ამპარტავნება იმაშიც გამოიხატება, რომ სხვას ზემოდან უყურებს. ერთი წმიდა მამა ამბობს: ადამიანი იმ შემთხვევაში შეიძლება, სხვას უყურებდეს ზემოდან, როდესაც მას წამოდგომაში ეხმარება. როდესაც ადამიანი თავმდაბალი და მორჩილია (თუმცა, ამ შემთხვევაში, მონური მორჩილება არ იგულისხმება), მშვიდია, საკუთარ თავში სიმშვიდეს ატარებს, ესე იგი, მას უფალი უპოვია და მას სხვებიც ეყვარება. პატივმოყვარეს მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, ფიქრობს, რომ სხვებზე უკეთესია; მას არ უყვარს მოყვასი და ამპარტავნება მას დააშორებს უფალთან, ადამიანებთან.

**– ხშირად ლოცვის დროს გონება გვეფანტება, აზრები სხვაგან გაგვირბის და ველარ ვლოცულობთ, არ ვიცით ლოცვა ისე, როგორც უნდა ვიცოდეთ და ეს უფრო მეტად გვაგდებს სასოწარკვეთილებაში.**

– წმიდა მამებმა სიწმიდის, განღმრთობის მდგომარეობას, როდესაც ისინი ლოცვით უკავშირდებოდნენ უფალს, წლებისა და ღვაწლის შედეგად მიაღწიეს. ლოცვითი მდგომარეობის რამდენიმე საფეხური არსებობს და ამას ვარჯიშით და საკუთარი თავისთვის ძალდატანებით უნდა მივაღწიოთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოცვის ნიჭი ყველას ერთნაირად არ მიემადლება. ამიტომ, თუ ვინმე ვერ ლოცულობს კარგად, მან უნდა დაიწყოს ლოცვის სწავლა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აკეთოს, რაც უფრო კარგად გამოსდის, რადგან, სულიწმიდისგან ყველას სხვადასხვა ნიჭი აქვს მიმადლებული. ადამიანს უფალმა ყველაფერი მისცა, რაც სჭირდებოდა, მაგრამ, როდესაც ის დაშორდა ღმერთს, თვითონ მოიგონა ისეთი რაღაცეები, რაც მის ცხოვრებაში მრავალი შფოთის მიზეზი ხდება. ხშირად ამ ყველაფერს ვერ აღწევს, რაც მასში შინაგან კონფლიქტს იწვევს – „მინდასა" და „შემიძლიას" შორის და, ამ დროს, როდესაც ის ვერ იღებს იმას, რაც უნდა, ეწყება სულიერი ბრძოლა. სულიერი ბრძოლა კი სხვა არაფერია, თუ არა სულიერ ძალების არასწორად წარმართვა. როდესაც ადამიანი რამე ცოდვაშია ჩავარდნილი, აუცილებლად უნდა შეებრძოლოს, საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს. ქრისტიანმა უნდა ისწავლოს ყველა იმ ცოდვასთან და განზრახვასთან ბრძოლა, რაც მის სულს აღაშფოთებს. მაგრამ, თუ ჩვენ ყველა ვნებასა და მიდრეკილებას არ დავამსხვრევთ იმ ქვაზე, რომელსაც ქრისტე ჰქვია, მარტო ვერ შევძლებთ ამ ყველაფრის გადალახვას, რადგან, ჩვენ მაცხოვრით გადავრჩებით და მისი დახმარებით შევძლებთ, გადავლახოთ ის სირთულეები, მოვიშოროთ მაცდური აზრები, რომლებიც მეტად გვაგდებს ცოდვაში.

**ნათია უტიაშვილი**

# თანამედროვე სასწაულები

### სისხლმდინარე ხატი

სოფელ დერჟავინოში, ეფიმოვების ოჯახში დაბრძანებულია მაცხოვრის ხატი, რომელსაც ხელთ იოანეს სახარება უპყრია. მასზე წარწერილია სიტყვები: „მცნებასა ახალსა მოგცემ თქუენ, რათა იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13,34); ის ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე სასწაულმოქმედი ხატია, რადგან მასზე გამოსახულ მაცხოვარს სისხლი სდის.

ეს სასწაულებრივი მოვლენა 1999 წლის 5 მაისს დაიწყო, როცა ხატისგან ძლიერი კეთილსურნელება დაიფრქვა და მირონი წარმოსდინდა. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა და ხატს უამრავმა ადამიანმა სცა თაყვანი. ის რუსეთის სხვადასხვა ეპარქიამაც წააბრძანა, სადაც თაყვანით შეეგება სამღვდელო დასი და მრევლი. ზოგიერთი სამრევლო სოფელ დერჟავინოში თვადაც აგზავნიდა საკუთარ ხატებს, რათა მაცხოვრის სასწაულმოქმედი ხატის გვერდით მოეთავსებინათ, რის შემდეგაც ზოგ მათგანს მირონი დაედინა.

2000 წლის 5 აპრილს, ვნების ოთხშაბათს, ხატის ზედაპირზე (სახეზე, საკურთხეველ მარჯვენასა და შემდეგ შუბლზე) მოულოდნელად გამოჩნდა წითელი სითხის მცირე ლაქები, რომელიც წვრილ ნაკადად მოედინებოდა და სისხლივით დედდებოდა. მთელ სახლში სისხლის სუნი დადგა. ბიოქიმიური ექსპერტიზის შედეგმა დაადასტურა ის, რასაც მართლმადიდებლები ვარაუდობდნენ, რომ ხატი სასწაულებრივად გამოყოფს ცოცხალი ადამიანის სისხლსო. ჰემატოლოგებმა დაადგინეს სისხლის ჯგუფი. ეს არის მეოთხე ჯგუფის სისხლი, რომელიც დაემთხვა იტალიელი კოლეგების მიერ მიღებულ შედეგებს. სწორედ მათ გამოიკვლიეს ტურინის სუდარა. ამავე დროს, სისხლის ლაქები, რომლებიც თავიდან მცირე ზომის, თითქმის ძლივს შესამჩნევი იყო და მალე ხმებოდა, გაიზარდა. მათ ადგილზე წარმოქმნილი ნაკადი კი, კიდევ უფრო ხანგრძლივად რჩებოდა ხატზე.

როგორც ამგვარ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ხატის სასწაულმოქმედება მისი კურნების ძალით მტკიცდება. წელიწად-ნახევრის განმავლობაში მაცხოვრის ხატი რუსეთის მრავალი ეპარქიიდან და ყოფილი დსთ-ს ქვეყნებიდან უამრავმა ადამიანმა მოილოცა. მათ შორის, ზოგიერთმა სასწაულებრივი კურნებაც მიიღო. როგორც ჩანს, უფალმა კიდევ ერთხელ მოიღო მოწყალება თავის ხალხზე და სასწაულთა ხილვის ღირსი გაგვხადა.

### სასწაული განმეორდა

ყოველწლიურად, ზედაზენზე, წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, წმიდა იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს – 20 მაისს ხდება სასწაული: ღამისთევის წირვის დროს წმიდანის საფლავი იწყებს დასველებას. საფლავის ირგვლივ, ტაძრის კედლებიდან და ხატებიდან მოედინება წვეთები. წირვის დამთავრებისთანავე კედლები შრება. ხალხს წმიდა იოანეს ჭიდან წყალი ურიგდება, რომლის რწმენით მიღებითაც მრავალი ავადმყოფი იკურნება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **ხშირად გამიგია, რომ ეკლესიაში სანთელი შენი საკუთარი ფულით უნდა იყიდო და დაანთო, ისე ღმერთი არ შეიწირავსო, ეს რამდენად მართალია?**

**პასუხი**: სამწუხაროდ, ხშირად მეორეხარისხოვანს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე მთავარს. მაგალითად, ყურადღებას აქცევენ სანთლების რაოდენობას, საკუთარი ფულით მათ შეძენას, ბოლომდე ჩაწვას სასანთლეში და ასე შემდეგ. უნდა გახსოვდეთ, რომ მთავრია, საკუთარი ცოდვების სინანულით მიტანა ღვთის სამსჯავროზე, სხვა დანარჩენი კი ცრურწმენებია.

**კითხვა**: **სამწუხაროდ, ნდობა დავკარგე ჩემი მოძღვრის მიმართ. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: მოძღვარზე უარის თქმა ცოდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არის, თუ დარწმუნდებით, რომ მას არ მიჰყავხართ ქრისტესთან – თუკი მისი სწავლება ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას და უფლის მცნებებს, ან პიროვნულად ვერ იხსნებით მასთან აღსარებისას. ასეთ დროს შეგიძლიათ, დამშვიდებული სინდისით მიმართოთ სხვა მოძღვარს. უმჯობესია, თუ კურთხევას აიღებთ ყოფილი მოძღვრისგან. რაც მთავარია, ეს არ უნდა გახდეს ეკლესიის მიტოვების საფუძველი.

**კითხვა**: **ითვლება თუ არა ცოდვად დაფეხმძიმება მომავალი მეუღლისგან ჯვრისწერამდე?**

**პასუხი**: ეს საქციელი ცოდვად ითვლება, რომელიც აღსარებით უნდა მოინანიოთ. ჯვრისწერამდე ინტიმური ურთიერთობა ცოდვაა და წყვილებმა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება.

**კითხვა**: **შეიძლება თუ არა ნათლობის პირსახოცის გამოყენება თუ ხელუხლებლად უნდა შევინახოთ?**

**პასუხი**: ნათლობის პირსახოცი ხელუხლებლად შეინახეთ, რადგან მასზე მირონია შეწმენდილი.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### სამეფო სადილი

იყო ერთი მართალი და წმიდა კაცი – ფილარეტი. ერთხელ მან უთხრა თავის ცოლს – თეოზვას: „გავაკეთოთ შესანიშნავი სადილი, მე მინდა, დავპატიჟო მეფე და მეფის კარისკაცნი სადილად“. თეოზვამ ყველაფერი ილონა, რომ რაც შეიძლება, საუკეთესო სადილი მოემზადებინა. როცა ყოველივე მზად იყო, ფილარეტმა უბრძანა თავის შვილს, იოანეს, რომელიც წარჩინებული და დაჯილდოებული სამსახურის კაცი იყო და ასევე, თავის შვილიშვილებს, რომ წარჩინებულ სტუმრებს თვითონ მომსახურებოდნენ. თვითონ კი მეფის დასაპატიჟებლად გაეშურა. მაგრამ, მისი სახლობა ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა ფილარეტი შინ დაბრუნებული დაინახა: მას მოყვებოდნენ მთხოვრები, ბრმანი, კოჭლნი, დაუძლურებულნი, რომელთა რიცხვი ორასამდე იყო.

– „აი, გვეახლა მეფე თავის კარისკაცებით, – თქვა მან, – მზად გაქვთ ყოველივე?“ მისი სახლობა მიხვდა, რომ ფილარეტი მეფეს უწოდებდა თვით იესო ქრისტეს და მის კარისკაცებად მთხოვნელებს რაცხდა, რომელთა ლოცვას აქვთ დიდი ძალა წინაშე ღვთისა და მორჩილებით აღასრულა მისმა სახლობამ ყოველიჯე, რაც ფილარეტმა უბრძანა მას. წმიდა ფილარეტმა ნასადილევს თითოეულ მათგანს თითო ოქრო აჩუქა და გაისტუმრა.

როცა ჩვენ ვასმევთ მწყურვალს, ვასმევთ თვით ქრისტეს; როცა ვაჭმევთ მშიერს, ვაჭმევთ – ქრისტეს; როცა შევმოსავთ შიშველს – შევმოსავთ თვით ქრისტეს; როცა შევიფარებთ უცხოს, შევიფარებთ თვით ქრისტეს; როცა მოვინახულებთ და ვანუგეშებთ საპყრობილეში მყოფთ, ვანუგეშებთ თვით ქრისტეს. ქრისტიანენო! ასეთი დიდი ნუგეშია კეთილისყოფა ღარიბთა.

„ნეტარ არს, რომელმან გულის ხმა ყოს გლახაკისა და დავრდომილისა, და დღესა ბოროტსა იხსნას იგი უფალმან. უფალმან დაიცვას იგი და აცხოვნოს იგი, და სანატრელ ყოს იგი ქვეყანასა ზედა და არა მისცეს იგი ხელთ მტერთა მისთა“ (ფსალ. 40, 1-3).

### განუწყვეტელი ლოცვა

ერთხელ ენატელ ბერთან – ლუკიანესთან მივიდნენ ბერები, რომლებიც იწოდებოდნენ ევხაიტებად და იყვნენ მწვალებელნი: ისინი ყოველგვარ ქველ საქმეს უარყოფდნენ და სრულ უპირატესობას მარტო ლოცვას ანიჭებდნენ. ლუკიანემ ჰკითხა მათ: „რას ხელსაქმობთ?“ – „ჩვენ არ ვხელსაქმობთ, – მიუგეს მათ, – მოციქულის მცნების თანახმად, განუწყვეტლივ ვლოცულობთ“. „სჭამთ თუ არა?“ – ჰკითხა ლუკიანემ. „ვსჭამთ“, – მიუგეს მათ. „მაშ, როცა სჭამთ, მაშინ თქვენთვის ვინ ლოცულობს“, – ჰკითხა ლუკიანემ. „გარდა ამისა, გძინავთ თუ არა?“ – როგორ შეიძლება უძილობა“, – უთხრეს ევხაიტებმა. „მაშ, როცა გძინავთ, თქვენთვის ვინ ლოცულობს?“ – შეეკითხა კვლავ ლუკიანე. მოსულებმა ვერაფერი უპასუხეს. მაშინ ღირსმა ლუკიანემ უთხრა მათ: „მომიტევეთ ჩემი გულწრფელობისთვის, თქვენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით, მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ კიდეც ვხელსაქმობ და კიდეც ვლოცულობ განუწყვეტლივ. მაგალითად, ვწნავ ჭილისაგან კალათებს და ვკითხულობ: შემიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა... ლოცვა არ არის ეს?“ „რასაკვირველია“, – მიუგეს ევხაიტებმა. „ამგვარად, ვატარებ რა მთელ დღეს შრომაში და ლოცვაში,“ – განაგრძო ლუკიანემ, – „მე მუშაობით ვშოულობ გარკვეულ თანხას, რომლის ნახევარს ვაძლევ გლახაკთა, ხოლო მეორე ნახევარს მოვიხმარ ჩემ საჭიროებისთვის. როცა ვჭამ ან მძინავს, მაშინ ჩემთვის ლოცულობენ მოწყალების მიმღებნი. ხომ ხედავთ, როომ მე ღვთის შეწევნით ვასრულებ მოციქულთა კანონს და ვლოცულობ განუწყვეტლივ“.

„ყოველთა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა (ეფეს. 6,18)“ .

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

# მსოფლიო ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავები

*რამდენიმე წლის წინ კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი და გარეთ ბეილი იმედისმომცემ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ, დღეს კი ისინი მსოფლიო ფეხბურთის ნომერ პირველი ვარსკვლავები არიან. იმავე მომავალს უწინასწარმეტყველებენ ფეხბურთის სპეციალისტები თანამედროვე იმედისმომცემ და ნიჭიერ ფეხბურთელებს. გაგაცნობთ მსოფლიო ფეხბურთის ხუთ ყველაზე ნიჭიერ ვარსკვლავს.*

**ადნან იანუზაი**



წარმოშობით კოსოვოელი, ბელგიაში დაბადებული ალბანელი ადნან იანუზაი მსოფლიო ფეხბურთის ნომერ პირველ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად სახელდება. „მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო რეზერვისტად წოდებულმა იანუზაიმ სწრაფად დაამახსოვრა თავი ფეხბურთის ქომაგებს. მის გადაბირებას უკვე ცდილობდნენ ინგლისელები, თუმცა, იანუზაიმ თავაზიანი უარი განუცხადა ინგლისელთა მთავარ მწვრთნელს როი ჰოჯსონს და 2014 წლის მუნდიალზე ბელგიის ნაკრებს კიდევ ერთი ძლიერი ნახევარმცველი დაემატა. იანუზაიმ სულ რამდენიმე ხნის წინ გადაწყვიტა, რომ ბელგიის ნაკრებში ითამაშებს.

**არმინდუ ტუე ნა ბანგნა**

არმინდუ ტუე ნა ბანგნა ფეხბურთის ქომაგებისთვის „ბრუმას" სახელით უფრო ცნობილი. ახალგაზრდა ფეხბურთელი პორტუგალიური „სპორტინგის" აღსაზრდელია და მას უკვე უწინასწარმეტყველებენ კრიშტიანუ რონალდუს მომავალს. ბრუმა 20 წლისაა და ამჟამად თურქული „გალათასარაის" ღირსებას იცავს; გარდა ამისა, ის პორტუგალიის ნაკრების წევრი და მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების ერთ-ერთი კანდიდატია.

**ჟერარ დეულოფეუ**

პერსპექტიული თავდამსხმელი ჟერარ დეულოფეუ „ბარსელონის" სკოლის აღზრდილია და ამჟამად იგი განათხოვრების წესით ინგლისურ „ევერტონში" თამაშობს. დეულოფეუ ესპანელი ფეხბურთელების ახალი თაობის წარმომადგენელია და მომავალში სწორედ მან უნდა ჩაანაცვლოს „ფურია როხას" რიგებში ჩავი და ანდრეს ინიესტა.

**მატეო კოვაჩიჩი**




20 წლის მატეო კოვაჩიჩი ხორვატიის ნაკრების იმედად ითვლება მომავალში. მან უკვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, როცა ზაგრების „დინამოდან" მილანის „ინტერში" გადავიდა. კოვაჩიჩს მილანურ გრანდში №10 მაისური გადასცეს, რომლითაც წინა სეზონებში ჰოლანდიელი გამთამაშებელი უესლი სნეიდერი ასპარეზობდა. სწორედ ჰოლანდიელი ვარსკვლავის შემცვლელად ითვლება კოვაჩიჩი, რომელსაც უკვე იწვევენ ხორვატიის ნაკრებში და მსოფლიო ჩემპიონატზე მისთვის, ალბათ, მოიძებნება ადგილი 23-კაციან განაცხადში.

**კურტ ზუმა**

ფრანგი მცველი კურტ ზუმა საფრანგეთის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რომელმაც უკვე მოასწრო წინასწარი კონტრაქტის გაფორმება ლონდონის „ჩელსისთან". ზუმა სეზონის ბოლომდე „სენტ ეტიენის" ღირსებას იცავდა და სეზონის შეჯამებისას ის საუკეთესო მცველებს შორის დასახელდა. ჯერჯერობით ზუმას ეროვნულ ნაკრებში არ იწვევენ, თუმცა, ახლო მომავალში საფრანგეთის ნაკრებს სტაბილური და შედეგიანი მცველი რომ ეყოლება, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

## კანის ფესტივალი და რეპორტიორი კაბის ქვეშ

კანის 67-ე კინოფესტივალის მესამე დღეს ხმაურიანი სკანდალი მოხდა – პოლიციამ დააპატიმრა უკრაინელი ჟურნალისტი, ვიტალი სედიუკი, რომელმაც წითელ ხალიჩაზე ჰოლივუდელი მსახიობის, ამერიკა ფერერას თეთრი, ფუმფუშა კაბა თავზე წამოიცვა. ეს ინციდენტი მულტფილმ „როგორ ვასწავლოთ ჭკუა დრაკონს – 2-ის" პრემიერის დაწყების წინ მოხდა, როდესაც შემოქმედებითი ჯგუფი ფესტივალის სასახლის კიბეზე ადიოდა.

26 წლის სედიუკმა მსოფლიო ვარსკვლავებთან სკანდალებით გაითქვა სახელი: მან უკვე მოასწრო, ლოყით მოჰფერებოდა ლეონარდო დიკაპრიოს შარვალს; ეცადა, ეკოცნა უილ სმიტისთვის; ცდილობდა, „ოსკარის" დაჯილდოებაზე თეთრი გედის კოსტიუმით შეეღწია; 5 მაისს კი, ნიუ-იორკის კოსტიუმების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საღამოზე, ვარდისფერი სტრინგის დეფილე მოაწყო.

## არგენტინაში ყველაზე დიდი დინოზავრის ნაშთები იპოვეს

უნიკალური ძვლები აღმოაჩინეს ქალაქ ტრელიუს მუზეუმის თანამშრომლებმა ჩუბუტის პროვინციაში. ნაპოვნი უზარმაზარი ძვლები ტიტანოზავრს ეკუთვნის. ეს მცენარეჭამია დინოზავრები ადრეცარცულ პერიოდში ცხოვრობდნენ.

თეძოს ძვლის სიგრძის გათვალისწინებით, მეცნიერებმა გამოითვალეს მისი ზომები: სხეულის სიგრძე 40 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიმაღლე – 20 მეტრი, წონით კი 14 აფრიკული სპილოს ტოლი – 77 ტონა იქნებოდა. პალეონტოლოგების მტკიცებით, ახლად აღმოჩენილი ტიტანოზავრი ყველაზე დიდია იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც ოდესმე დედამიწაზე გაუვლიათ.

## ბალოტელი დააყაჩაღეს

იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ფორვარდი მარიო ბალოტელი დააყაჩაღეს. ფეხბურთელის სახლიდან მძარცველებმა საიუველირო ნაკეთობანი, ძვირად ღირებული საათები და ავტომობილი გაიტაცეს.



ლიმიდო-კომოსკოში მდებარე მდიდრულ ვილაში მაშინ შევიდნენ მძარცველები, როდესაც მარიო თავის ძმასთან ერთად რამდენიმე საათით იყო გასული. სახლში მისულ ფეხბურთელს რამდენიმე ათას ევროდ შეფასებული საიუველირო ნაწარმი, ძვირად ღირებული მაჯის საათები და „პორშე კარერა" ადგილზე აღარ დახვდა. იტალიელმა კარაბინერებმა ავტომობილი მალევე დაუბრუნეს პატრონს, თუმცა, ჯერჯერობით ვერც დანარჩენი მოპარული ნივთები აღმოაჩინეს და ვერც მძარცველები დააკავეს.

## მოძალადე მესი

ყველაზე ცნობილმა სამხრეთამერიკელმა ფეხბურთის ქომაგმა, პარაგვაელმა მოდელმა ლარისა რიკელმემ, ერთ-ერთ ბრაზილიურ ტელეშოუში სენსაციური განცხადება გააკეთა. ლამაზმანის თქმით, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულმა ლიონელ მესიმ მას ფულის სანაცვლოდ სექსი შესთავაზა, რაზეც თავაზიანი უარი მიიღო.



რიკელმე ირწმუნება, რომ ბოლო დროს სისტემატურად განიცდის ზეწოლას ლიონელ მესისგან, რომელიც ცდილობს ყველა ხერხით დაითანხმოს ის ინტიმურ კავშირზე. მესის მოძალადეობა სამხრეთ ამერიკული პრესის ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ტირაჟირებულ სკანდალად სახელდება.

## გაკოტრებული დევიდ ჯეიმსი

ცნობილმა ინგლისელმა მეკარემ, ინგლისის ნაკრების რეკორდსმენმა დევიდ ჯეიმსმა ოფიციალურად გამოაცხადა თავი გაკოტრებულად. მან მთლიანად დაკარგა 20-მილიონიანი ქონება და ჰერტფორდის საგრაფოს სასამართლომ იგი ბანკროტად გამოაცხადა. ფინანსური აქტივები ჯეიმსმა ხანგრძლივი განქორწინების გამო დაკარგა, რომელიც 2005 წლიდან გრძელდება, ანუ, ის, ფაქტობრივად, ყოფილმა მეუღლემ გააკოტრა. ამჟამად ვეტერანი ფეხბურთელი ინგლისურ სპორტულ არხებზე მუშაობს ექსპერტად და ასევე „არმანის" მოდელი გახლავთ.

დევიდ ჯეიმსი ყველაზე ასაკოვანი დებიუტანტია მსოფლიო ჩემპიონატებზე – 2010 წელს, სამხრეთ აფრიკაში, ჯეიმსი 40 წლის ასაკში გავიდა საფეხბურთო მინდორზე.

## „პუმას" ახალი რეკლამა

სპორტული ინვენტარის მწარმოებელმა ცნობილმა კომპანია „პუმამ" ახალი სარეკლამო რგოლი წარადგინა, რომელშიც მთავარ როლებს ფეხბურთის ვარსკვლავები: არგენტინელი სერხიო აგუერო, გერმანელი მარკო როისი, ესპანელი სესკ ფაბრეგასი და იტალიელი მარიო ბალოტელი ასრულებენ. მსოფლიო დონის ვარსკვლავები სარეკლამო რგოლში „პუმას" ახალი ტექნოლოგიით შექმნილ ბუცებს უკეთებენ რეკლამას და, სავარაუდოდ, ამ სპორტულ ფეხსაცმელში ისინი ბრაზილიაში გასამართ 2014 წლის მუნდიალზე ითამაშებენ.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ფოტოხელოვნებით გატაცებული ტაილანდის მეფე – რამა მეცხრე ფხუმიპონ ადულიადეტი

***ტაილანდის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, ფხუმიპონ ადულიადეტი, ანუ, მისი სამეფო უდიდებულესობა მეფე რამა მეცხრე, ყველაზე ხანგრძლივვადიანი მმართველია თანამედროვე მსოფლიო ლიდერებსა და მონარქებს შორის ტაილანდის ისტორიაში. გთავაზობთ საინტერესო ცნობებს მის შესახებ.***

* ტაილანდის სამეფო დინასტია ჩაკრის წარმომადგენელი, ფხუმიპონ ადულიადეტი 1927 წლის 5 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მასაჩუსეტსის შტატში, კემბრიჯში დაიბადა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დედამისი არ მიეკუთვნებოდა დიდგვაროვნების ოჯახს, ფხუმიპონს დაბადებისთანავე „ფხრა ონგ ჩაოს" სტატუსი მიაკუთვნეს. სახელი „ფხუმიპონ" ნიშნავს „ქვეყნის ძალას, შეუდარებელ ძალაუფლებას". ფხუმიპონი ტაილანდის სამეფო ტახტზე 1946 წელს ავიდა, მას შემდეგ, რაც მისი უფროსი ძმა, მეფე რამა მერვე ანანდუ მაჰიდოლა, იდუმალ ვითარებაში მოკლული ნახეს. ტახტზე ასვლისთანავე მას სამეფო სახელი რამა მეცხრე ენოდა, ხოლო მისი სახელი – სრულად ასე გამოითქმის – ფხრაბატ სომდეტ ფრა პარამინდარა მაჰა ფხუმიპონ ადულიადეტ მაჰიტალადჰიბეტ რამადჰიბოდი ჩაკრინარუბოდინდ საიამინდარადჰირატ ბორომანატბოფიტრი.



* უამრავი ჭორი ვრცელდებოდა რამა მეცხრის გამეფების შესახებ. ამბობდნენ, რომ მისი ძმა ტახტის დაუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა. ამ ჭორების აბსურდულობის დამტკიცების მიზნით, ფხუმიპონმა ფიცი დადო, რომ არასდროს დაჯდებოდა ტახტზე ბანგკოკის სამეფო სასახლეში. გარდა ამისა, 60-იან წლებში მეფე რამა მეცხრემ დაიფიცა, რომ არასდროს დატოვებდა ტაილანდის ტერიტორიას. ჯერჯერობით ორივე ეს ფიცი გაუტეხელია.

* ტაილანდის მეფე რამა მეცხრე ერთ-ერთი ყველაზე სპორტული მონარქია მსოფლიოში. მისი უდიდებულესობის გატაცება აფროსნობაა. მას საკუთარი ნახაზებით და საკუთარი ხელებით აქვს აგებული იახტები, რომლებიც საერთაშორისო რეგატებში მონაწილეობდნენ. სანამ ასაკი ხელს უწყობდა, ის თვითონაც იღებდა მონაწილეობას შეჯიბრებებში და მას ოქროს მედალიც კი აქვს მოპოვებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიურ თამაშებში. სხვათა შორის, რამა მეცხრის მიერ დაარსებული სამეფო რეგატა ფხუკეტში – ყველაზე დიდი აფროსნული შეჯიბრებაა აზიაში.

* მონარქის გატაცებად ითვლება ფოტოგრაფია და, თითქმის ყველა ფოტოსურათზე, რომელიც მის საოჯახო ალბომში ინახება, ფხუმიპონი ფოტოაპარატით ხელშია დაფიქსირებული. მისი ნახვა ფოტოაპარატით ხელში, ასევე, შესაძლებელია ტაილანდურ ვალუტაზე, 1 000 ბატის ნომინალის მქონე ბანკნოტზე. მეფე „ქენონის" მარკის ფოტოაპარატებს ანიჭებს უპირატესობას და აზიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფოტოხელოვანად ითვლება.

# კენ ვატანაბე – მსოფლიო კინემატოგრაფის იაპონელი ვარსკვლავი

***სულ მალე მსოფლიო კინოთეატრებში ლეგენდარული მეგაბლოკბასტერის – „გოძილას" მორიგი კინოპრემიერა შედგება. ფილმ-კატასტროფას უზარმაზარი დინოზავრის მონაწილეობით, ამჯერად 3D ფორმატში იხილავს მაყურებელი. ფილმში არაერთი ცნობილი ვარსკვლავი თამაშობს, მათ შორის – იაპონელი კენ ვატანაბე, რომელიც ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იაპონელი კინომსახიობია.***

* კენ ვატანებეს სრული სახელია კენსიაკუ და ის 1959 წლის 21 ოქტომბერს იაპონიაში, დასახლება კოიდეში, მასწავლებლების ოჯახში დაიბადა. სკოლაში სწავლის დრო კენი ტრომბონზე დაკვრას სწავლობდა და პარალელურად სკოლის ანსამბლში მღეროდა. სწორედ იმ პერიოდში გადაწყვიტა მან მსახიობობა და 19 წლის ასაკში ტოკიოში გაემგზავრა, სადაც თეატრალურ სტუდიაში მოეწყო. 1981 წელს ვატანაბეს დებიუტი შედგა თეატრალურ სცენაზე, ხოლო ერთი წლის თავზე იგი ტელევიზიაში სამუშაოდ მიიწვიეს, სადაც სხვადასხვა ჟანრის ტელეფილმებში დაიწყო მონაწილეობის მიღება. 1984 წელს მისი დებიუტი შედგა სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში „მაკარტურის ბავშვები", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იაპონიის ოკუპაციას ეხებოდა. იმავე წელს მან საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობისთვის დაწესებული იაპონიის კინოაკადემიის პრემია მიიღო.



* 1989 წელს, ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს, ვატანაბეს მძიმე დაავადება – ლეიკემია აღმოაჩნდა. გადაღებები შეჩერდა, ხოლო მსახიობი საავადმყოფოში მოხვდა, საიდანაც მხოლოდ 1994 წელს გამოწერეს, თუმცა, დაავადებამ კვლავ იჩინა თავი და ვატანაბე იძულებული გახდა, კიდევ ერთი წლით აეღო პაუზა.

* ფილმი „უკანასკნელი სამურაი" კენ ვატანაბეს კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება. ამ ფილმამდე შეერთებულ შტატებში მის შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი, უცებ კი მასზე ყველა ალაპარაკდა და მისი შედარება დაიწყეს ლეგენდარულ იაპონელ მსახიობთან, „შვიდი სამურაისა" და „წითელი მზის" ვარსკვლავთან, ტოშირო მიფუნესთან.

* კენ ვატანაბე იაპონიაში თავმდაბლობით არის ცნობილი. მას არ უყვარს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გამოჩენა, რადგან უმალ ექცევა მათი ყურადღების ეპიცენტრში. „მე არ ვარ დიდი ვარსკვლავი იაპონიაში, მე მხოლოდ მსახიობი ვარ. ნორმალურად ვცხოვრობ და კვირაში ხუთჯერ კერძს ვამზადებ ჩემს სამზარეულოში. ნამდვილი ვარსკვლავები ასე არ იქცევიან," – აი, ასე დაახასიათა საკუთარი თავი ერთ-ერთ ინტერვიუში ნომერ პირველმა იაპონელმა მსახიობმა პლანეტაზე, „უკანასკნელმა სამურაიმ" კენ ვატანაბემ.

# მხოლოდ ფაქტები

* „გინესის რეკორდების წიგნში" თჰენეშვარ გურანგაი იმის გამო მოხვდა, რომ 30 წუთის განმავლობაში ერთ თითზე ატრიალებდა საკმაოდ მძიმე „გინესის რეკორდების წიგნს".

* ერთ-ერთი ვერსიით ბაბილონის დაკიდებული ბაღები შეიქმნა იმისთვის, რომ ნაბუქოდონოსორის ცოლს თავისი სამშობლოს – მთიანი, მწვანე მიდიის ნოსტალგია არ ჰქონოდა.

* ნიაგარის ჩანჩქერთან ყველა გაოცებულია, როდესაც ძლიერი ნაკადიდან სულ რამდენიმე მეტრში კითხულობენ წარწერას: „არ მოწიოთ". ამ ადგილას ისეთი წყლის „მტვერია", რომ სიგარეტის მოკიდებაც კი შეუძლებელია.

* სპარტაკი, მაღალი მორალური სულის შესანარჩუნებლად, თავის მეომრებს უკრძალავდა ჰქონოდათ ოქრო და ვერცხლი.

* მსოფლიოს სამი უძლიერესი მოჭადრაკე ქალის – იუდით, სოფია და ჟუჟა პოლგარის მამა, ქალიშვილები რომ დაეინტერესებინა, ზღაპრებს ჭადრაკის ფიგურების გამოყენებით უყვებოდა.

* მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მიღებული იყო ქურდებისთვის ხელის მოკვეთა. მოკვეთილ ხელს ანატომიის სწავლებისთვის იყენებდნენ.

* ლეგენდის მიხედვით, სლავი ხალხის წინაპრები – ლეხი, ჩეხი და რუსი, დიდი ხნის განშორების შემდეგ შეხვდნენ ქალაქ პოზნანში. ამბობენ, ეს სახელიც, ქალაქს, რაც ქართულად ნიშნავს – „გიცანი," ამიტომ დაერქვაო.

* კანილი რებილი კონსული 45 წლის ასაკში გახდა. მას ციცერონმა „გასაკვირად ფხიზელი კონსული" უწოდა, რადგან რებილი ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი დღე იყო.

* მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ინგლისში რქების მოჭრის პრაქტიკა გავრცელდა. სწორედ ამიტომ, ვეტერინარების ინსტრუმენტთა ნაკრებში გაჩნდა... გილიოტინა.

* საცურაო აუზების ერთ-ერთ მხარეზე მეტრ-ნახევრამდე სიმაღლეზე გაკეთებულია საკმაოდ უცნაური ონკანი, საიდანაც წყალში მუდმივად ეშვება წყლის წვრილი ჭავლი. ეს იმიტომ, რომ ტრამპლინიდან წყალში მხტომელმა წყლის ზედაპირი გამოარჩიოს.

* დედამიწაზე სასმელი წყლის ყველაზე მეტი რაოდენობა ანტარქტიდაზეა კონცენტრირებული.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## აიმაღლეთ ტონუსი მცენარეული ნაყენებით

სამკურნალო ბალახების ნაყენი ძალიან სასარგებლოა. ვიტამინების ნაკლებობის დროს შეურიეთ ერთმანეთს ერთი წილი ასკილი და ერთი წილი მოცხარის ნაყოფი. ერთ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ორი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. ათი წუთით ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გადაწურეთ, დაუმატეთ შაქარი გემოვნებით და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში სამჯერ. ასევე, შეგიძლიათ, ერთმანეთს შეურიოთ თითო წილი ასკილისა და ცირცველის ნაყოფი. ერთ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ ხუთი წუთი. შემდეგ დაახლოებით, ოთხი საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, გრილ ადგილას. გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში ოთხჯერ. ასევე, კარგია, ერთი წილი ჟოლოს, ერთი წილი შავი მოცხარისა და ერთი წილი მოცვის ფოთლების ნარევიც: ორ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე, დაახლოებით, ხუთი წუთი. შემდეგ გააცივეთ, გადაწურეთ და მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა ავიტამინოზისა და ჰიპოვიტამინოზის დროს, დღეში ორჯერ.

კუჭის აშლილობისას ერთმანეთს შეურიეთ ერთი წილი პიტნა, სამი წილი ჭინჭარი და ორი წილი კატაბალახას ფესვები. ორ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ორი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათით, შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ თითო ჭიქა, დღეში ორჯერ. ასევე, შეურიეთ ერთმანეთს ერთი წილი ჟოლოს ფესვები და ერთი წილი ანწლის ყვავილი. ორ ჩაის კოვზ ნარევს დაასხით ორი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ. ეს კუჭის შემკვრელი არაჩვეულებრივი საშუალებაა.

თუ ტონუსის ამაღლება გინდათ, მაშინ ათ გრამ კვლიავს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. კარგად შეფუთეთ და გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

სამკურნალო მცენარეების შეძენა შეგიძლიათ აფთიაქებში.

## გამოკვებეთ ტვინის უჯრედები

იმისთვის, რომ ადამიანის ტვინმა ნორმალურად იმუშაოს, აუცილებელია სწორი კვება. კერძოდ, მისთვის საჭიროა უჯერი ცხიმოვანი მჟავების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფა, რომელთა ძირითადი საკვები წყაროა მზესუმზირის, სელისა და ზეთისხილის, ანუ ზეითუნის ზეთი.

მინერალური ნივთიერებებიდან ტვინისთვის აუცილებელია: გოგირდი, ფოსფორი, სპილენძი, თუთია, კალციუმი, რკინა და მაგნიუმი. ფოსფორი და ფოსფორის ნაერთები ხელს უწყობს ტვინის უჯრედების წარმოქმნას. გოგირდი საჭიროა მათი ჟანგბადით გაჯერებისთვის. დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი მინერალები კი უზრუნველყოფს ტვინის ნორმალურ ცხოველმყოფელობას.

ადამიანის ტვინისთვის, ასევე, აუცილებელია E ჯგუფის ვიტამინები. ვიტამინი E არეგულირებს ნათხემის მოქმედებას, ხელს უწყობს ჟანგბადის ეკონომიას.

ასევე, ტვინისთვის აუცილებელია ჟანგბადის დიდი რაოდენობა. კვების პროდუქტები ხელს უწყობს ჟანგბადით მის გაჯერებას. ასეთი პროდუქტებია, მაგალითად, კარტოფილი, თალგამი, ხახვი, პომიდორი, ოხრახუში, პიტნა, მდოგვი და ასე შემდეგ.

როგორც ადამიანის სხვა, ნებისმიერი ორგანოსთვის, აქტიური მუშაობის შემდეგ, ტვინისთვისაც აუცილებელია დასვენება. უსაქმურობის დროს კი ტვინი ფორმატდება. ამ დროს ადამიანი ვერ აზროვნებს სწორად და შესაძლოა, უმნიშვნელო პრობლემების გადაჭრამაც კი, დიდი უსიამოვნების წინაშე დააყენოს. ასე რომ, ნუ გააზარმაცებთ ტვინს, რომ ის დიდხანს საღად და ნორმალურად გემსახუროთ.

## ვის არ ეჭმევა ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანახი და მჟაუნა

ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანახი და მჟაუნა მდიდარია ვიტამინებით, მინერალური მარილებით, სხვა სასარგებლო და საჭირო ნივთიერებებით.

ყვავილოვან კომბოსტოში არ არის გოგირდი, რომელიც იწვევს გაზების წარმოქმნის პროცესის გაძლიერებას კუჭ-ნაწლავში. მას ადამიანის ორგანიზმი ადვილად ინელებს და, რადგან გაცილებით მცირე რაოდენობით უჯრედისს შეიცავს, არც ისე ძლიერად აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს. მაგრამ, ყვავილოვანი კომბოსტო მდიდარია აზოტოვანი ნივთიერებებით, რის გამოც, მარილების დალექვის დროს, მისი ჭამა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით არის რეკომენდებული.

ისპანახი შეიცავს დიდი რაოდენობით სრულფასოვან ცილებს, ვიტამინებს, რკინას, მაგრამ, ვისაც მიდრეკილება აქვს ისეთი დაავადებებისკენ, როგორიცაა მარილების გაძლიერებული დალექვა პოდაგრისა და დიათეზის დროს, არ არის რეკომენდებული ისპანახის ჭამა. ისპანახში სხვა ბოსტნეულზე ბევრად მეტია აზოტოვანი ნივთიერებები, მათ შორის – პურინული ფუძეები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში შარდმჟავასა და მისი მარილების წარმოქმნას.

არ გირჩევთ მჟაუნას წვნიანების ხშირად შეტანას მენიუში, რადგან, მჟაუნის მჟავა კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას იწვევს. ის, ასევე, დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტოვან ნივთიერებებს, რაც ნიშნავს, რომ სახსრების დაავადებების, პოდაგრის, თირკმელებისა და ნაღვლის კენჭოვანი დაავადებების დროს არ უნდა მიირთვათ.

## აიმაღლეთ იმუნიტეტი პოლივიტამინური ნაყენებით და დაამარცხეთ ავიტამინოზი

***ვიტამინების ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას, ამიტომ, პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები სიმხნევეს მოგანიჭებთ, ტვინის მოქმედებას გააქტიურებს და ტონუსს აგიმაღლებთ.***

**** კუნელის ნაყენი:*** ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, დაახლოებით 5-6 საათის განმავლობაში დადგით ოთახში, შემდეგ კი 1 ჭიქა ნაყენში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ჭამის შემდეგ დალიეთ.

**** მოცვის ნაყენი:*** 1/4 ჩაის ჭიქა მოცვის ფოთლებს დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. დალიეთ თბილი, დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი პოლივიტამინების საბადოა, ასევე, კარგია ნიკრისის ქარის დროს.

**** დამამშვიდებელი ნაყენი:*** 4 სადილის კოვზი გვირილის ყვავილი, 4 სადილის კოვზი პიტნის ფოთოლი და 2 სადილის კოვზი ვალერიანის ძირები კარგად აურიეთ ერთმანეთში. ამ ნარევის 1 სადილის კოვზი ჩაყარეთ ჩაის ჭიქაში და შეავსეთ მდუღარე წყლით. გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წუთი, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ თითო ჭიქა, დღეში ორჯერ.

**** გვირილის მკვებავი ნაყენი:*** 1 სადილის კოვზ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი და დადგით 20 წუთით. დაუმატეთ შაქარი და ნაღები – გემოვნებით. ეს ნაყენი ორგანიზმისთვის ერთგვარი მკვებავია, ასევე, უხდება ნაწლავებს და აწესრიგებს ძილს.

**** ასკილისა და შავი მოცხარის ნაყენი:*** თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს ასკილის ნაყოფი და მოცხარის კენკრა. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 1 საათით, თავდახურული. შემდეგ გადაწურეთ და დაატკბეთ შაქრით. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში 3-ჯერ. ეს ნაყენი კარგია გაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს.

**** ასკილისა და ცირცელის ნაყენი:*** ერთმანეთში თანაბარი რაოდენობით აურიეთ ასკილი და ცირცელი. 2 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით 1 საათით. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ნახევარი ჩაის ჭიქა.

* ავიტამინოზის დროს: აიღეთ 3-3 სადილის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი და ასკილი. დანაყეთ, დაუმატეთ 2 სადილის კოვზი მოცვი და კარგად ამოურიეთ. 3 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით ოთახში 3 საათის

განმავლობაში. სვით დილა-საღამოს, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი ამდიდრებს ორგანიზმს ყველა ვიტამინითა და მიკროელემენტით.

### სასმელი წყლის ხარისხსა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის პირდაპირი კავშირია

სასმელი წყლის ხარისხი აქტუალურობას არასდროს კარგავს. მისი გასინჯვისას უპირატესობას გემოს ვანიჭებთ და ამგვარი შერჩევა შემთხვევითი არ არის. სხვადასხვა წყაროს წყალს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, მათ შორის, განსხვავებული გემოც აქვს. გემრიელი წყალი იწვევს არა მხოლოდ დადებით ემოციებს და კლავს წყურვილს, არამედ, უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავს დედამიწის წიაღის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილია, რომ სასმელი წყლის ხარისხსა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ვინაიდან სასმელი წყლის ძირითადი წყაროა მდინარეები და მიწისქვეშა წყლები, მისი დაბინძურების რისკი მაღალია. ვისაც ბუნებრივ წყაროებზე ხელი არ მიგიწვდებათ და სამრეწველო წესით ჩამოსხმული მინერალური წყლის შეძენას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ, სახლის პირობებშიც დაამზადოთ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო წყალი: საყინულეში მოათავსეთ ცივი წყლით სავსე ქვაბი. ექვსი საათის შემდეგ წყლის ნაწილი, რომელიც გაუყინავი დარჩა, სხვა ჭურჭელში გადაასხით და ხელახლა შედგით საყინულეში, ყინული კი გადააგდეთ. ოთხი საათის შემდეგ ქვაბი გამოიღეთ მაცივრიდან, ყინულში არსებული სითხე გადაღვარეთ და ყინული ოთახის ტემპერატურაზე გაადნეთ. ასეთი წესით მომზადებული წყალი მინარევებისგან გაწმენდილია და, ამავე დროს, შეიცავს ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ნივთიერებას. მისი სამკურნალო მოქმედების საიდუმლო კი ისაა, რომ გამდნარი წყლის მოლეკულის დიამეტრი ზომით იდეალურად შეესატყვისება უჯრედების მემბრანების ხვრელებს, ეს კი სითხეს საშუალებას აძლევს, ადვილად შევიდეს ქიმიურ რეაქციაში, რის შედეგადაც ნივთიერებათა ცვლის პროცესი აქტიურდება და ორგანიზმი ძალასა და ენერგიას ზოგავს.



წყალგაყვანილობის წყალი შეიცავს ქლორს, ფტორსა და სხვა ნაერთებს, რომლებიც დუღილის პროცესში ჯანმრთელობისთვის მავნე ნაერთს წარმოქმნის. ამისგან თავი რომ დაიცვათ, სანამ წყალს აადუღებთ, ერთი დღე-ღამე თიხის, სპილენძის ან მინის ჭურჭელში დატოვეთ, რომ ფტორი და ქლორი გაქრეს.

მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 40 ლიტრ სითხეს შეიცავს, რომლის აუცილებელი რაოდენობა მუდამ უნდა შენარჩუნდეს. უმნიშვნელო გაუწყლოების დროსაც კი, სისხლის პლაზმა და სხვა უჯრედგარეშე სითხე შესქელებას იწყებს და მათში მარილების რაოდენობა იმატებს. წყალი უჯრედებიდან დიდი კონცენტრაციის ზონაში მიემართება, შედეგად კი უჯრედები ნაოჭდება, რაც მთელი ორგანიზმის ნაადრევ დაბერებას იწვევს. გარდა ამისა, ადამიანთა უმეტესობა წყალს არასწორად სვამს, ხოლო მოსახლეობის თითქმის ნახევარი სითხეს გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე საჭიროა.

თუ სისხლძარღვთა სისტემის სერიოზული დაავადებები არ გაწუხებთ და თირკმელებიც ნორმალურად მუშაობს, წყალი უნდა დალიოთ ნელა, ყლუპ-ყლუპით, არანაკლებ ორი ლიტრისა დღეში.

## ექიმის რჩევები

**კითხვა: აქვს თუ არა კავშირი უშვილობასთან პროსტატის ანთებას?**

**პასუხი:** პროსტატიტი და ზოგადად, შარდ-სასქესო გზების ქრონიკული ინფექციური პათოლოგიები უშვილობის ერთ-ერთი მიზეზია.

**კითხვა: 20 დღეა, სიგარეტს თავი დავანებე. ეს დღეებია დამეწყო ღრძილების ტკივილი, წვა და სისხლდენა, კბილს კბილზე ვერ ვადებ. გამიგია, მოწევის შეწყვეტის მერე მსგავსი რაღაცეები იცისო. ძალიან მაწუხებს და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** სიგარეტისთვის თავის დანებება და ამ სიმპტომების გაჩენა, ერთმანეთთან კავშირში არ არის. თქვენ, სავარაუდოდ გაქვთ ქრონიკული პაროდონტიტი, რომელიც მწვავე ფორმაში გადავიდა და ამას დაემთხვა თქვენი მოსაზრება მოწევასთან დაკავშირებით. საჭიროა ობიექტური გამოკვლევები. გირჩევთ, მიმართოთ სტომატოლოგს და ჩაიტაროთ სათანადო მკურნალობა.

**კითხვა: მეუღლეს ჰქონდა ფარული ფილტვების ანთება. სითხე ჩაუდგა პლევრაში და ამოვუღეთ 1,5 ლიტრი. ერთი კვირა გავიდა და აქვს საშინელი ხველება. რენდგენმა კვლავ აჩვენა სითხე. რამდენადაა სასურველი, სითხის ხელმეორედ ამოღება ასე მცირე დროში?**

**პასუხი:** დაუყოვნებლივ მიმართეთ ფტიზიატრს, გამოსარიცხია ტუბერკულოზური პროცესი. მისი დადასტურების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მკურნალობა სპეციფიკური მედიკამენტებით მკაცრად განსაზღვრული დროით.

**კითხვა: მაქვს ამალგამის ბჟენი. იქნებ მიპასუხოთ, რა არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ბჟენის ქონას?**

**პასუხი:** ვერცხლისწყლის შემცველი ამალგამის ბჟენი კამათის საგანია სტომატოლოგებს შორის მთელ მსოფლიოში. ერთი ნაწილის აზრით, ის მავნეა პაციენტისთვის (ვერცხლისწყლის შემცველობის გამო), ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, მის აბსოლუტურ უსაფრთხოებას. ჩვენთან ეს საბჟენი მასალა აღარ გამოიყენება.

**კითხვა: გამიგონია, ქალიშვილმა ცხენით არ უნდა იჯირითოსო. მაინტერესებს მართლა საზიანოა თუ არა?**

**პასუხი:** ეს შეხედულება მცდარია. მაშინ, არ უნდა ისეირნოთ არც ველოსიპედით, მოტოციკლით და ასე შემდეგ.

**კითხვა: რა პროცედურაა პლაზმოფერეზი და რას შველის? ვარ 9 კვირის ორსული.**

**პასუხი:** პლაზმოფერეზი – ატრავმატული და უსაფრთხო სისხლის გაწმენდის მეთოდია, რომლის დროსაც სისხლიდან მავნე ნივთიერებების შთანთქმა სპეციალური ფილტრებით ხდება. მისი საშუალებით სისხლი იწმინდება წიდისგან, შხამებისა და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტებისგან, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და ცხიმში ხსნადი ფისებისგან. გაწმენდილი სისხლი ბრუნდება ორგანიზმში.

**კითხვა: 83 წლის ქალის განავალი არის შავი. ტკივილები არ აქვს. თავბრუხვევა აღენიშნება ფეხზე დგომისას.**

**პასუხი:** შავი განავალის არსებობისას დაუყოვნებლივ უნდა გამოირიცხოს ფარული სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. მით უმეტეს, თუ ქალბატონს თავბრუხვევა აქვს – ესეც სისხლნაკლებობას შეიძლება უკავშირდებოდეს. დროულად უნდა მიმართოთ გასტროენტეროლოგს ან ქირურგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# რა ტანჯავს გიორგი დანელიას და რას ვერ აკეთებს ის თავის გემოზე

*ალბათ ყველას გაინტერესებთ იმ ადამიანის დღიურები და სულ ელოდით ამ რუბრიკაში მის ნახვას, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან მაყურებელს აჩუქა გასაოცარი ფილმები: „მიმინო", „არ დაიდარდო", „პასპორტი", „აფონია". „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში", „შემოდგომის მარათონი"...*



*გიორგი დანელია დაიბადა 1930 წლის 25 აგვისტოს, თბილისში. მამა, ნიკოლოზ დანელია, საგზაო ინჟინრად, შემდეგ მაღაროს უფროსად და საბჭოთა კავშირის მეტრომშენის მთავარ ინჟინრად მუშაობდა; დედა, მერი ანჯაფარიძე, ვერიკო ანჯაფარიძის და, წლების განმავლობაში იყო „მოსფილმში" ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი დამდგმელ რეჟისორად.*

*გიორგი დანელია პროფესიით არქიტექტორია – 1954 წელს მან მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტი და დაამთავრა. ძალიან მცირე ხნით მუშაობდა ქალაქების დაპროექტების ინსტიტუტში. სწორედ არქიტექტურული გატაცება დაეხმარა მას რეჟისორულ მუშაობაში. „პირველადი განათლებით მე არქიტექტორი ვარ და, როგორც ჩანს, ამ კვალის წაშლა შეუძლებელია,"– ამბობს იგი. მისი ფილ-*



*მების უმეტესობა გია ყანჩელის მუსიკითაა გაფორმებული. გია ყანჩელმა აჩუქა მას ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის „პატარა დანელიადა". ალბათ, ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ მის თითქმის ყველა ფილმში გადაღებულია მისი ყოფილი მეუღლე, ლიუბოვ სოკოლოვა, რომელიც მრავალრიცხოვანი გადაღებებით გინესის რეკორდების წიგნშია შეყვანილი*

*დღეს საშუალება გეძლევათ გენიალური ქართველი, რუსეთში მოღვაწე რეჟისორი ახლოს გაიცნოთ. ჩვენ მის ინტერვიუს ერთ-ერთ ახალგაზრდულ საიტზე (www.smkgearn.blogspot.com) მივაგენით, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:*

**– ბატონო გიორგი, რატომ ხართ ასეთი „ჩაკეტილი", იქნებ, ფიქრობთ, რომ თქვენი ფილმები ამბობენ თქვენ შესახებ უფრო მეტს, ვიდრე თავად იტყოდით?**



– მე მართლა ძალიან ბევრს ვაქსოვ ჩემს ნამუშევრებში და საერთოდ არ ვარ მჭევრმეტყველი. ჩემთვის დღეს ქუჩაში გასვლა, ვინმესთან ურთიერთობა და, მით უმეტეს, უაზრო თავყრილობებში მონაწილეობა, საშინელი ტანჯვაა, ჩემი ნება რომ იყოს, სულ კაბინეტში ვიქნებოდი და დავწერდი სცენარებს ან მემუარებს – სათქმელიც ბევრი მაქვს და ასაკიც მავალდებულებს.

**– წარსულის ნოსტალგიას განიცდით?**

– ვერ ვიტყვი, რომ წარსული ცხოვრება სრული დღესასწაული იყო, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მე შემეძლო, ამესახა ეკრანზე ის, რასაც ვფიქრობდი და ვგრძნობდი. ეს არ ნიშნავს, რომ მე დღევანდელობას არ ვესადაგები ან არ მაქვს საშუალება, გადავიღო ფილმები, უბრალოდ, მხატვრულ კინემატოგრაფში ჩემს მწვერვალებს, ალბათ, უკვე მივაღწიე. მე ველარასდროს გავიმეორებ ისეთი კლასის ფილმებს, როგორებიცაა „შემოდგომის მარათონი" და „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში".



**– თქვენს მშობლებს თუ ჰქონიათ კინოსთან კავშირი?**




– დედაჩემი ქართველი მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძის და იყო, მიხეილ ჭიაურელის ცოლისდა. ჩვენს სახლში ნამყოფია თითქმის მთელი მოსკოვის კინემატოგრაფიული და თეატრალური ელიტა: დოვჟენკო, პუდოვკინი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, ტარასოვა და სხვები... მამაჩემი ჩუმი, გულჩათხრობილი ადამიანი იყო და, ამ კუთხით, ხასიათით, ალბათ, მამას ვგავარ.

**– თქვენ უცხოელ კინოელიტასთანაც ურთიერთობდით, მაგალითად, ფედერიკო ფელინისთან...**



– მისი შემოქმედება ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის, მაგრამ, ამასთანავე, შეგნებული მქონდა, რომ მე თვითონ ასე ვერასდროს გადავიღებდი. როდესაც ფელინი გარდაიცვალა, ჩემთვის ეს მეოცე საუკუნის კინემატოგრაფის გარდაცვალებას ნიშნავდა. დაკრძალვაზეც კი წავედი, მაგრამ, იმის თქმა, რომ ის ჩემი მასწავლებელი იყო, ბაქიაობა იქნება, მთავარი მასწავლებელი მაინც ცხოვრებაა.

**– ფილმში „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში" ახალგაზრდა ნიკიტა მიხალკოვის დებიუტი შედგა. გაქვთ თუ არა ურთიერთობა მასთან და როგორ აფასებთ მის ნამუშევრებს?**

– ერთხელ, შემოქმედებით საღამოზე, ერთმა მაყურებელმა მკითხა: შემეძლო თუ არა, წარმომედგინა, რომ მიხალკოვი ასეთი ცნობილი რეჟისორი, რუსული კინოს ვარსკვლავი გახდებოდა. მცირე პაუზის შემდეგ ვუპასუხე: „მართალი გითხრათ, მეგონა, ის პრეზიდენტი გახდებოდა", დარბაზი ხარხარებდა.

**– თქვენ ახალი ჟანრი შექმენით – „ლირიკული კომედია", როგორ მოხდა ეს?**

– ეს მოხდა „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში" ჩაბარების დროს: უფროსებს სურათი მოეწონათ, გაიღიმეს, მაგრამ, ხმამაღლა არ იცინოდნენ. შემდეგ ამ ფენომენის შესახებ მკითხეს, მეც ავდექი და ვუპასუხე: „ყველაფერი მართალია, ეს ხომ კომედიაა, მაგრამ, ლირიკული."

**– იმაზე რა რეაქცია გაქვთ, რომ ზოგჯერ კომედიოგრაფს გიწოდებენ?**

– დიდი ხანია, შეჩვეული ვარ იმას, რომ, მე, გაიდაისა და რიაზანოვს კომედიურ სამეულში გვაერთიანებენ, მაგრამ, ჩვენ განსხვავებულები ვართ! გაიდაი ექსცენტრიკული კომედიის უბადლო ოსტატია; რიაზანოვი განსხვავებულ ფილმებს იღებს – სასაცილოდან – მელოდრამატულამდე და ძალიან დრამატულამდე. „კომედიოგრაფი" მხოლოდ ტერმინია და მე ამას მშვიდად ვუყურებ.

**– თქვენი ფილმები ხშირად გადის ტელევიზიით. გიყვართ თუ არა მათი ყურება და თუ შეცვლიდით რამეს ახლა?**



– ტელევიზიით ჩვენების ხარისხი ჩამორჩება იმას, რისი ნახვაც კინოთეატრში შეიძლება, ამიტომ, არ ვადევნებ თვალს პროგრამას, ჩემს ფილმებში კი ბევრს გავასწორებდი, მაგალითად, „აფონიაში" სოფლის სცენას მთლიანად „ამოვჭრიდი". ახლა ვხვდები, რომ ის ოდნავ ხელოვნურად არის მიერთებული ამ ქალაქის ტრაგიკომედიასთან.

**– მართალია, რომ თქვენ თქვენს ფილმებს ხუთბალიანი სისტემით აფსებთ?**

– აბსოლუტური სიმართლეა. „ხუთიანებს" ვუწერ ფილმებს, რომლებიც, ჩემი აზრით, „გამომივიდა": „არ დაიდარდო" და „შემოდგომის მარათონი." ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ჩემთვის



ყველაზე ძვირფასია, უბრალოდ, მათში მეტი აღმოჩენაა. საუკეთესო სცენარი კი, ალბათ, „იღბლიანი ჯენტლმენები" იყო. მე ის ვიქტორია ტოკარევასთან ერთად დავწერე. მაშინ ახალგაზრდები და მხიარულები ვიყავით, რაც ამ სურათზეც აისახა. შემოსავლების მხრივ, ყველა რეკორდი „აფონიამ" მოხსნა, ხოლო წარმატების მარათონი „მიმინომ" აჩვენა, იმიტომ, რომ ის ყველაზე ბევრჯერ აჩვენეს ეკრანებზეც და ტელევიზიითაც.

**ეკა პატარაია**

# როგორ მოქმედებს „კამელინი“ ადამიანის იმუნურ სისტემაზე და რა განაპირობებს მის ეფექტურობას სიმსივნისა და სხვა დაავადებების მკურნალობის დროს

*„კამელინის“ სამკურნალო უნიკალური თვისებების შესახებ ჩვენს მკითხველს არაერთი ინფორმაცია მივაწოდეთ, რადგან თაფლზე დამზადებული ბუნებრივი, ქართული პრეპარატი დღეს გავრცელებული არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. მათ შორის ისეთის, როგორიც სიმსივნეა. სამწუხაროდ, დღეს ეს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომელმაც ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დღემდე მიმდინარეობს მასთან ბრძოლა. „კამელინის“ გამოყენება ამ დაავადების სამკურნალოდ ხშირად ძალიან ეფექტურია, რასაც მისი სხვადასხვა თვისება განაპირობებს. „კამელინი“ 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. თუმცა, „კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, მაგრამ უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. პრეპარატის გამოყენება შეიძლება ისე, როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი და ასევე, დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ორგანიზმის იმუნური პასუხის ოპტიმიზაცია. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარეც, უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მკურნალობით მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება.*

*პრეპარატი „კამელინი“ აძლიერებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს სიმსივნის უჯრედებს და აფერხებს მათ გამრავლებას. რაც მთავარია, ამ პრეპარატმა ადრეც და ახლაც ბევრი ადამიანი სრულიად განკურნა სიმსივნისგან. ბევრ შემთხვევაში კი, მოხდა სიმსივნური უჯრედების გამრავლების შეჩერება და მეტასტაზები გაქრა. პრეპარატ „კამელინით“ ჯერ კიდევ მაშინ იკურნებოდნენ, როდესაც ის ასეთი პოპულარული არ იყო. ამას უამრავი მადლობის წერილი ადასტურებს. განკურნებული პაციენტები თუ მათი ოჯახის წევრები წერენ „კამელინის“ უნიკალური თვისებების შესახებ და მის ავტორს ამ გამოგონებისთვის დიდ მადლობას უხდიან. პირადად მე, შევიტყვე, თუ როგორ გაუქრა ერთ-ერთ პაციენტს სარკომა, ისე რომ, როცა მას კომპიუტერული ტომოგრაფია გადაუღეს, ეჭვიც კი შეეპარათ, საერთოდ, იყო თუ არა სიმსივნე. ერთ-ერთ პაციენტს ჰქონდა სწორი ნაწლავის სიმსივნე. გაუკეთეს ოპერაცია, ძალიან მძიმედ იყო, დღეები ჰქონდა დათვლილი. მან მხოლოდ „კამელინით“ განაგრძო მკურნალობა. ხუთი კურსის შემდეგ გამოკეთდა, შეჩერდა სიმსივნური წარმონაქმნის ზრდა, გაქრა მეტასტაზები და პაციენტი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ფაქტია, რომ „კამელინის“ გამოყენებით ადამიანებს უხანგრძლივდებათ სიცოცხლე და უუმჯობესდებათ მისი ხარისხი. ერთ პაციენტს ფილტვის სიმსივნე ჰქონდა, ისრაელშიც იყო, მოსკოვშიც... ყველგან უთხრეს, რომ სიცოცხლის მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩა. მან სამი წელი იცოცხლა და რა თქმა უნდა, მკურნალობდა „კამელინით“, თან აქტიურად ცხოვრობდა, ტკივილი არ ჰქონია, მხოლოდ ბოლო ერთ თვე იწვა. მაგალითად, ერთი პაციენტი, რომელიც 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა, ჯერ უშვილობის გამო, შემდეგ წყლული გაუჩნდა, რომელიც არ შეხორცდა, მერე უკვე დაემართა მედიკამენტური ინტოქსიკაცია. ბოლოს ყველანაირ მკურნალობას დაანება თავი და „კამელინის“ გამოყენებაზე გადავიდა. როგორც თავად თქვა, პირველი კურსის ჩატარების შემდეგ მოეხსნა ინტოქსიკაცია, ექვსი კურსის ბოლოს კი წყლული შეუხორცდა. ეს მისი ექიმისთვისაც ძალიან საინტერესო და გასაოცარი ფაქტი იყო. ხშირია ისეთი პაციენტების რაოდენობა, რომლებიც „კამელინით“ მკურალობენ ვაგინალურ ინფექციებზე. ასევე, არაერთი პაციენტია, რომელთაც ბაქტერიულ-ვირუსული ვაგინიტების დროს ჰქონდათ ჭარბი გამონადენი, ქავილი, მოვიდნენ და ჩაიტარეს მკურნალობა სანთლებით. ზოგიერთს პარალელურად ნემსიც დასჭირდა და ახლა უკვე თავს ძალიან კარგად გრძნობენ. „კამელინი“ ასევე, ძალიან კარგად მოქმედებს და კარგ შედეგს იძლევა გახანგრძლივებული ბრონქიტების დროს, როდესაც თითქმის ამოწურულია ანტიბიოტიკოთერაპია.*



**ქალბატონი თამუნა**: ჩემს დას 33 წლის ასაკში აღმოაჩნდა თავის ქალის სიმსივნე, რომელიც არ ექვემდებარებოდა მკურნალობას. ნელ-ნელა უფრო ცუდად ხდებოდა, უარესდებოდა მისი მდგომარეობა. გავუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ შედეგი არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო. ამიტომ გადავწყვიტეთ, მკურნალობის სხვა გზები და საშუალებები გვეცადა. პირადად მე, ჩემი ახლობლისგან გაგებული მქონდა „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ – მას ჰქონდა ფილტვის სიმსივნე, არცთუ ისე კარგი მდგომარეობა, იმკურნალა „კამელინით“ და დღეს თავს კარგად გრძნობს. ამიტომ, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, რომ ჩემი დისთვის „კამელინით“ დაგვეწყო მკურნალობა. იმ დროს ჩემი და საკმაოდ ცუდად იყო, ვერ ამოძრავებდა ხელებს, ფეხებს. „კამელნის“ გაკეთებისთანავე, ორგანიზმმა მუშაობა დაიწყო. რამდენიმე კურსის შემდეგ ავუღეთ ანალიზები და პასუხები უკეთესი იყო. სიმსივნე დაძლეული იქნა, უფლისა და „კამელინის“ დახმარებით, ჩემმა დამ სიარულიც შეძლო. ამჟამად თავს კარგად გრძნობს, ცოტა უჭირს სიარული, მაგრამ რა შედარებაა, ყველაფერს აკეთებს. ჩვენ კი „კამელინს“ უკვე პროფილაქტიკისთვის ვიყენებთ.

40 წლამდე ასაკის ქალბატონს 10 წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ კვლავ უშედეგოდ, მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით, შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა, მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს.

**ქალბატონი მანანა**: ჩემს ახლობელს, რამდენიმე წლის წინ დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი, საკმაოდ ცუდად იყო. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართა, რა არ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროს „კამელინზე“ ბევრმა არ იცოდა, მაგრამ მან ახლობლისგან შეიტყო ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. პირადად მე ვუკეთებდი „კამელინის“ ნემსებს. მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა, ზუსტად არ მახსოვს რამდენი, იმიტომ რომ, მას შემდეგ 6 წელი გავიდა. მალევე გამოკეთდა, მოძლიერდა, დღესაც თავს მშვენივრად გრძნობს, მუშაობს. ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ადამიანივით ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობამდე მისი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო.

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):***

– ადრეული კვლევები, რომლის საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა. მათ შორის, უამრავი შემთხვევაა ისეთი, როცა უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდიან იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზეა დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთი შესანიშნავი იმუნომოდულატორია პრეპარატი „კამელინი“ – ინიექციის, კაფსულების, მალამოსა და სანთლების ფორმა. მინდა, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება. ამ დროს შემიძლია, სიამაყით ვთქვა, რომ „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გადალახა მეტად პრესტიჟული და რთულად დასაძლევი ბარიერი ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტოს (FDA) სახით და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე.

**– კიდევ ერთხელ განგვიმარტეთ, კიბოს საწინააღმდეგოდ რომელი ფორმის პრეპარატი „კამელინი“ გამოიყენება?**

– რა თქმა უნდა, საინიექციო ფორმა, „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში. ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2” – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც უსაფრთხოა. ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

***P. S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები, ან გსურთ, კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**ბედის წარუმატებლობა თავად ადამიანის ბრალიცაა და ამას, მარტო უიღბლობა არ განსაზღვრავს. ამქვეყნად უბრალოდ და შემთხვევით არაფერი ხდება და ამაში ყოველდღიურად მომხდარი ფაქტები და მათი ანალიზიც მოწმობს. როგორც პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ქალბატონი ლარა ამბობს, მისთვის მთავარია, ადამიანებს თავდაცვის ის წესები ასწავლოს, რომელიც მან უცხოეთში შეისწავლა შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციით. ასევე, გვასწავლოს, თუ როგორ გავხდეთ უფრო წარმატებული, ბედნიერი და იღბლიანი. მისი თქმით, ნებისმიერი, ჩვენს ირგვლივ არსებული ნივთი, ჩვენზე მოქმედებს.**

# როგორ ზემოქმედებს ენერგეტიკულ დონეზე ცოლ-ქმარი ერთმანეთზე და როდის იწყება მათ შორის უმიზეზო ჩხუბი და გაუგებრობები



**ლარა**: ბევრი მეკითხება, ვერ გავიგეთ, რაშია ოჯახური ბედნიერების საიდუმლო – წყვილს ერთმანეთი უყვარდა, არც ეკონომიურად უჭირდათ, მაგრამ ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნება, მაინც ვერ შეძლესო. ოჯახები თითქმის უმიზეზოდ ინგრევა. აი, ეს არის დღევანდელი სამწუხარო რეალობა. გეტყვით, რომ ყოველ ოჯახს თავისი ენერგეტიკული ველი და აურა აქვს. ეს კი დამოკიდებულია სწორედ ცოლ-ქმრის აურაზე, მათ შორის არსებულ ენერგეტიკულ ურთიერთობებზე. ეს ქვეცნობიერად, ენერგიების დონეზე ხდება. თუ ეს ველი დარღვეულია, მაშინ ყველა უსიამოვნება და უბედურება, რაც ოჯახში ხდება, სწორედ ამას უკავშირდება. თუ ოჯახს ერთიანი ველი აქვს, ის უფრო დაცულია და დანგრევის საფრთხე არ ემუქრება.

**– და, როგორ წარმოიქმნება ის?**

– გეტყვით, რომ თუ ოჯახს ერთიანი ველი აქვს, ის ნებისმიერ დარტყმას, პრობლემას, წინააღობასა თუ ბარიერს გაუძლებს და გადალახავს. ბევრს აინტერესებს, როგორ წარმოიქმნება ის და გიპასუხებთ: ყველამ იცის, რომ ადამიანებს გარშემო აურა აკრავს. ის მოციმციმე გარსია და იქმნება ენერგიების იმ ნაკადით, რაც ადამიანის ორგანიზმის ენერგეტიკული ცენტრებიდან გამოდის. ასეთი შვიდი ცენტრი აქვს ადამიანს. თითოეულიდან გამოსული ენერგია კი ჩვენ გარშემო მოციმციმე, ძლიერ ვიბრირებად შრეს ქმნის. ბიოველში სულ შვიდი ენერგეტიკული შრეა. რაც უფრო კარგად მუშაობს ენერგოცენტრი, მით უფრო სქელია მისგან გამოსხივებული შრე. ცოლ-ქმარი კი ერთმანეთზე ზემოქმედებას ამ ბიოველების საშუალებით ახერხებს. როცა კავშირი ჰარმონიულია, ისინი ერთი მექანიზმით მუშაობენ, ერთმანეთისაც კარგად ესმით და იდილიაშიც ცხოვრობენ. მაგრამ, თუ ოჯახის საერთო ველი დარღვეულია, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ უგებს – ხშირად კამათობენ, უმიზეზოდ ჩხუბობენ. როცა ოჯახი იქმნება, დიდი მნიშვნელობა აქვს, ეწყობა ერთმანეთს თუ არა წყვილი ენერგეტიკული თვალსაზრისით, რომ სამომავლოდ, სირთულეები გადალახონ.

**– შესაძლებელია თუ არა ოჯახის საერთო ველის გაძლიერება და ამით მომავალი პრობლემების თავიდან აცილება?**

– შეიძლება და ამაში თავად მიგიძღვით დიდი წვლილი. თუ ხვდებით, რომ ადამიანთან ურთიერთობის დროს თავს უხერხულად გრძნობთ, ილღებით და დისკომფორტი გეწყებათ, მასთან ღრმად ნუ შეტოპავთ – ნუ აირჩევთ მას ცხოვრების მეგზურად და ამით საქმეს ნუ გაირთულებთ. ზოგი ამ დისკომფორტს თავიდანვე გრძნობს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. არადა, ეს მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია, შემდგომი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამან, შესაძლოა, კრიზისულ სიტუაციამდე მიგიყვანოთ ოჯახური თანაცხოვრების დროს. თუ მენდობით, გირჩევთ, ნუ წამოიწყებთ რომანს იმ ადამიანთან, ვის გვერდითაც თავს კომფორტულად და მშვიდად ვერ გრძნობთ. მაგრამ, თუ ხვდებით, რომ კონკრეტულ ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, მშვიდდებით, დუნდებით, კმაყოფილებით ივსებით და გრძნობთ, მასთან განშორება გიჭირთ, ესე იგი, ეს ისაა, ვისთანაც საერთო ენერგეტიკული ველი მყარი გექნებათ. ეს იდეალური ოჯახური ცხოვრების საწინდარია, რაც პრობლემასაც აგაცილებთ თავიდან და არც ოჯახის დანგრევის წინაშე აღმოჩნდებით.

> **თუ ვინმეს არ ემეტება და უბრალოდ, იძულებულია, გაჩუქოთ, იმ ნივთმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს თქვენზე**

**– დღეს, უთანხმოების მიზეზი, ძირითადად, მატერიალური პრობლემებია, რაც ხშირად სკანდალებითა და ოჯახის დანგრევით მთავრდება. როგორ მოვიქცეთ, რომ ფინანსური პრობლემა ავიცილოთ თავიდან?**

– ფულის პრობლემა თავიდან რომ აიცილოთ, მას გონივრულად უნდა მიუდგეთ. მე მოგცემთ რჩევებს და გაგიზიარებთ ეზოთერულ გამოცდილებას, რომელიც ნამდვილად დაგეხმარებათ და ფინანსურ შემოსავლებსაც გაგიზრდით. მაგალითად, არასდროს დაიბრუნოთ გასესხებული ფული ნაწილ-ნაწილ, რომ ასევე ნაწილ-ნაწილ არ გავიდეს თქვენი ჯიბიდან. თუ გსურთ, ვალის მევალესთვის დაბრუნება არ გაგიჭირდეთ, ფული ისესხეთ სამშაბათს ან ხუთშაბათს. სანამ ფულს სხვას ასესხებთ, სამჯერ შემოივლეთ თავზე და ისე მიეცით. მაშინ ამ ფულს მევალე დათქმულ დროს მოგცემთ. აგრეთვე, თუ გინდათ, მატერიალური გაჭირვების წინაშე არ დადგეთ, ყოველთვე, ხელფასიდან შეიძინეთ შაქარი, ბრინჯი და სანთელი. ჩაყარეთ შაქარი და ბრინჯი გამჭვირვალე ღვინის ჭიქაში და ჩადეთ მასში სანთელი. ყოველ დილით, სახლიდან გასვლამდე დაანთეთ სანთელი და მერე ჩააქრეთ. ერთი თვის შემდეგ, ეს შაქარი გამოიყენეთ ჩაიში, ბრინჯი კი საჭმელში. შაქარი ოჯახში სიტკბოებას შემოიტანს. ბრინჯი კი, როგორც იცით, სიმდიდრის სიმბოლოა. ასევე, თუ გსურთ, სახლში ფული არ გამოგელიოთ, შესასვლელის კუთხეებში დადეთ ხურდები და ბრინჯის მარცვლები. აგრეთვე, არსებობს წესი, რომლითაც ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალება შეიძლება. მაგალითად, თუ ხვდებით, რომ მეუღლესთან სიტუაცია გეძაბებათ, აიღეთ შაქარი, გამჭვირვალე ღვინის ჭიქა, ორი წვეთი ვაშლის ძმარი და საქორწინო ბეჭედი. ჭიქაში ჩაასხით ონკანის წყალი, ვაშლის ძმარი, ჩაყარეთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი, ჩააგდეთ საქორწინო ბეჭედი და დადგით თქვენი საწოლის ქვეშ. დილით, გამოიღეთ ჭიქა, კარგად ამოურიეთ, ამოიღეთ ბეჭედი და ამ წყლით მოუმზადეთ მეუღლეს ჩაი ან ყავა. ასე მოიქეცით კვირაში ორჯერ და ნახავთ, როგორ დატკბება თქვენი მეუღლე, როგორ დარეგულირდება სიტუაცია თქვენს შორის. ძალიან ძნელია, როცა საყვარელ ადამიანთან სიტუაცია რთულდება, ვეღარ უგებთ ერთმანეთს და ცდილობთ, მაქსიმალურად შორს დაიჭიროთ მისგან თავი. ეს მხოლოდ განშორების მიზეზია და თუ შეგიძლიათ, ამ რიტუალით გააძლიეროთ თქვენს შორის ენერგიული ველი, დაარეგულიროთ სიტუაცია, დაიმკვიდროთ სიმშვიდე და იდილია სახლში, ვფიქრობ, ამისთვის ღირს ელემენტარული, ეზოთერული გამოცდილების გაზიარება.

**– გამიგია, რომ ნაჩუქარ ნივთს მაგიური ძალა აქვს და მისი ზემოქმედებით, შესაძლოა, უბედურება გარდაუვალი გახდესო. თუ შეგიძლიათ, ამ თემასთან დაკავშირებით მოგვაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია?**

– ამაზე, ნამდვილად უნდა გაამახვილოს ნებისმიერმა ადამიანმა ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოს ამა თუ იმ ნაჩუქარი ნივთის მიმართ. მაგალითად, თუ ვინმეს არ ემეტება და უბრალოდ, იძულებულია, გაჩუქოთ, იმ ნივთმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს თქვენზე. საგნებშიც ხდება ცუდი ზრახვების ტრანსფორმირება და თითოეული იმავე ენერგიას ასხივებს, რასაც მისი ყოფილი პატრონი ავლენდა კონკრეტული ადამიანის მიმართ. ასე რომ, რაც არ უნდა ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ იმ ადამიანისგან, ვისაც გულზე მაინცდამაინც არ ეხატებით, მომავალში მისგან კარგი დღე არ გელით. თუ ასეთ ნივთს გააჩუქებთ და ისეთ ვინმეს მისცემთ, ვინც მჩუქებელს არ იცნობს, მაშინ ის ძალას კარგავს. ამიტომ, თუ სახლში ასეთი ნივთები გაქვთ, ნუ დაგენანებათ და სასწრაფოდ გააჩუქეთ. ბევრი ვერ ელევა ნაჩუქარ ნივთებს და არც კი ფიქრობს, რომ მისი წარუმატებლობის მიზეზი შესაძლოა, ის ნივთები იყოს.

**ნონა დათეშიძე**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

## მამაკაცური საქმე

ქალების 80 პროცენტი მაინც წუწუნებს, რომ ქმრები მათ საერთოდ არ ეხმარებიან. ცოლი გარეთაც მუშაობს და ოჯახშიც... უამრავ საყოფაცხოვრებო პრობლემას აგვარებს, მაშინ, როცა ქმარი ტელევიზორის წინ წამოგორებულა და კიდევაც უნდა მოემსახურო. თუმცა, ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ საკმარისია, ქმარს აიძულო, აკეთოს საოჯახო საქმე, რომ მისი თვითშეფასების კრიტერიუმი მაშინვე დაიწყებს კლებას. აღარ იქნება ლიდერი თავის საქმეში და ვერც საგრძნობ წარმატებას მიაღწევს. კიდევ უარესი, თურმე შეიძლება, მან სექსის მიმართაც კი დაკარგოს ინტერესი და უარი გითხრათ ცოლქმრული მოვალეობის შესრულებაზე. როცა ოჯახში როლები ტრადიციულად არის გადანაწილებული, ანუ ქმარი შრომობს გარეთ, ოჯახში შემოაქვს ფული და აგვარებს სარემონტო საქმეებს, ცოლი კი დიასახლისობს (შეიძლება, მუშაობდეს კიდეც), ყველფერი წესრიგშია ინტიმურ სფეროშიც. ნუ მიაჩეჩებთ ქმარს ხელში უთოს და ნუ აიძულებთ, გახეხოს აბაზანა. მართალია ისიც, რომ, როცა კაცი საერთოდ არ ეხმარება ცოლს ოჯახურ საქმიანობაში, ეს კონფლიქტამდე მიდის. ფაქტს ვერსად წავუვალთ. მაგრამ, უნდა დავიცვათ ზომიერება და ტაქტი. დახმარება უნდა სთხოვოთ და არა მოთხოვოთ. დაავალეთ მსუბუქი საქმე, მაგალითად, ნაგვის გატანა, პროდუქტის მოტანა, საყიდლდებზე წასვლა, ბავშვის გასეირნება, გადასახადების გადახდა... ზოგჯერ შეიძლება, ჭურჭელიც გარეცხოს და შარვალიც გაიუთოოს, მაგრამ ეს ყველაფერი მან საკუთარი ნებით უნდა გააკეთოს.

## გაფრთხილებული ესე იგი, შეიარაღებული!

ისწავლეთ, შეუთავსოთ უსიამოვნო სასარგებლოს. რთულად გეუბნებით? – სულაც არა! საჭიროა, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ნეგატივმა პოზიტივს არ აჯობოს და არ მოხდეს ის, რაც მთელ ჩვენს ცხოვრებას უსიამოვნო ინციდენტებით გააჯერებს. იმედგაცრუებულებს და ხელჩაქნეულებს ფორტუნა არ სწყალობთ, ეს აქსიომაა.

არასოდეს მოსწყდეთ რეალობას. რეალობას ხომ ვერც გაექცევით და ვერც შეცვლით, მით უმეტეს, ვერსად დაემალებით. მაშინ, რატომ უნდა იყოთ სირაქლემას პოზაში? წარმოიდგინეთ, რომ მარტოობით დაიღალეთ და გინდათ, გვერდით ჭკვიანი, სიმპათიური, მოსიყვარულე ადამიანი გყავდეთ. მაგრამ თავს არ უტყდებით, იმიტომ რომ, გერიდებათ, ან სტერეოტიპების ხელში ხართ. გაცილებით ჯობდა, რეალობისთვის თვალი გაგესწორებინათ და გეზრუნათ იმაზე, როგორ მოგეწყოთ პირადი ცხოვრება.

აუცილებელია, მზად იყოთ ნებისმიერი სიტუაციისთვის. გაფრთხილებული და ინფორმირებული კარგად შეიარაღებულსაც ნიშნავს. უამრავ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან, თუკი რეალობას არ დაემალებით და მომზადებული შეხვდებით. ფრანგები ამბობენ: არ უნდა ინერვიულო ორ რამეზე – იმაზე, რისი გამოსწორებაც შეიძლება და იმაზეც, რისი გამოსწორებაც არ შეიძლებაო... ანუ, თუ შეძლებთ და მოახერხებთ, მართოთ რეალობა იმით, რომ მიიღოთ ეს ისეთად, როგორიც არის, თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება.

## მარტივი რეცეპტი

ისიამოვნე ყოველი განვლილი დღით – ეს არ უნდა დარჩეს უბრალოდ სიტყვებად, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია და მასში სასიცოცხლოდ ღრმა აზრი დევს. დაფიქრდით კარგად – დრო შესამჩნევად სწრაფად გადის... ისე სწრაფად, რომ ბედნიერი წუთები მოგონებად იქცევა და მერე გული გვწყდება, მისით სიამოვნება რომ ვერ მოვასწარით. ნებისმიერი ტკივილი გადის, არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა... საყვარელი ადამიანები გვტოვებენ, მაგრამ მერე მათ ადგილს სხვები იკავებენ... უნუგეშოდ არ ვრჩებით, თუმცა მაინც ვერ ვხედავთ სინანულის მთავარ მიზეზს – დრო თვალსა და ხელს შუა გვიქრება. როცა აღმოაჩენ, რა ცოტაღა დაგრჩენია ძვირფასი მარაგიდან, უკვე გვიანია. ისწავლეთ იმის დაფასება, რაც დღეს გაქვთ – ეს არის მარტივი რეცეპტი ბედნიერებისთვის. მიმართეთ თქვენი ენერგია საჭირო კალაპოტში და ნუ დახარჯავთ მას ტყუილუბრალოდ. სამყაროს თქვენ ვერ შეცვლით, მით უმეტეს, ვერ გადააკეთებთ ადამიანებს. ერთადერთი – შეგიძლიათ, საკუთარ თავს შეუსწოროთ შეცდომები და ისწავლოთ, როგორ იცხოვროთ ისე, რომ თითოეულმა დღემ სიხარული მოგგვაროთ.

სიცილი ყოველთვის პოზიტივია. უნარი იმისა, რომ ცრემლიანი თვალებითაც გაიღიმოთ, ეს ძლიერების ნიშანია. სიტუაციაზე ბევრი არ იგლოვოთ სწრაფად ეძებეთ გამოსავალი. გენანებოდეთ დრო უაზრო წუწუნსა და უაზრო ნერვიულობისთვის. აქტუალური მხოლოდ ოპტიმიზმი და სიხარულის განცდაა!

## თავად სრულყოფილება

კაცი ბევრი რამით განსხვავდება ქალისგან და ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორია ის, რომ სუსტი სქესი ბევრად ემოციური და აფექტურია. მაგალითად, მამაკაცი შეიძლება, დღის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ აღელდეს. ეს მაშინ, როცა ქალი თორმეტჯერ მაინც მოასწრებს ნერვიულობას. მიზეზი, ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, პერფექციონიზმია – ანუ ლტოლვა სრულყოფილებისკენ, რაც ქალებისთვისაა დამახასიათებელი...

თუ მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ქალები მათთვის ლამაზდებიან – იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს, უამრავ ფულს ხარჯავენ ტანსაცმელში, ვარცხნილობასა თუ კოსმეტიკაზე, ძალიან ცდებიან. ქალები ამ ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და სრულყოფილებისთვის აკეთებენ...

ყველაფერი ან არაფერი! სწორედ ეს არის ბევრი თანამედროვე ქალის ცხოვრების პრინციპი და სტრესებიც გარანტირებული აქვთ. ქალებს ახასიათებთ მეტისმეტი სიმკაცრე საკუთარი პერსონის მიმართ. კაცს შეიძლება, ბევრი რაღაც დაუთმონ (ზოგჯერ სრულიად გაუმართლებლად) და საკუთარ თავს უმნიშვნელო ხარვეზსაც არ აპატიებენ. ცუდი არ არის, როცა შენი პერსონის მიმართ მომთხოვნი ხარ, მაგრამ ზომიერება აუცილებელია. სრულყოფილებისკენ ავადმყოფური ლტოლვა იდეალთან ვერ მიგაახლოვებთ და შეიძლება, დეპრესიაშიც ჩაგაგდოთ. მიაღწევთ იმას, რომ გაინადგურებთ თვითშეფასებას, აღარ დაიტოვებთ ადგილს კრეატულობისთვის, აზროვნებისა და რისკისთვის, რის გარეშეც საოცრად უინტერესო ხდება ცხოვრება...

## გაიფერადე სამყარო!

პრინციპი: „ყველაფერი ან არაფერი“ – არ მუშაობს ან ცუდად მუშაობს. ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ ადამიანი არ არის უნივერსალური არსება და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება, ერთდროულად იყო შესანიშნავი დიასახლისი – ოჯახის კეთილი ფერია და იმავდროულად წარმატებული მთამსვლელი ან „ბეისბოლისტი.“ არ გამოგივათ და ტყუილუბრალოდ ნუ ინერვიულებთ. მარტივი ფორმულაა: მოექეცი საკუთარ თავს ისე, როგორც გინდა, რომ გარშემო მყოფები მოგექცნენ შენ. ნუ ეცდებით, ცხოვრება ისე წარმოიდგინოთ, როგორც რუხი და უინტერესო რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორც ჩაკეტილ წრეში. ყოველთვის გამოძებნეთ დრო იმ საქმისთვის, რომლის კეთებაც მოგწონთ და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გიყვართ. იყავით მადლიერი იმისთვის, რაც უკვე გაქვთ და ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, ჯიუტად იარეთ წინ, დასახული მიზნისკენ. მოუარეთ საკუთარ თავს. იზრუნეთ მის სილამაზესა და ჯანმრთელობაზე. არ დაიზაროთ და ზოგჯერ წაივარჯიშეთ!

ბოლოს და ბოლოს ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა არ გყოფნით სიხარულისა და ბედნიერებისთვის. რატომ წუწუნებთ და რატომ არ არის თქვენი ცხოვრება კაშკაშა, ნათელი ფერებით აღსავსე. მოერიდეთ როგორც სხვისი, ისე საკუთარი თავის კრიტიკას. იფიქრეთ მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე. ზოგჯერ შიშსაც თვალებში ჩახედეთ და მერე უკეთესად აღიქვამთ სამყაროს ფერადოვნებას. პრობლემა აუცილებლად იქნება, მაგრამ არ არსებობს გადაულახავი პრობლემა – საშინელება არ მოხდება! შეცდომები გამოცდილებას გძენთ, რაც საშუალებას გაძლევთ, იმოძრაოთ წინ და ფერების თანხლებით.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ყველაზე ადვილი დიეტა

*ეს არის ყველაზე ადვილი დიეტა იმ თვალსაზრისით, რომ, მიირთმევთ იმას, რაც ხელთ (ან მაცივარში) გაქვთ (ცხადია, არ იგულისხმება საფუარიანი, ძალიან ცხიმიანი ან ცხარე საკვები), ოღონდ, რამდენიმე წესის დაცვით, თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით – რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით:*



**პირველი პრინციპი**: მიირთმევთ ყოველ საათში ერთხელ.

**მეორე პრინციპი**: პირველი ჯერი, რომელიც უნდა მიიღოთ დილის 9 საათზე, უნდა შედგებოდეს მხოლოდ ერთი ლუკმისა და ერთი ყლუპისაგან; მეორე ჯერი – ორ-ორისგან, მესამე – სამ-სამისგან და ასე შემდეგ, საღამოს 6 საათამდე, ანუ, 18 საათზე შეგიძლიათ, მიირთვათ 10 ლუკმა და 10 ყლუპი (წყალი, წვენი, მაწონი და ასე შემდეგ), ოღონდ მაგარ საკვებსა და სითხეს შორის უნდა დაიცვათ 15-წუთიანი შუალედი (თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს).

**მესამე პრინციპი**: თითოეული ლუკმა უნდა დაღეჭოთ მაქსიმალურად დიდხანს.

**მეოთხე პრინციპი**: შუალედებში არ მიირთვათ არაფერი, ნებადართულია მხოლოდ წყლის დალევა.

**მეხუთე პრინციპი**: ბევრი იარეთ ფეხით.

**გამონაკლისი**: ვინც ყავის გარეშე ვერ ძლებს, მხოლოდ დილის 9 საათზე მიირთვით ერთი პატარა ფინჯანი ნალექიანი ყავა.

თუ გსურთ, დიეტა უფრო ეფექტური იყოს, შეეცადეთ, კვირაში ორჯერ მაინც, მთელი დღის განმავლობაში მიირთვათ ერთი და იგივე კერძი ან პროდუქტი, დანარჩენ დღეებში კი, შეგიძლიათ, ნამცხვარსაც „წაეპაროთ" (მეორე ან მესამე ჯერზე), შემწვარ ხორცსაც და სხვა გემრიელობებსაც, ოღონდ, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ.

თუ სამსახურში ისე წახვედით, რომ თან არაფერი წაგიღიათ, იყიდეთ კიტრი, პომიდორი, ბანანი, რაიმე მზა სალათა და ის გადაანაწილეთ მთელი დღის განმავლობაში.

# ფლოატინგი – სიზმრისა და რეალობის ზღვარზე

რა არის ფლოატინგი? ფლოატინგი არის ერთგვარი ფიტნესი სულისთვის, რომელიც სხეულსაც აძლიერებს. ეპსომის მარილის ხსნარი სასიკეთოდ მოქმედებს კანზე, ორგანიზმიდან გამოაქვს წიდები და ტოქსინები. ფლოატინგის სეანსის დროს მთელ სხეულში დუნდება ყველა კუნთი, სისხლში წარმოიქმნება ბედნიერების ჰორმონები – ენდორფინები. ორგანიზმი იმყოფება სიზმრისა და რეალობის ზღვარზე და სწორედ ამის წყალობით ახდენს თვითაღდგენასა და გაახალგაზრდავებას. ფლოატინგის ერთსაათიანი სეანსი ორგანიზმისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე 6-8-საათიანი ძილი ან დასვენება.



ფლოატინგის SPA პროცედურის ჩატარება შეიძლება თქვენთვის ხელსაყრელ ნებისმიერ საათზე. მუშაობის წინ ის ისე დაგეხმარებათ დამშვიდებასა და ძალების მოკრებაში, როგორც 8-საათიანი ძილი; მუშაობის შემდეგ კი მოგიხსნით სტრესსა და დაძაბულობას და ორგანიზმს დააბრუნებს თავის ბუნებრივ მდგომარეობაში.

ალბათ, ბევრს აინტერესებს, რომელ SPA პროცედურებთან ერთად შეიძლება ფლოატინგის სეანსის ჩატარება. ამის ცოდნა მართლაც აუცილებელია. საქმე ისაა, რომ ფლოატინგის შემდეგ სხეული იმყოფება მშვიდ მდგომარეობაში, ამიტომ, არ შეიძლება სეანსის დასრულებისთანავე ნებისმიერი აგრესიული, ან, თუნდაც, აქტიური პროცედურების ჩატარება.

რაც შეეხება იმას, უნდა გეცვათ თუ არა ფლოატ-კამერაში საცურაო კოსტიუმი, ეს თქვენს სურვილზეა დამოკიდებული – შეგიძლიათ, იცურაოთ როგორც საბანაო კოსტიუმით, ისე მის გარეშე. თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხეთ საჭირო ნივთების თან წაღება, თუკი მოისურვებთ, კლინიკაში მოგცემენ ერთჯერად საბანაო კოსტიუმს; იგივე ეხება ჰიგიენის საშუალებებს: შამპუნსა და შხაპის გელს.

რაც შეეხება თავად ფლოატინგის პროცედურას, თუ მის ჩატარებას გადაწყვეტთ, აუცილებლად გამოცდილ სპეციალისტებს მიმართეთ.


იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი


# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მინდა, გადავიდე ნატურალური კოსმეტიკის გამოყენებაზე. რას მირჩევთ, რით დავიწყო?**

**პასუხი**: დაიწყეთ პირის მარტივი დაბანით: წინასწარ მოამზადეთ სხვადასხვა მცენარის (პიტნის, კალენდულას, გვირილის, კრაზანის, ოხრახუშის, სალბის და სხვა) ნახარშებისგან ყინულის კუბიკები და ჩაანაცვლეთ ლოსიონსა და ტონიკებს. მსუბუქი განმენდის პარალელურად, ყინულის კუბიკები აახალგაზრდავებს კანს, აუმჯობესებს სახის ფერს, კანი ხდება მკვრივი და ელასტიკური.

**კითხვა: თქვენს რუბრიკაში წავიკითხე, რომ ნალექიანი ყავის სკრაბი კარგია ყველა ტიპის კანისთვის. მაინტერესებს, რომელი კრემი უნდა წავისვა პროცედურის ჩატარების შემდეგ?**

**პასუხი**: ყავის სკრაბის შემდეგ აუცილებელია დამატენიანებელი კრემის წასმა, ოღონდ, უნდა გაითვალისწინოთ თქვენი კანის ტიპი.

**კითხვა: გთხოვთ, მასწავლოთ, როგორ მზადდება კრემი „კლეოპატრას საიდუმლო".**

**პასუხი**: ეს უნივერსალური კრემი მზადდება შემდეგნაირად: კოსმეტიკურ ფიალაში მოათავსეთ 5 გრამი ალოეს ფხვნილი, 40 მილილიტრი გაფილტრული



სასმელი წყალი, 10 გრამი თაფლი და კარგად აზილეთ. შემდეგ ფიალა დადგით წყლის აბაზანაზე და ნელ-ნელა შეურიეთ 100 გრამი ლორის მუცლის ქონი (გადამდნარი), თან სულ ურიეთ. რომ შესქელდება, გააცივეთ და შეინახეთ მაცივარში – კონსერვანტების არქონის გამო ის მალე ფუჭდება.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ მართავდა სტალინი ტვინის სიფილისით დაავადებული ლენინის სახელით რუსეთს



1917 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ხელისუფლების ორგანიზება. სულ მალე ცხადი გახდა, რომ ვლადიმირ ლენინს სახელმწიფო მოღვაწისთვის აუცილებელი თითქმის არც ერთი თვისება არ გააჩნდა. დღევანდელ სტატიაში ამ პერიოდზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

არსებულ ვითარებაში, ერთადერთი ორგანო, რომელიც გამართულად ფუნქციონირებდა, იყო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია („ჩეკა"). ეს დამსჯელი ორგანო უსასტიკესი ზომებით თრგუნავდა ყოველგვარ ოპოზიციურ აზრს. 1918 წლის აგვისტოში ლენინს ესროლა ესერმა ტერორისტმა ქალმა. მართალია, იგი გადარჩა, მაგრამ, ისედაც შერყეული ჯამრთელობა უკიდურესად გაუუარესდა. 1920 წლის ბოლოდან და 1921 წლის დამდეგიდან ლენინი პრაქტიკულად ჩამოშორდა სახელმწიფო მმართველობას. მას დაუსვეს ტვინის სიფილისის დიაგნოზი. ლენინი უმეტესწილად მოსკოვის ახლოს, აგარაკზე იმყოფებოდა. სწორედ ამ დროიდან, ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მმართველობა ხელთ იგდო იოსებ სტალინმა. მისი უფლებები არ ვრცელდებოდა მხოლოდ წითელ არმიაზე, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებდა ლევ ტროცკი. 1922 წელს ლენინი რამდენიმე კვირით კვლავ ჩაება სახელმწიფოს მართვის საქმეებში, შემდეგ კი, სიკვდილამდე (1924), პრაქტიკულად ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს.

ლენინის ავადმყოფობის წლებში, მის პოლიტიკურ მემკვიდრეთა რეიტინგი ასეთი იყო: პირველი ადგილი უპირობოდ ეკავა ლევ ტროცკის (ბრონშტეინს), რომელსაც განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდა არმიაში. მეორე პოზიციაზე იყო – გრიგორი ზინოვიევი (რადომილსკი), შემდეგ მოდიოდა – ლევ კამენევი (როზენფელდი). იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) მეოთხე პოზიციას ინარჩუნებდა, თუმცა, არამყარად, აქ მას შეიძლება, ნიკოლაი ბუხარინი ჩანაცვლებოდა. როგორც ვხედავთ, მართალია, სტალინი ლენინის ავადმყოფობის წლებში გადამწყვეტ როლს ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლენინის უპირველეს მემკვიდრედ არ მოიაზრებოდა. ერთი შეხედვით, სტალინს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში დიდი პერსპექტივა არ ჰქონდა, თუმცა თვითონ იოსებ ჯუღაშვილი, ასე არ მიიჩნევდა.

ხელისუფლებისათვის ბრძოლაში კონკურენტებთან შედარებით, სტალინს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა: ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს და ბუხარინს წარმოდგენა არ ჰქონდათ, იმ ქვეყნის თავისებურებებზე, რომლის ხელისუფლების სათავეში მოსვლასაც გეგმავდნენ. ანუ, არ იცნობდნენ რუსეთის სახელმწიფოსა და რუს ერს. სტალინმა კი ზედმიწევნით კარგად უწყოდა ყოველივე ეს. მან ისიც შესანიშნავად იცოდა, რა გზით უნდა მოსულიყო ხელისუფლების სათავეში და როგორ ემართა ზესახელმწიფო. გარდა ზემოაღნიშნულისა, სტალინს გააჩნდა კიდევ ერთი აუცილებელი თვისება. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი მშიშარა ადამიანები, ლაჩრები იყვნენ, სტალინს სიკვდილის შიში დაკარგული ჰქონდა. ამას კი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ხოლმე, რომ სტალინმა ზესახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველობას დაუნდობლობით, უმკაცრესი რეპრესიებითა და სისხლისღვრით მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ არც ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი ამბობდნენ უარს ტერორზე, რეპრესიებსა და სისხლისღვრაზე. ასე რომ, სტალინის გამარჯვების მიზეზი სულ სხვა რამ იყო.

ჯუღაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად შეაფასა ვითარება. ტროცკი ლენინის ავადმყოფობის პერიოდში არ ფარავდა, რომ ლენინის პოლიტიკური მემკვიდრე მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო. ეს ძალზე აღიზიანებდა ზინოვიევს, კამენევსა და ბუხარინს, რადგან თითოეულ მათგანს თავად სურდა გაპირველკაცება. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გამოიჩინა სტალინმა დიდი ტაქტი და წინდახედულება. მან სრულიად მოულოდნელად განაცხადა: ლენინი ავადმყოფობს, არ ვიცით, როდის დაუბრუნდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ბოლშევიკ ლიდერთაგან ერთპიროვნულად, არავის არ შეუძლია შეცვალოს ის, ამიტომ ლენინი უნდა შევცვალოთ ყველამ ერთად, ანუ, ჩამოვაყალიბოთ კოლექტიური მმართველობა. კოლექტიურ მმართველობაში, ცხადია, მოიაზრებოდნენ, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, სტალინი და ბუხარინი. სტალინის პოზიციამ, გააცოფა ტროცკი, რადგან ის უმოკლეს ვადაში გეგმავდა ერთპიროვნული მმართველობის დამყარებას. სამაგიეროდ, სტალინით კმაყოფილი დარჩნენ ზინოვიევი, კამენევი და ბუხარინი, რადგან, კოლექტიური მმართველობის შემთხვევაში, ტროცკის ამბიციები შეიზღუდებოდა. მალე სტალინმა კიდეც ერთი სიურპრიზი შესთავაზა კონკურენტებს – ლენინის გარდაცვალების შემდეგ, სტალინმა მეთოდურად დაიწყო იმ აზრის დამკვიდრება, რომ ის ლენინის მოწაფე იყო. ყველას გაუკვირდა, თუ რაში სჭირდებოდა ეს სიცრუე, მაგრამ სტალინს ყველაფერი ზედმიწევნით ჰქონდა გათვლილი. ტროცკი ლენინის მოწაფეობას არ იკადრებდა, არც ზინოვიევი და კამენევი ჩათვლიდნენ თავს მის მოწაფედ. ბუნებრივად ისმებოდა კითხვა: ვინ უნდა ყოფილიყო ლენინის პოლიტიკური მემკვიდრე? ყველაზე ლოგიკური პასუხი ასეთი იყო: ლენინის მოწაფე, სტალინი. ზინოვიევმა, კამენევმა და ბუხარინმა, როცა გაიაზრეს სტალინის ამ ტაქტიკური სვლის მიზანი, იქნებ უარიც არ ეთქვათ ლენინის მოწაფეობაზე, მაგრამ უკვე დაგვიანებული გახლდათ. მოწაფე კი დინჯად, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა მიზნისკენ. მისი შემდეგი სიურპრიზი ასეთი იყო: ნაშრომში, „ლენინიზმი თუ ტროცკიზმი?" სტალინმა თავი მოუყარა და გააანალიზა ყველაფერი, რაც კი ტროცკის ლენინის წინააღმდეგ უთქვამს და დაუწერია. ნაშრომი დიდი ტირაჟით გამოიცა. ტროცკის ავტორიტეტი შეირყა, რამაც, ძალიან გაახარა ზინოვიევი და კამენევი. ლოგიკურად, ამის შემდეგ, სტალინს ზინოვიევის და კამენევისთვის უნდა შეეტია, მაგრამ ის ამ გზით არ წავიდა. ზინოვიევსა და კამენევს ბუხარინი დაუპირისპირა. ბუხარინმა მათ ყველაფერი გაუხსენა, რაც კი ლენინის წინააღმდეგ ჰქონდათ ნათქვამი და გაკეთებული. ბუხარინი დიდი პუბლიცისტი იყო და მან ზინოვიევისა და კამენევის ანტილენინურ ქმედებებში საზოგადოება ადვილად დაარწმუნა. ასე შეირყა სტალინის კიდევ 2 კონკურენტის ავტორიტეტი. ბუხარინი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ საზეიმო განწყობილება მალე შეეცვალა. ერთ მშვენიერ დღეს, ნიკოლაი ბუხარინმა იგრძნო, რომ ლომის ხახაში ამოყო თავი. მალე მანაც ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის ბედი გაიზიარა. სტალინი რუსეთის ისტორიაში ლენინის მოწაფედ დარჩა. მოწაფეს მასწავლებლის გაღმერთებაზე უარი არასდროს უთქვამს. მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ლენინის მოწაფეობა, სტალინისთვის ჯერ კიდევ დიდი პოლიტიკური კაპიტალი იყო. 1927 წელს სტალინმა, საბოლოოდ შესძლო ლევ ტროცკის პოლიტიკურ ლეშად ქცევა. ის კომპარტიის რიგებიდან გარიცხეს. ტროცკისადმი წაყენებული ყველა ბრალდება, ზინოვიევის, კამენევისა და ბუხარინისთვის ჭკუის სასწავლებელი იყო. ანუ, სტალინი მოქმედებდა პრინციპით: „მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გესმოდესო". უკვე 20-იანი წლების ბოლოს, აშკარა გახდა, რომ ზესახელმწიფო, რაღაც დაუწერელი კანონით, მაგრამ, მაინც სტალინის ნებით იმართებოდა. ოფიციალურად, ამ დროისთვის სტალინს ეკავა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობა. მაგრამ, ეს სულაც არ იყო იმ მნიშვნელობის თანამდებობა, რაც მან მოგვიანებით, ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში შეიძინა. ამ დროს, ქვეყანას განაგებდა არა გენერალური მდივანი, არამედ, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო – სულ რამდენიმე კაცი. ტროცკის კომპარტიიდან გარიცხვის შემდეგ, პოლიტბიუროში სტალინის ნება გაბატონდა. ყველას ეშინოდა, ტროცკის ბედი არ გაეზიარებინა. ვერავინ ბედავდა, სტალინის ოპოზიციაში ჩადგომას, რადგან, ტროცკის დამარცხების შემდეგ, წარმატების იმედი აღარავის ჰქონდა. ტროცკის დამარცხებით, სტალინმა ბევრ რაიმეს მიაღწია, უპირველესად კი ხელისუფლებისთვის ბრძოლის მადა დაუკარგა ყველას, ვისაც კი ტროცკიზე ნაკლები ავტორიტეტი ჰქონდა. აქვე, უნდა ავხსნათ სტალინის წარმატების კიდევ ერთი მიზეზი. რეიტინგში მეოთხე და არამყარ ადგილზე მდგომმა სტალინმა მესამე და მეორე ადგილზე გადანაცვლებისთვის კი არ დაიწყო ბრძოლა, არამედ პირდაპირ პირველ პოზიციაზე მდგომ ტროცკის შეუტია. ტროცკის დამხობით, სტალინმა იმხელა ავტორიტეტი მოიპოვა, რომ პოპულარობით ზინოვიევსა და კამენევს გაუსწრო. ამის შემდეგ, მისი ყველა პოლიტიკური ოპონენტი სტალინს მუდმივ შიშისქვეშ ჰყავდა. არ იცოდნენ, რას მოიფიქრებდა ლენინის „მოწაფე" მათ წინააღმდეგ. პოლიტბიუროში დაისადგურა რაღაც დამთრგუნველმა გარემომ. ერთხელ უცხოეთში მყოფ ბუხარინს ჰკითხეს: პოლიტბიუროზე რომ სხედხართ და ყველაფერზე თავს უქნევთ სტალინს, რატომ არ შეეწინააღმდეგებითო. ამაზე ბუხარინმა შემდეგი პასუხი გასცა: როგორც გიურზა მონუსხავს თავის მსხვერპლს, ის მოგვნუსხავს ხოლმე ყველას სტალინიო. ეს მართალი იყო. მშიშარა, უნიჭო და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, მონობისთვისაა განწირული. სტალინმა კი კარგად იცოდა, რომ მას მონებთან ჰქონდა საქმე.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**


იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# ხორცის ბურთულა სატენით





**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ღორის ხორცის ფილე, 150 გრამი ხის სოკო, 3 ცალი მჟავე კიტრი, 1 ცალი საშუალო ზომის ხახვი, 3-4 სადილის კოვზი არაჟანი (მაიონეზიც შეიძლება), 2 სადილის კოვზი მდოგვი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ძმარი, 1 ჭიქა წყალი, 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით რგოლებად, დაასხით ძმარი და წყალი. ღორის ხორცის ფილე გაჭერით ბრტყლად, კარგად დაბეგვეთ ორივე მხრიდან და წაუსვით მარილი და პილპილი. ნიორი დანაყეთ, შეურიეთ მდოგვში და წაუსვით ხორცს ერთი მხრიდან. სოკო მოათავსეთ ცხელ, ზეთიან ტაფაზე. დაუმატეთ დაჭრილი მჟავე კიტრი და შუშეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. შემდეგ უყავით არაჟანი, ამოურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. ეს გახლავთ სატენი ხორცის ბურთულისთვის. მოათავსეთ ეს ფარში დაბეგვილი ხორცის ნაჭრის ნახევარზე და გადმოაფარეთ მეორე ნახევარი. ფოლგის ნაჭერზე მოათავსეთ მარინადიდან ამოღებული ხახვი, დაადეთ სატენიანი ხორცი და ზემოდანაც ხახვი მოაყარეთ. დანამეთ ზეთით და შეფუთეთ ფოლგაში. გადაიტანეთ გამოსაცხობ ტაფაზე, დაასხით ცოტა წყალი, მოათავსეთ გაცხელებულ აირღუმელში და აცხვეთ 40 წუთის განმავლობაში. მიირთვით ნებისმიერ გარნირთან ერთად.

# კატლეტი მაკარონისა და ძეხვის ფარშისგან









**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ნებისმიერი მაკარონი, 250 გრამი გახეხილი მაგარი ყველი, 250 გრამი ძეხვი, 3 ცალი კვერცხი, ზეთი.

**მომზადების წესი:** მაკარონი მოხარშეთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სადილიდან ან ვახშმიდან მორჩენილი მაკარონიც. გამოგადგებათ ნებისმიერი ძეხვი. ერთმანეთს შეურიეთ მაკარონი, გახეხილი ყველი, კვერცხი და კარგად ამოურიეთ. ზეთი გააცხელეთ ტაფაზე. კოვზით ამოიღეთ ფარში, მოათავსეთ ტაფაზე და შებრაწეთ ორივე მხრიდან – ოქროსფერი უნდა გახდეს.

მიირთვით, ძალიან გემრიელია.

# ქათამი მარინადში ამერიკულად








**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი ძმარი, ცოტა დარიჩინი (დაფქული), 3-4 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჭიქა ნებისმიერი ზეთი, ორკილოგრამიანი ქათამი, 2-3 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი.

**მომზადების წესი:** ზეთში შეურიეთ მდოგვი, დაუმატეთ ძმარი, დანაყილი ან გახეხილი ნიორი, დარიჩინი, მარილი, შავი პილპილი და ყველაფერი კარგად ათქვიფეთ.

ქათამი დაჭერით ულუფებად, ჩააწყვეთ მარინადში, დაუმატეთ დაფნის ფოთოლი და 24 საათის განმავლობაში მოათავსეთ მაცივარში. შემდეგ ნაჭრები სათითაოდ ამოიღეთ მარინადიდან, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და დაბრაწეთ ცხელ აირღუმელში 45-50 წუთის განმავლობაში.

# ლევან ყოჩიაშვილის კულინარიული რეცეპტი





*მიყვარს მწვადისა და ხორციანი კერძების მომზადება. ამჯერად თქვენს მკითხველს გულ-ღვიძლის ჩემებურ რეცეპტს ვთავაზობ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 600-800 გრამი ხბოს ან ღორის გულ-ღვიძლი, 330 გრამი ხახვი, 5 კბილი ნიორი, 30 გრამი ცოცხალი ქინძი, 20 გრამი რეჰანი, 2 ჩაის კოვზი ხმელი ქონდარი, 80 გრამი კარაქი, 1 დიდი ან 2 პატარა დაფნის ფოთოლი, 1 ცალი მწვანე წიწაკა, 100 მილილიტრი თეთრი ღვინო, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გულ-ღვიძლი გარეცხეთ და დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ხახვი – წვრილად. მწვანილი, მწვანე წიწაკა და ნიორი დანაყეთ ან ასევე, წვრილად დაჭერით. უპირველესად, მოშუშეთ ხახვი კარაქში და დაასხით ღვინო, 5 წუთის შემდეგ დაუმატეთ დაჭრილი გულ-ღვიძლი და კიდევ 5 წუთი დატოვეთ ცეცხლზე. შემდეგ დაუმატეთ დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა გადადუღებული წყალი ან ბულიონი. ყაურმა არ უნდა იყოს ძალიან წვნიანი. ბოლოს მოაყარეთ მწვანილი, ხმელი ქონდარი, მწვანე წიწაკა, ნიორი, ხელით დაფშვნილი დაფნა, მარილი და შავი პილპილი. სეზონზე შეიძლება გამოიყენოთ ცოცხალი 20 გრამი ქონდარი. შეგიძლიათ ასევე, ბროწეული ან ცოცხალი ოხრახუშიც მოაყაროთ. იმედია, მოგეწონებათ ჩემი საყვარელი კერძი. მისი მომზადება კეცზეც შეიძლება და ჩვეულებრივ, ცეცხლგამძლე ჭურჭელშიც.

# სალათა ქათმის გულებით – „ფრენჩი“









**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქათმის მოხარშული გულები, 100 გრამი დაკონსერვებული ანანასი, 1 ცალი ცოცხალი კიტრი, ნახევარი კონა ოხრახუში, 100 გრამი წვრილად გახეხილი სტაფილო, ცოტა მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის მოხარშული გულები დაჭერით მომცრო ნაჭრებად, კიტრი და ანანასი – კუბიკებად, ოხრახუში კი – ძალიან წვრილად. ყველაფერი ერთმანეთში შეურიეთ, შეაზავეთ მარილითა და ცოტა მაიონეზით. სალათა გადმოიღეთ გაშლილ თეფშზე და გარშემო შემოუწყვეთ გახეხილი სტაფილო. მოგეწონებათ.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები




# ღორის ხორცი „ბალზამიკოთი"

**საჭირო ინგრედიენტები:** ღორის ხორცის ფილეს 1 საშუალო ზომის ნაჭერი, 0,5 ჭიქა მუქი „ბალზამიკო", 2 მწიკვი მარილი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, ცოტა შაქარი, 100 მილილიტრი წყალი, 300 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 50-100 მილილიტრი ნაღები, 1 ცალი როზმარინი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით, ზეთი – მოსაშუშად.

**მომზადების წესი:** ხორცი ზემოდან დასერეთ და გაცხელებულ ზეთში ბრაწეთ დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში და შემდეგ შეინახეთ თბილად. მდოგვში აურიეთ შაქარი და შუშეთ 1 წუთი, დაასხით „ბალზამიკოში" არეული წყალი და დაუწიეთ ცეცხლს. დაასხით ქათმის ბულიონი, ჩაუმატეთ როზმარინის ტოტი და ნახევრამდე დაადუღეთ. დაუმატეთ ნაღები, მარილი და წიწაკა და წამოადუღეთ. ამ სოუსში ჩააწყვეთ ხორცის ნაჭრები და მიიყვანეთ ადუღებამდე. გარნირად შეგიძლიათ მოამზადოთ მოხარშული კარტოფილი ან გოგრა.



# ხორცი კიტრითა და ძმრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კიტრი, 1/3 ჩაის კოვზი მარილი, 500 გრამი ღორის ან ხბოს ხორცი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 3 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ჩილის სოუსი, 1/2 სადილის კოვზი დაფქული ქინძის თესლი, 1/2 ჩაის კოვზი შაქარი, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** გათლილი კიტრი დაჭერით მოგრძო ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და 30 წუთით მოათავსეთ თასში, შემდეგ გაწურეთ და მოასხით ერთი კბილი დანაყილი ნივრის, ქინძის, შაქრისა და ჩილის სოუსის ნარევი. ხახვი და წიწაკა დაჭერით მრგვალ, თხელ ალყებად, ხორცი კი – მოგრძო ნაჭრებად. ღრმა ტაფაში ზეთში შებრაწეთ ხორცი, დაუმატეთ ხახვი და შუშეთ ხახვის დარბილებამდე. დაუმატეთ სოიის სოუსი, დანაყილი 2 კბილი ნიორი, ბულგარული წიწაკა და მოასხით კიტრის ნაჭრებს. დაუმატეთ ძმარი, ცოტა ხანს თავდახურული გააჩერეთ და შეგრილებული მიიტანეთ სუფრასთან.



# ქათამი ღვინოში

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი ქათამი, 250 გრამი წითელი ხახვი, 1 ჩაის კოვზი ბეგქონდარა, 75 გრამი გამოყვანილი ღორის ქონი (სალა), 250 მილილიტრი წითელი ღვინო, 1 კბილი ნიორი, 300 გრამი ერბო, 1 დაფნის ფოთოლი, 130 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 3 სადილის კოვზი კონიაკი, 1 კონა ოხრახუში, ცოტა სახამებელი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამი დაჭერით 8 ნაწილად, ხახვი და სოკო – მსხვილად, სალა კი – წვრილ ნაჭრებად. ქათმის ნაჭრებს შეაზილეთ მარილი, წიწაკა და ერბო, ჩადეთ ტაფაში, დაასხით ღვინო და ბულიონი, დაუმატეთ ნიორი, ბეგქონდარა, დაფნის ფოთოლი, დაახურეთ სახურავი და შუშეთ დაბალ ცეცხლზე. 30 წუთის შემდეგ ხორცს დაუმატეთ ხახვი და სოკო და შუშეთ 20 წუთის განმავლობაში, სანამ წვენი ნახევრად დაშრება. ბოლოს დაასხით კონიაკი, მოაყარეთ მარილი, წიწაკა და, სურვილისამებრ, ცოტა სახამებლით შეასქელეთ. ადუღებისთანავე გადმოდგით ცეცხლიდან და ცხელს მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.





რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

*ასტროლოგია არის უძველესი მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობა სწავლობს პლანეტებისა და ვარსკვლავების ვიბრაციებს და მათ გეომაგნიტურ ზემოქმედებას ბიოლოგიურ ორგანიზმებზე. ასტროლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განხრაა ასტრომედიცინა, რომლის პრინციპებსაც, ასევე, მრავალი ათასი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. სამედიცინო ასტროლოგია კი არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მზის, მთვარის, მზის სისტემის პლანეტების, ზოდიაქოს ნიშნების, ვარსკვლავებისა და კოსმოური გამოსხივების ზემოქმედებას ადამიანზე. უძველესი დროიდან იყნა შემჩნეული, რომ ერთი ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ მთვარის ერთსა და იმავე ფაზაში, აქვთ ერთნაირი დაავადებებისადმი მიდრეკილება. მაგალითად, ვერძთა უმრავლესობისთვის, რომლებიც დაიბადნენ სავსემთვარეობისას, დამახასიათებელია შაკიკი და თირკმლის პრობლემები; კუროთა უმრავლესობა, რომლებიც, ასევე, სავსემთვარეობისას არიან დაბადებული, უფრო ხშირად ავადდება ყელისა და შარდსასქესო სისტემის ინფექციით და ასე შემდეგ.*

# ახდენს თუ არა გავლენას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პლანეტების განწყობა

### ვერძი

ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების კლასიკური დაავადებები დაკავშირებულია თავის არესთან. მათთვის დამახასიათებელია შაკიკი, ნევრალგია, ნერვული სტრესები, უძილობა, ჰიპერტონია; აქვთ შედარებით სუსტი კბილები და ძვლოვანი სისტემა. ამიტომ, შეიმჩნევა მიდრეკილება მოტეხილობისა და დამწვრობისკენ. სხვა დაავადებები, როგორც წესი, ხანმოკლეა, თუმცა, ძლიერი ციებ-ცხელებით აღინიშნება.

### კურო

ხშირია ყელ-ყურ-ცხვირთან, ენდოკრინულ სისტემასთან და ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებული დაავადებები; ასევე, ჰაიმორიტი და ზედა სასუნთქი გზების დაავადებები, კუნთების დაჭიმვა... უსისტემო კვების შედეგად, მათ უჩნდებათ გარკვეული სირთულეები წონასთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს გულის სწორ ფუნქციონირებას.

### ტყუპები

დამახასიათებელია ფილტვებთან დაკავშირებული დაავადებები: ბრონქიტი, ასთმა, ასევე, სხვადასხვა სახის ნერვული დეპრესია, ენის ბორძიკი, ხელების სხვადასხვა დაავადება, უძილობა, თავის ტკივილი... ისინი მძაფრად რეაგირებენ სისხლის დაავადებებზე. ხშირია სეფსისის შემთხვევებიც, მათ დიდხანს არ უხორცდებათ ჭრილობები.

### კირჩხიბი

ამ ნიშნისთვის დამახასიათებელია, უპირველესად, კუჭთან დაკავშირებული დაავადებები, სხვადასხვა სახის შეშუპება, ფსიქოსომატური დარღვევები, მაგალითად, ფილტვების დაავადებისას ხშირად შეიმჩნევა მანიისა და აგზნებადობის ფსიქოსომატური სინდრომი; ღვიძლის დაავადებისას ხშირად უჩნდებათ აზრები თვითმკვლელობაზე; ახასიათებთ აზრის აკვიატება, რის გამოც, შეუზღიათ, „შეიძინონ“ დაავადება გადამეტებული ფანტაზიის, შიშისა და არასტრაბილური ფსიქიკის მეოხებით.

### ლომი

დამახასიათებელია გულისა და მკერდის არესთან დაკავშირებული დაავადებები, სტენოკარდია, ინფარქტები, აორტის ანევრიზმა, სისხლძარღვთა დაავადებები, ჰიპერტონია; ხშირია ხერხემალთან დაკავშირებული ტრავმები და დაავადებები.

### ქალწული

დამახასიათებელია კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული დაავადებები, ჩირქოვანი აპენდიციტი, პერიტონიტი, მუცლის ღრუსთვის დამახასიათებელი სხვა დაავადებები. წარმატება პროფესიულ საქმიანობაში პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მათი დაავადებების წარმოქმნასთან, რასაც ხელს უწყობს მეტად ლაბილური ფსიქიკა.

### სასწორი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანების დაავადებები დაკავშირებულია თირკმლებთან და შარდსასქესო სისტემასთან. ხშირია რადიკულიტი, ურემია, ნეფრიტი, აგრეთვე, ნერვულ სტრესებთან და ფსიქიკასთან დაკავშირებული დაავადებები.

### მორიელი

დამახასიათებელი დაავადებებია: ბუასილი, სწორი ნაწლავის დაავადებები, გინეკოლოგიური და შარდ-სასქესო სისტემასთან დაკავშირებული ინფექციური სნეულებები. ხშირია ენდოკრინული სისტემისა და საკვების ასიმილაციის დარღვევა.

### მშვილდოსანი

ხშირად ავადმყოფობენ ვეგეტაციური ნერვული სისტემის არასწორი ფუნქციონირებით გამოწვეული დაავადებებით. ხშირია მყესების გაწყვეტით გამოწვეული ტრავმები, ძვლის მოტეხილობა, რევმატიზმი, რადიკულიტი, ღვიძლის ფუნქციის მოშლასთან დაკავშირებული დაავადებები და შინაგანი სისხლდენები.

### თხის რქა

მათ აწუხებთ ძვლოვან სისტემასთან და ხერხემალთან დაკავშირებული დაავადებები: ოსტეოქონდროზი, მარილების დაგროვება და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა; ასევე, სახსრების ანთება, სისუსტის შეგრძნება სიარულისას, კანის დაავადებები.

### მერწყული

ამ ნიშნის ადამიანისთვის დამახასიათებელია ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ტრომბოფლებიტი, ართრიტი, სისხლის დაავადებები, თვალებთან დაკავშირებული სნეულებები; გონების გადაღლის გამო, მათ ესაჭიროებათ ხშირი ძილი.

### თევზები

მათთვის დამახასიათებელია ღვიძლის ფუნქციის მოშლა, ანემია, წამლების მიმართ გადამეტებული მგრძნობელობა, კანის დაავადებები: ეგზემა, ფსორიაზი; ასევე, ფეხებთან დაკავშირებული პრობლემები.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1995 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატების მომტანი, გამიმართლებს თუ არა უცხოეთში და, კერძოდ, რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და სასურველი?**

პასუხი: თქვენი კოსმიურ-კარმული მისია სამშობლოს უკავშირდება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ უცხოეთი თქვენთვის ცუდია. კარგი და წარმატების მომტანია შემდეგი ქვეყნები: ინგლისის დასავლეთი მხარე, ბელგია, კანადა, კუნძული სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – აღმოსავლეთი მხარე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, საბერძნეთი, ნორვეგია, უკრაინა, კვიპროსი, ირლანდია, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, მოლდოვა, ესტონეთი, არგენტინა, ფინეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ისრაელი, შრი-ლანკა; პროფესიებიდან კი მისაღებია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ლინგვისტიკა, მთარგმნელობითი საქმიანობა, ავიაცია, იურისპრუდენცია, საკომუნიკაციო სისტემები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, უძრავი ქონების ბიზნესი, საიუველირო საქმე, საკონდიტრო სფერო, არქიტექტურა და მშენებლობა.

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 1978 წლის 2 დეკემბერს, დილით. რომელი პროფესიაა მისთვის წარმატების მომტანი და რომელ ზოდიაქოს ნიშანთან ურჩევთ დაოჯახებას, რათა სამომავლოდ პრობლემები აიცილოს თავიდან?**

პასუხი: მისთვის კარგია ოჯახის შექმნა სასწორის, ვერძის, მერწყულის ან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან; პროფესიებიდან კი მისაღები და წარმატების მომტანია: სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ორგანიზატორული და ადმინისტრაციული საქმიანობა, მანქანათმშენებლობა, სამხედრო სტრუქტურები, საინჟინრო საქმე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სპორტი, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საგამომგონებლო, საკონსტრუქტორო საქმე; მედიცინიდან – ფსიქოთერაპია, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, ქირურგია. ასევე, სამართალდამცავი ორგანოები, საგამოძიებლო სფერო, კონტროლის პალატა, საგადასახადო ინსპექცია, სადაზღვევო კომპანიები, პედაგოგიკა, რელიგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ასტროლოგია.

კითხვა: **დავიბადე 1979 წლის 2 იანვარს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

პასუხი: თქვენი კოსმიური მისია უცხოეთს არ უკავშირდება, თუმცა, იქ გარკვეული დროით მუშაობა, გამოცდილებისა და კაპიტალის დაგროვება ცუდი არ არის. ქვეყნებიდან კი კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ვენესუელა, შვედეთი, ყაზახეთი, სინგაპური, ჩინეთის აღმოსავლეთი მხარე, გერმანიიდან – ბავარიის მხარე, მაროკო, ნორვეგია, მექსიკა, კუბა, უნგრეთი.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

27-28 მაისი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„სხვა საქართველო სად არი?!"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - რეჟისორი: მერაბ ყოლბაია. მონაწილეობენ: მერაბ ყოლბაია, პაატა ვახტანგიშვილი, რამაზ ხომასურიძე, ნინო შავგულიძე, მარიამ ყოლბაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

29 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

30 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

31 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

1 ივნისი, **კვირა** 15.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 9, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ლალანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

1 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

27 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„ურიელ აკოსტა"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კოტე მარჯანიშვილი. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნატო მურვანიძე, დავით დვალიშვილი, გივი ჩუგუაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, მარლენ ეგუტია, ნინო დუმბაძე, ვარლამ კორშია, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

28 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ზვიად სხირტლაძე, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

– ბავშვები ძალიან მიყვარს და ჩემი სურვილია, ბევრი შვილი მყავდეს. ამიტომ, როლში ადვილად შევედი და თამაშიც არ დამჭირვებია, გულით ვაკეთებდი ყველაფერს. შვილი არ მყავს, მაგრამ წარმოვიდგინე, რომ ეს გოგონა ჩემი ძმიშვილი იყო და მთელი ფილმის გადაღების დროს, ამ გრძნობით ვიყავი. ბოლოს ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თოთქოს მართლა ჩემი შვილი იყო. შვილის როლს 10 წლის, ლამაზი, ნიჭიერი და თავისუფალი გოგონა თამაშობს. ასევე, ახლახან ვითამაშე ჰოლივუდურ ფილმში „ზოია", არაბის როლი. არაბული სიტყვები უნდა მესწავლა და ეს ცოტა რთული აღმოჩნდა, თუმცა შევძელი. რეჟისორი ამერიკელია, ოღონდ ეროვნებით ირანელი. ძალიან ცუდი როლი მქონდა – ციხის ზედამხედველი და ისეთ სასტიკი ვარ, მტრისას *(იცინის).* პატიმრებს ვურტყამ, ვაგინებ, ვასაზიზღრებ, არ ვინდობ. მერე ვამბობდი, ამისთვის, პასუხი, ალბათ, რეალურ ცხოვრებაში მომეთხოვებამეთქი *(იცინის).* მოკლედ, მე ჩემი „პალაჟენია" არაბეთის ციხეში დავამყარე და ახლა ველოდები, მსოფლიო პრემიერაზე როგორ შემიფასებენ. კიდევ ერთ ფილმში ვითამაშე, რომლის სახელწოდებაა „ადგომა". ამ როლით ყველაზე მეტად ვარ კმაყოფილი. რევოლუციის დროა და ვთამაშობ ძალაუფლებაში შემთხვევით მოსულ რუს ჯარიკაცს. ეს სცენა რუსეთში ხდება, მე კი უბედური, სასტიკი ცინიკოსი ვარ. ხალხს ვხვრეტ და ვანადგურებ. ასე რომ, საკმაოდ ბევრი რუსი დავხვრიტე და საბოლოოდ, როგორ მსახიობად მაღიარებენ მსოფლიო კინოს კრიტიკოსები, მათი გადასაწყვეტია *(იცინის).* სამივე ფილმი წარდგენილია კინოფესტივალებზე და ვფიქრობ, საკმაოდ კარგ შეფასებას მიიღებს.



**პიანინო არ მაქვს, თითებზე ვიხატავ თეთრ და შავ კლავიშებს და ასე ვასწავლი შვილს დაკვრას**

**– წარმოიდგინე, წითელი ხალიჩა რომ გაიარო ვარსკვლავების გვერდით და ფილმში მთავარი როლის შემსრულებელ მამაკაცებს შორის, „ოსკარი" მოგანიჭონ. რა მოხდება შენში ამ დროს?**

– *(იცინის).* ამისგან ცოტა შორს ვარ, მაგრამ, „ოსკარი" რომ მომანიჭონ, ავალ სცენაზე და ვიტყვი ასეთ სიტყვებს: მე მადლობელი ვარ ღმერთის, დედაჩემის სულის, ჩემი პატარა საქართველოსი, ამერიკის და თუ რამეს მივაღწიე, ეს მამაჩემის უდიდესი დამსახურებაა, ასევე, თემურ ბაბლუანის, დავით ბახტაძისა და გუშარაშვილების ოჯახის.

**– ამბობენ, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ადამიანი თუ რისკზე არ წავიდა, ისე ვერაფერს მიაღწევს და ამისთვის, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოო. შენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე? გიწევს რისკზე წასვლა და საკუთარი სიძლიერის ყოველდღიურად დამტკიცება?**

– სხვათა შორის, ჰოლივუდური ცხოვრება ძალიან ბინძურია. უფრო სწორად, ლოს-ანჯელესსა და ლას-ვეგასს მე ბინძურ ქალაქებს ვუწოდებ. აქ ბევრი ცუდი რამ ხდება და თუ გინდა, სუფთად მიაღწიო დასახულ მიზანს, გაგიჭირდება. კინოს სამყაროში შენი სათქმელი რომ თქვა და ასპარეზზე გამოხვიდე, რთულია შინაგანი სისუფთავე შეინარჩუნო, ხოლო თუ ეს შეძელი, ჩათვალე, მაგარი ხარ. ეს ადვილი არ არის. ადვილია, პოპკორნი ჭამო და უყურო ფილმს. მისაღწევად ყველაფერი რთულია ამერიკაში. ადვილად ჩემს ცხოვრებაშიც არაფერი მოდის. ამიტომ, უნდა ვიშრომო. თუმცა, შრომისმოყვარე ნამდვილად ვარ, ღმერთი ხედავს, მშველის და მაღლიდან დედაჩემის სულიც მეხმარება. ამაში გენეტიკაც მშველის *(იცინის).*

**– როგორც ვიცი, თავადაც აპირებ ფილმის გადაღებას და ამას საქართველოში გეგმავ. რაზეა ფილმი, როდის აპირებ ჩამოსვლას და მსახიობები თუ შეარჩიე უკვე?**

– მამაჩემის მოთხრობების მიხედვით, მე და მამამ დავწერეთ ორი სცენარი. მას ვამუშავებ და, სულ მალე, თავად ვაპირებ ჩამოვიდე და გადავიღო ფილმი საქართველოში. რაც შეეხება მსახიობებს, სულ მალე ქასთინგი ჩატარდება საქართველოში. ერთ ფილმს ჰქვია „ბაბუის მევალე", მეორეს კი „უსულო ნაგლეჯი". ჩემი აზრით, კარგი ფილმები გამოვა, თუმცა, ცოტა ვნერვიულობ. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, გინდათ?

**– რასაკვირველია, მინდა. აბა, გისმენ.**

– ახლა დავაპროდიუსერე ორი ფილმი და ოფიციალურად გავხდი პროდიუსერი! ასე რომ, არა მარტო მსახიობი, სპორტსმენი და სცენარისტი ვარ, არამედ პროდიუსერიც გავხდი.

**– მერე, მარტო ეს ხომ არ გიშველის? პირადი ცხოვრებაც ხომ უნდა მოიწყო?**

– მაგაში მართალი ხარ. ისე გადავიჭერი შემოქმედებაში, მგონი, დავბერდი *(იცინის).* ძალიან მინდა, ტრადიციულად გაზრდილი, წესიერი, ქართველი გოგონა მოვიყვანო ცოლად და ბევრი შვილი მყავდეს. ცოტა ძნელია ასეთი გოგონას მოძებნა, რადგან ამერიკელებს და ევროპელებს ბაძავენ ქართველი გოგონები. 35 წლის ვარ, სულ ცოტა, 10 წლით დავაგვიანე დაოჯახება და ვნანობ. ასე რომ, ვეძებ საცოლეს და იმედია, ისეთს ვიპოვი, როგორიც მინდა. თუ ასეთი ტრადიციულად აღზრდილი და წესიერი გოგო ვიპოვე და ცოლად მოვიყვანე, ეს იქნება ჩემი „ოსკარი".

**– მერე მასეთ გოგოს ამერიკაში ჯდომით ვერ მოძებნი, არ მეთანხმები?**

– ამაშიც გეთანხმები, მაგრამ ფილმის გადასაღებად ხომ ჩამოვალ მალე საქართველოში და ცოლის საძიებლადაც დავტრიალდები *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# არის თუ არა თბილისის ზღვის ქვეშ უზარმაზარი სეიფი, სადაც 300 ტონა ოქროა შენახული



გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, ანუ იმ დროს, როდესაც საქართველოს მმართველი ლავრენტი ბერია იყო, თბილისის ქვეშ კარგად მოწყობილი და დატოტვილი, საიდუმლო გვირაბების სისტემა შეიქმნა. ამ გრანდიოზულ, ზესაიდუმლო მშენებლობას ათი ათასი პატიმრის სიცოცხლე შეეწირა, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოყვანილები და სამუდამო განსასვენებელი მდინარე მტკვრის ფსკერზე იპოვეს. გვირაბების საერთო სიგრძე ორმოცდათხუთმეტი კილომეტრია. ამ უნიკალური პროექტის ავტორი მოსკოველი ინჟინერ-არქიტექტორი პავლე გროვსია, რომელიც პატიმარი გახლდათ და პირადად ხელმძღვანელობდა ამ მშენებლობას. 1936 წელს ის ჭლექით გარდაიცვალა „ენკავედეს“ ციხეში, სადაც ცხოვრობდა. გვირაბების სისტემის ნაწილი სამოქალაქო თავდაცვისთვის იყო განკუთვნილი, ნაწილს კი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ერთ-ერთ მონაკვეთში კარგად აღჭურვილი, ეგრეთ წოდებული, საკომანდო პუნქტი იყო განლაგებული, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში, ომისა და სახელმწიფოს მართვა იყო შესაძლებელი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამ სისტემის ერთ-ერთ კვადრატში, რომელსაც „სეიფი“ ერქვა, 1941 წლის მაისში, თბილისში ჩამოტანილი, საბჭოთა კავშირის ოქროს მარაგი ინახებოდა. უფრო სწორად კი, ამ მარაგის ნაწილი და დღემდე უცნობია, თუ რა ბედი ეწია მას... ჩვენს ექსკლუზიურ პუბლიკაციაში, რომელიც ძველი, საარქივო მასალების ანალიზზეა დამყარებული, „საბჭოთა ოქროს“ ისტორიის ერთ-ერთ ვერსიას გთავაზობთ.

### ბერიას საიდუმლო ბრძანება

მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმიის გენერალური შტაბის სადაზვერვო სამმართველოს („გრუ“) უფროსი, გენერალი ვოლკოვი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხმებოდა და პირადად სტალინს განუცხადა: ჩემს სიტყვებზე საკუთარი თავით ვაგებ პასუხსო, ლავრენტი ბერია სხვაგვარად ფიქრობდა. ის დარწმუნებული იყო, რომ დიდი ომი უახლოეს დროში დაიწყებოდა და სტალინს საგანგებო ზომების მიღებას ურჩევდა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი, საბჭოთა კავშირის ოქროს მარაგის საიმედოდ გადამალვას ეხებოდა, რაზეც სტალინმა ჯერ კიდევ 1941 წლის აპრილის მიწურულს განაცხადა და ეს საქმე პირადად ლავრენტი ბერიას დაავალა. 1941 წლის 1 მაისს, ბერიამ საგანგებო-საიდუმლო ბრძანება გამოსცა და მხოლოდ „ენკავედეს“ კარგად შემოწმებული ოფიცრებისგან შემდგარ ხუთ ოცეულს დაავალა მოსკოვიდან ათას ხუთასი ტონა ოქროს ზოდების გატანა და საიმედოდ გადამალვა. ეს მარაგი ხუთ თანაბარ ნაწილად გაიყო და 300-300 ტონა ოქრო შუა აზიაში, ციმბირსა და საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში წაიღეს. ხუთივე ოპერაცია ერთმანეთის მიყოლებით განხორციელდა. ხუთივეს პირადად ესწრებოდა ბერია და ამ უნიკალური სპეცოპერაციის ბოლო ეტაპზე, 1941 წლის 11 მაისს, თბილისში ჩამოვიდა. 300 ტონა ოქროს ზოდები, არქიტექტორ პავლე გროვსის მიერ აგებული გვირაბების სისტემის ეგრეთ წოდებულ „სეიფში“ პირადად დააბინავა. მთელ ამ ოპერაციაში საინტერესო ის იყო, რომ ოქრო ერთ ღამეში შეიტანეს გვირაბში მანქანებით და შესასვლელისა და „სეიფის“ ადგილმდებარეობა იცოდნენ მხოლოდ თავად ბერიამ და მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა, რომელიც თბილისურ ვოიაჟში თან ახლდა. ეს იყო პოლკოვნიკი გურამ სალია, რომელიც ბერიას მკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს, 20 წლით ჩასვეს ციხეში და 1962 წელს, ვლადიმირის „კრიტში“ გარდაიცვალა. ოქროს მარაგის გადამალვის შემდეგ შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ სად, როდის და რამდენი ოქრო იქნა შენახული.

## თბილისის ქვეშ მშენებარე საიდუმლო გვირაბებს 10 ათასი პატიმრის სიცოცხლე შეეწირა

### საბუთი №27/309

1941 წლის 11 მაისს, 12 საათსა და 45 წუთზე შედგა საბუთი №27/309, რომელსაც ხელს აწერდნენ ლავრენტი ბერია და გურამ სალია. მასში დაწვრილებით იყო აღნიშნული საიდუმლო გვირაბის კოორდინატები, უკვე გვირაბში მოწყობილი სეიფის ადგილმდებარეობა და ის, რომ იქ შენახულია სამასი ტონა ოქრო, ზოდების სახით. ბერია და სალია 11 მაისს, 15 საათზე თვითმფრინავით მოსკოვში გაფრინდნენ და გაურკვეველი მიზეზის გამო (სავარაუდოდ, მათ საქაღალდეები აერიათ), საბუთი №27/309 შევჩენკოს ქუჩაზე მდებარე „ენკავედეს“ შენობაში დარჩა. საბუთი ბერიას უახლოესი თანამებრძოლის, ბოგდან ქობულოვის პირად სეიფში ინახებოდა ლუქით და მისი გახსნის უფლება არავის ჰქონდა. ან, ვინ გაბედავდა ამის გაკეთებას. ეს საბუთი მთელი ომის განმავლობაში შევჩენკოს ქუჩაზე ინახებოდა დალუქული. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მერე კი, საკმაოდ სარწმუნო ვერსიით, ბერიამ შეგნებულად „დაივიწყა“ მისი არსებობა და არც 300 ტონა ოქროს დაბრუნებაზე უზრუნია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ უზარმაზარი ქონების დატოვებას ბერია თბილისში აპირებდა. მთავარი იყო, ის სტალინს არ მოეკითხა და სხვა ვინ გაბედავდა ბერიასთვის ასეთი მოთხოვნის წაყენებას. თუმცა, პოლიტბიუროს დანარჩენ წევრებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ თბილისში ამდენი ოქრო იყო შენახული. ოქროს ისტორია მხოლოდ 1961 წლის მიწურულს გაახსენდათ და ისიც მაშინ, როდესაც ვლადიმირის „კრიტში“ მჯდომი გურამ სალია, გათავისუფლების სანაცვლოდ, თბილისში გადამალული ოქროს ადგილმდებარეობის გამხელას ჰპირდებოდა მთავრობას. სანამ ამ წერილმა ხრუშჩოვამდე მიაღწია, მძიმედ დაავადებული სალია გარდაიცვალა და „კაგებეს“ საგანგებო ჯგუფმა ყველაფერი გადაქოთა, რომ საბუთი №27/309 ეპოვათ, თუმცა, უშედეგოდ.

### მითი თუ რეალობა?

1979 წელს მოსკოვში „კაგებეს“ პოლკოვნიკი ანტონ ხრენნიკოვი გარდაიცვალა, რომელიც 1941 წლის 11 მაისს, იმ საგანგებო ოცეულის შემადგენლობაში შედიოდა, ვინც 300 ტონა ოქრო საიდუმლო სეიფში დააბინავა. ცნობილია, რომ ხრენნიკოვს ხშირად უთქვამს, თითქოს შეეძლო იმ საიდუმლო გვირაბის შესასვლელის პოვნა, სადაც მანქანებით ოქრო შეიტანეს. ისიც ფაქტია, რომ 1983 წელს, საეჭვო ვითარებაში, ხრენნიკოვის შვილიშვილი ანტონ (უმცროსი) ხრენნიკოვი მილიციამ დააკავა. ის მეტეხის ეკლესიის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საკანალიზაციო გვირაბში შეღწევას აპირებდა და როცა მილიციამ იქიდან ამოიყვანა, განაცხადა, რომ ეთნოგრაფი-მოყვარული გახლდათ და უძველესი თბილისის ნაშთებს იკვლევდა. დაკავებულ ხრენნიკოვ-უმცროსს ხელით დახაზული, გაურკვეველი რუკაც აღმოუჩინეს. თუმცა, ის მალევე გაათავისუფლეს და მოსკოვში გაემგზავრა. დღესდღეობით ხრენნიკოვი კანადაში ცხოვრობს და საკმაოდ მსხვილი ბიზნესმენია... უცნობია, თუ 1992 წელს ემიგრირებულმა ხრენნიკოვ-უმცროსმა რა გზით დააგროვა მილიონები კანადაში, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ გადამალულ ოქროს მიაგნო, მით უმეტეს, სეიფიდან გამოიტანა... ის კი ნამდვილადაა ცნობილი, რომ „კაგებეს“ სპეცჯგუფი 1961-1988 წლებში, ანუ 27 წლის განმავლობაში ინტენსიურად ეძებდა თბილისის საიდუმლო ბუნკერსა და იქ გადამალულ ოქროს. მაგრამ, ამ ძიებამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო...

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გავრცელებული აზრის მიხედვით, თბილისის ქვეშ, 200 მეტრის სიღრმეზე, ანუ მტკვრის დონეზე ბევრად ქვევით, საიდუმლო გვირაბებია და ეს ის ადგილია, სადაც დღეს გლდანის მასივია გაშენებული. იმავე ვერსიით, გვირაბების ნაწილი თბილისის ზღვის ქვეშ მდებარეობს და „სეიფიც“ იქაა, სადაც, სავარაუდოდ, 300 ტონა ოქრო კვლავ ხელუხლებელია. იმავე ვერსიით, გვირაბებს სამი შესასვლელი აქვს, მაგრამ სამივე ჩახერგილია. დაახლოებით ცენტრალური მონაკვეთის ორკილომეტრიანი გვირაბი კი 1988 წლის დეკემბერში, სომხეთში მომხდარი მიწისძვრის დროს ჩამოინგრა, ჩაიხერგა და ოქროსკენ მიმავალი გზა სამუდამოდ ჩაიკეტა.

არსებობენ ისეთებიც, ვისაც თბილისში შენახული ოქრო მითი ჰგონია და ამტკიცებენ, რომ 300 ტონა ოქროს ზოდები ჯერ კიდევ 1946 წელს დააბრუნეს მოსკოვში... ერთი სიტყვით, თბილისში 300 ტონა ოქროს შენახვა დადასტურებული ფაქტია და ამაზე არავინ დავობს, მაგრამ დღესდღეობით სადაა ის ოქრო, საინტერესო ესაა და გამორიცხული არ არის, გარკვეული ძალები დღემდე განაგრძობენ მის ძებნას...

**ნიკა ლაშაური**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# როგორ ცდილობდა 70 წლის ქალი მოკლული ქმრის ჩუმად დაკრძალვას და რა არ აპატია მან ქმარს

გურგენ შ-შვილი, რომელმაც პირველი ცოლის მკვლელობისთვის რვა წელი ციხეში გაატარა, მეორე ცოლის მსხვერპლი გახდა. იმის მიუხედავად, რომ 70 წლის ლიდა ქ-ძემ ჩადენილი დანაშაული მკვლელობის მეორე დღესვე აღიარა, გარდაცვლილის შვილი, რომელიც კაცს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა, სასამართლო პროცესზეც კი ამტკიცებდა, რომ მისი მამა გერმა მოკლა, მაგრამ დანაშაული ცოლმა აიღო თავის თავზე. გამოძიებამ ამ ვერსიის დამტკიცება ვერ შეძლო და, შესაბამისად, განსასჯელის სკამზე ლიდა ქ-ძე მოხვდა.

გურგენ შ-შვილი 40 წლის ასაკში გაასამართლეს ცოლის მკვლელობისთვის და ეს სკანდალური დანაშაული მთელ რაიონში გახმაურდა. ყველა გარემოება ამტკიცებდა, რომ მამაკაცმა ცოლი განზრახ მოკლა და ამას ადასტურებდა შვილიც, რომელიც მოითხოვდა, რომ მამისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, გურგენ შ-შვილი შემთხვევითი მკვლელობის მუხლით გაასამართლეს. სასამართლო პროცესზე მამას დაუპირისპირდა საკუთარი შვილი, რომელიც აცხადებდა, რომ მამაკაცს ცოლი კი არ შემოაკვდა, არამედ, ეჭვიანობის ნიადაგზე, განზრახ მოკლა. სასამართლომ არ გაიზიარა შვილის ჩვენება, რომ ბრალდებული ხშირად ემუქრებოდა ცოლს მოკვლით და გურგენ შ-შვილი არ ცნო განზრახ მკვლელად. ციხიდან გათავისუფლებულ გურგენ შ-შვილს ქალიშვილი გათხოვილი დახვდა. მას საერთოდ შეწყვეტილი ჰქონდა კავშირი მამასთან და მხოლოდ წლების შემდეგ შეურიგდა. გურგენ შ-შვილი გათავისუფლებიდან ხუთ წელიწადში დაქორწინდა თანასოფლელ ლიდა ქ-ძეზე, რომელიც მასზე ორი წლით იყო უფროსი. გურგენის ბინაში საცხოვრებლად გადასულმა ქალმა თან წაიყვანა თავისი ორი შვილი პირველი ქორწინებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი მამინაცვალმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა და მას საკუთარი ბინაც კი დაუმტკიცა. გარდაცვლილის მეზობლების განცხადებით, გურგენ შ-შვილს ცუდი ხასიათი ჰქონდა, ის ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცყოფას ცოლსა და მის შვილებს, რომლებიც ამ საქციელს თავიდან არ აპროტესტებდნენ, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდათ, მაგრამ, წლების შემდეგ, როცა ბიჭი წამოიზარდა, მან თავის თავს მიხედა და საცხოვრებლად ქალაქში წავიდა, გოგონა კი გათხოვდა და გურგენ შ-შვილს აგრესიის პირისპირ მხოლოდ მისი მეორე ცოლი დარჩა, რომელიც ხშირად ამბობდა მეზობლებთან, რომ გურგენს დასანახავადაც კი ვერ იტანდა და მასთან ცხოვრებას იძულებით განაგრძობდა: ამ ასაკში მეორე ქმარსაც ხომ არ გავეყრებიო, – ეუბნებოდა ის მეზობლებს.

**ქალმა წვეტიან სარს გარდაცვლილის სისხლი წაუსვა**

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, გურგენ შ-შვილის გარდაცვალება მისმა მეზობლებმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც ლიდა ქ-ძემ მკვლელობის კვალი წაშალა. მოწმემ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ნახა გარდაცვლილი მამაკაცი, გამოძიებასთან განაცხადა, რომ ლიდამ მას თვითონ დაუძახა და მომხდარის შესახებ აცნობა.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ლიდასა და გურგენის სახლს ჩემი სახლისგან ერთი ღობე ყოფს. საეჭვო ხმაური არ გამიგია, თვითონ ლიდამ დამიძახა, ჩვენთან გადმოდიო. ეზოში შესულს მიწაზე გურგენის ცხედარი დამხვდა. ლიდამ ძალიან მშვიდად მითხრა, ბოსტანში ხის სარზე ყელით წამოეგოო. ცოტა ხანში ჩამიყვანა და ის სარიც მაჩვენა – ზედ მართლაც იყო სისხლის ნაკვალევი. მე ვუთხარი, პოლიციას გავაგებინოთ ეს ამბავი-მეთქი. არაო, – მითხრა, – პოლიციას კი არა, ხალხსაც ნუ ეტყვი, არ გაახმაურო გურგენის სიკვდილი, მეშინია, მე არ დამაბრალონო. იმ დროს ჩვენთან ერთად იყო ლიდას შვილიც, ელენე, რომელიც სხვა სოფელში ცხოვრობს და იმ დროს დედასთან სტუმრად იყო მოსული".

ლიდა ქ-ძის მცდელობის მიუხედავად, სამართალდამცველებმა მომხდარის შესახებ გარდაცვლილის მეზობლებისაგან იმავე საღამოს შეიტყვეს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ლიდა ქ-ძის დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის ნათელი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას. ლიდა ქ-ძე ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს იძლეოდა: ხან ამბობდა, რომ გურგენმა თავი მოიკლა, რადგან, ამაზე ხშირად ლაპარაკობდა ხოლმეო, ხან კი იმ ვერსიას ყვებოდა, რომ ის სარს შემთხვევით წამოეგო. გარდაცვლილს დაზიანება ყელში ჰქონდა მიყენებული. სამედიცინო ექსპერტიზის მიხედვით, ჭრილობის ტრაექტორია წვეტიანი სარის მეშვეობით ვერ იქნებოდა მიყენებული, დაზიანების იარაღი უნდა ყოფილიყო რამე სხვა ბასრი საგანი, რომელიც, როგორც მოგვიანებით ლიდა ქ-ძემ აღიარა, იყო სასხლავი მაკრატელი (სეკატორი), რომელიც ქალმა ქმარს პირდაპირ არტერიაში ჩაარტყა. სამართალდამცველებმა, ლიდა ქ-ძის მითითებით, მისი სახლიდან დანაშაულის იარაღიც ამოიღეს.

მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით, ქალი დანაშაულში ეჭვმიტანილი აღმოჩნდა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა. ლიდა ქ-ძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა. მისი განცხადებით ქმარი იმიტომ მოკლა, რომ სიცოცხლე გაუმწარა. განსასჯელმა იგივე დაადასტურა სასამართლო პროცესზეც. გამოძიების მასალების მიხედვით, ლიდა ქ-ძემ, მას შემდეგ, რაც ქმარს სეკატორით გამოჭრა ყელი, გარდაცვლილი ქმრის სისხლი ეზოში ჩარჭობილ სარს წაუსვა – თითქოსდა, გურგენ შ-შვილი სარზე ყელით წამოეგო და მხოლოდ მას შემდეგ დაუძახა კარის მეზობელს, რაც მკვლელობის კვალი წაშალა და გაპრიალებული მაკრატელი (სეკატორი) საგულდაგულოდ დამალა.

ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „ბოლო დროს გურგენთან ცხოვრება გაუსაძლისი გახდა – ორ დღეში ერთხელ, მიზეზს მოძებნიდა და, ან მლანძღავდა, ანდა მაგინებდა, ან – მცემდა. ჩემი შვილები ჩემთან ველარ მოდიოდნენ, რადგან, მათ მიმართ განსაკუთრებით აგრესიული იყო. იმ დღეს ჩემი ქალიშვილი მოვიდა ჩემთან სტუმრად. როგორც კი გოგო დაინახა, ლანძღვა დაიწყო. ყელში ამომივიდა მისი ჩხუბი, ეზოში „კუშეტკაზე" იყო წამოწოლილი, მივეპარე და გამწარებულმა მთელი ძალით ყელში მაკრატელი ჩავარტყი. ელენე მეზობელთან იყო გასული, არაფერი გაუგია. როცა სახლში შემოვიდა, გურგენი უკვე გარდაცვლილი იყო. მას არ ვუთხარი, სინამდვილეში რა მოხდა".

გამოძიებას ჩვენება მისცა განსასჯელის შვილმაც, რომელმაც დაადასტურა, რომ მკვლელობის დროს მეზობელთან იმყოფებოდა და მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. ლიდა ქ-ძეს სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურა მის წინააღმდეგ რვა წლით პატიმრობას ითხოვდა, მაგრამ სასამართლომ გაიზიარა ქალის ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხანდაზმული ასაკის ქალბატონს სასჯელის მინიმალური ზომა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**26 მაისი**

1896 – მეფედ ეკურთხა რუსეთის უკანასკნელი მონარქი ნიკოლოზ მეორე.

1918 – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მენშევიკების მიერ.

1928 – „ფიფას" სხდომაზე გადაწყდა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ყოველ 4 წელში.

1977 – „ადამიანი ბუზი" – ჯონ უილინგი დაზღვევის გარეშე ავიდა 110-სართულიან მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაზე (11 სექტემბრის ტერაქტისას დაინგრა).

**27 მაისი**

1328 – საფრანგეთში გაბატონდა ვალუას დინასტია.

1467 – შტატ მასაჩუსეტსში ჩამოახრჩვეს პირველი „ალქაჯი" აჩა იანგი.

1900 – ბელგიაში ჩატარდა მსოფლიოში პირველი არჩევნები პროპორციული სისტემით.

1905 – ცუსიმას ბრძოლაში იაპონურმა, ფლოტმა ადმირალ ტოგოს ხელმძღვანელობით, გაანადგურა რუსული ფლოტი.

1921 – ავღანეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1930 – ამერიკელმა რიჩარდ დრიუმ დააპატენტა წებოვანი ლენტა – „სკოჩი".

**28 მაისი**

1742 – ლონდონში გაიხსნა პირველი გადახურული საცურაო აუზი.

1871 – დაეცა პარიზის კომუნა.

1926 – პორტუგალიაში დამყარდა ხანგრძლივი დიქტატორული რეჟიმი (1974 წლამდე).

1964 – იასირ არაფატმა დააარსა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია.

**29 მაისი**

1660 – ინგლისში 11-წლიანი პაუზის შემდეგ, აღსდგა მონარქია. გამეფდა ჩარლზ მეორე.

1910 – ამ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სიჩქარეში შეაჯიბრეს აეროპლანი და ორთქლმავალი. გაიმარჯვა ორთქლმავალმა.

1914 – წმიდა ლავრენტის ყურეში ჩაიძირა ბრიტანული ხომალდი, დაიღუპა 1 032 ადამიანი.

1953 – ედმუნდ ჰილარი და თანსინგ ნორგეი გახდნენ პირველი ადამიანები, რომელთაც ჯომოლუნგმა დაიპყრეს.

1985 – ბრიუსელში „ეიზელის" სტადიონზე, ინგლისელი ფანების მიერ მოწყობილ ჩხუბში 39 ადამიანი დაიღუპა. ინგლისის გუნდებს რამდენიმე წლით აეკრძალათ ევრტოურნირებში თამაში.

**30 მაისი**

1913 – ბალკანეთის ომის შედეგად თურქეთმა დაკარგა ყველა სამფლობელო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, გარდა სტამბულისა.

1982 – ესპანეთი გახდა „ნატოს" მეთექვსმეტე წევრი.

**31 მაისი**

1223 – მდინარე კალკაზე 20 000-მა მონღოლმა გაანადგურა რუსებისა და პოლოვცების გაერთიანებული 80 000-იანი ჯარი.

1859 – ლონდონში ამუშავდა „ბიგ-ბენის" საათი.

1868 – პარიზში შედგა მსოფლიოში პირველი ველორბოლა.

1879 – ბერლინის გამოფენაზე წარადგინეს პირველი ელექტროტრამვაი.

**1 ივნისი**

1495 – წყაროებში პირველად იხსენიება შოტლანდიური ვისკი.

1880 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-ჰეივენის ბანკთან, ამუშავდა პირველი ტელეფონ-ავტომატი.

1935 – ბრიტანეთში შემოიღეს საავტომობილო ნომრები.

1938 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად დაიბეჭდა კომიქსი სუპერმენის შესახებ.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

კითხვა: **რით შევუწყო ხელი ცინერარიას, რომ კარგად იყვავილოს?**

**პასუხი:** უპირველესად, მისი ნიადაგი მუდამ ტენიანი უნდა იყოს – მიწის გამოშრობა საგრძნობლად ამცირებს ყვავილობის პერიოდს. ცინერარია ტენსა და სიგრილეში მეტხანს ყვავის. დამატებითი კვება არ სჭირდება, რადგან, დაყვავილების შემდეგ უნდა გადააგდოთ. ამ მცენარეს ადვილად აზიანებენ ფოთლის პარაზიტები.

კითხვა: **როგორი სინათლე და ტემპერატურა მოსწონს პლატიცერიუმს?**

**პასუხი:** პლატიცერიუმს უყვარს კაშკაშა სინათლე, თუმცა, თუ მაღალ ტენიანობას ვერ უზრუნველყოფთ, მოარიდეთ მზეს. მისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 13 გრადუსი – ამაზე ნაკლები სითბო მცენარეს დააზიანებს.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა სანსევიერა?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის პერიოდში სანსევიერას მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზამთარში კი, პირიქით – მიწას შეშრობა აცალეთ და იშვიათად მორწყეთ. მცენარის გულში წყალს ნუ ჩაასხამთ. სიცივისა და ბევრი წყლისგან, სანსევიერას, შეიძლება, ძირში ფოთლები დაულპეს. მას არ მოსწონს ბევრი წყალი. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ ხოლმე. იზრდება ნელა და გადარგეთ 2-3 წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე.

კითხვა: **როგორი ადგილი მოსწონს „ვენერას ქოშს?"**

**პასუხი:** ეს მცენარე მზეს მოარიდეთ და ოდნავ ჩრდილიან ადგილას დადგით. მისთვის კარგია ნაკლებად განათებული ოთახი. რაც შეეხება ტემპერატურას, ზამთარში იტანს 13 გრადუსს. დაყვავილების შემდეგ ტემპერატურის 3-4 გრადუსით შემცირება ხელს უწყობს ახალი ყვავილების ამოსვლას.

კითხვა: **რამდენად გამძლე მცენარეა ზამთარში ზეთისხილის ხე?**

**პასუხი:** ზეთისხილის ხე ზამთარში მინუს 2 გრადუსსაც აიტანს, წლის დანარჩენ დროს კი მოსწონს ოთახის ტემპერატურა. ყვავილობისთვის ზეთისხილს ორი თვის განმავლობაში მაინც სჭირდება 10 გრადუსზე დაბალი ტემპერატურა. თუ გსურთ, რომ ფორმაც კარგი ჰქონდეს და არც მეტისმეტად გაიზარდოს, დაყვავილების შემდეგ ან შუა ზაფხულში გაკრიჭეთ.

კითხვა: **იოლი მოსავლელია თუ არა ფილოდენდრონი?**

**პასუხი:** ფილოდენდრონი ნამდვილად არ შეგიქმნით პრობლემებს, მას მინიმალური მოვლაც კი აკმაყოფილებს, ოღონდ, პარაზიტებს უნდა მოარიდოთ. განსაკუთრებით ცრუფარიანა ემტერება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთარში კი 14-15 გრადუსი.

კითხვა: **სოლია როგორ პირობებში ხარობს უკეთ?**

**პასუხი:** სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს. მოსწონს მზის გულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შეამციროთ. ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში ჩამოკიდებთ.

კითხვა: **როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო სედუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე საკმაოდ იოლი მოსავლელია. თუ გსურთ, რომ მან კომპაქტურობა შეინარჩუნოს, დადგით მზის გულზე. ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ, არანაკლებ 10 გრადუსისა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს მართლზომიერი მფლობელი, აქვს თუ არა მას მესაკუთრის უფლებამოსილება და ზოგადად, ვინ შეიძლება იყოს უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მართლზომიერი მფლობელი არის დაინტერესებული პირი, რომლის სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იქნა სარეგისტრაციო ობიექტზე ყადაღის, განკარგვის აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაციამდე. ამასთანავე, სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იქნა საჯარო რეესტრის შესახებ კანონის ამოქმედებამდე ან ყადაღის, განკარგვის აკრძალვის მიუხედავად, სარეგისტრაციო დოკუმენტის გამოცემა, მიღება ან შედგენა უშუალოდ არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით. მართლზომიერია ასევე პირი, რომელიც არის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საგნის მესაკუთრის უფლებამონაცვლე.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის საჯარო რეესტრი და როგორია საქართველოში საჯარო რეესტრის სტრუქტურა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ზოგადად, საჯარო რეესტრი გულისხმობს და წარმოადგენს საქართველოში არსებული რეესტრების ერთიან ბაზას. კონკრეტულად კი, საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების ერთობლიობა.

კითხვა: **ფაქტობრივ მფლობელობაში მაქვს მიწის ნაკვეთი, რომლის ზუსტი საზღვრები დადგენილი არ არის. გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა და არის თუ არა საჭირო მისი შემდგომი რეგისტრაცია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენა, მასში ცვლილება და მისი შეწყვეტა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს კანონით დადგენილი წესით შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი. მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენა ხორციელდება რეგისტრაციის წესით, რის შედეგადაც გაცემული ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ ფაქტობრივი მფლობელისა და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართობის თაობაზე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, სამართლებრივად როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული და საზღვრებში აღრიცხული მიწის ნაკვეთი აღმოჩნდება სხვა პირის მიერ რეგისტრირებული საკუთრების უფლებით?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენა, არ გამორიცხავს ამ მიწის ნაკვეთზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთრების უფლების რეგისტრაციას. აღნიშნულ შემთხვევაში, ფაქტობრივი მფლობელობის შესახებ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ინფორმაცია, ძალადაკარგულად ითვლება და ამის თაობაზე ეცნობება შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: იქნებ მოკლედ დამიხასიათოთ 2001 წლის „ჰონდა სიარვი" (CRV), რა პლუსები და მინუსები აქვს. გამძლეა მისი მართვის ავტომატური კოლოფი და ასევე, რამდენად უსაფრთხო, გამძლე და ეკონომიურია თავად მანქანა. მირჩევთ თუ არა მის შეძენას?**

**პასუხი:** „ჰონდას" ეს მოდელი ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქის „ჯიპებს" შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი 2001 წლამდე, ანუ ძველი მოდელები, შედარებით უფრო გამძლე იყო და უგზოობის პირობებსაც იოლად იტანდა, ვიდრე ეს მოდელი. მას შედარებით სუსტი სიჩქარეთა ავტომატური კოლოფი აქვს, მაგრამ ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა კოლოფი, ადრე თუ გვიან, მწყობრიდან გამოდის და მოფრთხილება სჭირდება. „სიარვიც" ასევეა, თუ ძალიან არ აწვალებთ და მოუფრთხილდებით, სიჩქარეთა კოლოფიც პრობლემებს არ შეგიქმნით. ეს არის ქალაქის „ჯიპი," რომელიც ასფალტირებული გზიდან გადასვლის შემთხვევაში, თავს არ შეირცხვენს. თუმცა, უგზოობაში სასიარულოდ არ არის შექმნილი. რაც შეეხება წვას, „ჰონდა სიარვი" ქალაქის პირობებში, „ჯიპების" ფონზე, საკმაოდ ეკონომიურია და მის შეძენას გირჩევთ.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ჩემს ავტომობილს, ეგრეთ წოდებული, „სალნიკიდან" გასდის ზეთი. სისტემატურად ვამატებ, მაგრამ გამოცვლას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. როგორ შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა და ამდენი ხანი ზეთის მატება, ხომ არ გამიფუჭებდა ძრავას?**

**პასუხი:** ძრავას უკანა „სალნიკი" არ არის რთულად საშოვნელი ან ძალიან ძვირად ღირებული დეტალი. ის სხვადასხვა ზომისაა და თუ მაინცდამაინც თქვენი მანქანისას ვერ იშოვით, მიიტანეთ და ზომის მიხედვით შეარჩიეთ. მაგრამ, ამ პრობლემაში მთავარი სირთულე მისი მოხსნა და შეცვლაა, რომელიც დეტალზე გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. რაც შეეხება ზეთის დამატებას – ძრავას სხვა დეტალები იმ შემთხვევაში არ დაზიანდებოდა, თუ მიუხედავად დამატებისა, ზეთს დროულად ცვლიდით. ამატებთ, ამატებთ და ძრავაში სულ საჭირო რაოდენობის ზეთია, მაგრამ როცა დრო უწევს, ყოველ გავლილ ხუთ-შვიდ ათასზე, ზეთს მაინც ცვლით.

**კითხვა: მყავს ეკოტეკის ტიპის ძრავით აღჭურვილი ავტომობილი. იქნებ ამიხსნათ, როგორია ის, რა სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს? მაინტერესებს შუქნიშანზე დგომის დროს სიჩქარეების გადამრთველი ნეიტრალურ მდგომარეობაში უნდა გადავიყვანო თუ არა?**

**პასუხი:** ეკოტეკის ტიპის ძრავა კარგ საწვავს საჭიროებს, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გამოვიდეს მწყობრიდან. ასევე, კარგი ხარისხის ზეთი დროულად უნდა ცვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძრავას სექტორში შესაძლოა, ბევრი წვრილმანი გამოვიდეს მწყობრიდან და არასტაბილურად იმუშაოს, საწვავის წვასაც მოუმატოს, ან პერიოდულად, ავტომობილის ჩაქრობაც კი გამოიწვიოს. მიზეზის დადგენა კი, ხელოსნებსაც გაუჭირდებათ. შუქნიშანთან დგომისას არ არის აუცილებელი, ნეიტრალური სიჩქარე. პირიქით, ბევრი გადართვა-გადმორთვა უფრო ვნებს კოლოფს. თუ ავტომობილი სიჩქარეშია ჩაგდებული და ძრავის ბრუნვათა რიცხვს არ ვუმატებთ, ანუ გაზის პედალს არ ვაწვებით, ის არ ცვდება, კოლოფი არ ფუჭდება.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

**კითხვა: სახლში გვყავს პატარა ლეკვი, რომელიც თამაშის დროს მწარედ იკბინება. მაინტერესებს, ეს სახიფათო ხომ არ არის?**

**პასუხი:** როცა ლეკვი თამაშის დროს იღრინება, იყეფება და ზურგზე ბეწვი ებურძგნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავდასხმისთვის ემზადება. გახსოვდეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ ერთხელაც კი, რომ ის თავს დაგესხათ. ამ დროს ლეკვი უნდა დააწყნაროთ. მოეფეროთ და ეს აგრესიულობა სხვა სახით შეუცვალოთ, მაგალითად, მისცეთ სასუსნავი ან სათამაშო. თუ ლეკვი ხშირად ავლენს აღნიშნული სახის აგრესიას, სასურველია, მიიყვანოთ ის მწვრთნელთან, ანუ სპეციალისტთან, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. აგრესია ძირითადად ისეთ ძაღლებს უყალიბდებათ, რომლებიც თავს ხროვის ლიდერად მიიჩნევენ. უნდა დაიმახსოვროთ, რომ ძაღლი არასდროს გრძნობს იმას, რომ პატრონი მასზე მაღლა დგას, ანუ, მასზე მბრძანებლობს. ასევე, უნდა გახსოვდეთ, რომ ძაღლი პერიოდულად იბრძოლებს ოჯახში ლიდერობის მოსაპოვებლად. სასურველია, აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მიმართოთ სპეციალისტს, რომელიც დაგეხმარებათ ლეკვის ხასიათის სწორ ჩამოყალიბებაში, რადგან, ლეკვობის პერიოდში დაშვებული შეცდომა, შეიძლება, შემდგომში სავალალო გახდეს და ცხოველის ხასიათის ჩამოყალიბებაზე ცუდად იმოქმედოს.

**კითხვა: ბოლო დროს ჩემს ძაღლს ხშირად უწითლდება თვალები. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თვალი, როგორც ადამიანისათვის, ასევე, ცხოველებისთვის, გარესამყაროს აღქმის ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. მხედველობის შენარჩუნება დიდად არის დამოკიდებული ცხოველის მოვლა-შენახვის პირობებზე. ძაღლს ძალიან მგრძნობიარე და საოცრად ძლიერი თვალები აქვს. იმისათვის, რომ დავიცვათ ძაღლის თვალები ინფექციური დაავადებებისა და ტრავმებისგან, არსებობს მოვლის რამდენიმე მეთოდი. თქვენი ცხოველის თვალების რეგულარული დათვალიერებით, თქვენ დროულად შეამჩნევთ პრობლემას და დროულად შეძლებთ მის თავიდან აცილებას. ყველაზე გავრცელებული და ხშირი პრობლემაა თვალების სიწითლე, რაც, როგორც წესი, მიუთითებს ინფექციურ პროცესებზე, ინფექცია კი გამოწვეულია ბაქტერიებით. თვალის ინფექციების მკურნალობა ხდება ანტიბიოტიკებიანი წვეთებითა და მალამოებით. ყველაზე გავრცელებული და ადვილად შესამჩნევი თვალის ინფექციაა კონიუნქტივიტი, რომლის სიმპტომებია თვალის ლორწოვანი გარსის (კონიუნქტივის) და თვალის გარშემო კანის გაწითლება; თვალის კუთხეში ჩირქის დაგროვება; ღრმა პროცესების დროს თვალის მთლიანად ჩირქით ამოვსება, ასევე, ქუთუთოების ერთმანეთზე მიწებება. თვალის სხვა პრობლემები გამოწვეულია ტრავმებით, უცხო სხეულის მოხვედრით თვალში და წამწამების პრობლემებით. წამწამებით გამოწვეული პრობლემები, როგორც წესი, გენეტიკურია და იწვევს თვალის მექანიკურ გაღიზიანებას, წყლულებსა და ინფექციებს. ინფექციის წარმოშობის თავიდან აცილება მარტივად არის შესაძლებელი, თუ რეგულარულად მოუვლით ცხოველის თვალებს და უზრუნველყოფთ მათ სისუფთავეს. მოვლაში იგულისხმება შემდეგი: შეუნარჩუნოთ ცხოველს თვალების სისუფთავე; თუ თქვენი ცხოველი გრძელბეწვიანია, თვალის გარშემო აუცილებლად რეგულარულად უნდა შეაჭრათ ბეწვები. თუ აღნიშნულ პროცედურას რეგულარულად ჩაუტარებთ, ამით თავიდან აიცილებთ თვალში ბაქტერიების მოხვედრას.

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა
მარიკა ხიდურელმა**

(......) გურ-გულია
უდანაშ-აულობის საბუთი
უტვინო / რემბო
ტყის მსხალი
2
ცივი იარაღი
ჩინელი მეფე
ქალაქი ჩრდ. იტა-ლიაში
სამხრეთ ამერიკის მთები
კომპი-უტერის თაგუნა
ქალაქი უკრა-ინაში
ცუდი სუნის ხე-ბუჩქი
ხალხი
ყაზბეგის მუნიციპ-ალიტეტის სოფელი
ფრანგი მსახიობი ქალი ფანი....
სოფლები ამბრო-ლაურის ონის
თეატრის განცხ-ადება
ცუდი ამინდი
მეშვიდე ნოტი
ეპოქა / ბაშკი-რეთშია
წინას-წარი ხელ-ფასი
3
შედა-რების ბოლო-სართი
ევროპის ჯუჯა სახელ-მწიფო
გამოუ-ცდელი / .....მირც-ხულავა
ლოგინის ნაწილი
პირ-უტყვის საკვები
კუკა-რაჩას სატრფო
აკრ-ძალვათა პერიოდი
სამნ-ყობრო სიარული
სარეცხი ფხვნილი / სახლში
ძველი ოსი
7
....ბეს-ინჯერი / აშშ-ს შტატი
ლეს-ოთოს დედა-ქალაქი
ინგ-ლისელი ფიზი-კოსი
გაეროს ყოფილი უფროსი
(......) ძე დუნი
სასწა-ვლო პროცესის ნაწილი
თან-ხმობის სიტყვა
8
აშშ-ს მდინარე
პატარა სასმისი
ალვირ-ახსნი-ლობა
ღვთიური რისხვა
ჭად-რაკის ფიგურა
არაგ-ველები
(......) დამა-ცადე!
ლობიოს საყრ-დენი ჯოხი
(.......) ხაჩატ-ურიანი
ადამ-იანთა ფერი
თვით-მკვლე-ლობა
სახის კუნთების უმოძ-რაობა
საშენი მასალა
1
ხალ-ხური სიბრძნე
ზოგს უყვარს ულვაშის (რა?)
ქალის სამოსი
ინგლ-ისელი მწერალი ივლინ...
ქვედა ყბა
ბუსუსი
სამა-გალითო
ვარ, (....), არის
ახირე-ბული ჩვევების მქონე
ეკალი
პერუს დედა-ქალაქი
სას-წორის თეფში
6
გენია, ტალანტი
აზიის სახელ-მწიფო
კაკა-ნათი / ცხელი სასმელი
4
ბატონი კახი.... / რობერტ დე....
„ქალის“ აღმნიშვნელი სიტყვა თბილ-ისურ ჟარგონში
ბუნების ძალა
თხის ხმიანობა / ფრანგი მევახშე
დიდი დათვი



1
2
3
4
5
6
7
8

ქალაქი რუმი-ნეთში, სადაც ბესიკ გაბა-შვილია დაკრ-ძალული
გვარზე ხტის
5
ძირი იქა ლხინი (......), ქატო იქა, ფქვილი (........)
გერ-მანელი მწერალი
ფარ-თობის საზომი ერთეული
შაქრის დაბა
ერბო, კარაქი...
იმერ-ეთის რაი-ცენტრი
იაპონიის დედა-ქალაქი
ზღვარი
ცხელი სასმელი
რუსი ილუზი-ონისტი
გერდას ძმობილი ზღაპარში
(......) ბრეგ-ვაძე
ძველ-ბერძენი
დიპლ-ომატი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | | | 16 | | | | | | | | | | | 16 | | | | 2 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 2 | | 3 | 2 | 17 | 3 | | | | | | | | 3 | 1 | 16 | | | 2 | 2 | | | | | | | |
| | | 5 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 | 4 | 4 | 5 | 6 | 5 | 4 | 4 | 3 | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 5 | 2 | | | | | | |
| | | 2 | 6 | 6 | 6 | 5 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 6 | 6 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 |
| 1 | 12 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 12 | 12 | 1 | 1 | 12 | 13 | 14 | 14 | 14 | 14 | 14 | 13 | 12 | 1 | 2 | 12 | 12 | 2 | 1 | 5 | 5 | 5 | 5 | 4 | 3 | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 |
| | | | | | | 3 |
| | | | | | | 7 |
| | | | | | | 12 |
| | | | | | | 16 |
| | | | | | | 20 |
| | | | | | 7 | 6 |
| | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 2 | 5 | 2 |
| | | | | | | 13 |
| | | | | | | 18 |
| | | | | 3 | 13 | 2 |
| | 1 | 1 | 2 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 5 | 1 | 3 | 3 | 8 |
| | | | | 5 | 4 | 2 |
| | | | 5 | 2 | 5 | 2 |
| | | | 3 | 2 | 7 | 2 |
| | | | | | | 29 |
| | | 2 | 2 | 2 | 10 | 4 |
| | | 1 | 2 | 4 | 10 | 2 |
| | | 1 | 2 | 4 | 9 | 4 |
| | | 1 | 2 | 2 | 10 | 4 |
| | | | 3 | 4 | 10 | 2 |
| | | | 2 | 4 | 9 | 4 |
| | | 1 | 2 | 10 | 4 | 4 |
| | | 1 | 4 | 10 | 2 | 5 |
| | | 1 | 4 | 9 | 4 | 6 |
| | | 1 | 2 | 10 | 4 | 7 |
| | | 1 | 4 | 10 | 2 | 8 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 3 | 6 | 8 | | 9 | 7 | |
| | 5 | 9 | | 2 | 3 | 6 | | 1 |
| 8 | | 1 | | 7 | | | 2 | |
| | 3 | | 2 | | 7 | | 1 | 4 |
| 5 | 7 | | 1 | | 4 | | 3 | |
| | 1 | | 3 | | | 7 | 6 | 9 |
| 3 | | 5 | | | 6 | | | 7 |
| | 4 | 7 | | 3 | 2 | | 9 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 7 | | 9 | | 5 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | | | | | 5 | |
| | 3 | | | | 7 | | 4 | |
| | 9 | | | 2 | | 3 | | |
| 4 | | | 9 | 8 | 5 | 7 | | |
| 6 | | | | | 2 | 9 | | |
| 7 | 5 | 9 | | | 1 | 8 | 2 | 4 |
| | 7 | 8 | | 5 | | | | |
| | | | | 6 | | 5 | 8 | 7 |
| | | 6 | | 7 | | | | |

# ვიცინოთ თუ ვიტიროთ?!



*წყვილის ურთიერთობაში ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორი ადამიანების კავშირია ეს – ოპტიმისტების თუ პესიმისტების. სწორედ ეს განსაზღვრავს, იქნება თუ არა ოჯახში „კარგი ამინდი".*

**უპასუხეთ შეკითხვებზე გულახდილად.**

**1. დილით თქვენი პირველი აზრია:**

ა) ნეტავი როგორი ამინდია – 3 ქულა;

ბ) აუჰ, დღეს რამდენი საქმე მაქვს – 4 ქულა;

გ) დილა მშვიდობისა, ჩემო საყვარელო – 5 ქულა.

**2. ჩაიხედავთ სარკეში და ამბობთ:**

ა) ცოტა მოვიმატე წონაში, თუმცა არ არის საგანგაშო – 1 ქულა;

ბ) ცოტას დაიკლებდა კაცი – 3 ქულა;

გ) დროა, საკუთარ გარეგნობაზე მეტად ვიზრუნო – 5 ქულა.

**3. როგორ საუზმობთ?**

ა) არ ვსაუზმობ – 1 ქულა;

ბ) ყავას ვსვამ ნაჩქარევად ან ჩაის – 2 ქულა;

გ) გემრიელად და ნოყიერად, ვამზადებ თვითონ – 3 ქულა.

**4. საზოგადოებაში თქვენ...**

ა) კარგი მოსაუბრე ვარ – 1 ქულა;

ბ) ვცდილობ, ყველას მოვეწონო – 3 ქულა;

გ) ძალიან ვარ დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე – 5 ქულა.

**5. როგორი განწყობა გაქვთ სამუშაოს დაწყების წინ?**

ა) ცუდი. უკვე შესვენებაზე ვფიქრობ – 1 ქულა;

ბ) ჩვეულებრივი. უნდა გავაკეთო ის, რაც საჭიროა – 3 ქულა;

გ) კარგი. მიყვარს ჩემი სამუშაო – 5 ქულა.

**6. როცა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვიღებ...**

ა) მიხარია. მორჩა ეს ამბავი – 1 ქულა;

ბ) წინასწარ ვფიქრობ შანსებზე – 3 ქულა;

გ) ვიცი, ბედი გამიღიმებს – 5 ქულა.

**7. თქვენი ვარდისფერი ოცნებაა:**

ა) დამიტოვოს ვინმემ მემკვიდრეობა – 1 ქულა;

ბ) გავხსნა ჩემი ფირმა – 3 ქულა;

გ) მოვიარო მთელი მსოფლიო – 5 ქულა.

**8. რაზე ფიქრობთ სასიყვარულო ურთიერთობის დროს?**

ა) ნეტავი, კარგად გამოვიყურები? – 1 ქულა;

ბ) სულ ვფიქრობ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ურთიერთობა – 3 ქულა;

გ) ვიღებ სიამოვნებას, არ ვფიქრობ – 5 ქულა.

**9. სრულიად ახალი კერძის გასინჯვისას:**

ა) ძალიან ფრთხილად მივირთმევ ცოტას – 2 ქულა;

ბ) მივირთმევ და მერე ვნერვიულობ, არ მაწყინოს-მეთქი – 3 ქულა;

გ) ინტერესით ვაგემოვნებ – 5 ქულა.

**10. თქვენი საყვარელი ფერი:**

ა) ნაცრისფერი – 1 ქულა;

ბ) მწვანე – 2 ქულა;

გ) წითელი – 5 ქულა.

**11. თქვენ ხშირად გესიზმრებათ:**

ა) კოშმარები – 1 ქულა;

ბ) არ მახსოვს, რა მესიზმრება – 3 ქულა;

გ) სასიამოვნო ზღაპრები – 5 ქულა.

**ნახეთ შედეგები**

*30 ქულამდე: საშინელი პესიმისტი ხართ. ამან შეიძლება, ავადაც გაგხადოთ. ცხოვრებამ ბევრჯერ „გაგთელათ"? მაშინ რა ხდება? ასე რატომ გეცოდებათ საკუთარი თავი? ისწავლეთ დაფასება იმის, რაც გაქვთ. იყავით მხიარული, თორემ თქვენ გვერდით ცხოვრება კოშმარს დაემსგავსება.*

*31-40 ქულა: ზოგჯერ ფიქრობთ, რომ ზედმეტად ოპტიმისტი ხართ, ცდილობთ, პესიმიზმს არ დანებდეთ. შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო მარტივად შეხედოთ და ხშირად გაიღიმეთ.*

*41-55 ქულა: ცხოვრებას საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებთ და ეს ძალიან კარგია. იმიტომაც არ გიჭირთ ურთიერთობა ადამიანებთან და არ გაქვთ პრობლემები. ყოველთვის ახერხებთ, გაიღიმოთ და თქვათ: ხვალ ყველაფერი კარგად იქნება!*

## მაფია – რჯულობა

მაფია ბევრ ქვეყანაში ისევ ცოცხლობს და ზოგან ძალიან ძლიერია.

2007 წლის ნოემბერში, როცა სიცილიური მაფიის ერთ-ერთი ბოსი დააპატიმრეს, პალერმოს პოლიციამ აღმოაჩინა „მაფიის ათი მცნება," რაც საკმაოდ საინტერესოა:

1. არასდროს შეხედო შენი მეგობრის ცოლს „მრუდე" თვალით.

2. არავის აქვს უფლება, „ოჯახის" ორ წევრს შორის იყოს „მესამე" (იგულისხმება მაფიის ოჯახი).

3. არ გამოჩნდე საზოგადოებაში პოლიციელის გვერდით.

4. არ იარო ღამის კლუბებსა და საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებებში.

5. ყოველთვის იყავი „კოზა ნოსტრასთვის" გახსნილი და „მისაწვდომი" – ეს შენი ვალია. ის პირველ ადგილზე დგას.

6. შეხვედრაზე არასდროს დააგვიანო.

7. ცოლს პატივისცემით მოეპყარი.

8. ინფორმაცია „ოჯახის" ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს – გახსოვდეს ეს.

9. არ მიითვისო სხვისი ფული.

10. ვერასოდეს გახდება „კოზა ნოსტრას" წევრი ის, ვისი ნათესავიც პოლიციაში მუშაობს...

ძნელი სათქმელია, როგორ ასრულებდნენ მაფიის წევრები ამ მცნებებს, თუმცა, ფაქტია, რომ „ოჯახი" ძალიან მტკიცე, შეკრული და ძლიერი იყო.

## მაკრატლის ისტორია

ამბობენ, რომ მაკრატლის გამოგონებაში დიდი წვლილი შეიტანა არქიმედემ და ლეონარდო და ვინჩიმაც კი...

მაკრატელი მეტად საჭირო ნივთია.

სულ პირველ მაკრატელს აბსოლუტურად სხვანაირი ფორმა ჰქონდა. ისინი სამი ათასზე მეტი წლის წინ გამოიგონეს, საგანგებოდ ცხვრების გასაკრეჭად.



მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმდნენ იმაზე, სად გამოიგონეს პირველი მაკრატელი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს იყო ჩინეთი, მეორენი ედავებიან – არა, ეს ხმელთაშუა ზღვის აუზის რომელიღაც ქვეყანა იყო. საქმე ისაა, რომ დაახლოებით, მეთოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაკრატელი ნაცნობი იყო ინგლისშიც და ეგვიპტეშიც. ბუნებრივია, სახელწოდებაც მრავალგვარი ჰქონდა.

მაკრატელი ჰქონდათ ძველ რომაელებს. ძველმა გერმანელებმა თითქმის იმავდროულად გაიცნეს, როცა რომაელებმა. სხვათა შორის, გუშინდელი მაკრატლები არაფრით განსხვავდებოდა თანამედროვე მაკრატლებისგან. უბრალოდ, გაცილებით ძვირფასი ლითონებისგან მზადდებოდა და დიდი ოსტატობითაც. გამოყენებული იყო ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, სპილენძი. სახელურებს რთავდნენ ორნამენტებით და ზოგჯერ ძვირფასი ქვებითაც. მაკრატელს ძალიან ფართო დანიშნულება აქვს. მას უამრავი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პროფესიის ადამიანი იყენებს. 105 წელს, როცა ჩინეთში ცაი ლუნმა ქაღალდი გამოიგონა, მის გასაჭრელად სპეციალური მაკრატლებიც კი მოიგონეს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი კექსი

## ოლივია დარნელი

აგნეს ფლემინგი კიბეზე დაგორდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. თითქოს ამაში უჩვეულო არაფერი უნდა ყოფილიყო – 80 წლის ასაკში მოხუცები ხშირად ეცემიან და კისერს იტეხენ. პოლიციაც არ აიტკივებდა ამ ამბით თავს, რომ არა აგნესის ძმის შვილიშვილი, ჟურნალისტი ჯეი ფლემინგი. ის ინსპექტორ ვულთან მივიდა და უთხრა:

– ბებიაჩემი მოკლეს. ის ფანტასტიკური ჟანრის რომანებს წერდა, ერთი კარადა ჰქონდა სავსე ამ რვეულებით. სამი დღის წინ ყველა ადგილზე იყო, ახლა კი ერთსაც ვერ მივაგენით.

ინსპექტორი შეიჭმუხნა. კარგად იცოდა, ჟურნალისტებთან სიფრთხილე იყო საჭირო, მაგრამ, მკვლელობის ვერსია იმდენად აბსურდულად მოეჩვენა, რომ გაუღიმა.

– ტყუილად იცინით, ბებიაჩემი მოკლულია! – გაცხარდა ქალიშვილი, – ზუსტად ვიცი, რომ იმ დღეს მას სტუმარი ჰყავდა – სამზარეულოში, მაგიდაზე კექსის ცარიელი ფორმა ვნახე.



ბებიაჩემი ფანტასტიკურ შოკოლადის კექსებს აცხობდა. ლარნაკში მისი საყვარელი ნარცისებიც ეწყო. ესე იგი, იმან, ვინც იქ იყო, იცოდა, ბებია აგნესს რომელი ყვავილები მოსწონდა.

– ეჭვი გაქვთ ვინმეზე?

– არა. თუმცა, ბებია ამბობდა, თაყვანისმცემელი გამომიჩნდა და საათობით შეუძლია, ჩემს რომანებს უსმინოსო.

– იცნობდით მას?

– ვის, ბებოს თაყვანისმცემელს? არა. ვფიქრობდი, ესეც ბებოს ფანტაზიის ნაყოფი იყო. თუმცა, ახლა ვრწმუნდები, რომ ის არსებობდა.

– რომანები რამე ღირებულებას წარმოადგენდა?

– არა. არც კი დაბეჭდილა. ბებო წერდა, სულებზე, მოჩვენებებზე, უძველესი საგვარეულოს წარმომადგენლებზე, მათ საიდუმლოებით მოცულ ინტრიგებზე... დავპირდი – ვეცდები და ერთ მოთხრობას დაგიბეჭდავ ჩემს ჟურნალშიმეთქი და უხაროდა.

– დავუშვათ, მკვლელი არსებობს... მოტივი? რატომ უნდა მოეკლათ მოხუცი ქალი?

– ეგ უკვე აღარ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჯეიმ.

– წაბრძანდით და, როგორც კი რამე ახალს გავიგებთ, შეგატყობინებთ, – ამოიოხრა ინსპექტორმა.

ჯეი პოლიციიდან გამოვიდა. დარწმუნებული არ იყო, რომ ამ საქმეს ხელს სერიოზულად მოჰკიდებდნენ. მკვლელი თავად უნდა მოეძებნა. თუ თაყვანისმცემელი არსებობდა, ის ამ ქალაქის მკვიდრი უნდა ყოფილიყო. სად შეეძლო ბებია აგნესს მისი გაცნობა, ის ხომ თითქმის არსად დადიოდა? ეკლესიაში თუ შეივლიდა ან ანტიკვარიატით მოვაჭრეს მოინახულებდა – ერთობოდა ძველებური ნივთების თვალიერებით. ჯეიმაც გეზი იქით აიღო.

ანტიკვარული მაღაზიის მფლობელი სიმპათიური, იმპოზანტური მამაკაცი აღმოჩნდა. ხალხს მოზრდილ დარბაზში კლიენტის ნახატს აჩვენებდა და სულისშემძვრელ ისტორიას უყვებოდა მის შესახებ. ჯეის მუხლები აუკანკალდა, რადგან ეს ისტორია წვეთი წყალივით ჰგავდა ბებიამისის ერთ-ერთი რომანის სიუჟეტს. არწმუნებდა, ამ ნამუშევრის მთავარი ღირსება მხატვრული ღირებულება კი არა, სწორედ ეს უძველესი ისტორიააო... ავსტრალიელ ცოლ-ქმარს ბევრი აღარ უფიქრია და ტილოში სოლიდური თანხა გადაიხადა. მისტერ დარემმა მათ ახლა პატარა ქანდაკება წარუდგინა: ეს გოგონა იმით არის სახელგანთქმული, რომ ღამღამობით ცოცხლდებოდა და მორლენდების ციხე-კოშკში დასეირნობდაო. ეს ამბავიც ნაცნობი იყო ჯეისისთვის... ანტიკვარიატის სალონიდან გამოვიდა და პოლიციაში დაბრუნდა.

– ბებიაჩემი მისტერ დარემმა მოკლა, მისი რვეულები კი მოიპარა... რომანები დარემს კლიენტების მოსატყუებლად სჭირდება. ამ სიუჟეტებს კოლოსალური წარმატება აქვს სიძველეების მოყვარულებისთვის. დარემი მათ აბრუებს ფანტაზიებით, რომლებიც ბებიაჩემმა შეთხზა და, ყალბ, უნიჭოდ შესრულებულ ნამუშევრებს სიძველეების ფასში ასაღებს, – უთხრა მან ინსპექტორს.

ინსპექტორმა გაიღიმა.

– კი მაგრამ, ქალიშვილო, როგორ დავაპატიმრო დარემი, როცა მისი არც თითების ანაბეჭდები გვაქვს, არც რვეულები... ნივთმტკიცების შესახებ რამე გსმენიათ?

ჯეიმ ამოიოხრა.

– კარგი, გექნებათ ეგ ნივთმტკიცება...

ქალიშვილმა ეს კი თქვა, მაგრამ, წარმოდგენა არ ჰქონდა, საიდან მოუტანდა პოლიციელს ნივთმტკიცებებს, თუმცა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რვეულები მისტერ დარემს ჰქონდა. კაცი მიდიოდა ბებია აგნესთან, როგორც მისი ნიჭის თაყვანისმცემელი, ისმენდა ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობებს და მერე კლიენტებზე ნახატების ისტორიად ასაღებდა ან ვიღაცას ახატვინებდა სწორედ ამ სიუჟეტების მიხედვით. მერე აგნესმა კაცს უთხრა, რომ ჯეი, მისი შვილიშვილი, რომანების გამოქვეყნებას აპირებდა და ამით საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი. დარემს შეეშინდა, რომ მისი აფერა გამოაშკარავდებოდა და, არათუ ნახატებს ველარ გაყიდდა, ციხეშიც მიაბრძანებდნენ თაღლითობისთვის. ამიტომ, სხვა გზა აღარ დარჩა და საწყალი მოხუცი მოკლა... მოტივი უკვე ჰქონდა, მაგრამ, პოლიციისთვის ეს საკმარისი ვერ იქნებოდა. ჯეი დარემის სახლის პირდაპირ, სკვერში, სკამზე იჯდა და გამოსავალზე ფიქრობდა. უცებ სახლის კარი გაიღო და იქიდან ატირებული მულატი გოგონა გამოიქცა. ჯეი მაშინვე გაეკიდა, მკლავზე მოჰკიდა ხელი და გამოელაპარაკა. გოგონა საკმაოდ ადვილად გაეხსნა. დარემის მოსამსახურე აღმოჩნდა – ანა. ბატონს სახლს ულაგებდა, მაგრამ, დარემი საოცრად ძუნწი იყო, ყველაფერზე ეკონომიას აკეთებდა და გოგონას მათხოვრულ გროშებს უხდიდა, საჭმელსაც არ აძლევდა. ახლაც იმიტომ ეჩხუბა, რომ მაცივარში გადანახული შოკოლადის კექსსს პატარა ნაჭერი მოაციცქნა.

– შოკოლადის კექსს?! – შეჰყვირა ჯეიმ, – ჟოლოთი ხომ არ იყო მორთული?

– მგონი, კი... ორი დღის წინ საიდანღაც მოიტანა ძველი რვეულებით გატენილ ზურგჩანთასთან ერთად და, გამაფრთხილა, ხელი არ ახლოო.

– ანა, საყვარელო, – შეეხვეწა ჯეი, – შენი დახმარება მჭირდება. ის მკვლელია და პასუხი უნდა აგოს ამაზე. მერე ყველაფერი უამბო, დაჰპირდა, რომ თავისთან წაიყვანდა და იმაზე სამჯერ მეტ ხელფასს გადაუხდიდა, ვიდრე დარემი. ანამ უყოყმანოდ მისცა გასაღები, თან გააფრთხილა, დარემმა ყოველთვის მოულოდნელად იცის მოსვლაო.

***

სახლი დიდი არ იყო. ჯეიმ რვეულებიანი ზურგჩანთა საძინებელ ოთახში, საწოლის ქვეშ აღმოაჩინა. ჰოლში გამოიტანა და მაცივრისკენ გაემართა მთავარი ნივთმტკიცების – კექსის წასაღებად... თითქმის სამშვიდობოს იყო, რომ საკეტში გასაღებმა გაიჩხაკუნა და ზღურბლზე დარემი აღიმართა. ჯეი გაშეშდა კექსით ხელში. ზურგჩანთაც იქვე იყო... მისი გონება სწრაფად მუშაობდა. რაღაც ისეთი უნდა ეთქვა, თუნდაც სრულიად წარმოუდგენელი და შოკის მომგვრელი, რომ აქედან გაეღწია. დარემს რამე რომ ეეჭვა, აუცილებლად მოკლავდა... აგნესის გენმა იმძლავრა:

– მე მორლენდების გვარიდან ვარ... მოვედი, რომ გავიგო, რატომ ყვებით ჩვენს კეთილშობილ ოჯახზე საზიზღრობებს და ანგარიში გავასწორო უსინდისო თაღლითთან...

ჯეის იდეამ გაამართლა: დარემი გაოგნებული უყურებდა ხან მას, ხან – კექსს... მერე ნელ-ნელა გაფითრდა...

– ეს კექსი... – ამოილუღლუღა დაფეთებული ხმით.

– დიახ, ეს კექსი, – ჯეის შეეშინდა, რომ დარემი გონს მოვიდოდა და მიხვდებოდა, რომ მას რაღაც კავშირი ჰქონდა აგნეს ფლემინგთან, – კექსი მოწამლულია. შხამი ნელ-ნელა მოქმედებს და ხვალ დილამდე აუცილებლად მოკვდებით... დრო ძალიან ცოტა დაგრჩათ... ჩვენი გვარი შეურაცხყოფას არავის აპატიებს!

ჯეის გასაოცრად, ამ სიტყვებმა მაგიურად იმოქმედა დარემზე – ის შეტორტმანდა და მოცელილივით დაეცა იატაკზე. ჯეი გარეთ გამოვარდა. მეორე დღეს მას ინსპექტორი ესტუმრა:

– თქვენ მართალი იყავით, ბებიათქვენი მართლაც დარემს მოუკლავს. მის სახლში რვეულებიანი ზურგჩანთა და იატაკზე დაგდებული კექსი აღმოვაჩინეთ – ეტყობა, მათ თავიდან მოშორებას აპირებდა.

– და... დააპატიმრეთ? – ყოყმანით იკითხა ჯეიმ და გაიფიქრა: „იცოდა კი ინსპექტორმა, რა მოხდა დარემის სახლში?"

ინსპექტორმა ვულმა თავი გადააქნია.

– რანაირად? ის მკვდარია... გულის შეტევითო – ასე თქვა ექიმმა. ეტყობა, ნერვებმა ველარ გაუძლო...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


## დავეხმაროთ 3 წლის ლიზი ყაველაშვილს შეძიმესი სენის დამარცხებაში!



3 წლის ლიზი ყაველაშვილს ექიმებმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ლამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

**„მაგთი," „ბილაინი," „ჯეოსელი": 0901 70 00 84.**
**„საქართველოს ბანკი" GE40BG0000000774324900.**

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №1-20(699)**

***

მზია მითითებულ მისამართზე ტაქსით მივიდა და ზარი დარეკა. რამდენიმე წამში ბინიდან ფეხის ხმა მოისმა და კარი გაიღო. ორი



ქალი უსიტყვოდ შეაჩერდა ერთმანეთს.

– მზია ხართ? – ჰკითხა ბოლოს მასპინძელმა.

– დიახ.

– შემობრძანდით, – ნანიტამ გზა დაუთმო, რომ სტუმარი ბინაში შესულიყო და კარი ჩაკეტა.

– ოთახში შებრძანდით, – საკმაოდ ცივად შესთავაზა დიასახლისმა ჰოლში უხერხულად მდგარ უცხო ქალს.

მზია ოთახში შევიდა და ნანიტას შეხედა, რომელმაც დაუფარავი ინტერესით შეათვალიერა მოსული და შემდეგ ორაზროვნად ასნია ცალი წარბი, სავარძელში ჩაჯდა და მზიასაც ხელით ანიშნა, დამჯდარიყო. მზია მაშინვე დაჯდა, ჩანთიდან კონვერტი ამოიღო და კალთაში ჩაიდო, ჩანთა კი ზურგსუკან დადო და ახლა მან შეათვალიერა მასპინძელი დაკვირვებით. მიუხედავად იმისა, რომ ნანიტა ძალიან დაღლილი და მოტეხილი ჩანდა, თან, აშკარად ჯანმრთელობის პრობლემებიც ჰქონდა, მზია აღფრთოვანდა მისი გარეგნობით და თავისებური უშუალობით უთხრა:

– ძალიან ლამაზი ქალბატონი ბრძანდებით, უცნაურად ლამაზი...

– უცნაურად ლამაზი როგორია? – ოდნავ გაეღიმა ნანიტას.

– რაღაცნაირი იდუმალი და მიუწვდომელი.

– დიდი მადლობა, მაგრამ, ალბათ, ამის სათქმელად არ მოსულხართ.

– არა, ბატონო, მე თენგიზ ამირანის ძე პატარიძე ვარ, თბილისის ქალაქკომის მდივნის რეფერენტი. მაგ ვიღაც კობრას კი ნამდვილად არ ვიცნობ და გეშლებათ.

– როგორ, აქ არ ცხოვრობ?

– არა, ბატონო, აქ მე წუხელ მოვედი. ჩვენთან, საბურთალოზე, ცხელი წყალი ოთხი დღითაა გამორთული და მართა ბებოსთან მოვედი, რომ მებანავა. თანაც, ჩემი სამსახურიც აქვეა და ორი წუთი მჭირდება იქ მისასვლელად.

– სახლის პატრონი ვიღაა?

– მართა ბებია.

– ახლა სადაა?

– პენსიის ასაღებად.

– სახლში სხვა ვინმე არის?

– ალბათ, მართა ბებიას მდგმური, მაგრამ მე მას არ ვიცნობ.

– რომელ ოთახშია?

– დერეფანში რომ გახვალთ, ხელმარცხნივ, ბოლოს წინა ოთახია და იქ ცხოვრობს. რაშია საქმე, რა მოხდა? – ვუთხარი ოპერებს.

– არფერი. გარეთ ჯერ არ გამოხვიდე, – მითხრა „ოპერმა" და თავის კოლეგასთან ერთად დერეფანში გავიდა, სადაც კიდევ ოთხი „ოპერი" იმყოფებოდა.

მე კარამდე მივაცილე მილიციელები. კარი ჩავკეტე. ჩემი ბარგი-ბარხანა სპორტულ ჩანთაში ჩავტენე, სახიდან ქაფი მოვიშორე საკუჭნაოდან მეზობელი სახლის სახურავზე გადავძვერი და მოვუსვი... ნახევარი საათის შემდეგ კი უკვე ჩემი ნაცნობის ბინაში ვიმყოფებოდი, ვისაც ჩემთვის ყალბი პასპორტი უნდა მოეტანა.

– რა მოხდა, კობრა, აქ რატომ მოხვედი? – მკითხა შეშფოთებულმა მასპინძელმა, როდესაც დამინახა.

– „ძაღლებს" მოვუტყდი.

– საიდან, როგორ? – გაეცინა მასპინძელს.

– სოლოლაკში ერთ ბებოსთან ოთახი მქონდა დაქირავებული, რომ დამადგნენ, სპექტაკლი დავუდგი და „ჭამეს".

– კაროჩე, შენი პასპორტი ზეგ იქნება და, თუ არსად გაქვს წასასვლელი, შეგიძლია, აქ დარჩე. მაინც მარტო ვცხოვრობ და არავინ მოგაკითხავს.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა. დავთანხმდი. ოთხი დღის შემდეგ კი ჯიბეში უკვე ყალბი პასპორტი მედო და მატარებლით მოსკოვში მივემგზავრებოდი. ეგრეთ წოდებული „ესვეთი" ვმგზავრობდი, რომელიც იმ პერიოდში ყველაზე კომფორტული კუპირებული ვაგონი იყო და ბილეთში ორმოცდაათი მანეთი მქონდა გადახდილი. თითოეულ კუპეში მხოლოდ ორი საწოლი იყო და ზედმეტად არავინ გაწუხებდა. მატარებელი სოჭის გავლით მიდიოდა. სოჭში თორმეტი საათი ჩერდებოდა და მგზავრებს საშუალება ეძლეოდათ, ზღვაში ებანავათ. თბილისიდან სოჭამდე ერთი მოხუცი ფილოლოგი დამემგზავრა, რომელიც თითქმის არ იღებდა ხმას და ზედმეტი კითხვებით არ მაწუხებდა. ჩასვლის წინ კი ის გამომემშვიდობა და მითხრა:

– იცით, მთელი გზა ვფიქრობდი, სად მინახავხართ და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ თქვენ ერთ ფოტოზე გამოსახულ კაცს მიგამსგავსეთ, ის ფოტო სადგურის მილიციის სტენდზე იყო გამოკრული. აბა, ბედნიერად, ყმაწვილო, კარგად ბრძანდებოდეთ!

– კარგად ბრძანდებოდეთ, – მივუგე მოხუცს და, რომ ჩავიდა, გამცილებელ გოგონას ვკითხე:

– რამდენ ხანში გავემგზავრებით?

– ახლა ჩიხში გადაგვიყვანენ. ღამის თერთმეტ საათზე ახალ შემადგენლობაზე ჩაგვაბამენ და შუაღამეზე მოსკოვისკენ ავიღებთ გეზს. შეგიძლიათ, ქალაქში გახვიდეთ და ზღვაში იბანაოთ. ბარგის გამო კი ნუ იღელვებთ, ჩიხს მილიციის პატრული იცავს და ქურდები იქ არ მოდიან.

– ძილი მირჩევნია. კუპეს გამოვკეტავ და წავუძინებ. ახალი მგზავრი თუ მოვა, გთხოვთ, კუპე უხმაუროდ გააღოთ, – ვუთხარი გამცილებელს.

– ახალი მგზავრი მხოლოდ გასვლის წინ შემოგიერთდებათ. ასე რომ, შეგიძლიათ, მშვიდად იძინოთ, – მითხრა გამცილებელმა და გამიღიმა.

მე კუპე ჩავკეტე, წამოვწექი და მოხუცის სიტყვები გამახსენდა, რომელმაც მითხრა, რომ სტენდზე გაკრულ ფოტოს მიმამსგავსა. ეს ასეც იყო, რადგან, საბჭოთა კავშირის ყველა დიდი ქალაქის სადგურზე თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მდებარე მილიციის სტედნებზე იყო გამოკრული ჩემი სურათები. ძებნილი ვიყავი და ამიტომ.

თითქმის მთელი დღე ფიქრში გავატარე და კუპედან არ გამოვსულვარ. მატარებლის გასვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე კი, როდესაც ჩვენი შემადგენლობა სოჭის რკინიგზის სადგურის პირველ ლიანდაგზე იდგა, კუპეში ახალი მგზავრი შემოვიდა. ორმოციოდე წლის, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი გამცილებელმა გოგონამ შემოიყვანა, თავისი ადგილი უჩვენა და წავიდა. ჩემი ახალი მეზობელი, ძველისგან განსხვავებით, საკმაოდ ენაწყლიანი აღმოჩნდა, გამეცნო და მითხრა:

– ორი დღე ერთად მოგვიწევს მგზავრობა და, იმედია, კარგ დროს გავატარებთ.

– რა თქმა უნდა, – მივუგე ახალ მეზობელს, – ახლა კი, თქვენის ნებართვით, დავიძინებ. მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი ამის გაკეთებას, მაგრამ, თვალი ვერ მოვხუჭე.

– კარგი, დაისვენეთ. წინ მთელი ორი დღე გვაქვს და კიდევ მოვასწრებთ ერთმანეთისთვის თავის მობეზრებას, – მითხრა ახალმა მეზობელმა და სიგარეტის მოსაწევად კუპედან გავიდა.

მე კარგა ხანს არ მომიხუჭავს თვალი და მხოლოდ მას მერე ჩამეძინა, როდესაც ჩემი მეზობელი დაწვა. დილით კარის გაღების ხმამ გამაღვიძა – ჩემი მეზობელი პირსახოცგადაკიდებული გადიოდა ტუალეტში ხელ-პირის დასაბანად. უკან რომ დაბრუნდა, მე უკვე ჩაცმული ვიყავი და მითხრა:

– დილა მშვიდობისა. როგორ გეძინათ?

– გმადლობთ, კარგად. თქვენ?

– მეც კარგად. თავის მოწესრიგებას რომ მოათავებთ, რესტორანში გავიდეთ და ჩვენი ნაცნობობა აღვნიშნოთ, მე გეპატიჟებით. რას იტყვით?

– შემხვედრი წინადადება მაქვს, – მივუგე ჩემს ახალ მეზობელს, ჩანთიდან არყის ბოთლი ამოვიღე, მაგიდაზე დავდგი და დავამატე: – ვაგონ-რესტორანში გასვლას, ჯობია, აქ აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა. მით უმეტეს, რომ არც საჭმლის ნაკლებობას განვიცდით – დედაჩემმა ქართული კერძები გამომატანა გზაში.

– ლიმონნათიც ხომ არ გაქვთ? – მკითხა ჩემმა მეზობელმა, – იცით, არაყს ყოველთვის ლიმონნათს ვაყოლებ.

– არა, სამწუხაროდ, ლიმონნათი არ მაქვს.

– მაშინ, მე ლიმონნათს მოვიტან და დავიწყოთ, – მითხრა ჩემმა მეზობელმა და კუპედან გავიდა.

ჩანთაში თბილისის ვაგზლის რესტორანში ნაყიდი საჭმელები მელაგა. ვაგონ-რესტორანში კი იმიტომ არ მივდიოდი, რომ შემთხვევით ვინმეს არ ვეცნე. ჩემი მეზობელი სულ რაღაც ათ წუთში დაბრუნდა. მან ლიმონნათი და ექვსი ბოთლი ლუდი მოიტანა, მაგიდაზე დააწყო, გაშლილ სუფრას დახედა და თქვა:

– რაც მართალია, მართალია. ქართველებს სუფრის გაშლაში ბადალი არ გყავთ, – შემდეგ არაყი ჭიქებში ჩამოასხა და დაამატა:

– ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!

ერთი ბოთლი არაყი რომ დავცალეთ, ჩემი მეზობელი საკმაოდ შეზარხოშებული იყო, მაგრამ, მეორე ბოთლს წაატანა ხელი, გახსნა და არაყი ჭიქებში ჩამოასხა, შემდეგ ყურადღებით შემათვალიერა და მითხრა:

– არა, რა, თავს დავდებ, რომ სადღაც მყავხარ ნანახი. წუხელ, როგორც კი დაგინახე, იმწუთსავე ნაცნობად მომეჩვენე.

„ესლა მაკლდა. ალბათ, ამანაც სადმე მილიციის სტენდზე გაკრული მნახა", – გავიფიქრე გუნებაში, ჩემს მეზობელს კი ვუთხარი:

– ხდება ხოლმე. ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან და, ალბათ, ვიღაცას მიმამსგავსე. მოდი, გაგვიმარჯოს!

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

– გაგვიმარჯოს! – თქვა ჩემმა მეზობელმა, არაყი გადაკრა და მითხრა, – არა, ნამდვილად სადღაც მინახავხარ. მე კარგი ვიზუალური მეხსიერება მაქვს, აუცილებლად გავიხსენებ.

– მოდი, დავლიოთ. თქვი სადღეგრძელო. რისი სადღეგრძელო შევსვათ?

– რის და, მილიციის, – მოულოდნელად მითხრა ჩემმა მეზობელმა და მკითხა: – წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

– არა, რას ამბობ. ბიძაშვილი მყავს მილიციელი, – ვიცრუე მე.

– ჩემი კოლეგა ყოფილა. მეც მილიციელი ვარ, მილიციის მაიორი და „მურში“ ვმუშაობ, – მითხრა ჩემმა მეზობელმა და მხედრულად გამომეჯგიმა...

„აი, თურმე, რატომ აქვს ვიზუალური მეხსიერება, „ძაღლი" ყოფილა. როდესაც გამოფხიზლდება, აუცილებლად გავახსენდები. ამიტომ, დროზე უნდა ავახვიო აქედან. მანამდე კი დავათრო და დავაძინო“, – გავიფიქრე გუნებაში, შემდეგ მორიგი სადღეგრძელო დავალევინე ჩემს მეზობელს, რომელიც თითქმის „მზად" იყო...

ჩემს მეზობელს მორიგი ჭიქა რომ მივაწოდე, ერთი ყლუპი შესვა, შემდეგ ჭიქა ხელიდან გაუვარდა და მაგიდაზე ჩამოეძინა. მე მაიორი კოიკაზე დავაწვინე და ტყავის ჩანთა ჩამოვიღე, კუპედან ფრთხილად გავედი, ტამბურში დავდექი და, როგორც კი მატარებელმა სვლა შეანელა, გადავხტი... მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი ბოთლი არაყი მქონდა დალეული, აბსოლუტურად ფხიზელი ვიყავი. მტვრიანი ტანსაცმელი გავიწმინდე და ტყის პირს გავუყევი, თან დაძაბული აქეთ-იქით ვიყურებოდი და მზად ვიყავი, საჭიროების შემთხვევაში, გავქცეულიყავი. ნახევარსაათიანი „მარშ-ბრასოკის“ შემდეგ დავადგინე, რომ როსტოვის ოლქში ვიმყოფებოდი, როსტოვიდან 70 კილომეტრის მოშორებით. მე ტრასაზე გავედი, როსტოვისკენ მიმავალი, ხე-ტყით დატვირთული მანქანა გავაჩერე და ერთ საათში უკვე საბჭოთა კავშირის ქურდულ დედაქალაქში ამოვყავი თავი. ქალაქის ცენტრში ტაქსი ავიყვანე და ყბედალოსთან წავედი. მანქანა ასიოდე მეტრის მოშორებით გავაჩერე, ფული გადავიხადე და დარჩენილი გზა ფეხით გავიარე. საღამოს 9 საათი სრულდებოდა, როდესაც კარზე დავაკაკუნე და რომ გამიღეს, ზღურბლზე მშვენიერი რუსი გოგონა გამოჩნდა. მან ყურადღებით შემათვალიერა და მკითხა:

– ვინ გნებავთ?

– მე ზურაბი მინდა, – ვუთხარი გოგონას.

– ბალტუნს ხომ არ ეძებთ?

– დიახ.

– ის ჯერ არ მოსულა. შემოდით და დაელოდეთ, ბალტუნი მალე მოვა.

მე სახლში შევედი და პირმშვენიერ გოგონას ვკითხე:

– ბოდიში, მაგრამ, პირველად გახედავთ.

– მერე რა, მეც პირველად გახედავთ, – გაეცინა გოგონას, მხრები აიჩეჩა და მითხრა, – მე ანა მქვია, თქვენ?

– გოგი.

– გოგი? – სახე დაემანჭა გოგონას და მითხრა, – ესე იგი, თქვენ, უბრალოდ, მისი ნაცნობი ხართ და მის წრეს არ ეკუთვნით.

– ასე რატომ ფიქრობთ? – გამეცინა მე.

– იმიტომ, გოგი, რომ ბალტუნის ყველა მეგობარს მეტსახელი აქვს, ის კი მხოლოდ თავისი წრის ხალხთან მეგობრობს.

– აი, თურმე, რაშია საქმე, – გამეცინა მე, – თუ ასეა, ანუშკა, მე კობრა ვარ.

– კობრა?! – ისე შეჰკივლა გოგონამ, თითქოს მას მართლა კობრა დაესხა თავს. შემდეგ კარგა ხანს აღტაცებული მათვალიერა და ბოლოს მითხრა:

– თქვენზე ბევრი რამ გამიგონია. ბალტუნი ხშირად გახსენებთ. ადრე კი, სანამ ძია ვასიას ჩასვამდნენ, ბრილიანტი და რიტაც ლაპარაკობდნენ თქვენზე. მოშიებული იქნებით, ახლავე სუფრას გაგიშლით, თქვენ კი სავარძელში მოისვენეთ.

– მოიცა, მოიცა, ანუშკა. ბალტუნს დაველოდები, შენ კი აქ დაჯექი და დამელაპარაკე.

ანა ჩემ პირდაპირ, სავარძელში ჩაჯდა და გამიღიმა, მე კი ვკითხე:

– რიტა როგორ არის, რას შვება?

– როგორც ყოველთვის, ძია ვასიას ელოდება, ზეგ კი ზონაში მიდის მის სანახავად.

– კაი ხანია, ძია ვასია არ მინახავს. რიტას კი ხვალვე ვნახავ. სხვა რა ხდება, როგორაა ჩემი ძმა ბალტუნი?

– მშვენივრად. სამუშაოს ნაკლებობას და ჭამის მადას არ უჩივის, ლაპარაკიც ძველებურად უყვარს. ერთი სიტყვით, ისევ ისეთი ბალტუნია, როგორიც ადრე იყო.

– შენ რა იცი, ანუშკა, როგორი იყო ის ადრე, რამდენი წლის ხარ?

– ცხრამეტის.

– ცხრამეტის? რა პატარა ყოფილხარ. ბალტუნთან საიდან მოხვდი?

– ეს სასაცილო ისტორიაა, – ჩაეცინა ანას და მკითხა: – მოგიყვეთ?

– რა თქმა უნდა. აბა, მიდი, გისმენ, – ვუთხარი ანას და სავარძელში მოხერხებულად მოვკალათდი.

– ექვსი თვის წინ სახლიდან გამოვიქეცი. დედა გარდამეცვალა, მამამ სულ მალე ვიღაც ძუკნა მოათრია და სულ ვჩხუბობდით. ერთ მშვენიერ დღეს კი ის ძუკნა მათრახით ვცემე. შემდეგ დავკარი ფეხი და სოფლიდან როსტოვში ჩამოვედი. ერთი კვირა აქეთ-იქით ვიწანწალე, მაღაზიებიდან პურსა და ძეხვს ვიპარავდი და თავს ამით ვირჩენდი. ღამით კი ვაგზლის მოსაცდელ დარბაზში მეძინა. ერთ დღეს ტრამვაიში ავედი. ძალიან მშიოდა და ვიღაც კაცს ჯიბეში ჩავუყავი ხელი, რომ საფულე ამომეღო. ის კაცი კი ბალტუნი აღმოჩნდა, რომელიც, თურმე, თავად იპარავდა და მე კი ეს ვერ შევამჩნიე. მან ცალი ხელი მაჯაში ჩამავლო, მეორით საფულე მოიპარა, შემდეგ ქვევით ჩამიყვანა და მკითხა:

– რა გქვია?

– ანა, – მივუგე ბალტუნს, რომელმაც ყურადღებით შემათვალიერა და მითხრა:

– საკმაოდ კოხტა ჩამოსხმა ხარ. როსტოვში ჯიბგირობის სტაჟირებაზე გამოგგზავნეს?

– არა, სახლიდან გამოვიქეცი. ძუკნა დედინაცვალი ვცემე და იქ აღარ დამედგომებოდა.

– ღამის გასათევი არ გაქვს?

– არა.

– გინდა, ჩემთან წამოხვიდე?

– ჩემთან დაწოლა გინდა და სახლში მეპატიჟები, არა? – ავფეთქდი მე. ბალტუნმა კი მხრები აიჩეჩა და მითხრა:

– რა სულელი ხარ! მინდა, ჭერი და ცხელი საჭმელი შემოგთავაზო, დასაწოლად კი ცალკე კოიკას გამოგიყოფ. წამო, ნუ გეშინია, მე კეთილი ვარ და არაფერს გავნებ.

ერთი სიტყვით, ბალტუნს სახლში წავყევი და, როგორც თქვა, ისე მოიქცა. ჩემთან დაწოლაზე სიტყვაც არ დაუსველებია, მხოლოდ ორი თვის მერე მე თავად ვაცდუნე ის. მას შემდეგ, ერთად ვცხოვრობთ და,



მიუხედავად იმისა, რომ ვეხვეწები, ჯიბგირობა მასწავლოს და საქმეებზე მატაროს, ის სასტიკ უარზეა. მე კი მომბეზრდა უქმად სახლში ჯდომა და მუქთამჭამელობა. იქნებ თქვენ უთხრათ, რომ საქმეში გამიყვანოს?

– ეს ბალტუნმა უკეთ იცის და მის საქმეში ვერ ჩავერევი. ასე რომ, ანუშკა, ბოდიშს გიხდი, მაგრამ ვერ დაგეხმარები, – ვუთხარი ანას. ამასობაში ყბედალოც მოვიდა და, რომ დამინახა, ჩემკენ წამოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– კობრა, ძმაო, საიდან სადაო?!

– მოსკოვში მივდიოდი და მატარებლიდან ერთ მურელ ძაღლს მოვუტყდი, რომელმაც მიცნო.

– გამოგეკიდა?

– კუპეში ვსვამდით, დავათვრე და ისე მოვუტყდი. მიყურებდა და მიმეორებდა: მეცნობი, მეცნობი და აუცილებლად გამახსენდება, საიდანო. მე კი ვერ დავიცდიდი, სანამ ის გამიხსენებდა და დროზე ავახვიე.

– სწორედაც მოქცეულხარ. ჩვენთან დარჩი და ფსკერზე დაწექი.

– ცოტა სულს მოვითქვამ, მერე კი ვნახოთ, – მივუგე ყბედალოს, ანაზე მივუთითე და დავამატე, – მშვენიერი გოგონაა. უკვე მომიყვა, როგორ შეხვდით ერთმანეთს.

ყბედალოს გაეცინა და მითხრა:

– ჩემზე არანაკლებად უყვარს ლაპარაკი. არ უთქვამს შენთვის, სთხოვე, ჯიბგირობა მასწავლოსო?

– კი.

ყბედალოს გაეცინა და თქვა:

– აზრზე ხარ?! ძია ვასიას ყურები გამოუჭედა, უთხარი, ჯიბგირობა მასწავლოს და საქმეებზე მატაროსო.

– ჩემზე ლაპარაკობთ, ხომ? – ღიმილით გვითხრა ანამ, რომელიც ამ დროს ოთახში შემოვიდა და სუფრასთან მიგვიპატიჟა: – მობრძანდით, სუფრა გაშლილია და ივახშმეთ.

როსტოვში ერთი კვირა დავრჩი, შემდეგ კი მატარებლით კვლავ მოსკოვში გავემგზავრე, თუმცა, ამჯერად პატარა გრიმი მქონდა სახეზე გაკეთებული, თავზე კი პარიკი მოვირგე და მეტი სოლიდურობისთვის სათვალე მეკეთა და თავს დოცენტად ვასაღებდი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


მეორადი ავტონაწილები




მის.: ფეიქრების ქ. №14
მაღაზია №55
მობ.: 557 31 27 62 ჯაბა
მობ.: 555 66 14 88 ნიკა

**ნიჭიერ მომღერალს, სალომე ქათამაძეს ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. მან თავისი წარმატებით, არაჩვეულებრივი გამოსვლებით არაერთხელ მოგვანიჭა სიამოვნება, სიხარული და ალგვავსო სიამაყით. თუმცა, შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ სალომეს ბაბუა, მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე) იყო, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სულიერი მოძღვარი გახლდათ და თავის დროზე, ემიგრაციაშიც გაჰყვა. სალომეს მამა – ნოდარი (ქათამაძე) ასევე სასულიერო პირია. მეუფე ამბროსის წლების განმავლობაში საქართველოდან შორს მოუწია ცხოვრება. მხოლოდ მოგვიანებით შეძლო დაბრუნება და სასულიერო მოღვაწეობის გაგრძელება. 2008 წელს მეუფე ამბროსი მოულოდნელად საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. მისი გარდაცვალების მიზეზი სისხლში CO-ს არსებობა გახდა. თუმცა, მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, მეუფეს ბინაში გაზის გამათბობელი არსად ჰქონია დამონტაჟებული. ეს საკითხი დღემდე ბურუსით არის მოცული. მაგრამ, ჩვენ დღეს ამ თემაზე არ ვაპირებთ საუბარს. უბრალოდ, მინდა, წარმოგიდგინოთ სალომეს თვალით დანახული ბაბუა, მთავარეპისკოპოსი ამბროსი, რომლის ცხოვრების გზა საკმაოდ რთული და მოწამეობრივი გახლდათ.**

# რა ექსპერიმენტებს არ ერიდება სალომე ქათამაძე და როგორ ჩამოსდიოდა მის გარდაცვლილ ბაბუას თვალებიდან ცრემლი

**– სალომე, ვიცი, ბოლო დროს ძალიან დაკავებული ხარ. ერთდროულად ორ ალბომზე გიწევს მუშაობა.**

– ახლახან იყო ჩემი პირველი სიმღერის პრემიერა, ვმუშაობ ორ ალბომზე – როგორც საკუთარზე, ასევე ჯგუფთან ერთად. ძალიან კარგი ბიჭები, ჩემი მეგობრები არიან ბენდში. კლავიშზე უკრავს ჯონი თითირაშვილი – ტრომბონისტი, „ჯორჯიან ბრასში“ უკრავს. დრამზე დავით ჩანგოშვილია. „ჩანგო“, „ელდრაინის“ ყოფილი დრამერია, ხანდახან „ელდრაინთან“ ერთადაც უკრავს. ბასზე კი მყავს უნიჭიერესი – ზაზა ჯოჯუა. მოკლედ, ერთ დღეს გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ჩვენი ჯგუფი და ასე შევიკრიბეთ. ვწერთ ახალ სიმღერებს, 11 სიმღერა დავწერეთ და ერთ კვირაში დავიწყებთ სტუდიაში ჩაწერას. ერთი სიმღერის პრემიერა უკვე იყო, უბრალოდ, ჯერ არ არის სტუდიურად ჩაწერილი. წესით, ორივე ალბომმა უნდა გაამართლოს. მოკლედ, ცალკეც ვმუშაობ და ბენდთან ერთადაც.

**– არ განებივრებენ ერთ გოგონას?**

– ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და იმედი მაქვს, თუნდაც ამ სიყვარულის გამო არ დავიშლებით. კარგი ურთიერთობა გვაქვს და ვუგებთ ერთმანეთს. სულიერი დები და ძმები ვართ. რაღაცეებში მანებივრებენ – ცდილობენ, მომიფრთხილდნენ ხმაზე. ძალიან კარგი ადამიანები არიან და მიხარია, რომ მათ შევხვდი.

**– ხმას განსაკუთრებულად უფრთხილდები?**

– ნაყინსაც ვჭამ და კაშნეც არ მიკეთია ყოველდღე. ალკოჰოლს ვერიდები, რადგან ძალიან სვამს ხმას, არ უხდება იოგებს. ანუ, მას, რაც ხმის დიდი მტერია, ვერიდები. თხილსაც ვჭამ, მზესუმზირასაც. „იურმალაზე“, სანამ სცენაზე გავიდოდი, „სნიკერსი“ ვჭამე – შემიძლია, სიმღერის წინ თხილიანი სასუსნავი ვჭამო, რადგან ვიცი, მარცხი არ მომივა.

**– ექპერიმენტებსაც ხშირად ატარებ?**

– ყველანაირი ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული და რკინასავით უძლებს ჩემი ხმა. ექსპერიმენტები მიყვარს, იმიტომაც გავსუქდი – მაინტერესებდა, მომიხდებოდა თუ არა. თმის აპარსვები, ჩაცმულობა, ყველაფერში მომწონს ექსპერიმეტები და ზოგადად, ვფიქრობ, ყველაფერი უნდა გამოსცადო – ნახო, გიხდება თუ არა, გარდა ნარკოტიკებისა და ისეთი რაღაცეებისა, რაც ორგანიზმს ვნებს. ბიჭურად რომ შევიჭერი თმა, საერთოდ არ მინანია, ძალიან მომწონდა. ახლაც დიდი სიამოვნებით შევიჭრიდი, მაგრამ გრძელი თმა მენატრებოდა და აღარ ვაპირებ შეჭრას. თუმცა, თუ რამე წამომივლის, ან გადამეკეტება, შეიძლება, შევიჭრა ისევ.

**– აღარ აპირებ კონკურსებზე გასვლას?**

– სამოყვარულო კონკურსზე შეიძლება, გამოვიდე, ვოკალურზე – არ მგონია. ერთადერთი შეიძლება, ამერიკაში წავიდე და იქაურ „ვოისში“ მივიღო მონაწილეობა. ესეც საკითხავია. მინდა „ბერკლის“ მუსიკალურ კოლეჯში ჩავაბარო. თუ მოვხვდები, ძალიან გამიხარდება. ეს ჩემთვის დიდი ტრამპლინი იქნება. „ბერკლიში“ ჩადიან და ასწავლიან სერიოზული მომღერლები, მუსიკოსები. გიტარებენ მასტერ-კლასებს – ყურს, ვოკალს გივარჯიშებენ. ბევრ რამეს სწავლობ. გიგის ვეუბნები: თუ ჩავაბარებ, შენც წამოდი, ჩემთან ერთად იყავი-მეთქი. ვნახოთ, რა იქნება.

**– ახლა მინდა, შენს ბაბუაზე ვისაუბროთ, მთავარეპისკოპოს ამბროსიზე (ქათამაძე). როგორი ურთიერთობა გქონდა მასთან, როგორი ბაბუა იყო?**

– ყოველთვის მახსენდება ერთი რამ: ბაბუა ყველასთან ურთიერთობაში ძალიან თბილი, კეთილი, სამართლიანი და კარგი პიროვნება იყო. უცნაური ხასიათი ჰქონდა. ანუ, იმდენად იყო რწმენაში, რომ ცუდად ყოფნისას წამალს არ იღებდა. სულ მეუბნებოდა: დილით გაყინულ წყალში ჩახტი, გაკაჟდებიო. 67 წლისა, ეკლესიიდან რომ გამოვდიოდით, ისე ენერგიულად გარბოდა... მე კი უკან ქოშინით მივდევდი. შორიდან გამომხედავდა და მეტყოდა: ბაბუ, რა არის, იჩქარე, დამეწიეო. ძალიან კარგი ადამიანი იყო – კარგი მამა, ბაბუა. სულ მასწავლიდა, რომ ვყოფილიყავი კეთილი. არასდროს უთქვამს: ის არ ჩაიცვა, ეს არ ჭამო, არ დალიო... ყოველთვის კარგ რჩევებს გვაძლევდა შვილიშვილებს. ყველას უყვარდა და ეს ძალიან მიხაროდა. მსიამოვნებდა, რომ ყველასთვის საყვარელი ბაბუა მყავდა. მის გვერდით ძალიან ბედნიერი ვიყავი,

**მიხაროდა, რომ ასეთი კარგი სასულიერო პირის სისხლი და ხორცი ვიყავი**



განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხედავდი, როგორ უყვარდა ის ხალხს, როგორ ხვდებოდნენ, როგორ აფრქვევდა ირგვლივ სიყვარულს, სითბოს. მიხაროდა, რომ ასეთი კარგი სასულიერო პირისა და ბაბუის სისხლი და ხორცი ვიყავი.

**– მის შემწეობას, ალბათ, დღემდე გრძნობ, მისი გარდაცვალების შემდეგაც.**

– კი, როგორ არა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, სულ მის გვერდით ვიყავი. მე ბებიამ გამზარდა, დედის დედამ, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. სულ ბებოსთან ერთად ვიყავი – ბებოს გოგო, ბებოს გოგოო, მასზე ვიყავი აწეპებული. ბებო მიყვარდა ყველაზე მეტად, თუმცა ჩემი მესაიდუმლე, საუკეთესო მეგობარი დედაა. მას ვურეკავ ხოლმე: დედა, დედა... ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, სულ ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ის იქიდან ჩემთვის ლოცულობს. მეც მორწმუნე ვარ და მჯერა ბევრი რამის. ვფიქრობ, ხშირ შემთხვევაში, მეუფის ლოცვები მეხმარება, მამაგრებს და მამტკიცებს.

**– ერთად ხომ არ გალობდით კიდეც?**

– ოჯახის ყველა წევრს უყვარდა ჩემი სიმღერა, ამაყობდნენ ჩემით. მე და ბაბუას ერთადაც გვიგალობია. მახსოვს, მარხვის პერიოდში ერთად ვიყავით შიო მღვიმეში – მე, ბებო და ბაბუ. ავიტანეთ ლობიანები, პროდუქტები. იქ ერთ ადგილას კლდეა, გადმოსავარდნი ადგილია. მე და ბაბუ გზაში ვგალობდით „კირიელეისოს“ და მერე, რომ ჩამოვედით, ბებო გვიყვებოდა: იმ კლდიდან ვვარდებოდით, აიწია მანქანამ, მაგრამ სასწაული მოხდა და გადავრჩითო. მე და ბაბუ ვგალობდით – მე ვერაფერი გავიგე, პატარა ვიყავი, მაგრამ ბებო ასე გვიყვებოდა. ეტყობა, რაღაც იგრძნო, ჩვენი გალობის დროს. რა თქმა უნდა, მერე დავუჯერეთ. გიგისთვის მამაჩემს უთქვას: ბაბუ არ გადმოვიდა ჩემთან საცხოვრებლად, ასე ამბობდა: დროს დავკარგავ და მარტო, რომ ვიქნები, თქვენთვის, შვილიშვილებისთვის უფრო მეტს ვილოცებო. ასეთი საოცარი ადამიანი იყო. გიგი არ იცნობდა, მაგრამ ცოცხალი რომ ყოფილიყო, დაქორწინებამდე აუცილებლად გავაცნობდი.

**– კიდევ რას გაიხსენებ ბაბუასთან ურთიერთობიდან?**

– როცა მოსკოვში ვცხოვრობდით, მახსოვს „ლენონები“ ეკეთა ხოლმე. ორი მინა ჰქონდა, ერთი მუქი იყო, მეორე – გამჭირვალე და ზემოთ იწეოდა. კიდევ ჰქონდა სათამაშო სათვალე და ვთამაშობდი ხოლმე. სასეირნოდ დავყავდი. ერთხელ, სეირნობისას, გუბეში ჩავვარდი. ზემოდან თოვლი იყო და ქვემოთ თურმე წყალი, არ ჩანდა და შიგ ჩავვარდი. სველი გამომაქცია სახლში. სულ მივლიდა, ზრუნავდა ჩემზე, ეზოში ჩავყავდი, „პინკ-პონკს“ ვთამაშობდით. ძალიან მზრუნველი და თბილი ადამიანი იყო.

**– ეს ის პერიოდია, როდესაც მას საქართველოს იძულებით დატოვება მოუწია. ალბათ, ამას ძალიან განიცდიდა.**

– რა თქმა უნდა, ყველაფერს ძალიან განიცდიდა, მაგრამ არასდროს არავის არ აწუხებდა ამით. მისგან ვისწავლე, რომ თბილი უნდა იყო და ყველას კარგი უსურვო. თუ ოდესმე ვინმე ცუდად მოგექცევა, არ არის აუცილებელი, გაბრაზდე და მას შეურაცხყოფა მიაყენო. პირიქით, უნდა მოითმინო და თავი შეიკავო სიბრაზისგან, სამაგიეროს გადახდისგან. მეც ვცდილობ, კეთილი ვიყო და არ გავუკეთო ადამიანებს ცუდი. არ უყვარდა, სახალხოდ, გამოსაჩენად ლოცვა. სახლში ან ტაძარში ლოცულობდა.

**– როცა რამე პრობლემა გქონდა ან გიჭირდა, ბაბუასთან მიდიოდი?**

– სერიოზული პრობლემები არ მქონია. თან, ყოველთვის ყველაფერს ჩემით ვაანალიზებდი. ისეთი სერიოზული არაფერი ყოფილა, რომ ბაბუსთან, ან ვინმესთან მისულიყავი, შემეტყობინებინა. მცირედი რაღაცეები ყველას ცხოვრებაშია, მაგრამ ჩემით ვაგვარებდი. არ მიყვარს ჩემი პრობლემების ვინმესთვის თავს მოხვევა – თავად უნდა მოაგვარო, არ უნდა შეაწუხო არც ოჯახის წევრები.

# რა აკავშირებს ჯაბა ქარსელაძეს სელინ დიონთან და რას არ დასჯერდება ის

*ჩვენი რესპონდენტი უკვე წლებია, უცხოეთში ცხოვრობს, თუმცა საქართველოში ჩამოსვლას წლის განმავლობაში რამდენჯერმე მაინც ახერხებს. მისი სწავლისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, ისევე როგორც პირადი ცხოვრებისა და სასიმღერო კარიერის შესახებ. ინტერვიუ* ***ჯაბა ქარსელაძესთან*** *მის დაბადების დღეზე ჩავწერეთ. ჯაბამ იუბილე მეგობრების წრეში კლუბ „ვან საიდში" აღნიშნა. მეორე დღეს კი, უკვე საფრანგეთში დაბრუნდა. ამ ეტაპზე მის ცხოვრებაში და სასიმღერო კარიერაში სიახლეა, რის შესახებაც თავად გვამბობს.*

**– რამდენიმე დღით ხარ ჩამოსული საქართველოში. ეს, იმიტომ რომ, იუბილე აქაურ მეგობრებთან ერთად აღნიშნო, თუ სხვა საქმეც გაქვს ამ ხანმოკლე ვიზიტის დროს.**

– ამჯერად საქმიანი ვიზიტით არ ვარ ჩამოსული. ამ ეტაპზე მეგობრების ნახვა მინდოდა ძალიან. 4 წელია, დაბადების დღე არ აღმინიშნავს. მინდოდა, ეს დღე საქართველოში, ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად გამეტარებინა. მართალია, მეგობრები უცხოეთშიც მყავს, მაგრამ აქ ყველაზე მეტია ის ადამიანი, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჩამოვედი და მეგობრებთან ერთად, კარგად გავერთობი. მართალია, გრანდიოზულ დაბადების დღეს არ ვიხდი, მაგრამ სასიამოვნო საღამოს აუცილებლად გავატარებთ.

**– რამდენი წლის გახდი?**

– 28-ის.

**– ამ 28 წლის განმავლობაში, ძალიან ბევრ რამეს მიაღწიე და წინ კიდევ ბევრი წარმატება გელის. შენი მთავარი მიზანი ხომ, გართობა კი არა, უპირველესად, განათლების მიღებაა.**

– ასტროლოგიის ძალიან მჯერა, რადგან მეცნიერებაა. ვიცი, რომ დღეიდან ახალი ეტაპი იწყება და ყველაფერი პოზიტივისკენ უნდა შეიცვალოს. მართალია, დღეს არა, მაგრამ გადაწყვეტილება მივიღე, ცხოვრება შემეცვალა. წარმატებას, რომელსაც, როგორც აღნიშნე, დღემდე მივაღწიე, ვერ დავჯერდები – ყველაფერი წინ არის, კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. რაღაც მომენტში, მივხვდი, მართალია, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ გავაცნობიერე, რომ რთულია იყო მარტო. რა თქმა უნდა, პირად ცხოვრებას ვგულისხმობ.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში, ამ ყველაფრის გაცნობიერების შემდეგ?**

– ადრე თუ ამ კითხვას ზოგადად ვპასუხობდი, ახლა მართლა თამამად შემიძლია, ვთქვა, ჩემს ცხოვრებაში არის ადამიანი, რომელთან ერთადაც ვარ. ამ ეტაპზე მართალია, არ ვიცი, ეს გატაცებაა თუ სერიოზული გრძნობის საწყისი, მაგრამ მასთან ერთად ძალიან მსიამოვნებს ყოფნა. ჯერ ნამდვილად არ ვიცი, ეს რამდენად წავა სერიოზული ურთიერთობისკენ, მაგრამ დღეს ძალიან კარგად ვარ.



**არის პერიოდი, როცა სიმღერას ვერ ჩაწერ. იმიტომ კი არა, რომ ხმა არ გაქვს, არამედ – ხასიათი**

**– როგორც იქნა, პირადი ცხოვრებისთვისაც მოიცალე.**

– მე დაგპირდი, რომ თუ რამე სიახლე იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში, პირველს შენ გეტყოდი და აი, შევასრულე კიდეც პირობა.

**– ბოლო დროს იმდენად დაკავებული ხარ სწავლა-განათლებით, რომ მომღერლის პროფესია გვერდზე გადადე და სიმღერებითაც აღარ ანებივრებ ქართველ მსმენელს. როგორც ვიცი, ამჯერად ამ მხრივაც გაქვს სიახლე და ახალი სიმღერა ჩაწერე.**

– სიმღერა, რომელიც ჩავწერე, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. არ მეგულება დედამიწაზე ადამიანი, ვისაც თუნდაც ერთხელ არ ექნება მოსმენილი. ეს არის ჯეიმს ბორნერის სიმღერა, რომელიც 1997 წელს შეიქმნა და მთელი მსოფლიო მოიცვა. ალბათ, ხვდები, რა სიმღერაზეა საუბარი. ფილმ „ტიტანიკის" საუნდტრეკი, რომელმაც იმ პერიოდში მსოფლიო „შეარყია." ცოტა ხნის წინ ვიყავი სელინ დიონის კონცერტზე, რომლის რეპერტუარიც ამოუწურავია. მიუხედავად ამისა, როცა ის ამ სიმღერას მღერის, დარბაზს სხვა რეაქცია აქვს, რადგან დღემდე მსოფლიო ჰიტია. არის სიმღერები, რომელსაც ვერ იმღერებ, თუ რაღაც გრძნობა არ გაქვს. მე კი, როგორც გითხარით, ამ ეტაპზე პირადი ცხოვრებისთვისაც მოვიცალე.

**– სად ჩაწერე ეს სიმღერა?**

– ამ მხრივაც საინტერესო ისტორია აქვს ამ სიმღერას. ფონოგრამა ჩემმა მეგობარმა, ნიკა ნიკვაშვილმა გამიკეთა.

**– ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი.**

– აბსოლუტურად განსხვავებული ვერსიაა, რომელიც, რა თქმა უნდა, მამაკაცის ხმაზეა მორგებული. სხვათა შორის, ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ ჩემამდე ეს სიმღერა არც ერთ ცნობილ მამაკაცს არ უმღერია. პირველი ვარ, ვინც ასე, ოფიციალურად ჩაწერა ეს სიმღერა. სიმღერა პარიზში ჩავწერე, ბექვოკალში კი ფერადკანიანი მომღერლები მედგნენ. ძალიან მაგარი გამოვიდა, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ მათ განსაკუთრებული ხმა აქვთ. რაც შეეხება სიმღერის საბოლოო სახეს, საქართველოში დაბალანსდა, რაშიც ჩემი მეგობარი, ბორიკო შხიანი დამეხმარა. ანუ, გამოდის, რომ ეს სიმღერა სამი ქვეყნის პროდუქტია – რუსულ-ქართულ-ფრანგული. მე კმაყოფილი ვარ და ძალიან მომწონს. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ განსაკუთრებულად ვმღერი, არამედ იმიტომ, რომ სიყვარულით ვმღერი, რაც, ჩემი აზრით, იგრძნობა კიდეც.

**– ანუ, სიყვარული დაგეხმარა ახალი სიმღერის ჩაწერაში?**

– კი, ნამდვილად ასეა. არის პერიოდი, როცა სიმღერას ვერ ჩაწერ. იმიტომ კი არა, რომ ხმა არ გაქვს, არამედ – ხასიათი. ამ სიმღერაში კი ეს ხასიათი ნამდვილად ჩანს. ყოველთვის ვამბობ, რაც ჩემს სიმღერაში მომწონს, ეს ხმის ტემბრია, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან თბილია. თუმცა, უპირველესად, ეს ხალხმა უნდა შეაფასოს. მართალია, ვერასდროს მივა სელინ დიონთან და მისი ნამღერის ნახევრის ნახევარიც არ არის, მაგრამ განსხვავებულია. პრინციპში, ამ პროექტზე მუშაობა საინტერესო გამოვიდა.

**– შეყვარებული ვარო, აღნიშნე საუბრის დრო. თან, ისიც თქვი, რომ ეს დაგეხმარა სიმღერის ჩაწერაში. აბა, აწი შენ რაღა გაგაჩერებს. იმედი მაქვს, სიყვარულის ფონზე, არაერთ საინტერესო ნამუშევარს შემოგვთავაზებ... რამდენ ხანს დარჩები საქართველოში?**

– სამწუხაროდ ამჯერად სულ რამდენიმე დღით ვარ ჩამოსული და როცა ეს ინტერვიუ დაიბეჭდება, მე უკვე საფრანგეთში ვიქნები.

**მარიკა ხიდურელი**

---

**– წლების შემდეგ მეუფე ამბროსიმ მოახერხა საქართველოში დაბრუნება.**

– კი და ძალიან უხაროდა, ისევე, როგორც მე. ძალიან გამიხარდა, დიდი ხანი არ მყავდა ნანახი. წლების განმავლობაში იშვიათად, მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდით. მახსოვს, ადრე საჩუქრად მიკროფონი გამომიგზავნა, რომელშიც ელემენტები იდებოდა, ახლაც მაქვს. როდესაც საქართველოში დაბრუნდა, მიხაროდა, რომ მის ნახვას მოვახერხებდი. მივიდოდი ეკლესიაში, სადაც ის იყო და დამლოცავდა, მომეფერებოდა. ხშირად მივდიოდი მასთან.

**– 2008 წელს მამაშენმა, მამა ნოდარმა ნახა ის საკუთარ ბინაში გარდაცვლილი. ეს თქვენს ცხოვრებაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო...**

– კი, მამამ ნახა გარდაცვლილი. მარტო ცხოვრობდა ბინაში და ტელეფონზე არ პასუხობდა. შეიძლება, სულ ერთად არ ვიყავით, მაგრამ ძალიან მიყვარდა. ჩემთან ახლოს იყო და ძალიან ვინერვიულე, გულზე საშინლად მომხვდა. როგორც ბებიის, ასევე ბაბუის გარდაცვალების შემდეგ, ერთი და იგივე შეგრძნება მქონდა: თითქოს ცოცხლები ისევ აქ, ამქვეყნად არიან. ბაბუას პანაშვიდებზე გაჩერება ვერ შევძელი, ძალიან დიდი სტრესი იყო ჩემთვის. თან, ბაბუა იყო პირველი, ვინც ჩემი ოჯახის წევრებიდან გარდაიცვალა – რთულად გადავიტანე. ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა სამძიმარზე, პანაშვიდებზე, დასაფლავებაზეც უამრავი ხალხი მოვიდა. საოცარია, რომ გყავს ისეთი ბაბუ, რომელიც ბევრ ადამიანს უყვარს.

**– ერთგან ამოვიკითხე: მეუფე ამბროსის სახე გარდაცვალების შემდეგ ვარდისფერი ჰქონდა, ცრემლი ჩამოსდიოდაო.**

– კი, ცრემლი მოსდიოდა. ვარდისფერი სახე, ლოყები ჰქონდა. ადამიანი რომ დაიღლება, დასცხება და ლოყები აუღაჟღაჟდება, ისე ჰქონდა. ცოცხალს ჰგავდა, ვერ წარმოიდგენდი, რომ მიცვალებული იყო. თვალდახუჭულ ადამიანს ჰგავდა, ვარდისფერი ლოყებით. თან, ცრემლი მოსდიოდა, მამაჩემი წმენდდა – ამ პროცესს, მით უმეტეს, ვერ ვუძლებდი.

**– რამე დაგრჩა მისგან სახსოვრად?**

– არაფერი, მხოლოდ ფოტოები და ის მიკროფონი, რომელიც მაჩუქა.

**– და ბოლოს, რას ნიშნავს შენთვის მისი შვილიშვილობა – ეს, ალბათ, დიდი პასუხისმგებლობაა.**

– საზოგადოება ხშირად ბევრს ითხოვს ადამიანებისგან, მაგრამ ყველა ჩვეულებრივია და ჩვეულებრივი ცხოვრება აქვს. თვითონ უნდა იცოდე, როგორ წარმოადგინო შენი ოჯახი სახლში, გარეთ თუ საზოგადოებაში. შენი ქცევა, თავად მეტყველებ იმაზე, თუ როგორი მშობლები, ოჯახის წევრები გყავს, როგორ აღგზარდეს. როცა სერიოზული რაღაც ხდება, ცდილობ, ისე არ მოიქცე, რომ ამით ოჯახის წევრს, ოჯახს ზიანი, ტკივილი მიაყენო. შესაბამისად, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და სულ მახსოვს: „სადაც ვშობლივარ, გავზრდილვარ..."

**ნათია უტიაშვილი**

**„X ფაქტორში“ თამთა გოდუაძის ჯგუფის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი ნათია თადიაშვილია, რომელმაც პირველივე გამოსვლისთანავე შეძლო როგორც ჟიურის, ასევე მაყურებლის მოხიბვლა. სცენაზე მორიდებული, პროფესიონალი მომღერალი, ცხოვრებაში საკმაოდ ენერგიული, ხალისიანი და მოუსვენარია.**

# რა ორი უკიდურესობა ახასიათებს ნათია თადიაშვილს და როგორ მიაღებინა მას მომავალმა მეუღლემ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება

**ნათია თადიაშვილი:** ამჟამად მხოლოდ რესტორანში ვმღერი, რადგან სხვა რამის დრო, ფიზიკურად არ მრჩება, ვერ ვასწრებ, ოჯახიც ხომ მთავარი საქმიანობაა. ზოგჯერ ჩემი ოჯახის წევრებს, მეუღლესაც სწყინს, ერთმანეთთან რატომ აიგივებო, მაგრამ ორივე: ოჯახიც და საქმეც ჩემთვის მთავარია. ადრეც ვამბობდი, ორი ოჯახი მაქვს: ერთი – სახლი, მეორე – რესტორანი „კრწანისი“-მეთქი, სადაც ამაჟამად ვმუშაობ. ნახევარ დღეს იქ ვატარებ, ყველა ძალიან მიყვარს. ასე რომ, მეტის დრო არც მრჩება, თორემ ისეთი მოუსვენარი ვარ, სახლშიც ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. სულ მოქმედებაში ვარ. დედაჩემი მეუბნება: ამდენს როგორ ახერხებ, ერთხელაც გადაიწვებიო.

**– ასეთი მომენტი გქონია?**

– არა, არ მქონია. ასეთ დროს, თითქოს, მეორე რაღაც იხსნება, რომელიც გადაწვაში მიშლის ხელს.

**– გამაცანი შენი ოჯახი.**

– მყავს მეუღლე, 2 ბიჭი. ფაქტობრივად, ერთი წელი ვიცხოვრეთ დედამთილთან და მამამთილთან ერთად, იმის მერე კი მარტოები ვცხოვრობთ. თუმცა, მშობლები, როგორც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. ასე რომ, მარტო, ძიძის გარეშე ვზრდიდით ბავშვებს. ფაქტობრივად, ახალშეუღლებულები ვიყავით, რამდენიმე თვის მყავდა ბავშვი, როდესაც მუშაობა დავიწყე ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში. იქ 12 წლის განმავლობაში ვმუშაობდი პედაგოგად. 16 წლიდან სულ მყავდა მოსწავლეები, ვინც მღეროდა. თან, ფორტეპიანოზე აკომპანირება ყოველთვის შემეძლო. ბოლო პერიოდში ძალიან მინდოდა საქსოფონზე დაკვრა მესწავლა. ჩემი მეუღლე კლარნეტზე უკრავს, კონსერვატორია აქვს ამ სპეციალობით დამთავრებული, მაგრამ საქსოფონზეც უკრავს. ფეხმძიმედ რომ ვიყავი და საქსოფონს ავიღებდი ხელში, ის მორბოდა და მართმევდა: რამე არ მოგივიდესო. მერე, დროის უქონლობის გამო, ველარ შევძელი სწავლა გამეგრძელებინა.



**12 წელი გავძელი, ყოველ საღამოს ვტიროდი, ისტერიკა მქონდა: შენი ბრალია, გამიშვი. მისმენდა, მისმენდა და ერთ დღესაც თავის მეგობარს უთხრა: უშველე რამე, სანამ ჭკუიდან გადავაო**

**– რა ასაკის არიან შენი შვილები?**

– უფროსი 14 წლის ხდება, პატარა 8 წლისაა. რთულია ბიჭების გაზრდა, მაგრამ არც გოგონას გაზრდაა ადვილი. რაც დედაჩემმა გამოიარა ჩემს ხელში, ამას არავის ვუსურვებ. ძალიან აქტიური ვიყავი, მოუსვენარი, სულ – ძიებაში, ყველაფერი მაინტერესებდა – ისიც მინდოდა, ისიც და ისიც. ქართულ ცეკვებზე დავდიოდი, ანსამბლში უნდა გადავეყვანე მასწავლებელს. იმ დროს ფორტეპიანოსაც ვსწავლობდი, ძალიან კარგი პედაგოგი მყავდა – ნელი ნადირაძე, ღმერთმა აცხონოს. კარგი სკოლა გამატარა, ფაქტობრივად, ყოველდღე მავარჯიშებდა. რაც ჩემში მუსიკის ნიჭი დაინახა, თან გადამყვა. სულ ტკბილად მახსენდება. საბოლოოდ დედამ გადაწყვიტა: ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ქართველი ქალი კლასიკურ მუსიკაზე უნდა იზრდებოდესო და ყველაფრიდან გამომიყვანა. საშინელი რეაქციები მქონდა. ციცინო ციცქიშვილთანაც დავდიოდი, ანსამბლ „მთიებშიც“ ვმღეროდი, მთელი თვის განმავლობაში მშობლები, ბავშვები მაკითხავდნენ: მოდი, დაგვიბრუნდიო. მაგრამ დედა პასუხობდა: არა, არა, კლასიკური განათლება უნდა მიიღოს, სხვა რამეში დროს ტყუილად ვკარგავთო. მთელი დღე ყური ჰქონდა კარზე მოდებული, გავჩერდებოდი, შემოაღებდა: დაუკარიო. ზარმაცი ვიყავი, მით უმეტეს, გარდატეხის პერიოდში. იმიტომ რომ, ადვილად გამომდიოდა, რაც 4 საათის განმავლობაში უნდა მესწავლა, ერთ საათში ვსწავლობდი და ეს მაკმაყოფილებდა. ეს, ალბათ, ცუდიც იყო. ჩემში, შეიძლება, პიანისტი იმალებოდა, მაგრამ არ ვნანობ, მაინც იმ გზით წავიდა ჩემი ცხოვრება, როგორც მინდოდა. არ მქონდა დიდი სცენა, მაგრამ ეს არავის ბრალი არ არის. უბრალოდ, მაშინ ისეთი დრო იყო, 90-იანი წლები, დანგრეული თბილისი, ომი, მხედრიონი, საშინელება... გლდანში ვცხოვრობდი და რუსთაველზე სასწავლებლად დედა, მამა, ბებია, მეზობლები, ყველა ერთად მაცილებდნენ. მერე მეტროსთან მხვდებოდნენ, რომ ერთად წავსულიყავით სახლში, დენი არ იყო, ტრანსპორტი არ დადიოდა. დედა სათბურს მითბობდა, ფეხებთან მედო, რომ გაყინულ ოთახში მემეცადინა. მაგრამ, მადლობელი ვარ, რომ მაშინ კლასიკური განათლება მივიღე, რადგან ეს ახლა ძალიან მეხმარება. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ასაკში ვერ ვეწევი სხვებს. ცოტა ადრე რომ ყოფილიყო ყველაფერი, უკეთესი იქნებოდა. რომ შეიძლებოდეს პასპორტის შეცვლა, დავიპატარავებდი თავს. 26 წლის მაინც, რომ ვიყო.

**– რას შეცვლიდი?**

– სულ იმის შიში მაქვს, რომ რაღაცას ვერ მოვასწრებ, ამიტომ ვცდილობ, ბევრი არ მეძინოს. ალბათ, ამიტომ ვნერვიულობ, თორემ ჩემს ასაკშიც შეიძლება, ბევრი რამის მოსწრება. მე რომ 18-19 წლის ვიყავი, მაშინ ფილარომინია, მგონი, სულ დაკეტილი იყო. ახლა მოვიდა, ალბათ, ჩემი დრო. ეს წელი კარგად დაიწყო, კარგად მიდის. სურვილების ასრულების წელია. „X ფაქტორში“ გამოსვლაც წინა ღამეს გადავწყვიტე. ჩემს მეუღლეს დიდხანს არ სჯეროდა, რომ ამაზე ადრე არ ვფიქრობდი. ერთი ამბავი გვქონდა, დიდიხანს ვერ დავაჯერე. ქალების დიდი ნაწილი ხომ ოცნებობს კარგ გაზქურაზე, საცხობზე, ოქროულზე. არაფერი მაინტერესებს, სცენაა ჩემთვის ყველაფერი, ლამის ვაკოცო ხოლმე. შუქები რომ ანათებს, მტვერია, დახუთულობა, ბოლი – ყველაფერი მაგიჟებს.

**– ალბათ, ბავშვობიდან მღერი.**

– ბავშვობიდან ვმღეროდი, ჩემს ოჯახში ყველა მღერის, სმენა ყველას აქვს. თუმცა, არავინ არის პროფესიონალი მუსიკოსი. დედა მხატვარია, მამა – სასოფლოში ლექციებს კითხულობდა, მეცნიერ-მუშაკი იყო და ასე შემდეგ. ორივე ძალიან ნიჭიერი ადამიანია, წითელ დიპლომზე აქვთ დამთავრებული. მეც სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ერთი პერიოდი კი ავურიე, მაგრამ მაინც ხუთიანები მყავდა. აღარ მინდოდა სწავლა, სიზარმაცემ შემომიტია. ლექსების წერა დავიწყე, ვილაც შემიყვარდა, გარეთ მინდოდა გასვლა, მეგობრები... ხომ იცი თინეიჯერობის ასაკი – სკოლას ვაცდენდით, დავსეირნობდით. თან, ზოდიაქოს ნიშნით „სასწორი“ ვარ, ორი უკიდურესობა მახასიათებს. სხვათა შორის, ცხოვრების თანამგზავრის არჩევნის დროს, ორი ადამიანი იყო და ძლივს გადავწყვიტე. ძალიან კარგი არჩევანი გავაკეთე – 15 წელია, ერთად ვართ და ძალიან ბედნიერი ვარ.

**– როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა?**

– მერვე კლასიდან ნიჭიერთა ათწლედში კლასელები ვიყავით. ვმეგობრობით. ისიც გლდანში ცხოვრობდა და ერთად მივდიოდით, მოვდიოდით. ამან კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მასთან ყველანაირ თემაზე ვსაუბრობდი. გოგონები ნიკას ვუყვებოდით შეყვარებულების შესახებ. ყველაზე ვიფიქრებდი ამას და ნიკაზე არა. შემდეგ ორივემ კონსერვატორიაში ჩავაბარეთ. ერთ დღესაც, კაფეში ყავაზე დამპატიჟა. გამიკვირდა: მწვადზე გაზრდილ ბიჭს, რა ყავა მოუნდა-მეთქი. ერთხელ მითხრა, გავუტარე, მეორედაც, მესამედაც, არ მომხვდა ყურში კარგად. შემდეგ მითხრა, რაღაც სალაპარაკო მაქვსო, მომატყუა, რაღაც მიზეზები მოიგონა და საბოლოოდ, სიყვარულში გამომიტყდა. საშინელი რეაქცია მქონდა, ლუდის ბოთლი მედგა წინ და ცოტა დამაკლდა, რაღაც არ გამეკეთებინა. მოკლედ, ამის მერე აღარ ველაპრაკებოდი. ის კი რეკავდა სახლში, ტელეფონთან არ მივდიოდი. ჩემებმა მთხოვეს: დაელაპარაკეო. ბოლოს შევხვდი და იქ „დამკერა“. თან, მეგობართან ერთად შევხვდი, მარტო არ წავედი, პროტესტი მქონდა. მეგობრები ძალიან გვგულშემატკივრობდნენ, მათი მშობლებიც. მახსოვს, ჩემი მეგობრის დედა, მადონა დეიდა, იმდენად მოწადინებული იყო, რომ კონსერვატორიაში ვემალებოდი. საბოლოოდ დამანახვა, რომ ძალიან ვუყვარდი და ეს დღემდე გრძელდება. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ: ნეტავ, მეც თუ მიყვარს იმ დონეზე, როგორც მას-მეთქი. ბოლო დროს ეჭვიანობაც დაიწყო, მაგრამ ესეც იმის ბრალია, რომ ვუყვარვარ და ნორმალურად აღვიქვამ.

**– როგორ მიგიყვანა გათხოვების გადაწყვეტილებამდე?**

– ყველაფერი უცებ გადავწყვიტეთ. მშობლებმა რომ გაიგეს ჩვენი ამბავი, დაიწყეს: დავნიშნოთ, ამ დროს ქორწილი გავაკეთოთ, ამდენი ხალხი დავპატიჟოთ, როგორი ბეჭედი და ასე შემდეგ. ნიკამ ერთ დღესაც მითხრა: გეხვეწები, შარვალ-კოსტიუმით და ყვავილებით ნუ მატარებო და გავიპარეთ. ცოლად რომ გავყევი, რადგან მასთან მეგობრულად ვიყავი, ცოტა გამიჭირდა. თუმცა, მაშინაც გულით მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ჩვენი სიყვარული თანაცხოვრების შემდეგ უფრო მოვიდა. თვითონაც აღიარებს: ადრე სხვა სიყვარული გვქონდა, ახლა სხვა გვაქვსო.

**– ქართველ კაცებს მაინცდამაინც არ მოსწონთ, როდესაც მათი მეუღლეები რესტორანში მღერიან. შენს მეუღლეს ამაზე როგორი რეაქცია ჰქონდა?**

– რაც ნიკას ცოლი ვარ, შეიძლება ითქვას, დავტანჯე: გეხვეწები, გამიშვი... მეუბნებოდა: ხომ გაქვს სამსახური, რა გინდაო. კარგია, ბავშვებს რომ ამეცადინებ, მოიკლავ თავს, მაგრამ გავა დრო და... იშვიათია ბავშვმა გაგიმართლოს. ეს არ მაკმაყოფილებდა, 12 წელი გავძელი, ყოველ საღამოს ვტიროდი, ისტერიკა მქონდა: შენი ბრალია, გამიშვი. მისმენდა, მისმენდა და ერთ დღესაც თავის მეგობარს, ტიგრან ნიკოიანს დაურეკა, რომელიც უნიჭიერესი მევიოლინეა და უთხრა: უშველე რამე, სანამ ჭკუიდან გადავაო და ცოტა ხანში „კრწანისში“ დავიწყე მუშაობა. აქ სულ ხალხმრავლობაა და ეს მაგიჟებს. ახლა მეუღლე ხშირად მოდის, მისმენს. მე ვუშლი: ჩემი სამსახური, გასართობი ადგილი არ არის-მეთქი. მოდის მეგობრებთან ერთად და ძალიან ეამაყება. თვითონ ინსტრუმენტალისტია. თავდაცვის საჩვენებელ ორკესტრში მუშაობს – ძალიან ძლიერი ორკესტრია. კარგია, რომ ორივე მუსიკოსები ვართ, ერთმანეთის უფრო მეტად გვესმის.

**ნათია უტიაშვილი**

საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST

# რით განსხვავდება ამანათი, კომერციული ტვირთისგან და რა შემთხვევაში არ ჰყავს „საქართველოს ფოსტას" კონკურენტი ქართულ ბაზარზე

**„საქართველოს ფოსტის" არსებობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ის ახორციელებს უნივერსალურ საფოსტო მომსახურებას. მიუხედავად მრავალი კონკურენტისა, „საქართველოს ფოსტა" დიდი უპირატესობით გამოირჩევა, როგორც სერვისის მაღალი დონის ყველაზე ფართო ქსელი საქართველოს მასშტაბით. დღეს „საქართველოს ფოსტას" 84 მოქმედი სერვისცენტრი და დიდი გეგმები აქვს. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას კი, ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ, რომელიც „საქართველოს ფოსტის" გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე გახლავთ.**

ლევან ჩიკვაიძე: თავდაპირველად, მინდა აღვნიშნო, რომ ამანათი და კომერციული ტვირთი ერთმანეთისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალურად შეიძლება, ერთგვაროვნად გამოიყურებოდეს, საზღვრის გადაკვეთისთვის თანმხლები დოკუმენტაცია სხვადასხვაგვარი აქვს. ამანათი, ეს არის საფოსტო ოპერატორის პროდუქტი, მსოფლიო საფოსტო კონვენციით მიღებული და მის გარშემო მსოფლიოს 192 ქვეყანას ერთმანეთის მიმართ აქვს ვალდებულება. ასეთივე პროდუქტია წერილობითი კორესპონდენცია, რომელიც ასევე, საფოსტო პროდუქტად განიხილება. რაც შეეხება კომერციულ ტვირთს, მისი (ნებისმიერი წონის) გადაადგილების შესაძლებლობა ნებისმიერს აქვს, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

რაც შეეხება საფოსტო საქმიანობას და საფოსტო ბიზნესს. საფოსტო საქმიანობას ყოველთვის, ყველა ქვეყანა ასრულებდა საკუთარი სტრუქტურული შემადგენელი ორგანოს საშუალებით. მსოფლიოში შექმნილია ერთიანი საფოსტო ქსელი, სადაც მონაწილეობს 192 ქვეყანა. ამ 192 ქვეყანაში, გეოგრაფიულად ნებისმიერ ადგილას დასახლებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს იგივე სახის მომსახურება, როგორიც დიდ ქალაქებში, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ეს ვალდებულება საქართველომაც აიღო, როდესაც პარლამენტმა მსოფლიო საფოსტო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა და მაშინ, როდესაც საქართველო მსოფლიო საფოსტო კავშირში გაწევრიანდა. ბიზნესის კუთხით მომგებიანია მჭიდროდ დასახლებული ქალაქები და არა – მთიანი რაიონები, სოფლები და ასე შემდეგ. სახელმწიფოს კი ვალდებულება ერთგვაროვნად აქვს აღებული თავის მოქალაქესთან, როგორც სოფლად, ასევე ქალაქში. ამის შესასრულებლად სახელმწიფო საკუთარი სტრუქტურის შემადგენელ ორგანოს იყენებდა. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკას არც უფიქრია, რომ ის კერძო სექტორისთვის გადაებარებინა და დღემდე ასრულებს სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენელი სააგენტოს საშუალებით. ანალოგიური მდგომარეობაა ბევრ ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა იაპონია.

**– რას მოიცავდა ეს პროცესი?**

– უნივერსალურ მომსახურებას. მაგალითისთვის, თუ თქვენ იაპონიის მოქალაქე ხართ და წერილს იაპონიიდან საქართველოში აგზავნით, რომლის ნებისმიერ წერტილში ჩაბარებაზე პასუხისმგებელია, მომსახურების საფასური განისაზღვრება 70 თეთრით. მომსახურების საფასური გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მის ტრანსპორტირებას სჭირდება. ამიტომ, უნივერსალურ მომსახურებას კომპენსირება სჭირდება. ლიბერალიზაციის პროცესი სწორედ ამას ითვალისწინებდა. საფოსტო ბიზნესიდან, უნივერსალური მომსახურების ვალდებულების მქონე კომპანიას დაუტოვეს კომპენსირებისთვის განსაზღვრული წონის ან ღირებულების (ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ხდებოდა) ექსკლუზივი გარკვეულ პროდუქციაზე, რომელიც ნელნელა მცირდებოდა.

**– რაც შეეხება საქართველოს, რა ვითარებაა?**

– ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში არსებობს ჩანაწერი, რომ საქართველოში ლიბერალიზაციის პროცესი უნდა დასრულდეს 5 წლის შემდეგ. სწორედ ეს 5 წელია განსაზღვრული კანონპროექტში – 2019 წელი დღევანდელი დღიდან. 2017 წლიდან ნახევრდება წონა და 2019 წელს დასრულდება წამგებიანი ბიზნესის დასაფინანსებლად გამოყოფილი სარეზერვო ნაწილი საფოსტო სფეროდან. ეს არის სახმელეთო გზით გადაზიდული ამანათი. მინდა, ხაზი გავუსვა ამანათს და კომერციულ ტვირთს. ეს ორი სხვადასხვა ცნება და აბსოლუტურად სხვადასხვა საგადასახადო რეჟიმია, რაც მუდმივად ერევათ ერთმანეთში ოპონენტებს.

**– მხოლოდ „საქართველოს ფოსტას" შემოაქვს ტვირთი სახმელეთო გზით?**

– არც ერთ კომპანიას „საქართველოს ფოსტის" გარდა, დღეს და უკანასკნელ წლებში, არ განუხორციელებია ამანათის შემოტანა საქართველოში სახმელეთო გზით. ამ ბიზნესს ყველა საჰაერო გზით აკეთებს, რომელსაც კანონპროექტი არ ეხება. პროექტი ასევე არ ეხება არც ერთ კომერციულ ტვირთს.



ევროპაში საფოსტო სფეროში მონაწილე ნებისმიერი კომპანია ვალდებულია, ლიცენზირება გაიაროს, რაც მიზანმიმართულია მომხმარებლის უფლებების დასაცავად. მაგალითისთვის, თუ კომპანიას არ აქვს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება, ინფრასტრუქტურა და ოფისი ლიონში, ის ვერ უზრუნველყოფს ლიონის მოსახლეობისთვის ისეთი პირობების შექმნას, როგორიც აქვს პარიზში. ამ შემთხვევაში, კომპანიაზე ლიცენზია მხოლოდ პარიზის მასშტაბით გაიცემა.

**მინდა, ხაზი გავუსვა ამანათს და კომერციულ ტვირთს. ეს ორი სხვადასხვა ცნება და აბსოლუტურად სხვადასხვა საგადასახადო რეჟიმია, რაც მუდმივად ერევათ ერთმანეთში ოპონენტებს**

ქართულმა კანონპროექტმა ლიცენზირების ნაცვლად, გაითვალისწინა მარტივი ავტომატური ავტორიზაცია ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში, რაც დაეხმარება ნებისმიერ მსურველს, გახდეს საფოსტო ოპერატორი. ამ მხრივ ეს კანონპროექტი ძალიან ლიბერალური და ლოიალურია ამ ბიზნესში ყველა მონაწილეობის მსურველი კომპანიებისადმი. მარტივი ავტომატური ავტორიზაციით, მათი პროდუქტიც ჩაითვლება ამანათად და წერილობით კორესპონდენციად. ამას მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ საგადასახადო რეჟიმი ამანათისა და კომერციული ტვირთისთვის განსხვავებულია. ეს ყველა ქვეყანაში ასეა და კონვენციის თანახმად, საქართველოში ვერ იქნება სხვაგვარად.

**– „საქართველოს ფოსტა" მზად არის ეროვნულ ტენდერში მიიღოს მონაწილეობა?**

– მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, გარდა ორისა, ეროვნული ოპერატორის ფუნქციას, უნივერსალური მომსახურების ვალდებულებით, ასრულებს ადგილობრივი კომპანია. მხოლოდ ჰოლანდიამ და მალტამ მისცა უფლება კონკურსის წესით მოეპოვებინათ გამარჯვება სხვა ქვეყნის კომპანიებს. თუკი კანონმდებელი გადაწყვეტს, კონკურსის წესით გამოავლინოს ეროვნული ოპერატორი, ამ შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა" ვერ ხედავს კონკურენტს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას შევეხები. კანონპროექტი ეროვნულ ოპერატორს როგორც ქუჩის, ასევე ინდივიდუალური საფოსტო ყუთების განთავსებას ავალდებულებს ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში მილიონ-ნახევარი მისამართია და ეროვნული ოპერატორი ვალდებულია, ქვეყნის მოსახლეობა სრულად უზრუნველყოს ინდივიდუალური საფოსტო ყუთებით. 192 ქვეყნიდან მხოლოდ საქართველოა გამონაკლისი, რომლის მოქალაქესაც არ აქვს ინდივიდუალური საფოსტო ყუთი და არც იმის საშუალება, ქუჩიდან მარტივად გააგზავნოს უბრალო წერილი.

5 წელიწადი ძალიან პატარა დროა „საქართველოს ფოსტისთვის" და დიდი გამოწვევაა ამ კომპანიის მენეჯმენტისთვის. 5 წლის განმავლობაში „საქართველოს ფოსტამ" უნდა გაიაროს და მიაღწიოს იმ დონეს, რასაც ლიბერალიზაციის პროცესის დროს ევროპულ, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში მინიმუმ 20 წელი მაინც დასჭირდა.

**– ღია ბარათის გაგზავნა რა ღირს დღეს საქართველოს ტერიტორიაზე?**

– ღია ბარათის გაგზავნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ღირს 1 ლარი. კონკურენტ კომპანიაში კი, ანალოგიურ სერვისს 15 ლარი სჭირდება.

**– რამდენი სერვისცენტრი აქვს ამჟამად „საქართველოს ფოსტას?"**

– დღეს „საქართველოს ფოსტას" 84 მოქმედი სერვისცენტრი აქვს, მათ შორის, განახლებული 9 სერვისცენტრი თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში კი, აუცილებლად დავამატებთ.

**მარიკა ხიდურელი**

# რატომ გაუგზავნა ერეკლე მეორემ იმპერატრიცა ეკატერინეს ასპინძის ომში დატყვევებული სამი ლეკი

1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთის სულთანმა ომი გამოუცხადა რუსეთის იმპერიას. ომის პროვოცირებას ოსმალეთი რუსეთს აბრალებდა, ხელშეკრულებებს არ იცავსო.

ეს ომი დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. ოსმალეთს უნდოდა, განემტკიცებინა თავისი გავლენა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, პოლონეთისა და უკრაინის მიმართულებით, ასევე ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში.

რუსეთს უნდოდა გასასვლელი შავ ზღვაზე, ყირიმის სახანოს დაპყრობა, ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ათვისება... მეტიც, რუსეთი ოსმალეთისთვის საბერძნეთისა და სხვა ტერიტორიების გამოტაცებას ვარაუდობდა...

იმპერატორ ეკატერინე მეორის სტრატეგებს უნდოდათ, ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი და შევიწროებული ხალხი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ და ამ მიზნით, ცდილობდნენ მათ ჩაბმას ომში. უნდოდათ აეჯანყებინათ ბერძნები, დაეხმარებინათ რუმინელები, სერბები, ბულგარელები, ქართველები...



ომში უნდა ჩაბმულიყო იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. იმპერატრიცას წარმომადგენლებმა ასევე, დაიყოლიეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეც, ჩაბმულიყო ომში. 1769 წლის 21 მაისს ტფილისში რუსეთის წარმომადგენელმა ხვაბულოვმა (ყოფილი ქართველი ქობულაშვილი) და ქართველებმა გადაწყვიტეს, ერთიანი ძალებით შეეტიათ მტრისთვის. ქართველებს იმედი გაუჩნდათ, რომ დაიბრუნებდნენ მიტაცებულ მიწებს, ლეკიანობას შეწყვეტდნენ და სხვა. რუსებს კი უნდოდათ, ქართველებს აღმოსავლეთის ფრონტი გაეხსნათ ოსმალებისთვის, ამით კი ბალკანეთისა და ყირიმის მიმართულებით ბრძოლა გაუადვილდებოდათ.

შეთანხმების საფუძველზე, 1769 წელს დარიალის მხრიდან, საქართველოში შემოვიდა რუსული სამხედრო ნაწილი – 480 კაცი, რომელთაც გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა. 1770 წელს ამ ნაწილს დაემატა 3 762 ჯარისკაცი. ეკატერინე მეორეს და რუსულ იმპერიას იმედი ჰქონდათ, რომ ქართული საომარი ძალით მიაღწევდნენ მიზანს, თორემ 4 242 ჯარისკაცი რა გამოსაგზავნი იყო, როცა ოსმალებს ათიათასობით მეომრის გამოყვანა შეეძლოთ.

აქვე გავიხსენოთ, რომ საქსონური (გერმანული) წარმოშობის ავანტიურისტი, გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენი მთელ ევროპაში საკმაოდ სახელგატეხილი გახლდათ. შემდგომში ის იქცა ავანტიურული და სასიყვარულო ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებების გმირად. ჯერ სამშობლოში, საქსონიაში მსახურობდა და იქიდან ნიდერლანდებში გაიქცა, რადგან კორუფციაში დაადანაშაულეს. რამდენჯერმე იყო დაქორწინებული საკმაოდ სარფიანად. მერე ავსტრიაში ცდილობდა ფეხის მოკიდებას. შემდეგ რუსეთის იმპერიის სამსახურში შევიდა. 1760 წელს ბერლინში შეუძლევა რუს კაზაკებს... 1763 წელს რუსებმა გერმანული წარმოშობის ტოტლებენი ღალატში დაადანაშაულეს და სიკვდილი მიუსაჯეს. თუმცა, ეკატერინე მეორემ ყველაფერი აპატია და დაუბრუნა ჩამორთმეული წოდებაც და ქონებაც... მერე საქართველოში გამოაგზავნა...

1770 წლის მარტის ბოლოს რუსთა და ქართველთა ნაწილები დაიძრნენ მესხეთისკენ. 14 აპრილს აიღეს სადგერის ციხე. 17 აპრილს ქართველები ერეკლე მეფისა და რუსები, გენერალი ტოტლებენის ხელმძღვანელობით, აწყურის ციხეს მიადგნენ. ქართველთა ნიჭიერმა სარდალმა იცოდა, რომ მთავარი იყო საფაშოს ცენტრის, ახალციხის აღება, რის მერეც დეზორგანიზებული მტრის დამარცხება მთელ მესხეთში გაადვილდებოდა. ტოტლებენი აწყურის ციხის აღებას ითხოვდა. რა ექნა საწყალ ქართველ მეფეს, დათანხმდა. დაბანაკდნენ.

შეტევამ ვერაფერი დააკლო აწყურის მიუდგომელ ციხეს... ტყუილად დაკარგეს დრო. ახალციხის ფაშამ 18 აპრილს აწყურის ციხეში გარნიზონს 2 000 ჯარისკაცი დაამატა.

მეორე დღეს, მოულოდნელად, ტოტლებენმა თავისი რუსული ნაწილი აყარა და ბრძოლის ველს გაშორდა. ქართველი მეფე ვიგინდარა გარუსებულ გერმანელს ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერ მოაბრუნა.

როგორც ერეკლე მეორის შვილიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი წერს, ქართველმა მეფემ ცალი მუხლიც კი მოიყარა თურმე ავანტიურისტი გენერლის წინაშე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენმა ხელმწიფემ იცოდა, რომ ოსმალები მთელ ჯავრს ახლა ქართველებზე იყრიდნენ და ამ შემთხვევაში, მოკავშირის გარეშე დარჩენა ძალიან ძნელი იქნებოდა. გარდა ამისა, თუ ქართული ჯარი დამარცხდებოდა, ოსმალები ადვილად მიაღწევდნენ ტფილისამდე... მეტიც, ამგვარ შემთხვევაში ქართლ-კახეთის დედაქალაქი რუსთაგანაც დაუცველი დარჩებოდა.

**როგორც ერეკლე მეორის შვილიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი წერს, ქართველმა მეფემ ცალი მუხლიც კი მოიყარა თურმე ავანტიურისტი გენერლის წინაშე, მაგრამ ვერაფერს გახდა**

მართლაც, დაინახეს რა არეულობა მოწინააღმდეგის ბანაკში, ოსმალო-თურქები გათამამდნენ.

რუსეთის იმპერიის მსახურებმა დიდ შარსა და განსაცდელში ჩააგდო ქართველობა და მერე ღალატით, მარტო დატოვეს გააფთრებულ მტერთან. მეფემ უაზროდ მიიჩნია აწყურის შეტევა და გამობრუნდა ქართლისკენ. მიუყვებოდა მტკვრის მარჯვენა მხარეს. მისი ძალები საკმაოდ მცირე იყო, სულ 3 000 მეომარი ჰყავდა. ესეც უნდა დაეყო მტრის თავდასხმის მოლოდინში. თანაც, ყიზილბაშების (სპარსელების) მტრობას ქართლ-კახეთისთვის ოსმალების შემოსევებიც დაემატებოდა.

ასპინძასთან ახლოს ხერთვისისა და ახალქალაქის გარნიზონის ოსმალურმა ნაწილებმა შეუტიეს ქართველებს, რათა მათთვის სვლა შეეფერხებინათ ძირითადი ძალის მოსვლამდე. მეფე ერეკლე ამას ელოდა და მზად იყო. მეფემ ჯარს მიმართა:

„ქართველებო, ყოველ განსაცდელში განუყრელო ძმებო! ჩვენი უკან გაბრუნება არ იქნება, რადგან, თუ რუსის ჯარს ოსმალო მიეწევა, დიდ ვნებას მისცემს და გაქეზებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველსაც აგვიოხრებენ. უმჯობესია, ჩვენ აქ გავწყდეთ. აბა, თქვენ იცით, და თქვენმა ვაჟკაცობამ!"

აქაც კი სტუმარი რუსების ინტერესებზე ფიქრობდა კეთილშობილი და გულუბრყვილო მასპინძელი – ქართველი მეფე.

ქართველები გაუსწორდნენ ოსმალო-ლეკებს და მტკვრის პირამდე მიყარეს. ათასამდე კაცი მოკლეს, ხუთასმა ძლივს გაასწრო. ამ დროს მტკვრის მარცხენა ნაპირიდან ოსმალოებისა და ლეკების მთავარი ძალა წამოეწიათ, დამატებით 8 000 კაცი და შეუტია ქართველებს, ამ ჯარის დიდ ნაწილს ნიჭიერმა სარდალმა ერეკლემ მტკვარზე გადმოსვლის საშუალება მისცა, თვითონ მაღლობი დაიკავა. თურქებს ხელმძღვანელობდნენ: არტანბეგ ბექირბექი, გოლა ფაშა, შავშეთის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები და სხვა სანჯაყბეგები; ლეკებს – კოხტა ბელადი (მალაჩილა), უსუფ ბელადი, ჰაჯი მამედი და ყურმუხის მთავრის შვილი გაჰტრაი, რომელიც თურქეთის ხონთქარს თბილისის ფაშად უნდა დაენიშნა...

ღამით, ნიჭიერმა ქართველმა მეფემ აღბაბა ერისთავს, სვიმონ მუხრანბატონსა და ხუდია ბორჩალოელს დაავალა ხიდის დაზიანება. მათ დახოცეს გუშაგები და მტკვარზე ხიდის თავხეები (ბოძები) გადახერხეს. ამით, მაშველი ჯარი ვერ დაეხმარებოდა ოსმალო-ლეკებს და არც გასაქცევი გზა დარჩებოდათ.

დილით ბრძოლა დაიწყო. გაისმა მეფის ბრძანება: „დაჰკარით ამ წუნკლებს!"

ერეკლე მეფე ცენტრში იდგა, მარცხენა ფლანგს ერეკლეს უფროსი ვაჟი, მომავალი მეფე გიორგი მეთორმეტე ხელმძღვანელობდა. მარჯვენა ფლანგს – დავით ორბელიანი.

მტრის ცენტრალურ ნაწილს კოხტა ბელადი – მალაჩილა სარდლობდა, მარჯვენა მხარეს – არტაბეგ ბექირბექი, მარცხენას – გოლა ფაშა. მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე შეუტიეს და გაიმარჯვეს ქართველებმა. ცენტრში ლეკები მედგრად იბრძოდნენ. მალაჩილამ ერეკლე მეფე ორთაბრძოლაში გამოიწვია და სიკვდილიც ჰპოვა კოხტა ბელადმა. მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, ხიდი ჩაინგრა და მრავალი წყალმა წაიღო.

ბევრი შეშინდა და გაცურვა სცადა, მაგრამ ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ქართველებმა ბოლომდე შეუტიეს, საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 25 დროშა და ალაფი ჩაიგდეს ხელთ. აბსოლუტური უმრავლესობა მტრისა მოისრა, მხოლოდ მცირე ნაწილი მაჰმადიანებისა გადაურჩა სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლებს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა ჯარის საკმაოდ მოზრდილ ნაწილს გამაჰმადიანებული ქართველები შეადგენდნენ.

ქართველებსაც დაეღუპათ ვაჟკაცები. მათ შორის ერეკლე მეფის ძველი და გამოცდილი თანამებრძოლები, რამაც დიდად ატკინა გული მეფეს.

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

**მინახავს ნაყინის ქარხნის დირექტორობაზე მეოცნებე ბავშვები (რაღა დაგიმალოთ და, თავის დროზე მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი), სათამაშოების ქარხნის დირექტორობაზე მეოცნებენიც ბევრი შემხვედრიან... ჩემი დღევანდელი რესპონდენტის სამსახურზეც, ალბათ, ბევრს უოცნებია ბავშვობაში – ზურაბ გურიელიძე თბილისის ზოოპარკის დირექტორი გახლავთ.**

# რატომ არიან ხოხბები მეგრელები და რატომ ითვლება ინდურ მითოლოგიაში იაგუარი ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებად

**ზურაბ გურიელიძე**: ბავშვობიდან ვოცნებობდი ზოოპარკის დირექტორობაზე. ოცნების მიზეზი იყო სპილო – მალკა. ხშირად შევიპარებოდი ხოლმე მასთან, ვაჭმევდი და მივიჩვიე. მაშინ მილიცია იცავდა და მაგდებდა. ამიტომ, ვოცნებობდი რომ გავხმდარიყავი ზოოპარკის დირექტორი და ველარავინ შემიშლიდა ხელს სპილოსთან თამაშში. ასეც მოხდა. ახლაც გვყავს დედა-შვილი სპილოები – მალკა და ბუნკა; კიდევ, გვყავს თეთრი მარტორქა; ასევე, თეთრი ლომები, უსურიის, ანუ ციმბირული ვეფხვი. უსურიის ვეფხვი ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა, სულ 1-2 ათასი ინდივიდია შემორჩენილი. უსურიის ვეფხვი გახლავთ ყველაზე დიდი კატა, რაც კი დედამიწაზე ბინადრობს. ეს არის უზარმაზარი ცხოველი, რომელიც სიდიდით ლომსაც აჭარბებს. ჩვენი სალი კეთილი ვეფხვია, რომელსაც სამი ბოკვერი ჰყავს. კიდევ გვყავს თეთრი ვეფხვების წყვილი და მათაც ჰყავთ ბოკვერები. თეთრ ლომებთანაც გვყავს ბოკვერები, მოკლედ, მთელი კატების განყოფილება დაწვრილშვილებული გვყავს.

**– თეთრი მარტორქა საიდან ჩამოიყვანეთ?**

– თეთრი მარტორქა ჩამოვიყვანეთ სამხრეთ აფრიკიდან. ესეც ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა. ის ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა რქის გამო – მისი რქა ჩინურ მედიცინაში გამოიყენება და ძალიან ძვირი ღირს. თანხას არ დავასახელებ, ვიღაცას სურვილები რომ არ აღეძრას ჩვენი მარტორქის რქასთან დაკავშირებით.

ზოოპარკის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა გახლავთ კონსერვაცია, რაც ითვალისწინებს ცხოველების შენარჩუნებასაც და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებასაც, რომ საზოგადოებას ცხოველის შესახებ ჩამოუყალიბდეს სწორი, ლეგენდებისგან გათავისუფლებული შეხედულება, რადგან, ცუდი ლეგენდაც და კარგიც, ორივე საზიანოა ცხოველისთვის. მაგალითად, მხედველობაში მყავს მგლები და აფთრები – მათ ძალიან ცუდი სახელი აქვთ და, შესაბამისად, ძალიან ზარალდებიან. ერთადერთი მაღალი ადაპტაბელურობა და მაღალი ინტელექტი აძლევთ მათ საშუალებას, რომ გადარჩნენ, სხვა შემთხვევაში, განადგურდებოდნენ, იმდენად განიცდიან დევნას.

**– ძაღლის ტვინი დაახლოებით 3-4 წლის ასაკის ბავშვის ტვინის დონეზე ვითარდება. მასზე ჭკვიანი ცხოველებიც არსებობენ?**

– არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განვსაზღვრავთ ცხოველის ინტელექტის დონეს. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არიან ინტელექტით გამორჩეული ცხოველები. არსებობს გარკვეული ცდები, ექსპერიმენტები, რომელთა მიხედვითაც, რთული ამოცანის გადაწყვეტა ცხოველებსაც შეუძლიათ. ძალიან ჭკვიანები არიან სპილოები, ადამიანის მაგვარი მაიმუნები, განსაკუთრებით – შიმპანზე; ასევე, მგლები, აფთრები და, ზოგადად, ძაღლისებრთა ოჯახის წარმომადგენლები, თვითონ ძაღლის ჩათვლით.

**– ზემოთ ნახსენები ექსპერიმენების შინაარსი როგორია?**

– როგორ გადაწყვეტილებას იღებს ცხოველი სხვადასხვა სიტუაციაში, ამის მიხედვით ხდება ხოლმე დადგენა. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ძველი ანეკდოტი ბიოლოგებზე: როცა ბიოლოგებმა მაიმუნი ჩასვეს გალიაში და დაუტოვეს ოთხი სხვადასხვა სირთულის გამოსასვლელი. რაც უფრო მარტივ გზას აირჩევდა, მით უფრო ჭკვიანად შეფასდებოდა. ამ დროს, მაიმუნი გამოვიდა მეხუთე გამოსასვლელიდან, რომლის არსებობაც არც ერთმა მეცნიერმა არ იცოდა. ზუსტად ასეთი შედეგებია ხოლმე. ისეთ სწრაფ გადაწყვეტილებას იღებენ, შეიძლება, დაიბნე. გამოსასვლელებსაც ხშირად პოულობენ ისეთს, რომლის შესახებაც წარმოდგენაც არა გვაქვს. ჩვენ, მაგალითად, მოვინდომეთ, რომ პავიანი (მაიმუნის სახეობაა) გადაგვეყვანა ღია ვოლიერში, ელექტროღობე შემოვარტყით და შემდეგ ჩავსვით შიგნით კატა. მაიმუნზე გაციელბით მცირე ზომის კატა იქიდან ვერ გამოვიდა და, გადავწყვიტეთ, რომ ვერც მაიმუნი გამოვიდოდა, მაგრამ, ჩავსვით თუ არა, ორი წუთი დასჭირდა ორ მაიმუნს რომ ორი სხვადასხვა გამოსასვლელიდან გამოსულიყვნენ.



„მეფე ლომში" ცხოველების სახელები აღებულია სუაჰილელთა ენიდან. „პუმბა" მართლა ჰქვია სუაჰილელთა ენაზე მეჭეჭიან ღორს და ნიშნავს „სულელს". „სიმბა" – „ლომს" ნიშნავს, შამანი-მაიმუნი „რაფიკი" – მეგობარს

**– ფრინველებზეც მიამბეთ.**

– ფრინველებთან დაკავშირებით დაწყებული გვაქვს მუშაობა. ეს არის, მაგალითად, ხოხბის აღდგენა – ეს სახეობა საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე იმყოფება.

**– არადა, თბილისელი ხოხბიო...**

– ხოხობი არა მარტო თბილისელი, საერთოდ, ქართველია. მისი ლათინური სახელია „ფაზიანუს კოლხიკუს" (Phasianus Colchicus), ანუ, რომელიც არის ფაზისიდან და კოლხეთიდან. აბსოლუტურად ქართველია, უფრო კონკრეტულად – მეგრელი.

**– ქერა და ცისფერთვალებაც ხომ არაა?**

– როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქერები არიან ჩინელი ხოხბები. გვყავს რამდენიმე ქერა, ანუ, ოქროს ხოხობი.

**– ფრინველებში რომელი სახეობა გამოირჩევა ინტელექტით?**

– საერთოდ, ძუძუმწოვრები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ფრინველები, თუმცა, ფრინველებშიც არიან გამონაკლისები, რომელბიც ძალიან ბევრ ძუძუმწოვარზე მაღლა დგანან ინტელექტით. ესენია: ყორნები, ყვავები, თუთიყუშები და ბატი.

**– ესე იგი, არ ყოფილა სწორი, შე ბატოო, – რომ ამბობენ... ყვავი ვახსენეთ და, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობითაც დავინტერესდები.**

– სიცოცხლის ხანგრძლივობა ქვეწარმავლებში უფრო მეტია: კუს სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელს აღემატება. ყვავი, რა თქმა უნდა, სამას წელს არ ცოცხლობს, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 60 წელია. სპილოების ასაკი 70 წელს აღწევს, დანარჩენები ცოცხლობენ უფრო ცოტა ხანს, განსაკუთრებით – მტაცებლები.

**– აფრიკული ცხოველების კარგი კოლექცია გაქვთ.**

– ასეა. მათ შორის გვყავს მილკბილა – განსაკუთრებით საინტერესო ცხოველი, რომელიც აფრიკაშიც რთული სანახავია. ის ღორისხელაა, გარეგნულად კი რაღაც-რაღაცეებით ჰგავს კენგურუს, ღორსა და კურდღელს, უცნაური სანახავია. მაგრამ, კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ მილკბილა ცხოვრობს მიწის ქვეშ. ძალიან დიდი სისწრაფით თხრის მიწას. ერთ დღესაც, ჩვენმა მილკბილებმა იპოვეს რაღაცა ნაპრალი და, მიუხედავად იმისა, რომ ბეტონის ზღუდე აქვთ, გაიქცნენ. თან, რაც მთავარია, გაიქცნენ მიწის ქვეშ. იძულებული გავხდით, დახმარება გვეთხოვა გეოლოგებისთვის. გეოსკანერით ვეძებდით. ვიპოვეთ დაახლოებით 10 მეტრის მოშორებით – ეძინათ, ისვენებდნენ.

**– უცნაური კითხვა უნდა დავსვათ: „მეფე ლომი" ცნობილი მულტფილმია, რომელიც ყველა მშობელმა ისევე კარგად იცის, როგორც მათმა შვილებმა. უფლისწული რომ გაიქცევა თავისი ტომიდან, მას ორი ცხოველი შეიფარებს. ერთი ტახია, მაგრამ, მეორე რაა? ბავშვები რომ კითხულობენ, უფროსები იბნევიან ხოლმე.**

– მეორე სურიკატია, მანგუსტის ერთ-ერთი სახეობა, ისინი სამხრეთ აფრიკაში ბინადრობენ. მეჭეჭიანი ღორიც, მულტფილმში მისი მეგობარი რომაა, აფრიკული სახეობაა. ამ მულტფილმში ყველა სახელი აღებულია სუაჰილელთა ენიდან. „პუმბა" მართლა ჰქვია სუახელთა ენაზე მეჭეჭიან ღორს და ნიშნავს „სულელს;" ასეთად იმიტომ მიიჩნევენ, რომ, როდესაც მტაცებელი მისდევს, ჩერდება და უყურებს, სინამდვილეში კი სიტუაციას აკონტროლებს. „სიმბა" – „ლომს" ნიშნავს. იქ არის შამანი-მაიმუნი – „რაფიკი", რაც ნიშნავს „მეგობარს". მინდა ვთქვა, რომ „მეფე ლომი" ძალიან საინტერესო მულტფილმია, ერთადერთი ნაკლი ის აქვს, რომ მასში აფთრები ცუდად არიან გამოყვანილები. დანარჩენ ცხოველებს ყველა თვისება ძალიან კარგად არის დაჭერილი. „აკუნა მატატა" სუახელის ენაზე ნიშნავს – პრობლემა არაა. ეს აფრიკაში ყველაზე გავრცელებული ფრაზაა. რაც არ უნდა უთხრა აფრიკელებს, მაგას გეტყვიან. მანქანამაც რომ გადაგიაროს – აკუნა მატატაო – გეტყვიან და გაგიღიმებენ.

**– აფრიკულის გარდა, კიდევ რომელი ცხოველები ბინადრობენ თქვენს ზოოპარკში?**

– სამხრეთამერიკელი იაგუარები – „ანაკაონა" და „ბუგი" და მათი ნაშიერები. „ანაკაონა" – გახლავთ ღმერთი იაგუარი ინდური ერთ-ერთი ტომის მითოლოგიაში. ძალიან ბევრ ტომში ის უზენაესი ღვთაებაა. აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა დიდი კატებისგან: ლომებისგან, ვეფხვებისგან, ლეოპარდებისგანაც კი, რომელიც იაგუარს ძალიან ჰგავს ვიზუალურად, ხასიათით კი აბსოლუტურად განსხვავდება. იაგუარი არასდროს დაწვება და მუცელს არ მოგიშვერს მოსაფხანად, რასაც სხვა კატები ძალიან ხშირად აკეთებენ.

აზიიდან გვყავს ძალიან საინტერესო მაიმუნები – სიამანკები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ჩამოვიყვანეთ. ესაა ინდონეზიაში მობინადრე გიბონების ერთ-ერთი სახეობა. გვყავს ძალიან იშვიათი, ქოჩორა გიბონები – ეს ჯიში ტაილანდშია გავრცელებული. მათ შორის ერთი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია – „მაუგლი" ***(იცინის).*** ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე. ხანდახან, თუ დაინახა, რომ სხვა ცხოველთან მივედი, მებუტება. ახლაც, ცოტა ხნის წინ გამებუტა და ორი კილო ბანანი დამჭირდა შესარიგებლად.

**ეკა სალაღაია**

**მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის, მანანა კოზაკოვას არაერთი როლია დამახასიათებელი, მაყურებლისთვის საყვარელი და პოპულარული. ასეთ როლებზე საუბრისას, არ შემიძლია, არ აღვნიშნო „TV 11-ზე" პროექტ „სელავიში" ქალბატონი მანანას მიერ განსახიერებული ფილოლოგი დედამთილი. ცნობილი მსახიობი დღეს ამ როლზე, ზოგადად კი – დედამთილის ფენომენსა და მსახიობების ცხოვრებაზე გვესაუბრება.**

# ვინ არის დაკავებული თბილისში ცნობილი ფილოლოგი დედამთილის შემოსვით და რის გამო უწევს მანანა კოზაკოვას ბეწვის ხიდზე სიარული

**მანანა კოზაკოვა**: საქართველოში დედამთილი ძალიან პოპულარული ცხოვრებისეული გმირია. მაგალითად, რუსეთში უფრო სიდედრის თემაა ასეთი. ძალიან ბევრი მაგალითი ვიცი, ჩემს ცხოვრებაშიც და ჩემ ირგვლივაც, რომლებშიც დედამთილი ოდიოზური ფიგურაა. მე კიდეც ვხუმრობ ხოლმე, საქართველოში პრივილეგია არის, რომ უნდა გაჩნდე მამაკაცად, ან – დედამთილად-მეთქი ***(იცინის).*** ძირითადად, დედების პრობლემა ის არის, რომ 40 წლის მამაკაცს ისევ ბავშვად აღიქვამენ, „ჩემი ბავშვი" – ასე იხსენიებენ. დიდმა სიყვარულმა იცის ზედმეტობა იმ მხრივ, რომ ერევიან შვილის ცხოვრებაში და თანამონაწილეები ხდებიან, განსაკუთრებით, ცოლი როცა მოჰყავთ. ეს ქალიც – რომელსაც მე განვასახიერებ – არ არის გამონაკლისი, პირიქით, საკუთარი შვილის პირადი ცხოვრების არასწორი აღქმის საუკეთესო მაგალითია. თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ – ასეა. ისე, რა თქმა უნდა, ფილოლოგი დედამთილი უფრო გაშარჟებული პერსონაჟია, გაბუქებული და იუმორში გადაწყვეტილი, მაგრამ, ასეთი ხომ ძალიან ბევრია ირგვლივაც. არა მგონია, ვინმე არ დამეთანხმოს იმაში, რომ აქტუალურია დედამთილის თემა.



**თეატრი არ არის სამსახური, თეატრი არის ცხოვრების წესი. არც ერთი მსახიობი არ ამბობს: „წავედი სამსახურში," ამბობენ _ წავედი თეატრშიო. ამით ვცხოვრობ**

**– ალბათ, ამიტომაც გახდა პოპულარული ეს ქალბატონი, გარდა იმისა, რომ თქვენ განასახიერეთ, რა თქმა უნდა. როგორი ემოცია დაგეუფლათ, როცა ამ როლს გაეცანით და მისი განსახიერება შემოგთავაზეს?**

– მიმაჩნია, რომ „TV 11-ის" ბიჭების მიერ დაწერილი ეს სცენარი ძალიან საინტერესო და კარგია. სწორი, კარგი იუმორით არის დაწერილი. როგორც კი წავიკითხე, თვითონ ვიხალისე და, ლევანმა, ჩემმა ქმარმა, იხუმრა კიდეც – კიდევ კარგი, ბიჭი არა გვყავს, თორემ, ალბათ, არც ერთი გოგო არ გაგვეკარებოდა არ მოინდომებდა ჩვენს რძლობასო ***(იცინის).*** ცოტა საშიში ხარო.

**– საშიში ხართ, ჰო, – თქვენს პერსონაჟს ვგულისხმობ. უკაცრავად ამ კითხვაზე, მაგრამ, თქვენი ოინები იყო, კოტიკოს ოჯახი რომ დაენგრა? ისე აქებდით ლამარას გოგოს, ეკას, რომ ეჭვი მაშინვე თქვენზე ავიღე.**

– რა თქმა უნდა, ჩემი ოინები იყო. პრინციპში, ლამარას გოგო ძალიან მოსწონს ჩემს პერსონაჟს და ყველაფერს აკეთებს, რომ მისმა შვილმა ის მოიყვანოს ცოლად და ამას გაშორდეს. მიაჩნია, რომ კოტიკოს არჩევანი მისი ოჯახისთვის არ არის შესაფერისი. ყველა ადამიანს აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი, თუნდაც შეცდომით, მაგრამ, ის შეცდომაც საკუთარი უნდა იყოს. ჩემი პერსონაჟი ამას რადიკალურად არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ მან უკეთ იცის, ვინ უფრო მოუხდება მის შვილს.

**– არადა, თვითონ, ქალბატონო ფილოლოგო დედამთილო, მგონი, ხუთჯერ შეცდით, სანამ ნამდვილი სიყვარული იპოვეთ და სანამ ისეთი ოჯახი შექმენით, როგორიც გსურდათ.**

– ასეა, მაგრამ, ხომ ვიცით, რომ სხვის საქმეში ყველა ბრძენი ხდება?! ეს ქალიც ასეა. ასეთებს თავიანთი ცხოვრება არ ახსენდებათ.

**– არის ამ ქალბატონში ისეთი თვისებები, რომლებიც მისი განსახიერებისას საზოგადოებიდან აიღეთ, გარდა იმისა, რაც სცენარში იყო მოცემული?**

– როგორ არ არის – მენტორული ტონი, კომპეტენტურობის განცდა... ბევრი შემხვედრია ასეთი. წარმომიდგენია, მაგალითად, როგორ დადის ეს ფილოლოგი დედამთილი. დაახლოებითი ტიპაჟები შემხვედრია ცხოვრებაში, თან, არაერთი და, რა თქმა უნდა, რაღაცეები იქიდან გამომდინარე გავაკეთე.

**– თქვენს რძალს ისეთი სამკაულები ამშვენებს, რომ შევხედავ, მაშინვე ვწინასწარმეტყველებ თქვენს რისხვას. პირადად ამ ფილოლოგი დედამთილის ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?**

– ხაზგასმულად და ბევრ რაღაცას ვიკეთებ, რომ გამოჩნდეს ამ ქალბატონის მაღალი გემოვნება, რომ მას აქვს ბევრი შარფი და სამკაული – ის დარწმუნებულია, რომ ყველაზე გემოვნებიანია. ახლახან ვიყავი პრაღაში, დავდიოდი მაღაზიებში და ვფიქრობდი, ახალი, რა შევუძინო ამ ქალს-მეთქი.

**– სახელი არ აქვს ხომ?**

– სახელი არა აქვს, დედამთილია ზოგადად, ფილოლოგი დედამთილი.

**– ხანდახან მაინც არ გეცოდებათ „თქვენი" რძალი?**

– ხანდახან ძალიან მეცოდება ჩემი რძალი, ოღონდ, მანანას მეცოდება და არა ჩემს პერსონაჟ ფილოლოგ დედამთილს ***(იცინის).***

**– როგორ მოხვდით „TV 11-ში"?**

– ბიჭებმა გადაიღეს კინო, რომელიც ჯერჯერობით არ გამოსულა. ფილმის სახელწოდებაა „კაცების შოუ". ფილმში რაღაც სიტუაციები ვითარდება ამ ბიჭების თავზე და მეც ვიღებ მასში მონაწილეობას; მერე, რაღაცა პერიოდი,

## მამაჩემი ამბობდა, რომ საკუთარი როლის ადვოკატი უნდა იყოო

„შუა ქალაქშიც" ვიყავი; მერე „TV 11" რომ გაკეთდა, აქაც დამიძახეს. ძალიან კეთილგანწყობით ვარ ამ გუნდის მიმართ, პროფესიონალები არიან და ნამდვილად არ ვამბობ ამას სიტყვის მასალად. თეატრის შემდეგ ძალიან რთულია სხვაგან წასვლა, რადგან, თეატრი უფრო კონსერვატულია, იქ უფრო მეტ დეტალს ექცევა ყურადღება, ვიდრე ტელევიზიასა და კინოში. ამ გუნდში ყველა კითხვაზე არის პასუხი, ზუსტად მუშაობენ. პიროვნულადაც ძალიან კარგად განვეწყვე ამ ბიჭების მიმართ. ძალიან კარგი ტელევიზია გააკეთეს, მართლა განსხვავებული. არაფერს არ ჰგავს, ხომ სწორია?

**– ჩვენ გვგავს, მგონი; ჩვენს ქალაქსა და ჩვენს ყოფას ჰგავს.**

– ჰოდა, ეს ძალიან მომწონს როგორც მაყურებელსაც და, რა თქმა უნდა, მონაწილეობასაც რომ ვიღებ ამ პროცესში, მიხარია და კმაყოფილი ვარ. ხომ გაგიგიათ მსახიობებისგან: ძირითადი საქმიანობა მაქვს ეს, მაგრამ, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ფული მჭირდება, ან – პოპულარობა, ან კიდევ რაღაც სხვა... ჩემს შემთხვევაში ასე არაა, ჩემთვის აქ მუშაობის პროცესი ნამდვილად ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა.

**– თქვენი შემოქმედების მთავარ ნაწილზეც გადავიდეთ: რა ხდება, ზოგადად, თეატრალურ სამყაროში?**

– 22 წელია, სცენაზე ვარ. იცით, თეატრი რა არის? თეატრი არ არის სამსახური, თეატრი არის ცხოვრების წესი. არც ერთი მსახიობი არ ამბობს: „წავედი სამსახურში;" ამბობენ – წავედი თეატრშიო. ამით ვცხოვრობ. გარდა იმისა, რომ საღამოს სპექტაკლებია, დღისით ახალზე მუშაობ და სულ მოცული ხარ ამით, ამითაა საინტერესო ჩემი პროფესია. თეატრში, შეიძლება, ათი როლი კარგად ითამაშო და, მეტერთმეტე რომ არ გამოგივიდეს, უცებ ვიღაც იტყვის: უი, როგორი უნიჭო ყოფილაო. სულ ბეწვის ხიდზე დადიხარ, სულ ღელვასა და მტკიცებაში ხარ, რომ შენ გაქვს უფლება, იდგე ამ სცენაზე. ვერასდროს ვერ ეჩვევი ამას, ვერ იტყვი – რა გახდა, რაღა მანერვიულებსო. წლების განმავლობაში, გამოცდილება გიგროვდება, პროფესინალი ხდები, მაგრამ, სულ გამოცდის მდგომარეობაში ხარ. წინა სპექტაკლი არ გშველის, ყოველ ჯერზე თავიდან უნდა დაიწყო. ფარდა იხსნება და ყველაფერი ნულიდან იწყება.

**– არაერთი როლი შესარულეთ ამ 22 წლის განმავლობაში და, არაერთხელ დაამტკიცეთ, როგორც თავად თქვით, რომ ხართ ღირსი, იდგეთ ამ სცენაზე. რომელი როლი გიყვართ განსაკუთრებულად?**

– მსახიობს არ აქვს საყვარელი როლი. ამას წინათ ქალბატონმა გურანდამ თქვა და ვეთანხმები – ყველა როლი თავისებურად საყვარელია. მამაჩემი ამბობდა ხოლმე და ძალიან მომწონს ეს გამონათქვამი: უნდა იყო საკუთარი როლის ადვოკატი. თუ ეს ასე არ არის, სხვანაირად არ გამოდის. ამიტომ, ყველა როლს თავისი განწყობა აქვს, ესა თუ ის გმირი გიყვარდება თავისი რაღაცა სიმართლიდან, ან – ლოგიკიდან გამომდინარე, უარყოფით გმირს თუ თამაშობ – მაშინაც. არის როლები, რომლებიც არ მიყვარს, რადგან, მიმაჩნია, რომ ნაკლებად გამომივიდა, ნაკლებად შეიყვარა მაყურებელმა. ვერ გავმიჯნავ – ეს მიყვარს და ეს არა-მეთქი. ყველა თავისებურად მიყვარს. განსაკუთრებით, პატარა როლს აქვს თავის სირთულე, დიდ როლს კი – თავისი დატვირთვა. ხომ გიყვართ მეგობრები, თავიანთი რომელიმე თვისებიდან გამომდინარე, თავიანთი ნაკლიანად, – ასე არის როლებიც.

**– ბოლო პრემიერაზე მესაუბრეთ.**

– სულ ორიოდე კვირის წინ ვითამაშეთ „შთაგონების რეცეპტი". საპასუხიმგებლო როლი იყო. სამნი ვთამაშობთ: ქეთი ცხაკაია მე და ჯაპანა. მნიშვნელოვანი სამუშაო გვქონდა, საკმაოდ რთული და საინტერესო. სეზონის ბოლოს მივდივართ გასტროლებზე და, ეს მოგზაურობა რომ დამთავრდება, ივნისში, წავალ ჩემს საყვარელ ბეთანიაში და დავისვენებ.

**ეკა სალაღაია**

# მაღალი ხარისხის ხორბალი და ფქვილი რეალურ ფასად – „აგროსისტემების" წისქვილკომბინატების მთავარი სტანდარტი

„ქართველმა მომხმარებელმა თავად უნდა აირჩიოს ხარისხიანი პროდუქტი. „აგროსისტემების" პროდუქციას კი ზედმეტი ქება ნამდვილად არ სჭირდება. ჩვენ მიერ წარმოებული ფქვილი მაღალი ხარისხისაა და შესაბამისად, ფასიც მისაღები", – აცხადებს შპს „აგროსისტემების" აღმასრულებელი დირექტორი, ტელმან ბაბაევი. მისივე თქმით, 8 წლის განმავლობაში, რაც კომპანია საქართველოში ოპერირებს, მის მიერ წარმოებული პურის ფქვილის ხარისხთან დაკავშირებით არც ერთი პრეტენზია არ დაფიქსირებულა. „ამაზე მეტყველებს ფიტოსანიტარული სამსახურის დასკვნა, სადაც ცალსახადაა აღნიშნული, რომ საქართველოში ასეთი მაღალი ხარისხის ხორბალი მხოლოდ ჩვენ შემოგვაქვს," – ბრძანებს ბატონი ტელმანი.

შპს „აგროსისტემებმა" საქართველოში საკუთარი წარმოება 2006 წლიდან დაიწყო. ამ დროისთვის კომპანია 4 წისქვილკომბინატს ფლობს, მათ შორის, თბილისში, გორში, მარნეულსა და კაჭრეთში. ხორბლის ფქვილი, რომელსაც აღნიშნული კომბინატები აწარმოებენ, ბაზარზე იყიდება სახელწოდებით: „ივერია" და „კარმენი". „აგროსისტემების" მიერ წარმოებულ ხორბლის ფქვილს ისეთი მსხვილი პურის ქარხნები იყენებენ, როგორიცაა: შპს „იფქლი", შპს „იფქლი-1", შპს „პური", შპს „აპარა", შპს „ნიკორა", შპს „გუდვილი" და ასე შემდეგ.

ამასთან, „აგროსისტემების" ხორბლით სარგებლობენ სხვა კომბინატებიც, მათ შორის: შპს „პროგრესი", შპს „ხორბალი", შპს „თავთუხი" და ასე შემდეგ.

კომპანიაში აცხადებენ, რომ როგორც „ივერია", ასევე „კარმენი" უმაღლესი ხარისხის ფქვილის კატეგორიაში გადიან. მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც პურის ცხობისას, ასევე საკონდიტრო წარმოებაში.

„თავად ხორბლის მაღალი ხარისხი, მისი დროულად შეძენა, სწორ პირობებში შენახვა და მაღალტექნოლოგიურად დამუშავება, დაფქვა, დაფასოება, ხდის „ივერიასა" და „კარმენს" ყველაზე უკეთეს ფქვილად. რაც მთავარია, ფქვილის ხარისხთან მიმართებაშიც მისი ფასი ყოველთვის მისაღებია", – აცხადებენ „აგროსისტემებში".

„ჩვენი აზერბაიჯანელი ინვესტორი აზერბაიჯანში ფქვილის უმსხვილესი მიმწოდებელია. შემიძლია გითხრათ, რომ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, ამ ადამიანს ერთი თეთრიც არ წაუღია საქართველოდან. მთელ შემოსავალს ისევ აქ აბანდებს. ჯერ მარნეულის წისქვილკომბინატი შევიძინეთ, მერე ვიყიდეთ – გორის. შემდგომ კი კაჭრეთის და ბოლოს თბილისის წისქვილკომბინატიც შევიძინეთ."

„როდესაც ჩვენ, აღნიშნული წისქვილკომბინატები შევიძინეთ, არც ერთი მათგანი სამუშაო მდგომარეობაში არ იყო. მარნეულის კომბინატი სრულად გარემონტდა. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გორის წისქვილკომბინატსაც. შარშან გორში მოსახლეობისთვის, რომელსაც სიმინდის კარგი მოსავალი მოუვიდა და არ იცოდა რეალიზაციამდე სად შეენახა, ავაშენეთ სპეციალური საწყობი და საშრობი. ამასთან, დაწყებული გვაქვს თბილისის წისქვილკომბინატის რეაბილიტაციაც, რომლის სრულ გადაიარაღებას უახლოეს მომავალში ვგეგმავთ. ამ დღეებში თურქეთიდან ახალ ტექნიკურ აღჭურვილობას ველოდებით", – განაცხადა ტელმან ბაბაევმა.



გორის რეაბილიტირებული წისქვილკომბინატი

მისივე თქმით, საქართველო წელიწადში 800 000 ტონა ხორბალს მოიხმარს, აქედან კომპანია „აგროსისტემებს" 200 000 ტონის შენახვა შეუძლია.

„აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი საწყობების გამოყენებაზე უარს არავის ვეუბნებით. იქ პროდუქციის შეტანისა და გატანის ხარჯებს ვანგარიშობთ და იმ ფასად ვაქირავებთ. ჩვენ ჯანსრთელი კონკურენციის მომხრე ვართ", – ამბობს „აგროსისტემების" აღმასრულებელი დირექტორი.

როგორც ბაბაევი აცხადებს, „აგროსისტემები" ხორბალს ძირითადად ყაზახეთიდან და რუსეთიდან ყიდულობს. თუმცა, კომპანია არც საქართველოში მოყვანილი ხორბლის შესყიდვაზე ამბობს უარს.

„ვინაიდან ინვესტორს აქვს საკმარისი რესურსი, ჩვენ ვახერხებთ, რომ ხორბალი მოსავლის აღებისთანავე შევიძინოთ, როცა მისი ფასი შედარებით დაბალია. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენივე საწყობებში შევინახოთ თითქმის მთელი წლის მარაგი, რაც საშუალებას გვაძლევს, „აგროსისტემების" მიერ წარმოებული ფქვილი კონკურენტების პროდუქციასთან შედარებით იაფი იყოს.

ეს შევძელით 2010 წლის კრიზისის დროსაც, როდესაც ჩვენი ფქვილის 50-კილოგრამიანი ტომარა სხვაზე 4-5 ლარით ნაკლები ღირდა. მაშინ მსოფლიო ბაზარზე არსებული კრიზისის გათვალისწინებით, შეგვეძლო, რომ ფქვილი უფრო ძვირად გაგვეყიდა, მაგრამ კომპანიის მფლობელმა ხალხის ხარჯზე ფულის გაკეთება არ მოინდომა. იმ პერიოდში ერთ, 50-კილოგრამიან ტომარას 48 ლარად ვყიდდით, მაშინ, როცა სხვა კომბინატების მიერ წარმოებული ერთი ტომარა ფქვილი 52-53 ლარი ღირდა", – განაცხადა ბაბაევმა.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „აგროსისტემები" ხორბალს უკრაინაში არ ყიდულობს, ბაბაევი ამბობს, რომ უკრაინული კრიზისი ხორბლის ბაზარზე აუცილებლად აისახება. თუმცა, აქვე გვაიმედებს, რომ საქართველოს ამ მიმართულებით პრობლემა არ ექნება.

„რაც შეეხება ხარისხს, თუ შესაძლებელია, იქნებ, საბაჟოს ფიტოსანიტარული სამსახურიდან გამოითხოვოთ ინფორმაცია. მათი ყველა დასკვნა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი ხარისხის ხორბალი მხოლოდ ჩვენ შემოგვაქვს. თანაც, ჩვენ ყველა კომბინატში საკუთარი ლაბორატორია გვაქვს და ყოველდღიურად მოწმდება ხორბლისა თუ ფქვილის ხარისხი", – განაცხადა ბაბაევმა.

გარდა ქართული ბაზრისა, „აგროსისტემების" უახლოეს მომავალში ფქვილს გერმანიაშიც გააგზავნის. ბაბაევის თქმით, ამ დროისთვის, მოლაპარაკება მიმდინარეობს გერმანულ კომპანიასთან. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გერმანიაში ყოველ თვე კილოგრამიან და ორკილოგამიან შეფუთვაში დაფასოებულ 40 ტონა ფქვილს გააგზავნიან.

„ქართულ ბაზარზე ჩვენს პროდუქციას დაახლოებით 30 პროცენტამდე უკავია. თუმცა, დღეს მთელი სიმძლავრით არ ვმუშაობთ. ავარიული შემთხვევებისთვის ყოველ კომბინატში არის სარეზერვო ხაზები. ამასთან, ჩვენს კომბინატებში 600-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ყველა მათგანი საქართველოს მოქალაქეა. გარდა ამისა, ჩვენ არ გვაქვს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი და მაღაზიები. შესაბამისად, ჩვენთან კლიენტი ყიდულობს ფქვილს, მიაქვს და ყიდის, ანუ ჩვენ კერძო დისტრიბუტორებსაც ვაძლევთ მუშაობის საშუალებას. მთელი საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი ასეთი კლიენტი გვყავს", – დასძინა ბაბაევმა.

# ბრძნული აზრები

**ჰიუგო**: ადამიანი აუცილებლად უმაქნისი არაა, თუ ის ფიქრს ჰყავს ატანილი. არსებობს ხილული და უხილავი შრომა.

**ლაბრიუერი**: ზოგს ნიჭი და ტალანტი არ ეძლევა, ზოგსაც მისი გამოვლინების შესაძლებლობა, მიტომ ადამიანი მარტო იმით კი არ უნდა შევაფასო, რა გააკეთა, არამედ იმითაც, რისი გაკეთება შეეძლო.

**ლაროშფუკო**: ურთიერთობა დიდხანს არასოდეს არ გასტანს, მარტო ერთი მხარე რომ იყოს მტყუანი.

**ლესინგი**: ადამიანისთვის ადამიანი უფრო სასურველია, ვიდრე ანგელოზი.

**მორგენშტეინი**: რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია.

**ნიცშე**: ადამიანი არ შეიძლება ყველაფრის საზომი იყოს.

**პასკალი**: ადამიანი არც ანგელოზია და არც ცხოველი. მისი უბედურება ისაა, რომ რაც უფრო მეტად ცდილობს, დაემსგავსოს ანგელოზს, მით უფრო მეტად ემსგავსება ცხოველს.

**გოეთე**: მხოლოდ გამარჯვებული აღწევს მშვიდობას ომის გზით.

**სენეკა**: შენ გაწყენინა კეთილმა ადამიანმა? – არ დაიჯერო. ბოროტმა? – ნუ გიკვირს.

**ბალზაკი**: ცხოვრება მოკლეა, მაგრამ უბედურებები ახანგრძლივებს მას.

**ანაქსაგორი**: სიკვდილის ორი გაკვეთილი გვაქვს: დრო დაბადებამდე და სიზმარი.

**სოლონი**: თუ იცი, გაჩუმდი.

**თალმუდი**: არ განსაჯო ადამიანი, თუ მის მდგომარეობაში არ ყოფილხარ.

**იერონიმე** ისწავლე ის, რასაც სხვას ასწავლი.

**ვოლტერი**: დანაშაული კეთილი საქმეებით არ ბათილდება.

**ციცერონი**: ღმერთი მომთმენია, იმიტომ რომ მარადიულია.

**ავგუსტინე**: ვინც ეძებს, არ დაიკარგება.

**გოგენი** ბრიყვს კი არ უნდა დავეხმაროთ, არამედ მას, ვინც ცდება.

**ტიბერიუსი**. ვეზიზღებოდე, ოღონდ თანხმა იყვნენ.

**კონფუცი**: თუ ეჭვობ, თავი შეიკავე.

**ცეზარი**: გამარჯვებები რომაელებს ძალას მატებს, ხოლო დამარცხებები – ვაჟკაცობას.

**იუსტინე**: ბრძენი იმარჯვებს ისე, რომ ამას ვერავინ გრძნობს.

**ბეკონი**: თუ ლაპარაკი არ იცი, ისწავლე კითხვა.

**ლაო ძი**: ვინც კმაყოფილი იყო, დაავიწყდა, ხოლო ვინც უკმაყოფილო, ახსოვს.

**მოპასანი**: ჯერ არ გამიგია, რომ ვინმეს სიბერის გამო დავიწყებოდეს, თუ სად დამარხა განძი.

**პოპერი**: ჯერ უნდა გავასამართლოთ ადამიანი და მერე შევიყვაროთ, თორემ, შეყვარებულს არ ასამართლებენ.

**მოლიერი**: მთელმა სამყარომ იცის, რომ ქალი არასრულყოფილი არსებაა. ის სხვა არაფერია, თუ არა ჟინიანობა, სიჯიუტე, თავხედობა. მის სულში ბოროტება იმალება, გულში კი – ყოყმანი. დედამიწაზე არ არსებობს უფრო სულელი, უფრო სუსტი, უფრო მუხანათი და ვერაგი არსება და, მაინც, ამ ცხოველისკენ ლტოლვა ყველა მამაკაცის ღირსების საქმეა.

# თუ გამოიცნობთ

1. 2010 წლის აგვისტოში ხარკოვში წარმოადგინეს საქორწილო კაბა, რომლის შლეიფის სიგრძე 113 მეტრი იყო. მთლიანად და კარგად რომ წარმოეჩინათ ეს ჩაცმულობა, გოგონას მოარგეს ის, რასაც მეთვრამეტე საუკუნეში იყენებდნენ პარიკმახერები მეფის კარზე ან დიდებულთა მომსახურების დროს. **რას?**

2. არსებობს მრავალი ვერსია, რატომ არის ის კონუსისებრი: მასალა დაზოგეს, ყინული რომ ჩაამტვრიოს, წყალში ადვილად ჩაეშვას, სირბილის დროს ფეხებში არ მოედოს, მისი დადება და დასასვენებლად ზედ დაჯდომა რომ შეუძლებელი იყოს და ბოლოს, რომ არ მოიპარონ... **რა?**

3. ცნობილია, რომ რიცხვების ჯამი რულეტკაზე, რომელიც ფრანსუა ბლანკმა გამოიგონა, 666-ის ტოლია. სწორედამიტომ, მას სხვაგვარად ორი სიტყვით მოიხსენიებენ, რითაც მის ფორმასა და რიცხვის ბნელეთის ძალებთან ასოციაციას უსვამენ ხაზს. **რას ეძახიან მას?**

4. სკაუტებში მას დამატებითი დატვირთვა ჰქონდა, შეგეძლოთ, გამოგეყენებინათ სხვადასხვა საჭიროებისამებრ – მოგეხადათ ცხელი ჩაიდნისთვის ან ქვაბისთვის სახურავი, გადმოგედგათ ცეცხლიდან, გამოგეყენებინათ სისხლდენის შესაწყვეტად და ასე შემდეგ. თუმცა, მისი საბჭოთა ანალოგის მსგავსი მიზნებისთვის გამოყენებისთვის ისჯებოდნენ. **რისი?**

5. ერთ-ერთ ძველ კარიკატურაზე გამოსახულია ლედი, რომელსაც ხელში უჭირავს ახლად აღმოჩენილი ხელსაწყო. წარწერა კი მიუთითებს, რომ მდინარე თემზა ურჩხულებიანი წვნიანია. **რა უჭირავს ხელში ქალბატონს?**

6. დიზაინერმა ჯორჯია ზანელატომ შექმნა საყვავილე ვაზები სარკის ზედაპირით, რომ თავად ყვავილები დამტკბარიყვნენ საკუთარი სილამაზით. **რა უწოდეს ასეთ ვაზებს?**

7. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწყობილობით მოთამაშე ბავშვები ჯერ კიდევ ეტრუსკულ ფრესკებზეა გამოსახული, პატენტი მასზე, რაც ხის ტარზე დამაგრებული მავთულია, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაიცა. **რაზე?**

8. ერთ-ერთი ვერსიით, რაც, მეცნიერთა აზრით, უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ეს მითოლოგიური არტეფაქტი ნამდვილად იყო ბუნებრივი რესურსის მოპოვების ინსტრუქციის მატარებელი. **რა?**

9. მას შემდეგ, რაც იულიუს კეისარმა ბრიტანეთის მიწაზე ფეხი დადგა, საკმაოდ ბევრი ხომალდი დაკარგა. ამის მიზეზი კი, ბრძოლები სულაც არ ყოფილა, არამედ ის, რაც მაშინ რომაელებისა და ბერძნებისთვის, პრაქტიკულად, ცნობილი არ იყო. **რა?**

10. ის 1817 წელს შოტლანდიელმა ფიზიკოსმა ბრიუსტერმა გამოიგონა. მისი სახელწოდება კი ასე ითარგმნება – „ვხედავ ლამაზ ხედს". **რა გამოიგონა ფიზიკოსმა?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

### ყველაზე ხანმოკლე მეფობა

1908 წლის 1 თებერვალს ლისაბონის ერთ-ერთ ქუჩაში საძილე არტერიაში მოხვედრილი ტყვიით დაიღუპა პორტუგალიის მეფე, ხოლო მისი შვილი ლუიშ ფილიპი სასიკვდილოდ დაიჭრა. 20 წუთში უფლისწულიც გარდაიცვალა. ამგვარად, ფორმალურად, იგი პორტუგალიის მეფე იყო 20 წუთის განმავლობაში (დონ ლუიშ მესამე).

### ყველაზე დღეგრძელი მონარქი

დედოფალთა შორის ყველაზე დღეგრძელად ითვლება ავსტრიის იმპერატორი და უნგრეთის დედოფალი ზიტა, რომლის ქმარიც (იმპერატორი კარლ პირველი ავსტრიელი და მეფე გარლ მეოთხე უნგრელი) განაგებდა იმპერიას 1916-1918 წლებში. ზიტა გარდაიცვალა 1989 წელს, 96 წლისა და 309 დღის ასაკში.

### ყველაზე მრავალშვილიანი მონარქი

ერთი ქორწინებიდან ყველაზე მეტი შვილი ჰყავდათ ლიხტენშტეინის მმართველს ჰარტმანსა (1613-1686) და გრაფინია ელიზაბეტას (1623-1688). მათ ეყოლათ 24 შვილი, რომელთაგან 21 ცოცხალი დაიბადა.

### ყველაზე მძიმეწონიანი მონარქი

ტონგას კუნძულების მეფე იწონის 209,5 კილოგრამს (სიმაღლე – 190 სანტიმეტრი).

### ყველაზე დიდი „ნუმერაცია"

ყველაზე დიდი რიცხვი, რომელიც ოდესღაც სამეფო სახლის წარმომადგენლის აღსანიშნავად იხმარებოდა, არის რიცხვი 75, რომელსაც ხანმოკლე დროით ატარებდა ჰენრიხ ოცდამეხუთე (1800-1801). საქმე ისაა, რომ გერმანული სამეფო გვარის ამ შტოს ყველა წარმომადგენელი 1695 წლიდან მოყოლებული ჰენრიხად იწოდებოდა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. c2-c4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ქალებო! იცოდეთ: თქვენ არ ხართ მზარეულები, მრეცხავები, დამლაგებლები... თქვენ გურმანთა ქალღმერთები, სისუფთავის ანგელოზები, წესრიგის ქურუმები ხართ...

***

სოციალიზმის 7 საოცრება:

1 – ყველასთვის იყო სამუშაო ადგილი.

2 – მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის იყო სამუშაო ადგილი, არავინ მუშაობდა.

3 – მიუხედავად იმისა, რომ არავინ მუშაობდა, გეგმა 100 პროცენტით სრულდებოდა.

4 – მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100 პროცენტით სრულდებოდა, მაღაზიებში არაფერი იყო.

5 – მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიაში არაფერი იყო, ყველა ყველაფერს შოულობდა.

6 – მიუხედავად იმისა, რომ ყველა ყველაფერს შოულობდა, მაინც ყველა ქურდობდა.

7 – მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა არ ვარგა, უვარგისი იყო ის, ვინც არ ქურდობდა.

***

გინდათ, მკერდის გადიდება სწრაფად და უფასოდ? მიუშვირეთ სკას თქვენი მკერდი თუ-




ნდაც 10 წუთით...

***

გელა ისე კარგად ფლობს ინტონაციებს, რომ ფრაზით „შენი დედა...“ შეიძლება, მოგესალმოს, შეგაგინოს, შეგაქოს, მოგეფეროს და სამძიმარიც კი გამოგიცხადოს...

***

საინტერესო ლოგიკაა – თეთრს ეძახიან მოყვითალო ღვინოს, რომელიც მწვანე ყურძნისგან მზადდება.

***

– არ გინდა ჩემში პლუსების და მინუსების ძებნა, მე ბატარეა არ ვარ!

***

ორი დირექტორი ხვდება ერთმანეთს.

– თანამშრომლებს ხელფასს უხდი?

– არა. შენ?

– არც მე...

– შენები სამსახურში დადიან?

– კი. შენები?

– რა თქმა უნდა...

– ბიჭო, მოსვლა ფასიანი ხომ არ გავხადოთ?!

***

– დაასახელეთ, ყველაზე ცნობილი მომღერალი ქალი და კაცი.

– რა თქმა უნდა, კონჩიტა ვურსტი – ორივე კატეგორიაში.




***

– ავიდეთ ჩემთან, სახლში...

– როგორ, პირველად დღეს გნახე, საერთო ნაცნობებიც არ გვყავს...

– გოჩა ჩერტკოევი იცი?

– კი.

– მეც... ავედით

***

მიღებაზე ფსიქოთერაპევტთან.

– ექიმო, ძალიან უიღბლო ვარ, ბედი არაფერში მწყალობს...

– ადამიანს, რომელსაც შეუძლია, ჩემი მომსახურების თანხის გადახდა, უიღბლოს ვერ უწოდებ...

***

– ბოლოს როდის გქონდა სექსი?

– ერთი, კალენდარი მომეცი?

– რომელი წლის...

***

ცოლქმრული „იდილია“:

– შენი თეფში მაინც აიღე და ნიჟარაში ჩადე, საქონელო!

– არ შემიძლია, ჩლიქები მიშლის...

***

ადამიანი ფულისთვის ყველაფერზე და ყველგან არის წამსვლელი, სამსახურშიც კი.

***

– როგორ ითარგმნება ქართულად „აი დონთ ნოუ”?

– არ ვიცი...

– რავა არავინ იცის, ამის დედა ვატირე...

***

შუაღამეა, ცოლ-ქმარი საწოლში. ცოლს ძილში ჩაესმის

– საყვარელო, სექსი არ გინდა?

– არა, ძალიან დაღლილი ვარ, თავიც მტკივა, მგონი, წელიც მიკავდება... – ნამძინარევი ხმით ამბობს ცოლი.

– იძინე, იძინე, ტელეფონზე ვლაპარაკობ...

***

– აბა, როგორ არის შენი სიხარული?

– ზეთი აქვს გამოსაცვლელი... თუ შენ, ეკაზე მეკითხები?!

## ცნობილი ადამიანთა ინამახვილური გამონათქვამები

ვორონცოვმა პლატონ იოსელიანი ათონის მთაზე რომ გაგზავნა, პლატონმა, სხვათა შორის, საბერძნეთის მეფე, ოტტონიც ნახა.

როდესაც ჩვენი ფილოსოფოსი წარდგა მეფის წინაშე, მეფემ შემდეგი თავაზიანი სიტყვა უთხრა:

– მე დიდად მიხარიან, რომ გხედავ შენ, მშვენიერის საქართველოს ერის წარმომადგენელს.

მშვენიერებაზედ შორს მყოფმა ჩვენმა სწავლულმა ამ პასუხით მოირიდა ეს საქებარი:

– თქვენო დიდებულებავ, გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ სხვებიც ასეთნი არიან საქართველოში, როგორც მე. მოგეხსენებათ, ოჯახს თითო მახინჯი არ მოაკლდებაო.

***

აკაკი ხონში იყო. წამოსვლისას ეტლში ერთი ადგილი დაიქირავა, მეეტლემ ჩასვა პოეტი ეტლში და, ჩვეულებისამებრ, ბაზრის ირგვლივ, ძახილით – „ვის გინდათ, ვის გინდათ,“ – რამდენიმეჯერ შემოატარა. აკაკიმ გააჩერა მეეტლე და უთხრა: „ვის გინდათ, ვის გინდათ“ რომ იძახი, ხომ ხედავ, არავინ მყიდულობს; ისევ მე მითხარი, რამდენად ვარ შეფასებული, იქნებ, შევიძლო თავის გამოხსნაო.




***

ერთ მაგიდაზე ქაღალდს თამაშობდნენ, მათში ერია კ... ჩ-ძეც. ქაღალდი არ მოსდიოდა, ჯავრობდა და ცქმუტავდა. აკაკიმ შენიშნა. კ-ს ეწყინა და თამაშს თავი დაანება. მისი ადგილი ერთმა დარბაისელმა ხელჯოხიანმა დაიჭირა. ქაღალდი არც იმას მოუვიდა და იმანაც ჯავრობა დაიწყო. მაშინ მიუბრუნდა აკაკი ჩ-ძეს და უთხრა: უკაცრავად, ტყუილად შეგნიშნეთ, თურმე, ეს ოხერი ადგილი ყოფილა მოუსვენარიო. დარბაისელი გაწითლდა, მაგრამ, კრინტიც აღარ დაუძრავს.

***

ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ, ვასო ყუშიტაშვილი შინსახკომში (შინაგან საქმეთა სამინისტროს წინამორბედი უწყება) 12 საათისთვის დაიბარეს. მივიდა დროულად. ზის მოსაცდელში. 12 საათს კარგა ხანი გადასცდა. ადგა – მივდივარო... შეიყვანეს. უნდათ, რამე დააცდენინონ და შარის მოსადებად ჰკითხეს: რა განსხვავებაა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორისო? – იქ 12 საათზე რომ დაგიბარებენ, ზუსტად თორმეტზე მიგიღებენო...

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

# თბილისის დინამოელის თავაზიანი უარი და ბალახისმჭამელი ფეხბურთელი მატჩის დროს

## „გამაგონე ხმა ბულბულისა“

1962 წელს დასავლეთ გერმანიაში გახლდით. თამაშის შემდეგ გრანდიოზული ბანკეტი მოგვიწყვეს იქაურებმა. სუფრას დიდებული პურმარილი ამშვენებდა. ჟღერდა იტალიური მუსიკა, რაშიც განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ჩვენი გაოცება ერთმა გარემოებამ გამოიწვია, რომ ორკესტრის პიანისტი... შიშველი ფეხებით უკრავდა ფორტეპიანოზე.

სიმღერის, ცეკვისა და იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებულმა ჯემალ ზეინკლიშვილმა თავისი ნიჭის დემონსტრირება განიზრახა. წუთით ყურადღება ითხოვა. დარბაზი გაიტრუნა.

გაისმა ყურის დამატყვევებელი სტვენა, ნელ-ნელა მოიმატა ამ უნაზესმა ჰანგმა, მართლაც რომ, „ბულბულის გალობას“ ჰგავდა და ფინალი გამაყრუებელმა ოვაციამ შთანთქა.

აღტაცებული ორკესტრის ხელმძღვანელი ჯემალს მიეჭრა, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:.

– მე მზად ვარ, ჩემი ორკესტრის ყველა წევრი დავითხოვო, იმ პირობით, რომ თქვენ ჩვენთან დარჩებით...

უდიდეს ფულად ანაზღაურებას დაჰპირდა სრულიად სერიოზულად და საქმიანად.

ჯემალმა დაიმორცხვა და თარჯიმანს ათარგმნინა:

– ჩემთვის უზარმაზარი პატივია თქვენი შემოთავაზება, მაგრამ მსოფლიოს ყველა ორკესტრს ჩემი ბორჯომის ხეობა და თბილისის „დინამოს“ მაისური მირჩევნიაო.

თარჯიმანმა სიტყვა დაასრულა და დარბაზში ოვაციის ქარიშხალი დაატრიალა.

გამართლდა ჩვენი მგოსნის სიტყვები:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“

ასეთი გახლდათ ცხონებული ჯემალი. ის ქართული ფეხბურთის მართლაც ლეგენდა იყო.

## „ვაი, კუჭი“

ჩემი სუსტი წერტილი... კუჭი გახლდათ. 10-ჯერ რომ გავმხდარიყავი ავად, მიზეზი 8 შემთხვევაში კუჭი იყო. რა წამლები, რა საშუალებები არ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ.

იმ წელს ვორონეჟში გვქონდა გასვლითი მატჩი.

ისევ შემომიტია კუჭმა, თან ისე ძლიერად,




რომ ექიმებმა ჩემი სათამაშოდ გასვლა საეჭვოდ მიიჩნიეს.

იქაურმა ექიმმა მასწავლა – მრავალძარღვა (ბალახი) უებარი საშუალებააო და მეც საგულდაგულოდ დავიმახსოვრე ეს რჩევა.

სათამაშოდ მაინც გავედი.

მეორე ტაიმია. მატჩს მინიმალური ანგარიშით ვიგებთ და კაცმა რომ თქვას, თავს აქტიური თამაშით არ ვიკლავ მაინცდამაინც. აუტის ხაზის გასწვრივ ვმოძრაობ (თუ კუჭმა შემომიტია, საკაცე მაინც არ დამჭირდება შუა მოედნიდან გამოსაყვანად).

აქ მოხდა სასწაული:

შევამჩნიე, რომ აუტის ხაზთან ახლოს ამ ჩემს სანუკვარ მრავალძარღვას არ ამოუყვია თავი მოხასხასე ბალახებს შორის.

სხვათა შორის, ღმერთის სამართლიანობის მწამს და ეს მოვლენა სასწაულად ჩავთვალე. ვეცი, ამოვგლიჯე და გავიქანე პირში.

ვისაც კუჭის შემოტევა გამოუცდია, ნამდვილად არ გაუკვირდება ჩემი ასეთი რეაქცია.

ბიჭებს არაფერი შეუნიშნავთ, გამალებული დარბოდნენ, მაგრამ არ გამოჰპარვია ჩვენს უბრწყინვალეს ადამიანს და გოლკიპერს, სერგო კოტრიკაძეს. როგორც კი თავისთან ახლოს მომიხელთა, მომიახლოვდა და ნაჩქარევად მეკითხება.

– რას შვრები, კაცო, გვჭრი თავს?! რა ბალახის ჭამა აგიტყდა ბოჩოლასავით? რას იფიქრებს მაყურებელი, ქართველი ფეხბურთელები შიმშილით კვდებიანო.

– კუჭის წამალია ეს, კუჭის! – „ავუხსენი“ ნაჩქარევად.

– კი მაგრამ, შენ რა... კუჭის ექიმი ხარ?

რაც ენაზე მომადგა, ის გადავუჩურჩულე:

– კუჭის ექიმი კი არა, დიეტოლოგი ვარ-მეთქი.

დამთავრდა თამაში და გასახდელში ჩვენი ბიჭები მიბღვერენ, ერთმანეთს რაღაცას უჩურჩულებენ.

– რა ხდება, ბიჭებო? – ველარ მოვითმინე.

– არ ხარ კაი კაცი შენ! – გამიბედა ერთ-ერთმა.

– რატომ, ვითომ?

– შე კაცო, თუ დიეტოლოგი იყავი, ჩვენ სერგოსგან უნდა გაგვეგო? რავა, ჩვენთვის რომ გაგემხილა, ვერ გაგიგებდით?

... ასე „ჩამიშვა“ სერგომ, თუმცა მის მერე მთელ გუნდს მართლა დიეტოლოგი ვეგონე და რაიმე რომ დასჭირდებოდათ, რჩევას მეკითხებოდნენ.

ახლა ვამხელ, რომ დიეტოლოგობა ჩემს სიცოცხლეში გულშიც არ გამივლია.

**თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის ვლადიმერ ბარქაიას ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ გაუგზავნა ერეკლე მეორემ იმპერატრიცა ეკატერინეს ასპინძის ომში დატყვევებული სამი ლეკი

(72-ე გვერდიდან)

ერეკლე მეფემ თითქმის ვერ ისარგებლა ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებით. მას აფიქრებდა ტოტლებენის გეგმები და სწრაფად ტფილისისაკენ დაიძრა. მეფე 29 აპრილს უკვე ტფილისში იყო.

ტოტლებენს, ალბათ, გეგმაში ჰქონდა ერეკლე მეორის დაღუპვა და რუსული იმპერიის საქმეების მოგვარება საქართველოში.

ტოტლებენი ანანურში ასულიყო და რუსეთიდან ახალ ჯარს ელოდა. გადაწყვიტა ერეკლე მეორე ტახტიდან ჩამოეგდო. ციხესიმაგრეებს იჭერდა და ხალხს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას სთავაზობდა. ზოგიერთი ქართველი თავადიც მიიმხრო (არ დავასახელებთ მათ გვარებს). ერეკლე მეფემ შეძლო მისი დაშინება. მერე ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. ქართლ-კახეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებამ და მეფის სწრაფმა დაბრუნებამ, კიდევ უფრო გაამწარა იმპერიის მსახური. როგორც ჩანს, ის ადრეც ცდილობდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებს შორის უნდობლობის ჩამოგდებას. იმერეთის მეფესთანაც ინტრიგების ხლართვა და თავხედობა დაიწყო. მართალია, რუსთა და იმერელთა ჯარმა ბაღდათის, შორაპნის, მერე კი ქუთათისის ციხე წაართვეს ოსმალებს, მაგრამ, ამ დროს ქუთათისი უკვე გათავისუფლებული ჰქონდა სოლომონ პირველს, და არა ერთი წარმატებული ბრძოლა გადახდილი, ციხის აღება კი დროის საქმე იყო. 1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენმა, სოლომონ მეფის აზრის გაუთვალისწინებლად, ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. ამიტომ, 6 თებერვალს ალყა მოხსნა და დაიხია.

რუსეთს ომი ჰქონდა და მნიშვნელოვანი მოკავშირის დაკარგვა არ უნდოდა. მით უმეტეს, რომ მართლმადიდებლურ სამყაროში სახელიც გაუტყდებოდა, თან ომის დროს. ტოტლებენი გაიწვიეს და მის მაგივრად, მასზე არცთუ ნიჭიერი სუხოტინი გამოგზავნეს. მან სრულიად უაზროდ, ავანტიურისტულად, ქართველების რჩევის გაუთვალისწინებლად, ბევრი რუსი შეაწყვიტა ფოთის ციხეს. 1772 წელს რუსული ნაწილები საქართველოდან გავიდნენ და გაგულისებულ ოსმალოებს შეატოვეს ქართველობა. ხონთქარმა 5 000 ჯარისკაცი შემოუსია იმერეთს, მაგრამ ბრწყინვალე სარდალმა სოლომონ პირველმა მათი დიდი ნაწილი გაანადგურა.

ასპინძის ბრძოლაში რუსების მხრიდან ღალატის სამაგიეროდ და ნიშნის მოსაგებად, მეფე ერეკლემ, ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი სამი ლეკი გაუგზავნა იმპერატრიცა ეკატერინეს წერილით: „ისე გავიმარჯვეთ ასპინძაში, რომ სამი იქ დაჭერილი ტყვე თქვენთვისაც მომირთმევია“.

**გიორგი მახობეშვილი**

იყავით მხნედ!
მიიღეთ
ორამინ F
კორეული ჟენშენი, ფუტკრის რძე,
10 ვიტამინისა და 7 მინერალის კომპლექსი
1 კაფსულა ერთხელ დღეში
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი



















# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი) 28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



როგორ გახდა ამერიკაში მცხოვრები ბექა სიხარულიძე არაბული ციხის ზედამხედველი, დაუნდობელი მკვლელი და ჯალათი

გვ. 47



გვ. 16

რატომ ეშინიათ თამარ გვერდწითელსა და ანი ლორაკს უკრაინულ „ვოისში" ნახევარფინალისტი მეგი გოგიტიძის სცენაზე გამოსვლის



გვ. 69

რა აკავშირებს ჯაბა ქარსელაძეს სელინ დიონთან და რას არ დასჯერდება ის



ვისთან ერთად ცხოვრობს „ბინა №18-ში" ნინი გოგიჩაიშვილი და როგორ აპირებს ის ფაქოსა და კოტიკო თოლორაიას მონოპოლიის დანგრევას

გვ. 23

ISSN 1987-569X
9771987569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – ... ი ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №21 (700) * 26 მაისი – 1 ი... ფასი 1,50 ლარი